## საღმრთო ისტორია

# ახლისა აღთქმისა.

შედგენილი

სათავად-აზნაურო სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებლის მღვდლის

დიმიტრი ჯანაშვილის მიერ.

თბილისი
მელიქიშვილის სტამბა
1886

# საღმრთო ისტორია

# ახლისა აღთქმისა.

შედგენილი

სათავადაზნაურო სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებლის მღვდლის

**დიმიტრი ჯანაშვილის მიერ.**

34588

აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

თბილისი
მელიქიშვილის სტამბა
1886



Дозволено цензурою Тифлисъ, 24 Апрѣля 1886 года.

# წინასიტყვაობა.

თბილისის სათავად-აზნაურო შკოლის პროგიმნაზიის პირველს კლასში მოწაფეები სწავლობენ გრძლად **ძველ აღთქმის** საღმრთო ისტორიას, მეორე კლასში—**ახალ აღთქმისას**. სახელმძღვანელოდ დანიშნულია საღმრთო ისტორია, ორივე აღთქმისა, ვრცლად დაწერილი რუსულს ენაზე დეკანოზის დიმიტრი სოკოლოვის მიერ.

რუსული ენის კარგა მცოდნე მოსწავლეთათვის ეს სახელმძღვანელო იქნება კარგი იყოს, მაგრამ უცოდინარ ქართველთ მოსწავლე ყმაწვილებისთვის კი მისი გონივრულად შესწავლა არ არის ადვილი. სოკოლოვის გაბმული რუსული ენა კარგად არ ესმით ქართველთ ყმაწვილებს. ამისა გამო დიდს შეწუხებაში არიან მასწავლებელნიცა და მოსწავლეებიც.

რადგან ასრე ძნელია რუსულს ენაზე საღმრთო ისტორიის შესწავლა, კარგი იქნებოდა, რომ ქართველთ მოსწავლეთ ის ქართულს ენაზე შეესწავლათ: მაშინ ისინი შეისწავლიდენ იმას ისრე კარგად და საფუძვლიანად, რომ სარწმუნოებრივი გრძნობებიც უფრო ძლიერად გაეხსნებოდათ და შესწავლის შრომაც გაუადვილდებოდათ.

მაგრამ სასურველია, რომ ყმაწვილები გავარჯიშებულნი იყვნენ რუსულს ენაშიაც, იცოდნენ ბევრი ფრაზები, შეეძლოთ გამოთქმა რუსულს ენაზე თავიანთი აზრებისა, გრძნობებისა, სურვილისა და ფიქრებისა. ამისათვის საჭირო ხდება საღმრთო ისტორიის რუსულს ენაზე სწავლება სათავად-აზნაურო შკოლის მოსწავლეთათვის.

ეს სურვილი შკოლის მთავრობისა, რასაკვირველია, საქე-

ბურია და მოსაწონი; მაგრამ მასწავლებელსა და მოწაფეებს ამ მოთხოვნილების აღსრულება ძალიან უძნელდებათ. საღმრთო ისტორიის სწავლების დროს მასწავლებელმა არ იცის, რომელს მიაქციოს ყურადღება: ყმაწვილებისაგან საღმრთო მოთხრობების შინაარსის კარგად შესწავლას და შეთვისებას, თუ იმას, რომ რუსულს ენაზე კარგად და კანონიერად ლაპარაკობდენ. თუ შინაარსის ცოდნას მიაქცევს ყურადღებას, მაშინ რუსული ენის კანონიერად ცოდნა კოჭლობს; თუ რუსული ენის კანონიერად შესწავლას გამოეკიდება, მაშინ კიდე შინარსი გაკვეთილისა არ იციან მოსწავლეებმა კარგად. ორივეს მიაქციოს მასწავლებელმა ყურადღება და ლარივით გაიტანოს ბოლომდეო, მეტყვიან. ძალიან კარგი და პატიოსანი. ასრე წაყვანა საგნისა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ, რომ მოთხრობები ცოტა იყოს; ეხლა იმათი რიცხვი შეადგენს 119-დე, და აბა ამდენი მოთხრობის შესწავლა როგორ შეიძლება ერთს წელიწადს კვირაში ორის გაკვეთილით; არც მათი შემოკლება მოხერხდება, ამისათვის რომ წინააღმდეგობა იქნება მთავრობისაგან დადებულის პროგრამმისა.

ამ გარემოებათა შინა ჩავარდნილი მასწავლებელი საღმრთო სჯულისა სდგას ორ წყალს შუა. კანონი იმისგან ითხოვს, რომ მოწაფეებმა შინაარსი ისტორიული მოთხრობისა გონივრულად და კარგად იცოდნენ; რუსული ენის შესწავლება რა ამისი საქმეა? მაგრამ პრაქტიკაში ეს ასე არ არის: ერთ და იმავე დროს მოწაფეებისაგან მოითხოვენ, რომ იმათ საღმრთო ისტორიის შინაარსიც კარგად იცოდნენ და რუსულს ენაზედაც კარგად ლაპარაკობდენ. აქედგან ცხადია, რომ მოძღვარი არის პრაქტიკულად რუსული ენისა და საღმრთო ისტორის მასწავლებელი. როგორც გამოცდილებამ დაგვარწმუნა, სრულებით შეუძლებელია, რომ იმან ისტორიაც კარგად შეასწავლოს და პრაქტიკულად ენაც იმოდენად შეათვისოს მოწაფეებს, რომ შეეძლოთ რუსულს ენაზე დალაგებით მბობა საღმრთო ისტორიის მოთხრობებისა.

## III

რომ „ვრც მწვალი ლაზნევს, არც მამფური," ახლა ჩვენ განვიზრახეთ ქართულს ენაზე შედგენა ძველისა და ახლის აღთქმის ისტორიისა. ჩვენა გვსურს, რომ შინაარსი საღმრთო მოთხრობებისა ქართულს ენაზე წაკითხვით დაიხსომონ მოსწავლეებმა, ხოლო რუსულის ენით თქმა ქართულად შესწავლულისა მოახერხონ სოკოლოვის ისტორიის წაკითხვით.

რადგან ასეთი განზრახვა გვქონდა სახეში საღმრთო ისტორიის წერის დროს, ამისათვის ჩვენი შრომა შედგენილია იმ რიგზე, რა რიგზედაც სოკოლოვს დაუწერია თხვისი სახელმძღვანელო.

მაგრამ რომ რუსულის ენის კარგად უცოდინარ ქართველ მოსწავლეთ ადვილად შეითვისონ შინაარსი საღმრთო მოთხრობებისა, ჩვენ ვეცადეთ, რამოდენათაც შეიძლებოდა და მოსახერხებელი იყო, მოკლედ გვეთქვა ყოველივე და ცხადად გამოგვეხატა ღვთაება და ზნეობითი ხასიათი იესო ქრისტესი. ჩვენ გვსურდა ცხადად გვეჩვენებინა მოსწავლეთათვის იესო ქრისტეს ცხოვრება, მისი ხასიათი, გულკეთილობა, კაცთმოყვარეობა, ქვრივობოლთათვის შემწეობა, სნეულთა, და ცოდვილთათვის გულშემატკივრობა. ეს თვისებანი იესო ქრისტესნი შეადგენენ იმ წრეს, რომელზედაც უნდა ამოლორწინდეს, ალყვავდეს და გაიფურჩქნოს მოსწავლის გულში ქრისტიანებრივი ზნეობა. ჩვენ გვსურდა მოსწავლეთათვის აგვეხსნა, რა ნაირი ზნე, მიმართულება და ფიქრები უნდა ჰქონდეთ კაცთ, რომ სინიდისი მათი არ იყოს შებლალული უკეთურებითა, და კეთილს საქმეს სიხარულით მოიმოქმედებდენ, ვითარცა ამას მოითხოვენ ქრისტიანებისაგან სახსრების მცნებანი.

ამ წადილის აღსასრულებლად ჩვენ არ ვიხმარეთ საკუთარი მსჯელობა და ჩვენი დასკვნანი არ ჩავურთეთ მოთხრობებში. ჩვენ ვეცადეთ მხოლოდ ფაქტები ისრე აგვეწერა და დაგველაგა, როგორც სახარება მოითხოვს ამას. ასრე მოვიქეცით ამისათვის, რომ ყმაწვილმა თვითონვე შეიძლოს შინაარსის კარ-

გად შეგნება და თავისივე ჭკუით დასაკუთრება. მასწავლებლის მოვალეობა, ჩვენის აზრით, მხოლოდ ის არის, რომ მოსწავლეს ისრე კარგად გადასცეს ფაქტი, რომ იმას თვითონვე შეეძლოს დაფიქრება, მოსაზრება, გამოკვლევა, გაშინჯვა, აღებ-დაღება ფაქტებისა და ზნეობითი დასკვნის შედგენა თავისივე ჭკუით.

რომ ამაოდ არ დარჩეს შრომა, ჩვენი გულითადი სურვილი იყო აგრეთვე, რომ საღმრთო მოთხრობები გასაგონისა და ტკბილის ენით ყოფილიყვნენ დაწერილნი; მათს შინაარსისა და ენის სიმშვენიერეს, რამდენათაც შეიძლებოდა ამის მოხერხება სარწმუნოების საქმეში, ხალისი და სურვილი აღეძრა მოსწავლეთა გულში კითხვისა და შესწავლისა, და არც სხვის შემწეობა დაჭირებოდა.

მაგრამ დამტკიცებულია, რომ ისტორიის საფუძვლიანად შესწავლა ძალიან ძნელია, თუ რომ მას გეოგრაფიული ცნობები არ მიუძღვიან წინ. ამისათვის საღმრთო ისტორიას ცალკე ზედ-დავურთეთ აგრეთვე გეოგრაფიული ცნობები აღთქმის-ქვეყნისა, ქალაქებისა, სოფლებისა, მდინარეებისა და სხვ., რომელნიც სახარებაში უკვე არიან მოხსენებულნი. და ასრე ამ სახით საღმრთომან მადლმან შეგვაძლებინა მიგვეცა ქართველ მოსწავლეთათვის საღმრთო ისტორია ახლისა აღთქმისა, რომელსაც აგრეთვე, ვგონებთ, სიამოვნებით წაიკითხვენ სხვა ქართველნიცა და სასულიერო პირნიც.

მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი.

# საღმრთო ისტორია

# საღმრთო ისტორია

## ახლისა აღთქმისა.

### ისტორია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობისა, ყმაწვილობისა და ჭაბუკობისა.

#### 1. შობა ყოვლად-წმიდა ქალწულის მარიამისა და მისი აღზრდა.

მათ. I 18 ლუკ. I 27.

მარიამის, ყოვლად-წმიდა ქალწულის მამას, სახელად ერქვა იოაკიმე, დედას ანნა. იოაკიმე იყო დავით წინასწარ-მეტყველის შთამომავალი, ხოლო ანნა მღვდელ-მთავრის არონისა, ცოლ-ქმარნი ღრმად მოხუცდნენ, მაგრამ შვილი არა ჰყავდათ. ისინი ეხვეწებოდნენ ღმერთს, მიეცა მათთვის შვილი. ღმერთმა შეისმინა მათი ვედრება და მიანიჭა ასული, რომელსაც დაარქვეს სახელად მარიამი.

ძველის-ძველადგანვე არის დარჩენილი ეკლესიური თქმულება, რომ მარიამი მცირე-წლოვანი იყო, როცა დედ-მამამ იერუსალიმის ტაძარში ის მიაბარა მღვდლებს აღსაზრდელად. აქ სწავლობდა ის საღმრთო წერილს, ევედრებოდა ღმერთს, მარხულობდა

და ხელსაქმობდა. თოთხმეტის წლისა რომ შეიქმნა, იმას დედ-მამა ცოცხალი აღარა ჰყვანდა. ობლად დარჩენილმა მარიამმა მისცა ღმერთს აღთქმა, რომ ქმარს არ შევირთავ და ქალწულად დავრჩები სიკვდილამდეო.

მაგრამ მღვდლებმა გამოუცხადეს იმას, რომ მოსეს კანონით ყოველი ქალი, თორმეტის წლისა რომ გახდება, უთუოდ უნდა გათხოვდესო; ქალს ნება არა აქვს უქმროდ—ქალწულად დარჩესო. სჯული არავის აძლევდა არც იმის ნებას, რომ ღვთისათვის მიცემული აღთქმა თვისი დაერღვია.

რადგან ასეთი იყო ურიების საღმრთო სჯული, ამისათვის მოძღვართ არ ინებეს არც ერთის ეკლესიური კანონის დარღვევა. რომ აღასრულონ ერთიცა და მეორეც; იმათ დანიშნეს ქალწული მარიამი ერთს მოხუცებულს კაცზე, რომელსაც სახელად ერქვა იოსები. ეს კაცი იყო მისივე ნათესავი და ჩამომავალი მეფის დავით წინასწარმეტყველისა; მაგრამ ისეთი ღარიბი იყო, რომ დურგლის ხელობით შოულობდა საზრდოს. დანიშვნისათანავე მღვდლებმა გამოუცხადეს იოსებს მარიამ ქალწულის აღთქმაცა.

ამის შემდეგ ქალწულს მარიამს აღარ მისცეს ნება იერუსალიმის ტაძრის ეზოში ცხოვრებისა. ის გადასახლდა იოსებას სახლში და სცხოვრებდა მასთან უმანკოდ ქალაქს ნაზარეთში.

## 2. წინა-მორბედის მშობლები და გაბრიელ მთავარ-ანგელოზი.

ლუკ. I. 5—23.

მალაქია წინასწარმეტყველმა სთქვა, რომ ქვეყანაზე ჯერ წინა-მორბედი დაიბადება და მერმე მესია, ესე იგი მაცხოვარი მოვაო; ის წინადვე შეატყობინებს ხალხს მაცხოვრის ქვეყნად მოსვლას, დაარიგებს და მოამზადებს მას წმინდის გულით მისაღებად. მისი წინასწარმეტყველება აღსრულდა. ექვსის თვის

წინად იესო ქრისტეს შობამდე იშვა მისი წინამორბედი. ეს იყო იოანე ნათლის-მცემელი.

იოანეს მამა იყო ურიების მღვდელი. ის მსახურებდა იერუსალიმის ტაძარში. მას ერქვა სახელად ზაქარია და ამის ცოლს ელისაბედი. ღრმად მოხუცებამდე ამათ შვილი არა ჰყავნდათ. უშვილობა ურიებს დიდ უბედურებად მიაჩნდათ. ვისაც შვილი არა ჰყავნდა, იმაზე ამბობდენ, დიდი ცოდვილი არისო; ღმერთს არა ჰსურს, რომ მისმა შთამომავლობამ ქვეყნად შობილი მაცხოვარი იხილოს. ეს იყო მიზეზი, რომ ზაქარია და ელისაბედი ძალიან სწუხდენ უშვილობას და უბედურად მიაჩნდათ თავი თვისი. ამისათვის ისინი დღე და ღამ ევედრებოდნენ ღმერთს არ დახოცილიყვნენ უშვილოდ. მათი ლმობიერი ლოცვა-ვედრება ბოლოს შეისმინა უფალმა.

ერთხელ ზაქარია მღვდელი ლოცულობდა იერუსალიმის ტაძარში. აქ იყო ამ დროს ხალხიცა. ის შევიდა საწმიდოში, (საკურთხეველში) დაიწყო კმევა წინაშე ტრაპეზისა და ეხვეწებოდა ღმერთს, მიეცა მისთვის შვილი. აქ გამოეცხადა მას მთავარ-ანგელოზი გაბრიელი. ის შეკრთა და შიშისაგან თავ-ზარი დაეცა. შეშინება შეატყო მას ანგელოზმა და უთხრა:—«ნუ გეშინია, ზაქარიავ! ლოცვა შენი უკვე შეისმინა უფალმა: ცოლი შენი ელისაბედი გიშობს შვილს, და მას დაარქვი სახელი იოანე. ის იქნება წინაშე უფლისა ჩინებული; დედის მუცლიდგანვე აღივსება სული-წმიდის მადლითა; არ დალევს არცა ღვინოს, არცა რასმე სხვა სასმელს; ილიას სულითა და ძალით გაივლის წინაშე უფლისა, მოამზადებს ხალხს და დაახვედრებს მას.» ზაქარიამ კრძალულებით მოისმინა ანგელოზის სიტყვანი, დამშვიდდა და გაბედა კითხვა:—«რითი დავრწმუნდე, რომ მართლაც შვილი მეყოლებაო? მე მოხუცებულვარ და ჩემი ცოლიც გარდასრულა შობიერების დღეთაო?» ამაზე ანგელოზმა უპასუხა: «მე ვარ გაბრიელი, მდგომარე წინაშე უფლისა და შენთანა ვარ გამოგზავნილი ამის მახარობლად. მაგრამ, რადგან არ ირ-

წმუნე ჩემი სიტყვები, ამისათვის დღეის იქით შენ იქნები მუნჯი, ვიდრე შვილი გეყოლებოდეს.»

ამ ლაპარაკისა გამო ზაქარია მღვდელმა მოიგვიანა საწმიდაში. ხალხი უცდიდა იმის გამოსვლას და უკვირდა, რად დაიგვიანაო. გვიან-და-გვიან გამოვიდა, მაგრამ ენა ჩავარდნილი ჰქონდა და სრულიად ხმას ველარ იღებდა. ამისათვის დაიწყო ხალხთან ხელის ნიშნებით ლაპარაკი. მაშინ მიხვდნენ ყველანი იქ მყოფნი, რომ ზაქარიამ ტაძარში რაღაცა ჩვენება იხილა.

ორის კვირის განმავლობაში მღვდელმა ზაქარიამ შეასრულა თავისი რიგი საღმრთო მსახურებისა და მერმე დაბრუნდა თავის სახლში.

## 3. გაბრიელ მთავარ-ანგელოზის მიერ ხარება ყოვლად-წმინდა ქალწულის მარიამისა.

ლუკ I 24 38.

ქალწული მარიამი იოსების სახლში რომ სცხოვრებდა, მაშინ ხან ხელსაქმობდა, ხან საღმრთო წერილსა ჰკითხულობდა. ძველის ძველადგანვე დარჩენილა თქმულება, რომ ერთხელ ის ჰკითხულობდა ისაია წინასწარმეტყველის წიგნსა და რომ ამოიკითხა სიტყვები: «აჰა ქალწული მიუდგეს და ჰშვეს ძე და უწოდინ სახელი მისი ემმანუილ»,—შეჩერდა, ჩაფიქრდა და სთქვა გულში: ნეტარია ის ქალწული, რომელიც ღვთის დედად ყოფის ღირსი შეიქმნება. ნეტავი უკანასკნელ მხევლად მაინც არის ვიქმნებოდე მე მისი.» ამ ფიქრებში რომ იყო, იმას გამოეცხადა იგივე ანგელოზი გაბრიელი, რომელიც ზაქარიას ეჩვენა ტაძარში, და ასრე ახარა: «გიხაროდენ მიმადლებულო! უფალი შენთანა არს! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!» ამ სი-

ტყვებზე მარიამი შეკრთა და იფიქრა: «რასა ნიშნავს ასრეთი მოლოცვაო?» მაშინ ანგელოზმა უთხრა იმას: «ნუ გეშინიან მარიამ! შენ მოგიპოვებია მადლი უფლისა: შენ მუცლად იღებ და ჰშობ შვილსა და იმას სახელად უწოდე იესო. იგი იქნება ჩინებული და შვილი მაღლისა; იმას მისცემს უფალი ღმერთი დავითის ტახტსა; იგი გამეფდება იაკობის სახლსა ზედა და მის მეფობას არ ექმნება დასასრული».

ქალწულსა მარიამს ძალიან გაუკვირდა ასრეთი საოცარი ლაპარაკი ანგელოზისა.—«მე რომ ქმარი არა მყავს, როგორ შეიძლება რომ შვილი მეყოლოსო?» ჰკითხა იმან ანგელოზსა. ამ კითხვაზე იმანაც უპასუხა: «შენზე გადმოვა სული წმიდა და ძალი მაღლისა მოგეფინება შენ, რისაგამო შენ მიერ შობილი იწოდება ძე მაღლისა. აგერ შენი ნათესავი ელისაბედიც აქამდე უშვილო იყო, მაგრამ ახლა ექვსი თვეა მას აქეთ, რაც ისიც ორსულად არის. ბრძანება ღვთისა არ შეიძლება, რომ არ აღსრულდეს: რაც შეუძლებელია კაცის მიერ, შესაძლოა ღვთისაგან.» ყოვლად-წმიდა ქალწულმა მარიამმა ახლა კი დაიჯერა სიტყვა ანგელოზისა და სთქვა: „მე ვარ მხევალი უფლისა, და აღსრულდეს სიტყვა შენი ჩემზედა.“ ამის შემდეგ განშორდა მარიამს ანგელოზი იგი.

## 4. ქალწულის მარიამისაგან ელისაბედის ნახვა.

ლუკ. I 39 56.

შეიტყო თუარა ყოვლად წმიდა ქალწულმა მარიამმა თავის ნათესავის ელისაბედის ორსულობა, მაშინვე წავიდა მის სანახავად. ის მივიდა დაბას ქებრონს, ნახა ელისაბედი და მიულოცა. ელისაბედმა რომ შეიტყო ხმა ღვთის-მშობლის მოკითხვისა, მაშინვე შეინძრა მის მუცელში სიხარულით იოანე წინამორბედი. თვითონ იმასაც ისრე გაუხარდა მარიამის ნახვა, რომ აღივსო

სულის წმიდის მადლით და ასრე სთქვა: «კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა! და საიდგან მოჰხდა, რომ დედა უფლისა ჩემისა მოვიდა ჩემთან? ესმა თუარა ჩემს ყურებს ხმა მოკითხვისა შენისა, კრთებოდა ყრმა ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა. და ნეტარ არს იგი, რომ ირწმუნა! უფლისაგან თქმული სიტყვა აღსრულდება.»

ელისაბედისაგან ქებითა და სიხარულით მოკითხვისა გამო ქალწულმა მარიამმაც წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: «ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან მაცხოვრისა მიმართ ჩემისა, მან მოჰხედა მხევლისა თვისისა სიმდაბლესა. ამიერიდგან ნეტარებას მეტყვიან მე ყოველნი ნათესავნი და წმიდა არს სახელი უფლისა.»

უპატიოსნესი და ყოვლად-ქებული ქალწული მარიამი დარჩა ელისაბედთან სამს თთვემდე და მერმე დაბრუნდა თავისს სახლშივე ნაზარეთს—იოსებთან.

## 5. შობა და წინა-დაცვეთა იოანე წინა-მორბედისა.

ლუკ. I. 57 80.

სიტყვა გაბრიელ ანგელოზისა აღსრულდა. ექვსი თთვის წინეთ ქრისტეს შობამდე ზაქარიასა და ელისაბედს მიეცათ შვილი. ეს ბედნიერება უხაროდათ ამათაც და მათს ნათესავებსაც.

მერვე დღეს, იოანეს შობის შემდეგ, ნათესავები შეიყარნენ ზაქარიას სახლში და უნდოდათ ყრმის წინა-დაცვეთა და სახელის წოდება. ნათესავებს ჰსუროდათ ყმაწვილისათვის მამის სახელი ზაქარია დაერქვათ. მაგრამ დედა თანახმა არ გახდა და მოინდომა სახელად დაერქვათ იოანე. ეს სახელი კიდე სხვებს არ მოეწონათ, რადგან იმათ ნათესავებში არავის ჰრქმევოდა იოანე, ჰკითხეს ზაქარიას. ამ დროს ის კიდევ მუნჯი იყო. ხელის ნიშნებით იმან მოითხოვა ფიცარი და ზედ დააწერა: «იოანე არს

სახელი მისი». სთმვა თუ არა ეს სიტყვები ზაქარიამ, მაშინათვე აეხსნა ენა, აღივსო გული მისი სულისა წმიდისა მადლითა და ხმა-მაღლა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: «შენ ყრმაო, წინასწარმეტყველი მაღლისა იწოდო! შენ წარუძღვები წინ უფალსა, მისთა გზათა გასამზადებლად.»

აქ დამსწრე ხალხი დიდს განცვიფრებაში მოვიდა, როცა ზაქარიამ ენა ამოიდგა და დაიწყო ასრეთი ლაპარაკი. ურიასტანის მთით-კერძო მხარეში მცხოვრებნი ებრაელნი გაკვირვებით ეკითხებოდენ ერთმანერთს: ნეტავი ვიცოდეთ, რა კაცი იქნება ყმაწვილი იგი? მართლაცა «და ხელი უფლისა იყო ყრმასა მას ზედა: იზრდებოდა იგი და გამტკიცდებოდა სულითა; და იყო უდაბნოს, ვიდრე გამოცხადებამდე Ისრაელისა მიმართ.»

## 6. შობა იესო ქრისტესი.

ლუკ. I. 1—8.

Იესო ქრისტე ექვსის თთვით უმცროსი იყო Იოანე წინამორბედზე. მიქია წინასწარმეტყველის სიტყვით ის უნდა დაბადებულ იყო ქალაქს ბეთლემს. Ღვთის განგებით ასრეც მოჰხდა. მისი დედა მარიამი თუმცა ქალაქს ნაზარეთში სცხოვრებდა Იოსებთან, მაგრამ მოჰხდა ისრე, რომ ბეთლემს წავიდა. ქრისტემაცხოვრის შობის დღემ რომ მოაღწია, რომის კეისარმა ავგისტოსმა გამოსცა ბრძანება ხალხის აღწერისა. Ვინც რომელს ქვეყანაში დაბადებული იყო, იქ უნდა ჩაწერილი ყოფილიყო აღწერის სიაში. Იოსებისა და მარიამის მამა-პაპის სამშობლო ქვეყანა იყო ბეთლემი. ხემწიფის ბრძანების ასასრულებლად ისინი წავიდნენ იქ. ამ დროს ურიასტანში მეფობდა Იროდი Იდუმელი და ბეთლემი ქალაქიც მას ეკუთვნოდა.

Იოსები და მარიამი ქალაქს ბეთლემს რომ მოვიდნენ, იქ დიდ-ძალი ხალხი დაჰხვდათ, ასე რომ ტევა აღარ იყო სასტუმროს,

სახლებში. ამისათვის იმათ ვერ იშოვეს სახლი ღამის გასათევად, და შევიდნენ გამოქვაბილში, რომელიც ბეთლემის მახლობლად იყო. ღამ-ღამობით მწყემსები აქ ცხვრებს შერეკავდენ ხოლმე, მაგრამ ამ ღამეს ისინი მინდორში დარჩნენ, მახლობლად გამოქვაბილისა, რადგან მოწმენდილი ღამე იყო. ამ გამოქვაბილში ჰშობა მაცხოვარი ყოვლად-წმიდა ქალწულმა მარიამმა. იმან გაახვია ჩჩვილი ჩვრებში და მიაწვინა ბაგაში.

ასრე განხორციელდა ღმერთი ქალწულისა მარიამისაგან. ამისათვის იმის დედას ვუწოდებთ **ღვთის-მშობელად**. —ქრისტე-მაცხოვრის ხორციელად შობას ვდღესასწაულობთ 25 დეკემბერს.

## 7. მემცხვარეთაგან თაყვანისცემა იესო ქრისტესთვის.

ლუკ. II. 8—20.

ღამე იყო, როცა იესო ქრისტე იშვა ქვეყანასა ზედა ხორციელად. მემცხვარეებს მინდორში არ ეძინათ და ცხვარს უყარაულებდნენ. ამ დროს გადმოფრინდა ზეცით ანგელოზი უფლისა, გამოეცხადა მწყემსებს და მოჰფინა მათს არე-მარეს ნათელი. ბულ-უმანკო და ღვთის მოსავ მემცხვარეებმა არ იცოდნენ, რომ ქვეყანაზე იშვა მაცხოვარი კაცთა და ამის მახარობლად მოვიდა მათთან ანგელოზი. იმათ ჯერ მოჩვენება ეგონათ. ამისათვის შიშით თავზარი დაეცათ; მაგრამ ანგელოზმა უთხრა იმათ: «ნუ გეშინიანთ! მე მოვსულვარ მახარობლად: დღეს იშვა დავითის ქალაქში მაცხოვარი კაცთა, სიხარული ყოვლისა ერისა, და აი როგორ იცნობთ თქვენ იმასა: თქვენა ჰპოებთ ყრმასა ჩვრებში შეხვეულსა და ბაგასა შინა მწოლარეს.»

ამ ერთმა ანგელოზმა ეს სიტყვები რომ სთქვა, მოვიდნენ მერმე ცითგან სხვა ანგელოზნიც. ისინი შეგროვდენ ერთად და დაიწყეს გალობა: «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყა-

ნასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება.» ამ სიტყვე-ბის გალობით ისინი ალვიდოდენ ზეცად, და როცა აღარა სჩან-დენ,—ქვეყანაზე ისევ სიბნელე დამყარდა,—მაშინ მემცხვარეებმა ერთმანერთს უთხრეს: «წავიდეთ ბეთლემს და ვნახოთ, რა მოხ-და იქ და რა გვაუწყა უფალმან.» ისინი წავიდნენ და გამოქვა-ბულში ნახეს ყრმა, გახვეული ჩვრებში: თაყვანისსცეს მას, ვი-თარცა ღმერთსა, და მემრე უამბეს მარიამსა ყოველივე, რაც გაიგონეს ანგელოზთაგან. ნაზარეთს რომ დაბრუნდენ, იქაც უამბეს ყველას, რაც ნახეს და გაიგონეს წმიდისა ანგელოზ-თა გუნდისაგან.

ყოვლად-წმიდა მარიამს ღრმად ჩაენერგა გულში მემცხვა-რეების სიტყვები, და არ ავიწყდებოდა საკვირველი ამბავი ანგე-ლოზთა ქვეყნად მოსვლისა იმ ღამეს, როცა იესო იშვა მისგან.

## 8. წინადაცვეთა იესო ქრისტესი.

ლუკ. II 20.

მამათ-მთავარს აბრაამს ღმერთმა მისცა საღმრთო კანონი, რომ ვინც ჩემი მორწმუნე იქნება, იმან თავის შვილს, შობის შემდეგ, მერვე დღეს, წინადაცვეთა უნდა შეუსრულოსო. ამ კანონს ურიები ბეჯითად ასრულებდენ. ის აღასრულეს მარიამმა და იოსებმაც. მერვე დღეს იმათ ყრმას წინა-დაუცვითეს და სა-ხელად დაარქვეს იესო. ამ სახელის წოდება ანგელოზმა უბრძა-ნა მარიამს იმ დროს, როცა ახარა მას მუცლადღება მაცხოვ-რისა.

## 9. მირქმა იესო ქრისტესი

ლუკ. II 22—39.

ებრაელებს ჰქონდათ აგრეთვე ის კანონიცა, რომ სიყმის-შვილი, მამრობითი სქესისა, შობიდგან მეორმოცე დღეს, იერუ-

საღმრთოს ტაძარში უნდა წარედგინათ უფლის წინაშე. ამ ეკლესიური წესის ასრულებდენ ისინი იმ შემთხვევის მოსახსენებლად, რომ ეგვიპტიდგან გამოსვლის ღამეს, ღვთის ბრძანებით, ანგელოზმა ეგვიპტელებს სიყმის-შვილები გაუწყვიტათ, ურიების შვილებს კი არ შეეხო. ამ წესის აღსრულების დროს მშობლებს მიჰყავანდათ ტაძარში, თუ მდიდრები იყვნენ, ერთი კრავი, თუ—ღარიბები, ერთი წყვილი ან მტრედი, ან გვრიტი. ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელმა, რადგან ღარიბი იყო, ღმერთს ორი მტრედი შესწირა.

როცა მარიამი და იოსები მოვიდნენ ტაძარში, იქ დაჰხვდათ იმათ მოხუცებული სვიმეონი მართალი. ამას სულის წმიდისაგან წინათვე ნათქვამი ჰქონდა, რომ არ მოჰკვდები, ვიდრე შენის თვალით არ იხილავ ქალწულისაგან შობილსა კაცთა მაცხოვარსაო. სულის წმიდის ჩაგონებით ის ახლა მოვიდა ტაძარს მაცხოვრის სანახავად. იმან რომ ნახა ყრმა, აიყვანა ხელში, დაიწვინა მკლავებზედა და სთქვა: «აწ განუტევე უფალო მონა შენი სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით; რამეთუ იხილეს ეხლა თვალთა ჩემთა მაცხოვარი, რომელიც შენ მოუვლინე ქვეყნად ყოველსა ერსა. იგი არის ნათელი წარმართთა განმანათლებელი; იგი არის დიდება ერისა შენისა ისრაელისა.»

ამის შემდეგ ყოვლად წმიდა ქალწულსა მარიამს სვიმეონმა უწინასწარმეტყველა: «მაგის გამო მრავალნი დაბრკოლდებიან და დაიღუპებიან ურწმუნოებით; ზოგნი კი ისრაელთ შორის; ირწმუნებენ, მოინანებენ ცოდვებსა და ცხონდებიან; იგი იქნება სიტყვა პასუხის ცილობის საგანი კაცთა შორის, რისაგამო გამოცხადდება მრავალთა კაცთა გულის ზრახვანი და ფიქრნი; და ერთხელ თვით შენს გულსაც მაგის გამო ისე ეწყინება, თითქოდე მახვილმა განაპო ის შუაზეო.“ ამავე დროს აქვე ტაძარში იყო 84-ს წლის ქვრივი დედა-კაცი ანნა წინასწარმეტყველი, რომელიც, აგერ ორმოცი წელიწადი იყო, რაც აქა სცხოვრებდა. ესეც მოვიდა ამ დროსა და დაიწყო დიდება ღვთისა; მერმე გავიდა

ტაძრიდგან გარედ და ყველას ეუბნებოდა, ვინც კი მოელოდა მაცხოვრის მოსვლასა, რომ ყრმა იგი უკვე იშვა ქვეყანასა ზედა.

პირმშო-შვილის ტაძარსა შინა უფლისა წინაშე წარდგენის წესი რომ შეასრულეს მარიამმა და იოსებმა, მერმე დაბრუნდენ ქალაქს ბეთლემსავე.

### 10. მოგვების-მიერ თაყვანის-ცემა იესო ქრისტესათვის.

მათ. II 1 12

შეიტყეს აღმოსავლეთში იესო ქრისტეს შობა მეცნიერმა კაცებმა. ისინი იყვნენ ვარსკვლავთ მრიცხველები. იმათ ეგონათ, ვითომც ყოველს კაცს თავისი ვარსკვლავი ჰქონდა და ის ცისა-კამარაზე იბადებოდეს მაშინ, როცა ადამიანი იშვება დედისაგან. ჰფიქრობდენ აგრეთვე იმასაც, რომ, თუ ქვეყანაზე ვინმე ჩინებული კაცი იშვება, მაშინ ზეცაშიაც რომელიმე დიდი ვარსკვლავი ჩნდებაო. ქრისტე ღმერთის შობის ხანებში იმათ იხილეს ცაში საკვირველი ვარსკვლავი და იფიქრეს—უთუოდ ურიების ქვეყანაში ვინმე დიდი მეფე იშვაო. ამისათვის ისინი მოვიდნენ იერუსალიმს და დაიწყეს გამოკითხვა: «სად არის ახალ-დაბადებული ურიების მეფეო? ჩვენ ვიხილეთ აღმოსავლეთში მისი ვარსკვლავი და მოვედით მისთვის თაყვანის საცემადაო.» ამ დროს ურიების მეფედ იყო იროდი, იმან რომ შეიტყო მოგვების მოსვლის მიზეზი, ძალიან შეწუხდა და მტკიცედ განიზრახა ახალ-დაბადებულის ყრმის მოკვლა. ამ ფიქრით იმან შეჰყარა იერუსალიმში მღვდლები და ჰკითხა: «სად უნდა იშვას ქრისტეო?» მოძღვართ გამოიძიეს და გამოიკვლიეს საღმრთო წერილში და უპასუხეს:—„ბეთლემშიო, რამეთუ ასრეა დაწერილი წინასწარმეტყველისაგანაო“

მაცხოვრის დაბადების ადგილი რომ შეიტყო მეფე იროდმა, მაშინვე დაიბარა თავის სასახლეში მოგვები და ჰკითხა: რამ-

დენი ხანია, რაც ცაში ვარსკვლავი იხილეთო? როცა ყველაფე-რი დაწვრილებით შეიტყო, მერმე უთხრა იმათ: «მიდით ბეთლემს, მონახეთ ახალ-შობილი ყრმა იგი, და როცა იპოვოთ, შემატყო-ბინეთ მეცა, რათა მივიდე და თაყვანი-ვსცე მას.»

ამის შემდეგ მოგვენი გამოვიდნენ მეფის სასახლიდგან და წავიდნენ ბეთლემს. მაშინ გამოჩნდა კიდევ იგივე ვარსკვლავიცა, რომელიც იმათ აღმოსავლეთში იხილეს. ის მიუძღოდა მათ წინ, მოვიდა და დაადგა ბეთლემში იმ ადგილს, სადაც იყო ახალ-შობილი ყრმა უფლისა. მოგვები შევიდნენ სახლში და ნახეს ყრმა იგი და დედა მისი. ხილვისათანავე იმათ მოუყარეს მას მუხლი და შესწირეს ძღვნად: ოქრო, გუნდრუკი (საკმელი) და მური (სუნნელოვანი ზეთი.)

მეცნიერთ ქრისტე რომ ნახეს და თაყვანი-სცეს, მერმე მოი-წადინეს უკანვე დაბრუნება მეფე იროდთან, მაგრამ გამოეცხადა იმათ სიზმარში ანგელოზი უფლისა და უბრძანა არ წასულიყვ-ნენ იერუსალიმს, და არ ეთქვათ, სად იმყოფებოდა ახალ-დაბა-დებული ყრმა. ასრეთი ბრძანება მიიღეს იმათ ამისათვის, რომ მეფე იროდს მისი მოკვლა ჰსუროდა. იმათ შეისმინეს ღვთის ბრძა-ნება და დაბრუნდენ თავიანთ ქვეყანას სხვა გზით.

## 11. იოსების და მარიამის ეგვიპტეს გაქცევა.

მათ. II. 13—23.

იროდმა კარგა ხანს უცადა იერუსალიმში მოგვების დაბრუ-ნებას. როცა დარწმუნდა, რომ ისინი სხვა გზით წასულან თავის ქვეყანაშიო, განრისხდა და გასცა ბრძანება, დაეხოცათ ყველა ყმაწვილები ახალ-შობილთაგან დაწყებული, ვიდრე ორს წლის ასაკამდე. ასრეთი ბრძანება მეფისა არ იცოდნენ იოსებმა და მა-რიამმა. ამისათვის ანგელოზი გამოეცხადა იოსებს სიზმარში და უთხრა: «ადეგ, აიყვანე ყრმა ეგე და დედა მისი, და წადი ეგვიპ-

ტეს; იქ იყავ, ვიდრე არ გიბრძანებ დაბრუნებას, ამისათვის რომ მეფე იროდს განუზრახავს მოჰძებნოს და მოჰკლას ყრმა ეგე». იმან აღასრულა მისი ბრძანება: წაიყვანა ყრმა და მისი დედა, და წავიდა ეგვიპტეს.

ამის შერმე შეუდგნენ მოხელეები იროდი მეფის ბრძანების აღსრულებას. რამდენიმე დღის განმავლობაში იმათ გასწყვიტეს ბეთლემში და მის არემარეში 14 ათასი ყმაწვილი მამრობითი სქესისა. იმას ეგონა მოკლულთ შორის მოჰყვებოდა იესო ქრისტეცა.

ამ უსამართლო საქმის შემდეგ გავიდა ერთ თვეზე ცოტა მეტი და მეფე იროდიც დიდის ტანჯვითა და წვალებით მოკვდა. მაშინ კიდევ გამოეცხადა ანგელოზი იოსებს და უთხრა: «ადეგ წაიყვანე ყრმა ეგე და დედა მისი, და წადი ისევ ისრაელთ ქვეყანას, ამისათვის რომ მეფე იროდი უკვე მოკვდა". ის დაემორჩილა ღვთის ბრძანებას, წამოიყვანა ეგვიპტით ყრმა იგი და მარიამი, მოვიდა ურიასტანს და ჰსურდა ბეთლემში დასახლება; მაგრამ როცა შეიტყო რომ იქ იროდის სასტიკი შვილი არხელაოსი მეფობსო, შეშინდა, აღარ დადგა ბეთლემში და გადასახლდა ქალაქს ნაზარეთს. აქ აღიზარდა იესო ქრისტე და ამისათვის დაერქვა **ნაზარეველი.**

## 12. თორმეტის წლის იესო ქრისტე იერუსალიმის ტაძარში.

ლუკ. II. 40—52.

ყმაწვილობიდგანვე იესო ქრისტე სცხოვრებდა ქალაქს ნაზარეთში. აქ «აღიზრდებოდა, გამტკიცდებოდა და აღივსებოდა სიბრძნითა, და მადლი უფლისა იყო მას ზედა.» მაგრამ იმის სიყმაწვილის ცხოვრებიდგან ვიცით მხოლოდ ერთი შემთხვევა.

იოსები და ყოვლად-წმიდა ქალწული მარიამი ყოველ წლივ მიდიოდნენ იერუსალიმს პასექის დღესასწაულზე. როცა იესო

ქრისტე თორმეტის წლისა შეიქმნა, მაშინ ისიც თან წაიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ, დღესასწაული რომ გათავდა, ყველა მლოცველებმა დაიწყეს თავის სახლშივე დაბრუნება. დაბრუნდენ იოსები და მარიამიცა, მაგრამ იესო ქრისტე დარჩა იერუსალიმშივე, და იმათ კი ეს ვერ შეიტყეს. დედ-მამას ეგონა, უთუოდ ისიც ნათესავებთან ერთად მოდისო. ასრე გაიარეს ერთის დღის გზა. იესო ქრისტე არსად სჩნდა. მაშინ შეწუხდენ ისინი და დაიწყეს მისი ძებნა ნათესავებში. ორს დღეს ეძებეს გზებზე; მაგრამ ვერსად ნახეს; ამისათვის დაბრუნდენ ისევ იერუსალიმს. მესამე დღეს იესო ქრისტე ტაძარში იპოვეს. ის იჯდა იქ მოძღვართ შუა და ემუსაიფებოდა მათ საღმრთო წერილზე. თავის გონიერებითა და მარჯვე პასუხით იმას განცვიფრებაში მოჰყავდა მოძღვარნი. იოსებსა და მარიამსაც ძალიან გაუკვირდათ, როცა ნახეს ის მჯდომარე მეცნიერთა შორის. დედა მივიდა მასთან ახლოს და უთხრა: «შვილო! ეს რა გვიყავი? აგერ მე და მამა შენი დიდის მწუხარებით გეძებდით შენ.» ამაზე უპასუხა იესო ქრისტემ: «რათ უნდა გეძებნეთ მე? განა არ იცით, რომ მე მამა ჩემთან უნდა ვიყო?» (ესე იგი: რისთვისაც ვარ მოვლინნებული ქვეყნად ჩემის ზეციერის მამისაგან, იმას უნდა ვასრულებდეო.) მაგრამ დედას მაინც არ ეურჩა და მასთან ერთად დაბრუნდა ისევ ქალაქს ნაზარეთსავე. აქ ის ჰშველოდა იოსებს დურგლობაში «და წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა», ვიდრე ოც-და-ათ წლამდე.

# განცხადებული სამსახური იესო ქრისტესი კაცობრიობისათვის.

## 13. ქადაგება იოანე წინამორბედისა უდაბნოში.

ლუკ. III. 1—18. მათ. III. 1—12. მარ. I. 2—8.

იოანე წინა-მორბედი ჯერ ყმაწვილი იყო, როცა დედ-მამა დაეხოცა. ცოტა რომ წამოიზარდა, ის უდაბნო-ში წავიდა. აქა სცხოვრებდა ის განკერძოვებული. მას ტანზე ეცვა აქლემის ბალნისაგან შეთელილი სამოსელი; წელზე ერტყა მოუქნელი ქამარი ტყავისა: საჭმელად ჰხმარობდა კალიასა და ველურს თაფლს. ასრეთის ცხოვრებითა და გარეგანის სახით ისა ჰგვანდა ილია წინასწარმეტყველსა. პატარაობიდგანვე ის არა ჰსვამდა არცა ღვინოს და არცა რამე სხვა დამათრობელ სასმელსა.

ოცდა-ათის წლისა რომ შეიქმნა, ღმერთმა უბრძანა იოანეს გამოსულიყო უდაბნოდგან და ექადაგნა ურიათათვის — გამოეცვალათ ცხოვრება თვისი და მოენანიათ ცოდვანი. ეს ამბავი მოჰხდა რომის კეისრის ტიბერის მეფობის მეთხუთმეტე წელიწადს.

ბრძანებისა-მებრ ღვთისა იოანე მოვიდა იორდანე მდინარის კიდეებზე. «მოინანეთ ცოდვანი თქვენიო, ეუბნებოდა ურიებს, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა.» დაიწყო ხალხმა მასთან მიმოსვლა. მისს წინაშე ვინც აღვიარებდა ცოდვებს, იმას

წყლითა ნათლავდა იორდანეში. ამ დროს მოვიდენ იმასთან სადუკეველნიცა და ფარისეველნიც.

მაგრამ იოანემ რომ დაინახა ისინი, დაურიდებლად და უშიშრად უთხრა მათ: «გველის წიწილებო! თქვენ ვინლა გირჩიათ გაჰქცეოდით მომავალს ღვთის-რისხვასა? თუ რომ მართლაც მოინანებთ ცოდვებს, მაშ ჰყავით სინანულის ღირსი ნაყოფიცა, და ამიერიდგან ნუღარ იქადნით, რომ ჩვენი მამა აბრაამა არისო: მე გეუბნებით, რომ ღმერთს შეუძლიან ამ ქვებისაგანაც გააჩინოს აბრაამისთვის შვილები (უკეთუ ისურვებს). მაგრამ ეხლა-კი ყოველს ხეს ცული ძირში უძევს: რომელსაც კეთილი ნაყოფი არ გამოაქვს, იმას მოჰკვეთენ და ცეცხლზე დაადებენ ხოლმე». ხალხს მოეწონა ქადაგება და ჰკითხეს იოანეს: «მაშ რა უნდა გავაკეთოთო?» ამ კითხვაზე იმანაც უპასუხა: «ვისაცა აქვს ორი ხელი სამოსელი, ერთი ხელი იმას მისცეს, ვისაც არა აქვს; ასრე მოიქცეს ისიც, ვისაცა აქვს საზრდელი»;—და მაშინ ღირსნი იქმნებით მესიის სასუფეველში შესვლისა. ამავე დროს მოვიდენ იოანესთან აგრეთვე მეზვერენიცა (მებაჟეები). ამათ რომის მთავრობისაგან იჯარით ჰქონდათ აღებული სახემწიფო ხარჯის მოკრება ურიათა შორის, და დიდად აწუხებდენ ხალხს. აი ამათაც ჰკითხეს იოანეს: «მოძღვარო! ჩვენ რაღა უნდა ვქმნათო?» იოანემ იცოდა მათი დამნაშაობა და ამისათვის უპასუხათ: «იმაზე მომეტებულს ნურას გამოართმევთ ხალხს, რაც კანონით გაწერილია», და მაშინ დამტკიცდება, რომ თქვენ ინანიებთ იმ ცოდვებს, რაც აქამდე ჩაგიდენიათ. მეზვერეთა შემდეგ ახლა ჯარის კაცები მოვიდენ და ჰკითხეს: «ჩვენ რაღა უნდა ვყოთო,» რომ მესსიის სუფევის შვილნი შევიქნეთო? ესენი ისრე თავ-გასულნი და ამაყნი იყვნენ, რომ სახემწიფო ჯამაგირი ეცოტავებოდათ და ხალხს ძალად ართმევდენ ქონებას; თავის სარგებლობისათვის არ ერიდებოდენ ცილის-წამებასაც. ეს იცოდა იოანემ და ამისთვის უთხრა იმათაც: «ნურავის შეაწუხებთ, ბეზღებასა და ცილის-წამებაზე ხელი აიღეთ, და კმაყოფილნი იყავით თქვენის ჯამაგირითა.»

ზონიერი მოძღვრება იოანესი ხალხს ძალიან მოსწონდა და ამისა გამო ჰფიქრობდა იმაზე: ნეტავი ქრისტე ხომ არ არისო. იოანე მიჰხვდა ურიების ამ აზრს და სთქვა: «მე ეხლა ნათელსა გცემთ წყლითა, მაგრამ ჩემს მერმე მოვა ჩემზე უფრო უძლიერესი, რომლის ქალამნების თასმების შესხნის ღირსიც-კი არა ვარ, და ის ნათელსა გცემთ თქვენ სულითა წმინდითა და ცეცხლითა. იმას ხელში უჭირავს ნიჩაბი, ის განსწმენდს კალოსა თვისსა: ხორბალს ცალკე შეჰკრებს თავის საუნჯეში, ხოლო ბზეს დასწვავს უშრეტელის ცეცხლითა».

ამას გარდა მრავალს სხვა დარიგებასაც ეუბნებოდა ხალხს იოანე წინა-მორბედი და შთააგონებდა დასდგომოდა ცხოვრების კეთილს გზასა. მისი ცხოვრება და მოქმედება მართლაცა-და ისეთი იყო, რომ ჭეშმარიტად იმაზე აღსრულდა ისაია წინასწარმეტყველის შემდეგი სიტყვები: «ხმაა ღაღადებისა უდაბნოსა შინა; გაამზადენით გზანი უფლისანი, და წრფელ ჰყვენით ალაგნი მისნი», რომ ღირსნი შეიქმნეთ მისისა სუფევისა.

37588

## 14. ნათლის-ღება იესო ქრისტესი.

მათ. 3. 13—17. მარკ. 1. 9—11. ლუკ. 3. 21—22.

იმ დროს, როცა იოანე წინა-მორბედი იდგა იორდანე მდინარის კიდეებზე და ხალხს ნათელსა სცემდა, მასთან მოვიდა ნაზარეთით იესო ქრისტე და სთხოვა—მომნათლეო. იოანემ იცოდა მისი საკვირველი უმანკო და წმინდა ცხოვრება, და ამისთვის უთხრა: «მე შენ-მიერ უნდა მივიღო ნათლისღება, და შენ კი ჩემთან მოხვალაა? იესო ქრისტემ უთხრა ამაზე იოანეს, რომ ეხლა ცილობის დრო არ არისო: «ჩვენ უნდა აღვასრულოთ ის, რისთვისაც ვართ მოვლენილნიო.» მაშინ იოანე დაემორჩილა მას და აღარ დააბრკოლა. სხვებს რომ ნათლავდა ის ყველას აღსარებას ათქმევინებდა და ყველასაგან ითხოვდა ცოდვე-

ბის შენანებას. იესო ქრისტეს-კი, რადგან არავითარი ცოდვა არა ჰქონდა, ამისთვის მაშინათვე შევიდა იორდანე მდინარეში, ნათელ-იღო და მეყვსეულად აღმოვიდა იქიდგან და დაიწყო ვედრება. ამ დროს იოანემ იხილა, რომ ცა გაიხსნა, გარდმოვიდა სული წმიდა მტრედის სახედ, მოჰფრინდა და დაადგა მაცხოვარს თავზე. ამავე ჟამს ხმა იყო ზეცით: «ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ». ამ სიტყვებმა იოანე დაარწმუნეს, რომ იესო არის მესია ძე ღვთისა.

## 15. იესო ქრისტეს გამოცდა ეშმაკისაგან.

მათ. 4. 1—11. მარკ. 1. 12—13. ლუკ. 4. 1—13.

ნათლის-ღების შემდეგ სულმა წმიდამ აღიყვანა იესო ქრისტე უდაბნოში, სადაც, გარდა მხეცთა და ნადირთა, სხვა არავინ სცხოვრობდა. აქ მთასა ზედა ორმოცეულსა დარჩა ის ორმოც დღესა და ღამეს. ამ დროს განმავლობაში იმას არა უჭამნია რა; მაგრამ ბოლოს მოჰშივდა. მაშინ გამოეცხადა მას ეშმაკი და ეწადა მისი შეცდენა და მოტყუება. მაცდურმა ასრე უთხრა: (ტყუილად სტანჯავ შენს თავს შიმშილით) «თუ შენ ძე ღვთისა ხარ, ბრძანე რომ ეს ქვები პურად იქცნენ.» ეშმაკმა კარგად იცოდა, რომ იესო ქრისტეს შეუძლიან ამ სასწაულის ქმნა და არც უნდა გამოეცადა, მაგრამ იმას ეწადა მაცხოვარს აეხრულებინა მისი დარიგება. ამისათვის იესო ქრისტემ უპასუხა: «საღმრთო წერილში ნათქვამია, რომ კაცი მარტო პურით კი არა სცხოვრებს, არამედ აგრეთვე ყოვლითა სიტყვითა ღვთისათა».

ეშმაკმა რომ ვერ გაიყოლია იესო ქრისტე თავის სიტყვაზე და ვერ ჩააგონა, გამოაჩინა თავისი სასწაულებრივი ძალა, აიყვანა ახლა იერუსალიმის ტაძრის ბანზე და უთხრა: (საჭიროა, ხალხმა გიცნოს, რომ შენ ხარ მაცხოვარი ქვეყნად მოვლენილი; აგერ ეხლა ის ძირსა სდგას:) «თუ რომ შენა ხარ ძე ღვთი-

სა, გადიგდე აქედგან თავი. (შენ არ უნდა გეშინოდეს): ამისთვის რომ ანგელოზებისათვის ნაბრძანებია შენზე, რომ იმათ ხელთა ზედა თვისთა გიპყრან შენ, რათა არსად წამოჰკრა ფეხი შენი ქვასა.»—ამაზე იესო ქრისტემ უპასუხა მაცდურს: «სალმრთო წერილში ისიც არის ნათქვამი: ნუ გამოსცდი უფალსა ღმერთსა შენსა».

მაცდურს არც ახლა აუსრულდა წადილი. იესო ქრისტემ არ გამოიჩინა მედიდურება და ძლიერება. მაგრამ ეშმაკი მაინც არ განშორდა მას. მან აიყვანა ის ერთს მაღალს მთაზე. იქიდგან დაანახვა მას ყველა ქვეყნიური სამეფოები და მათი დიდება, და მერმე უთხრა: «მე შენ მოგცემ ყველა ამ სამეფოების ბატონობას და მათს დიდებას; მათზე უფლება ჩემთვის არის მოცემული, და მე, ვისაცა მსურს, იმას ვაძლევ, და ეხლა ყველასა ამას შენ მოგცემ, უკეთუ დაემხვები და თაყვანსა—მცემ მე.» ამ კადნიერს ლაპარაკზე იესო ქრისტემ უპასუხა ეშმაკს: «უკუნ წარვედ ჩემგან ეშმაკო, რამეთუ წერილ-არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყვანი-სცე და მას მხოლოსა მსახურებდე»,—ეშმაკს ეწყინა კაცთა მაცხოვრის ასრეთი სიმტკიცე და განშორდა მას შერცხვენილი. მაშინ მოვიდენ ანგელოზნი და დაუწყეს იესოს მსახურება.

## 16. იოანე ნათლის-მცემლის მოწმობა, რომ იესო მესია არის.

იოანე 1. 19—34.

იოანეს ქადაგებამ ძალიან შეაფიქრა ურიების მღვდლები და მათი მღვდელ-მთავარი ანნა. ის ქადაგებდა და ნათელს-სცემდა ხალხს. ურიებმა მოიწადინეს მისი ვინაობის შეტყობა. მიუგზავნეს იმას მღვდლები და ჰკითხეს: «ვინა ხარ შენა?» იოანემ პირ-და-პირ უპასუხათ, რომ მე არა ვარ ქრისტეო. «მაშ ვინა ხარ შენა? ილია ხარო?» ჰკითხეს კიდევ. ურიები ჰფიქრობდენ,

რომ იესო ქრისტეს ქვეყნად მოსვლამდე ჯერ ილია წინასწარმეტყველი უნდა მოვიდესო; და ეხლა იმათ ჰგონიათ, რომ იოანე ილია არისო. მაგრამ იმან უთხრათ, რომ მე არც ილია ვარო. ურიები ჰფიქრობდენ იმასაც: როცა ნაბუქოდონოსორმა ურიები დაატყვევა, მაშინ იერემია წინასწარმეტყველმა გაიტაცა ტაძრითგან სჯულის კიდობანი, ფიცრები ათის მცნებისა, მანანას ქურჭელი და აარონის კვერთხი, და დამალა ეს საღმთო ნივთები ნაბაბი მთის ერთსა გამოქვაბილში; ახლა ისინი ამბობდენ: როცა მესია მოვა, მაშინ იერემიაც მკვდრეთით აღსდგება და ამ ნივთებს გამოაჩენსო. ამისთვის ჰკითხეს იერემიაზედაც: «მაშ შენ ის წინასწარმეტყველი ხარო?» — «არა,» უპასუხა იოანემ. «მაშ გვითხარ, ვინა ხარო? რომ ვინც გამოგვგზავნა, პასუხი მიუტანოთო.» მაშინ აღამაღლა იმან კვალად ხმა და ჰრქვა ურიათა: «მე ვარ ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა; მოემზადენით, და კეთილის ცხოვრებით დაჰხვდით უფალსა.» — «მაშ რა უფლებით ხალხს ნათელს-სცემ, უკეთუ შენ არა ხარ არც ქრისტე მესია, არც ილია, და არცა წინასწარმეტყველიო?» ჰკითხეს მას. იოანემ ამაზე უპასუხათ, რომ მე ვნათლავ წყლითა, მაგრამ თქვენს შორის სდგას ერთი ვინმე, რომელსაც ჯერ ვერ იცნობთ. ის ჩემს უკან მოდის, თუმცა ჩემზე უწინ იყო. მე ღირსიც არა ვარ იმის ქალამნებს თასმები შევახსნა.»

მეორე დღეს, ამის შემდეგ, იოანე იდგა ისევ იორდანე მდინარის კიდეზე. იმან იხილა მისკენ მიმავალი იესო. ის მოვიდა და გაიარა მის მახლობლად. მაშინ იოანემ დაანახვა ის ხალხს და სთქვა: „აჰა კრავი ღვთისა, რომელმან მიიღო თავის თავზე ქვეყნის ცოდვები. მე მას ვერ ვიცნობდი, და იმისათვის მოვედი (ერის) მოსანათლად წყლითა, რომ გამოსცხადებოდა ის ისრაილის ხალხსა. ვინც მე გამომგზავნა წყლით მოსანათლავად, იმან მითხრა: ვისზედაც ნახო ზედ გარდმომავალი სული, ვითარცა ტრედი და მასზე დამდგარი, იგი არის მომნათლავი სულითა წმინდითა. და მე ვიხილე და ვმოწმებ, რომ იგი არის ძე ღვთისა.“

## 17. იესო ქრისტეს პირველნი მოწაფენი.

იოან. I. 35—51.

ამის შემდეგ, მეორე დღეს, იოანე ისევ იორდანე მდინარის კიდეზე იდგა. ამ დროს იმას თანა ჰყვანდა ორი თავისი მოწაფე: ანდრია და იოანე. ნათლის-მცემელმა იხილა მიმავალი იესო ქრისტე და უთხრა მოწაფეებს: „აგერ კრავი ღვთისა." ეს რომ გაიგონეს, ორივე მოწაფენი გაჰყვენ უკან, და მისდევდენ შორი ახლოს. იესო ქრისტემ შეამჩნიათ ესა, მოუბრუნდათ უკან და ჰკითხათ: „რა გნებავთ და რასა ეძიებთ?" იმათ უპასუხეს: „მოძღვარო! სადა სცხოვრებ?—მოდით და იხილეთო," უპასუხა იმან. ისინი წავიდენ, იხილეს, საცა სცხოვრებდა ის, და იყვნენ მასთან საღამომდე. რაზედ ჰქონდათ ამ დროს იმათ მუსაიფი, ეს არავინ იცის, რადგან სახარებაში არა სწერია. მიცით მხოლოდ ისა, რომ ანდრიამ ნახა თავისი ძმა სვიმონი და უთხრა: „ჩვენა ვპოვეთ მესია, რომელ არს თარგმანებით: ქრისტე (ანუ ცხებული)." სვიმონმა სიხარულით მიიღო მესიას ქვეყნად მოსვლის ამბავი და მაშინვე წავიდა ანდრიასთან ერთად მის სანახავად. იესო ქრისტემ იხილა თუ არა ისა, მაშინვე უთხრა: „შენ ხარ სვიმონ, ძე იონასი; მაგრამ შენ გეწოდოს კეფა ანუ პეტრე (ორივე ეს სახელები აღნიშნავენ ქვასა ანუ კლდეს)". ამ სახელის დარქმევით იესო ქრისტემ გამოაცხადა, რომ მან იცის პეტრეს სულის კეთებანი.

ახლა იესო ქრისტეს ჰყვანდა სამი მოწაფე: ანდრია, პეტრე და იოანე. ისინი გაიყოლია თან და წავიდა გალილიას. გზაზე იმას შემოჰხვდა ფილიპე და იმასაც უთხრა: „მომდევდი მე". ამან უარი არ უთხრა და გაჰყვა მას. ამ დროს ფილიპეს შემოჰხვდა ნათანაილი და უთხრა: „ჩვენა ვპოვეთ ისა, რომელსა ზედა დასწერეს მოსემ სჯულსა შინა და წინასწარმეტყველ-

თა: ის არის ძე იოსებისა ნაზარეთით." — „განა ნაზარეთით შეიძლება რამე კეთილი იყოსო?" ჰკითხა იმან. ამაზე ფილიპემ უპასუხა: „მოველ და იხილეო." ნათანაილი გაჰყვა იმას, და იესო ქრისტემ რომ დაინახა ის, სთქვა: „აი ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომელსაც არა აქვს არავითარი ზაკვა." — „საიდგან მიცნობ მეო?" ჰკითხა ნათანაილმა. იესო ქრისტემ უპასუხა: „ვიდრე შენ ფილიპე დაგიძახებდა, მე გნახე, როცა ლეღვს ქვეშ იყავი." ნათანაილი გაოცდა და უთხრა იესო ქრისტეს: „მოძღვარო! (მართლაც რომ) შენა ხარ ძე ღმრთისა! შენა ხარ მეუფე ისრაილისა!" ამაზე იესო ქრისტემაც მიუგო, რომ შენ უფრო მომეტებულსა ჰნახავო: „ამიერიდგან იხილავთ ცასა გახსნილსა, და ღვთისა ანგელოზთა აღვსვლასა და გარდამოსვლასა, ძესა ზედა კაცისასა."

# საქმენი და სწავლანი იესო ქრისტესნი მეორე პასექამდე.

## 18. ქორწილი კანას გალილეას.

იოან. 2. 1—12.

მესამე დღეს, ნათანაილის ნახვის შემდეგ, კანას გალილიას, იყო ქორწილი. აქ იყო ყოვლად-წმიდა ქალწული მარიამიცა. მიპატიჟებული იყო თავის მოწაფეებით იესო ქრისტეცა.—ქორწილში ღვინო შემოაკლდათ. ღვთის-მშობელმა ეს შეიტყო და უთხრა თავის შვილს, რომ ღვინო აღარ არისო. ამაზე იესო ქრისტემ უპასუხა: „ჯერ ჩემი დრო არ მოსულაო.“ ამ პასუხმა მარიამი დაარწმუნა, რომ ჯერ არ მოსულიყო ის დრო, როცა მისი შვილი გამოიჩენდა თავის ძლიერებას, მაგრამ იცოდა-კი, რომ ის უთუოდ უშველის ღარიბებს. ამისთვის მოსამსახურეებს უთხრა: „რაც გიბრძანოთ, ის აღასრულეთო.“—მართლაც-და სახლის პატრონს ღვინო რომ სრულიად შემოაკლდა, მაშინ იესო ქრისტემ ბრძანა აევსოთ ჭურჭლები წყლით. აქ იდგა ექვსი ხელ-ფეხ საბანელი სარწყული. აავსეს ისინი პირამდე წყლით. იესო ქრისტემ აკურთხა და ბრძანა: „ახლა ამოავსეთ და მოართვით პურის უფალსა.“—ახალი ღვინო ძველზე უკეთესი იყო. სუფრის მეთაურს ძალიან მოეწონა, დაუძახა სიძეს და უთხრა: „ყოველგან ჩვეულებაა, რომ პირველად კარგ ღვინოს დაალევინებენ ხოლმე სტუმრებს, და, როცა დაი-

თვრებიან, უარგისს მოართმევენ. შენ კი აქამდე დამალე კარგი ღვინო.“ —მან არ იცოდა, რომ იესო ქრისტემ წყალი ღვინოდ შეჰცვალა. ამ ლაპარაკიდამ ყველამ შეიტყო, რომ ქრისტემ სასწაული ჰქმნა. ეს იყო პირველი სასწაული. მოწაფეები ახლა უფრო მტკიცედ დარწმუნდენ, რომ იესო ქრისტე ღვთისაგან მოვლენილი მაცხოვარია.

## 19. განდევნა ვაჭრებისა იერუსალიმის ტაძრიდგან.

იოან. 2: 13—25.

ურიებს ჩვეულებად ჰქონდათ ყოველ წელიწადს იერუსალიმს პასექის დღესასწაულზე წასვლა. ეს კანონი აღასრულა იესო ქრისტემაც. დაიწყო თუ არა ქადაგება, იმავე წელს ის პირველად წავიდა იერუსალიმს დღესასწაულზე და ტაძარში დიდი უწესოება და ურიგობა ნახა.

ვაჭრებს მოეყვანათ ტაძარში გასასყიდათ ცხვრები, თხები, მტრედები და ძროხები. რადგან მოსეს სჯულის კანონით ამ დღეს ყოველი ებრაელი ღმერთს საღმრთოსა სწირავდა, ამისათვის ისინი კარგის მოგებით ვაჭრობდენ. აქვე ახურდავებდენ ზარაფები ფულებსაც. რადგან ამ დროს ურიანი რომაელების უფლების ქვეშ იყვნენ და მათი ფული იყო ხმარებაში, ამისათვის ძნელი საშოვნელი იყო ებრაული ფული. ტაძრისათვის საღმთოს სყიდვა და დადებული სჯულით საწირავი მხოლოდ ებრაული ფულით შეიძლებოდა; ამისა გამო პასექის დღეს ტაძარში იყო ხოლმე ერთი ჟრიამული, საქონლის ბღავილი და ხალხის არეულობა. ასეთი უწესოება იწყინა იესო ქრისტემ, აიღო შოლტი და გამორეკა ტაძრიდგან: ვაჭრები, ზარაფები, მსყიდველები და უთხრა: „აიღეთ თქვენი სავაჭრონი აქედგან და ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სავაჭრო სახლად.“

იესო ქრისტეს ამნაირი ქცევა მღვდლებს ძალიან ეწყინათ და უთხრეს: „რა სასწაულით დაგვიმტკიცებ, რომ შენა გაქვს

უფლება ასრე მმოიქცე“? იესო ქრისტემ იცოდა, რომ ურიები მას შეიძულებდენ და მოჰკლავდენ. ამისათვის უპასუხა იმათ: „დაარღვიეთ ტაძარი ესე და მესამე დღეს აღვადგინო იგი“. (ესე იგი: როცა თქვენ მომკლავთ მე, დაარღვევთ ჩემს სხეულს, ამ უფლის ტაძარს, მაშინ მე იმას აღვადგენ მკვდრეთით მესამე დღეს და თქვენ დარწმუნდებით მაშინ, რომ მე მაქვს უფლება ასრე ქცევისა). ამ სიტყვებით იესო ქრისტემ მოაგონა ურიებს წინასწარმეტყველება მესიას სიკვდილზე ნათქვამი; მაგრამ იმათ ისრე აჩვენეს თავი, თითქოდე არ ესმოდეთ, რას ამბობს ისა. იმათ მარტო ის უთხრეს, რომ „ორმოცდა ექვსის წლის განმავლობაში უშენებიათ ეს ტაძარი, და შენ კი სამს დღეს შეგიძლიან მისი აშენება?“

## 20. იესო ქრისტეს საუბარი ნიკოდიმოსთან კაცის მეორედ აღმოშობაზე.

იოან. 3; 1—15.

იესო ქრისტემ იერუსალიმში მრავალი სასწაულები ჰქმნა. ამისათვის ურიათაგან ბევრმა ირწმუნა, რომ ის არის მესია, მაგრამ მათი სარწმუნოება არ იყო მტკიცე. მათგანი იყო ფარისეველი ნიკოდიმე. ის იყო წევრი იერუსალიმის სასამართლოსი, რომელსაც ერქვა სინედრიონი. იმასა ჰსურდა დაჰმოწაფებოდა იესო ქრისტეს; მაგრამ ხალხისაგან ჰრცხვენოდა და ეშინოდა ცხადლივ მის მოწაფედ ყოფნა. ამისათვის ის მოვიდა მასთან სასაუბროდ ღამით, როცა მას ვერავინ დაინახავდა. «მოძღვარო! უთხრა იმან ქრისტეს, ვიცით, რომ ღმთისაგან ხარ მოვლინებული: არავის შეუძლიან ისრეთი სასწაულები ჰქმნას, რომელთაც შენა იქმ, თუ იმას ღმერთი არ შეეწევა».

იესო ქრისტემ, როგორც გულთა-მხილავმა, იცოდა, რომ ნიკოდიმეს ჰსურდა შეეტყო, ვინ იქნება ღირსი სასუფეველში შესვლისა, — ამისთვის ასრე უთხრა: „ჭეშმარიტად გეტყვი:

ვინც მეორედ არ აღმოიშვება, ის ვერ შევა ღვთის სასუფეველ-ში“.

ნიკოდიმეს უკვირდა, ვითარ შეიძლება, რომ კაცი მეო-რედ იშვასო. ამისთვის ჰკითხა მოძღვარს: „ნუთუ შესაძლოა, რომ ასაკოვანი კაცი შევიდეს დედის მუცელში და იშვას მეორედ“? ამაზე იესო ქრისტემ წარმოსთქვა ის აზრი, რომ მე-ორედ შობა არამცთუ შესაძლო არის, არამედ საჭიროცაა იმ კაცისთვის, ვისაც ჰსურს ცხონება. „უკეთუ კაცი არ იშვება წყლისა და სულისა წმიდისაგან, ვერ შეუძლიან შესვლა ღვთის სასუფეველში. შობილი იგი ხორცთაგან ხორცი არის, ხოლო შობილი იგი სულისაგან სული არს“. ნიკოდიმეს გაუკვირდა მისი ასრეთი საუბარი. ამისათვის ქრისტემაც უთხრა: „ნუ გი-კვირს, რომ ჯერ არს თქვენდა მეორედ შობა. (ამას აგიხსნი მაგალითით:) „აგერ სული (ესე იგი ჰაერი) მოჰქრის იქ, სადაც ჰნებავს და ხმა მისი გესმის, მაგრამ არ იცი კი საიდგან მოდის და საითკენ მიდის. სწორედ ასრე იქნება კაცის მეორედ შობაც სულისაგან“. ნიკოდიმე მაინც ვერ მიჰხვდა და ეჭვში შევიდა. „ეს როგორ შეიძლებაო“? უპასუხა ქრისტეს და იმანაც საყვე-დურით მას შემდეგი უთხრა: „შენ მოძღვარი ხარ ისრაილებისა და ესეც არ იცი? ჭეშმარიტად გეუბნები: ჩვენ გიამბობთ იმას, რაც ვიცით და შევამოწმებთ, რაც გვინახავს; მაგრამ თქვენ-კი არ შეიწყნარებთ ჩვენს მოწმობას. მე ისეთი რამე გიამბეთ თქვენ, რაც შეიძლება ქვეყნიურის მაგალითით აიხსნას, და თქვენ არა გჯერათ; და ვითარ ირწმუნებთ, როცა გეტყვით ზეციურს საი-დუმლოებაზე?“ (თქვენ მოელით მესიის ქვეყნად მოსვლას, რო-მელსაც თქვენის აზრით, ექნება ქვეყნიური დიდება, მაგრამ ის უფრო უბრწყინვალესი და უდიდესი იქნება, ვიდრე თქვენა ჰფიქ-რობთ). „არავინ ასულა ზეცად, გარდა ზეცით მოსულისა ძისა კაცისასა, რომელი არს ცათა შინა. როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ეგრეთ ჯერ არს ამაღლება ძისა კაცისასა,— რომ ყოველი მისი მორწმუნე არ წარწყმდეს და მიიღოს ცხოვ-რება საუკუნო.“

## 21. იოანე ნათლის-მცემლის მეორედ მოწმობა, რომ იესო ქრისტე მესია არის.

იოან. 3. 22—26.

იერუსალიმიდგან იესო ქრისტე მოვიდა ურიასტანს. აქ სცხოვრებდა ის რამდენსამე ხანს და ნათელს სცემდა ხალხს. იოანე კი ამ დროს ქალაქის სალიმის მახლობლად იყო და ნათლავდა. თუმცა იოანესთანაც ბევრი ხალხი იყო შეკრებილი, მაგრამ იესო ქრისტესთან ათასობით მოდიოდნენ. ამის გამო ებრაელებსა და იოანეს მოწაფეებს მოუხდათ ურთიერთ შორის ბაასი: რომლის ნათლობა უფრო უკეთესად განსწმენდს (ცოდვათაგან) კაცს, იოანესი თუ იესოსიო? იოანეს მოწაფეები ჰფიქრობდნენ, რომ იოანეზე უდიდესი მოძღვარი არ იქნებაო; ამისათვის უთხრეს მას: „მოძღვარო! ის (კაცი), რომელიც იორდანის კიდეზე შენთან იყო და რომელზედაც შენ ჰმოწმობდი, ეხლა ნათლავს (ხალხს) ისიც და ყველანი იმასთან მიდიან.“ ამაზე იოანემ მისცა პასუხი: „კაცს არ შეუძლიან რაიმე მოვალეობა მიიღოს თავის თავზე, თუ რომ ზეცით არ არის მიცემული მისთვის. თქვენ თვითონ მოწამენი ხართ, რომ ვსთქვი: «მე არავარ ქრისტე; მე მხოლოდ მოვლინებული ვარ წინაშე მისსა. რძალი სიძეს ეკუთვნის და, როცა სიძე დაელაპარაკება თავის პატარძალს, მაშინ მაყარი სიძისა სდგას ჩუმათ, უსმენს და შეჰხარის მას. ეხლა ეს სიხარული ჩემი უკვე აღსრულდა. ის ახლა უნდა ამაღლდეს, მე კი დავმცირდე. ზეცით მოსული ყველაზე უმაღლესი არს: ვინც მიიღებს მისს სწავლას, იგი დაამტკიცებს თავის სარწმუნოებას და ჰჯერა, რომ ღვთის აღთქმანი მართალ არიან; ხოლო ვინც მოვლენილი არის უფლისაგან, იგი ჰქადაგებს ღვთის სიტყვასა: ვინაიდგან უხვიერებით აქვს მინიჭებული სულისაგან ძალა აუარებელი.“

## 22. იროდმა იოანე ნათლის-მცემელი საპყრობილეში ჩასვა.

მარკ. 6. 17—29 მათ. 14. 3—12. ლუკ. 3. 19—20.

ურიებსა ჰქონდათ სჯულის კანონი: თუ რომ ერთი ძმა მოკვდებოდა უშვილოდ, იმის ქვრივს ცოლს მეორე ძმა შეირთავდა, და თუ მისგან შვილი მიეცემოდა, ის მიცვალებულის ძმის შვილად იწერებოდა. ცოცხალი ძმისთვის ცოლის წართმევა და შერთვა კი კანონით აღკრძალული იყო.—ეს კანონი დაარღვია გალილიის მეფემ იროდმა. ამასა ჰყვანდა ძმა ფილიპე. ეს იყო მთავარი იტურიისა და ტრაქონის მაზრებისა. იროდმა ამას ცოლი წაართვა და თვითონ შეირთო. ამ დედა-კაცს სახელად ერქვა იროდიადა, და ჰყვანდა ერთი ქალიცა. უკანონოდ ქცევა იროდისა იწყინა იოანემ და დაუწყო მას მხილება: „ნება არა გაქვს შენის ცოცხალის ძმის ცოლის შერთვისაო," ეუბნებოდა ის. ასრეთი მხილება იროდიადას ძალიან სწყინდა და უნდოდა მისი მოკვლა; მაგრამ იროდი დიდს პატივსა სცემდა იოანეს, როგორც წმინდა კაცს, ისმენდა მისს რჩევას და ასრულებდა იმის დარიგებასაც. თვისდა საუბედუროდ ის არ იყო მტკიცე ხასიათის კაცი და იროდიადამ ისრე მოახერხა, რომ მან დაიჭირა იოანე და საპყრობილეში ჩასვა. ის იყო დამწყვდეული ციხეს მაქერონში.

ამ დროს იესო ქრისტე იყო სოფელს ენონს—ურიასტანში.

## 23. საუბარი ქრისტესი სამარიტელ დედაკაცთან.

იოან. 4. 5—53.

როცა იესო ქრისტემ შეიტყო, რომ იროდმა იოანე დაიჭირა და საპყრობილეში ჩასვაო, დასტოვა ურიასტანი და მოკ-

ლე გზით სამარიაზე გამოიარა და გალილიას მიდიოდა. სამარიაში იყო ქალაქი სუქარი. მის წინ, სამხრეთის მხარეს, მოთხრილი იყო ჭა მამათ-მთავრისა იაკობისა. იესო ქრისტე გზაზედ სიარულით დამაშვრალი, დაჯდა ამ ჭასთან. იყო დრო სადილის ჭამისა; მოწაფეები წავიდნენ ქალაქს სანოვაგის სასყიდლად. დარჩა მარტოდ ქრისტე. ამ დროს მოვიდა ჭაზე სამარიტელი დედა-კაცი და წყალი ამოიღო. იესო ქრისტემ სთხოვა იმას: „წყალი დამალევინეო“. გაუკვირდა სამარიტელ დედაკაცს და უთხრა: „შენ ურია ხარ, და წყალს როგორა მთხოვ მე სამარიტელსაო?“

სამარიტელები და ურიები ერთმანეთის მტერნი იყვნენ და არასოდეს ურთიერთისას არც წყალსა სვამდენ, არც პურსა სჭამდენ: მაგრამ იესო ქრისტე ქვეყანაზე ყველა ხალხებასათვის მოვიდა, და არა მარტო ურიათათვის. ამისათვის უთხრა დედა-კაცს: „შენ რომ იცოდე, ვინ გელაპარაკება, მაშინ შენვე სთხოვდი მას სასმელსა,“ და ის მოგცემდა შენ უკვდავების წყალსაო.“ — „უფალო! არცა წყლის ამოსაღები გაქვს და ჯურღმულიც ასე ღრმა არის; და აბა საიდგან მოიტან უკვდავების წყალსა? ნუ თუ შენ მამა იაკობზე უფროსი ხარ, რომელმაც ეს ჯურღმული მოგვცა, და ის თვითონაც, მისნი შვილნიცა და საქონელიც წყალს აქედგან სმიდენ? ჰკითხა დედა-კაცმა. ქრისტემ უპასუხა: „ამ წყლის მსმელს კიდევ მოსწყურდება, მაგრამ ვინც დალევს წყალს, რომელსაც მე მივსცემ, აღარ მოსწყურდება უკუნისამდე, და ის შეიქმნება მისთვის წყაროდ საუკუნო ცხოვრებისა.“

რადგან ცხოველს წყალს ურიები წყაროს წყალს ეძახდენ, ამისათვის სამარიტელი ვერ მიჰხვდა ქრისტეს ლაპარაკის აზრს და მართლაც სთხოვა: „უფალო! მომეცი მაგისთანა წყალი, რომ აღარ მომწყურდეს და აღარ მოვდიოდე აქ წყლის ამოსაღებად“. — „მაშ წადი, დაუძახე შენს ქმარსაც და მოდი აქაო,“ უბრძანა იესო ქრისტემ. დედა-კაცმა ამაზე უპასუხა: „ქმარი

არა მყავსო".—მართალს ამბობო, დაეთანხმა ქრისტე; შენა გყოლია ხუთი ქმარი, ეხლაცა გყავს; მაგრამ ის შენი კანონიერი ქმარი არ ირისო". დედა-კაცს გაუკვირდა და უთხრა: „უფალო! ვხედავ, შენ წინასწარმეტყველი ხარო". ეს რომ უთხრა, მერმე გამოსცვალა საგანი ლაპარაკისა.

სამარიტელებს თავისთვის ცალკე ჰქონდათ აშენებული ბარიზინის მთაზე ტაძარი; მაგრამ ურიებმა ის დაუქციეს. დედა-კაცს ჰსურდა უხლა შეეტყო: ურიები სტყუოდენ, თუ სამარიტელნი. იმან ჰკითხა იესოს: „მამანი ჩვენნი ამ მთაზე (ბარიზინზე) თაყვანსა სცემდენ (ღმერთს); მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ ღვთისათვის თაყვანის საცემელი ადგილი იერუსალიმი არისო. იესო ქრისტემ უპასუხა: „დედა-კაცო! დამერწმუნე, რომ მოვა დრო, როდესაც თაყვანს აღარ სცემენ ზეციერს მამას აღარც ამ მთაზე და აღარც იერუსალიმში. ჭეშმარიტნი თაყვანის-მცემელნი მისნი ვედრებას დაუწყებენ მას სულითა და ჭეშმარიტებითა, ამისათვის რომ მაგისთანა თაყვანის-მცემლებს ეძიებს ზეციური მამა. ღმერთი არის სული და მისნი თაყვანის-მცემელნიც მას უნდა ევედრებოდნენ სულითა და ჭეშმარიტებით". ამ გვარმა სწავლამ გააკვირვა სამარიტელი. იმან სთქვა: „ვიცი, მოვა მესია, რომელსა ჰქვიან ქრისტე; ოდეს მოვა იგი, გვეტყვის ყოველივეს".—მე ვარ (ის მესია), რომელიც გესაუბრები", უთხრა იესო ქრისტემ. ამ სიტყვების თქმაზე დედა-კაცმა დასტოვა საწყლე და გაიქცა ქალაქს. ვინც კი შემოჰხვდა, ყველას უთხრა: „მოდით და ნახეთ კაცი, რომელმაც მითხრა ყოველივე, რაცკი მომიქმედნია. ნახეთ, ის ხომ არ არის ქრისტე?"

ამ ამბავზე მრავალი ხალხი შეიკრიბა და წამოვიდა იაკობის ჯურღმულზე იესო ქრისტეს სანახავად. როცა მოწაფეებიც დაბრუნდენ ქალაქიდგან და მოიტანეს საჭმელი, იმათ გაუკვირდათ, როცა ნახეს, რომ ის ემუსაიფებოდა დედა-კაცს. მათ მიართვეს საჭმელი, მაგრამ იესო ქრისტემ უარი სთქვა. „მე მაქვს სანოვაგე, რომელიც თქვენ არ იცითო," უთხრა იმათ.

ამაზე დაუწყეს მოწაფეებმა ერთმანეთს კითხვა: „ნუთუ ვინ-მემ მოართვა მას საჭმელიო?“ უფალმა უპასუხა: „ჩემი საჭმელი არის ჩემის გამომგზავნელის ნებისა და საქმის აღსრულებაო. თქვენის ფიქრით ოთხის თთვის შემდეგ მკა იქნება; მეკი ახლავე გეუბნებით: აჰა უყურეთ ყანებს, ვითარ გადათეთრებულან და მზათ არიან ახლავე მოსამკავად.“ მოწაფეებმა შეჰხედეს და და-ინახეს ხალხი მთლად მინდორზე მოფენილი. ესენი იყვნენ სა-მარიტელები, რომელნიც ჰაზე მოდიოდნენ. იმათა სთხოვეს იესო ქრისტეს იმათს ქალაქში დარჩენილ იყო. მათის თხოვნით იმა-ნაც დაიყოვნა ქალაქს სუქარს ორი დღე. ამ დროს მრავალნი ქალაქის მცხოვრებთაგანნი დარწმუნდენ, რომ იგი არის მაცხოვარი ქვეყნისა — ქრისტე-ღმერთი.

## 24. მეფის კარის-კაცის შვილის განკურნება.

იოან. 4. 46—54.

წყალი ღვინოდ რომ შეჰცვალა იესო ქრისტემ, ამის შერ-მე გავიდა ერთი წელიწადი და ისევ მოვიდა კანას გალილიას. აქ მას ეახლა მეფის კარის-კაცი. ეს იყო კაპერნაუმის ქალაქის მცხოვრები. იმას შვილი ავათა ჰყავნდა. მისი მორჩენა არავისლა ეგონა. მამა მოვიდა იესო ქრისტესთან და სთხოვა, განეკურნა მისი შვილი სნეულებისაგან. ამ თხოვნაზე იესო ქრისტემ უთ-ხრა: „თქვენ არ მირწმუნებთ, ვიდრე არ იხილავთ სასწაულებ-სა და ნიშებს და ამის შემდეგ უბრძანა:“ წადი, შენი შვილი ახლა კარგად არის“. იმან ირწმუნა მისი სიტყვა და დაბრუნდა სახლში. გზაზე მოეგებნენ მას მოსამსახურეები და ახარეს შვი-ლის მორჩენა. „რა დროს შეიქმნა კარგათაო“, იკითხა მამამ. „გუშინ საღამოს შვიდს საათზე ცხელებამ დასტოვაო,“ უპა-სუხეს მოსამსახურეებმა. ეს სასწაული მოჰხდა იმ დროს, რო-ცა იესო ქრისტემ სთქვა: „წადი, შენი შვილი კარგად არისო“.

ამ სასწაულისა გამო მეფის კარის-კაცმა და მისმა სახლობამ ირწმუნეს იესო ქრისტე.

### 25. იესო ქრისტეს ქადაგება ნაზარეთის შესაკრებელში.

ლუკ. 4. 15—30.

იესო ქრისტე დადიოდა გალილიას და უქადაგებდა ურიებს შაბათობით. ის მოვიდა ქალაქს ნაზარეთს, სადაც იყო აღზრდილი. ჩვეულებისა-მებრ შაბათს დღეს შევიდა ურიების შესაკრებელში, გაშალა წიგნი ისაია წინასწარმეტყველისა და ამოიკითხა შემდეგი სიტყვები: „სული უფლისა ჩემზეა; იმან მცხო, რომ ვიყო მახარობელი გლახაკებისა, და მომავლინა ნუგეშის-ცემად გულით შემუსვრილთა; ტყვეთა განთავისუფლების საქადაგებლად, ბრმათათვის თვალთა მხედველობის მისაცემად, დაჩაგრულთა განთავისუფლებლად და სათქმელად, რომ მოვიდა წელიწადი ღვთის წყალობისა.“ ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ დაკეცა წიგნი, მისცა მოსამსახურეს და თვითონ დაჯდა. ყველამ მას დაუწყეს ცქერა. დაიწყო მაცხოვარმა მოძღვრება: «თქვენ უკვე შეიტყეთ, რაც აქ ეწერა: ეს ყოველივე ჩემზე აღსრულდა; მე ვარ ცხებული; მე მოვუტანე კაცობრიობას ერთობა, ძმობა და სიყვარული; მე ვარ, რომელმაც უნდა განვათავისუფლო კაცობრიობა ეშმაკისაგან.» ყველას მოსწონდა მისი ტკბილი საუბარი; მაგრამ მაინც ჰკითხავდენ ერთმანერთს; „განა ეს იოსების შვილი არ არისო? ეს „ლაპარაკი“ შეიტყო იესო ქრისტემ და უთხრა:“ თქვენ გსურთ მითხრათ ანდაზით: მკურნალო! განჰკურნე თავი თვისი; ისეთი სასწაულები, ვითარნიც ჰქმენ კაპერნაუმში, მოიმოქმედე შენს სამშობლო ქალაქშიაცა; მაგრამ ჭეშმარიტად გეტყვით, რომ თავის სამშობლოში პატივცემული არ ყოფილა არც ერთი წინასწარმეტყველი. ილია წინასწარმეტყველის დროს, როცა სამს წელს და ექვს თვეს უწვი-

მობა იყო და ამისა გამო დიდი შიმშილობა ჩამოვარდა. ისრაილების ქვეყანაშიაც ბევრი ქვრივი დედა-კაცი იყო; მაგრამ უფალმა არც ერთს მათგანს არ გაუგზავნა ილია: ის გაგზავნილი იყო (უცხო) ქვრივთან, რომელიც იყო სიდონელი. ელისე წინასწარმეტყველის დროსაც ბევრი კეთრით ავადმყოფი იყო ურიათა შორის, მაგრამ არც ერთი მათგანი იქმნა განკურნულ, გარდა უცხოეთელი კაცისა, რომელი იყო ნეემანი ასურელი.“ ურიებმა ასეთი ყვედრება რომ შეიტყეს, ეწყინათ, შეიპყრეს ქრისტე, აიყვანეს მთის წვერზე და გადაგდებას უპირებდენ, მაგრამ უეცრად მან განვლო მათ შუა უჩინარად და განშორდა მტრებს უვნებლად.

## 26. თევზის დაჭერა გენისარეთის ზღვაზე.

ლუკ. 5. 1—11. მათ. 4. 18—22.

ერთხელ იესო ქრისტე იდგა გენისარეთის ტბის პირზე და დიდ-ძალი ხალხი ეხვეოდა. ამ დროს დაინახა ტბაზე ორი ნავი: ერთი იყო სვიმონისა და ანდრიასი; მეორე ეკუთვნოდა ზებედეს, რომელიც თავის შვილებისა, იოანესი და იაკობის, შემწეობით თევზს იჭერდა. ისინი იყვნენ უკვე მოწაფენი ქრისტესნი; მაგრამ, რადგან მეთევზეობდენ, არა სცალოდათ ყოველთვის ქრისტესთან ყოფილიყვნენ. იესო ქრისტე ჩაჯდა სვიმონის ნავში, შესცურა ზღვაში, ცოტა შიგნითკენ, დაჯდა ნავის თავზე და დაიწყო ხალხის სწავლება; ხოლო ერი უსმენდა ზღვის ნაპირიდან. როცა გაათავა მოძღვრება, უბრძანა სვიმონს შიგნითკენ შეცურვა და ბადის სროლა.—„მოძღვარო! მთელს ღამეს დავშვრით და ვერაფერი დავიჭირეთ; მაგრამ, რადგან მიბრძანებ, კიდევ ვესვრი ბადეს“, უთხრა სვიმონმა. ამ ჯერზე მართლაც იმდენი თევზი დაიჭირეს, რომ სვიმონმა და ანდრიამ ვერ გაათრიეს ბადე მარტოდ; და სთხოვეს შემწეობა იაკობსა და იოანეს. თევ-

ზი ისრე ბევრი გაება ბადეში, რომ ორი ნავი აავსეს. ამ გასაოცარმა თევზის დაჭერამ განცვიფრებაში მოიყვანა მოწაფეები. შეშინებული სვიმონი დაემხო იესო ქრისტეს წინ და უთხრა: „უფალო! განვედ ჩემგან, რამეთუ მე ვარ კაცი ცოდვილი“.— „ნუ გეშინიან სვიმონ! ამიერიდგან იქნები კაცთა მონადირედ“, უთხრა იესო ქრისტემ, და მერმე მიუბრუნდა მისს ამხანაგებსაც და იმათაც ასრე უბრძანა: „მოდით და შემომიდექით თქვენცა და მე გყოთ მებადურად კაცთა.“ ამ დღიდგან პეტრე, ანდრია, იაკობი, და იოანე აღარ განშორებიან ქრისტეს.

## 27. ეშმაკეულის განკურნება კაპერნაუმის შესაკრებელში.

ლუკ. 4. 31—37.

გენისარეთის ტბიდგან იესო ქრისტე მოვიდა კაპერნაუმს. რადგან ნაზარეთში იმისი მოკვლა განიზრახეს, ქალაქი ნაზარეთი დასტოვა და აირჩია თავის საცხოვრებლად ქალაქი კაპერნაუმი. იმან აქ იმას საკუთარი სახლი არა ჰქონდა. ისა სცხოვრებდა სვიმონ-პეტრეს სახლში. ერთს შაბათს დღეს ის შევიდა ურიათა შესაკრებელში და დაიწყო მოძღვრება. ყველას უკვირდა მისი სწავლა, ამისათვის რომ ის სხვასავით არა ქადაგებდა: მისი სიტყვა იყო, ვითარცა სიტყვა კაცისა უფლების მქონისა.

ამ დროს შესაკრებელში იყო ერთი ეშმაკეული კაცი. როცა ამან დაინახა იესო ქრისტე, უთხრა მას ხმა მაღლა: „რა საქმე გაქვს ჩვენთან, იესო ნაზარეველო? ჩვენ დასაღუპავად მოსულხარ? ვიცი ვინცა ხარ: შენა ხარ წმიდაო ღმერთი“. ამ კადნიერად ლაპარაკზე იესო ქრისტემ ბრძანებით უთხრა მისს გვამში დაბუნდებულს ეშმაკს: „ნუ ლაპარაკობ და გამოდი მაგისგან.“ მაშინ ეშმაკმა ძლიერად შეარყია ბნედიანი, დაანარცხა მიწაზე, შეჰკივლა და განვიდა კაცისაგან. ყველანი შეშინ-

დენ, და ჰკითხავდენ ერთმანერთს: «რა არის ესა? რანაირია ეს ახალი სწავლა, რომ არა წმიდა სულთაც კი უბრძანებს, და ისინიც ემორჩილებიან ძლიერებასა მისსა.» ამის შემდეგ ყოველგან გალილიის მაზრაში დავარდა ხმა ამ საკვირველი სწავლისა.

## 28. სვიმონის სიდედრისა და კეთროვანის განკურნება.

მარკ. 1. 29—31. ლუკ. 4. 38—45. მათ. 8. 14—15. ლუკ. 5. 12—15.

კაპერნაუმის შესაკრებელში იესო ქრისტემ მოძღვრება რომ დაასრულა, მერმე მივიდა სვიმონის სახლში. აქ იყვნენ ანდრია, იაკობი და იოანეცა. ამ დროს სვიმონს სიდედრი ავათა ჰყავნდა ცხელებით. იესო ქრისტემ შეიტყო მისი სნეულება, მივიდა მასთან, მოჰკიდა ხელი და ააყენა. ცხელებამ მაშინვე დაუტევა, და ისრე მომჯობინარდა, რომ ადგა და მყისვე დაუწყო მათ მსახურება.—

ამ დღეს იესო ქრისტე აღარსად წასულა. საღამოს ჟამს მასთან მოიყვანეს ავადმყოფები და ეშმაკეულები. ამისა გამო ქალაქის ხალხი შეიკრიბა სახლის კარების წინ და ქრისტემ განკურნა ყველა სნეულები. მეორე დღეს მასთან მოვიდა ერთი კეთრით სნეული კაციცა. იმან მოიყარა წინაშე მისსა მუხლი და დაუწყო ვედრება: «უფალო! უკეთუ ისურვებ, შეგიძლიან კეთრისაგან ჩემი განწმენდა». ქრისტემ შეიბრალა ის, შეახო ხელი და სთქვა: «მნებავს, იყავ განწმენდილი»; მაგრამ უბრძანა, არავის უთხრა, და ეხლავე წადი, ეჩვენე მღვდელს და შესწირე ღმერთს სიმადლობელი მსხვერპლი განწმენდისათვის, ვითარცა ბრძანა მოსე წინასწარმეტყველმა სჯულსა შინა. იგი მართლაცა-და მყისვე განიკურნა; სიხარულით გამოვიდა და აღასრულა ბრძანება მაცხოვრისა; მაგრამ, მაცხოვრის მიერ ქმნილი სიკეთე იმან ვერ დამალა და დაიწყო სახელდობრ მისი ქე-

ბა. ამ ამბავმა ბევრი ხალხი შეჰყარა. ამისათვის იესო ქრისტე ქალაქს კაპერნაუმს აღარ შებრუნდა, ის წავიდა უდაბნოს და იქ ევედრებოდა ღმერთს.

## 29. განკურნება განრღვეულისა კაპერნაუმში.

ლუკ. 5. 17—26. მათ. 9. 1—8.

გალილიის ქალაქები და სოფლები რომ მოიარა ქადაგე-ბით, რამდენიმე დღის შემდეგ იესო ქრისტე კიდევ დაბრუნდა კაპერნაუმს. ეს შეიტყო ხალხმა და იმდენი შეიკრიბა მასთან, რომ მის სახლის კარებს უკანაც ადგილი აღარ იყო დასადგომი. მოსულ იყვნენ იერუსალიმით აგრეთვე ფარისეველნიცა და მწიგნობარნიც. ჩვეულებისა-მებრ ქრისტე ქადაგებდა და მოძღვრიდა ხალხს. ამ დროს ოთხმა კაცმა მოიყვანეს ქვეშაგებში გახვეული სნეული; მაგრამ ხალხი ისრე ბევრი იყო, რომ ვერ გასტანეს ქრისტესთან. ისინი ღრმად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იესო ქრისტე უთუოდ განჰკურნებდა სნეულს. რადგან მასთან ვერ მივიდნენ ხალხის სიმრავლისა გამო, ამისათვის ავიდენ სახლის ბანზე, აჰყარეს ჭერი, აიყვანეს სნეული და ბანიდგან ჩამოუშვეს ფეხთა წინაშე მისსა. ქრისტემ იხილა რა მათი მხურვალე სარწმუნოება, უთხრა განრღვეულს: «შვილო! მიგეტევებიან ცოდვანი შენნი». ეს სიტყვები გაიგონეს მწიგნობართა და ფარისეველთ და ჰკიცხავდენ მაცხოვარს თავის გულში. «ვინაა ესა, რომ ასრე ჰგმობს ღმერთსა? ვინა ღვთის გარდა შეუძლიან კიდევ ვისმეს კაცისათვის ცოდვების შენდობაო?» იესო ქრისტემ შეიტყო მათი ფიქრები და უთხრა: «მაგას რასა ჰფიქრობთ გულთა შინა თქვენთა?» თქვენის აზრით: «რომელი უფრო უადვილესია?» ამისი თქმა: «მიგეტევნენ ცოდვანი შენნი», —თუ თქმა იმისა: «აღსდეგ, აღიღე სარეცელი შენი და ვიდოდე? და რომ ძესა კაცისასა აქვს უფლება ქვეყანასაზედა ცოდვების მიტე-

ფებისა: —განრღვეულო! შენ გიბრძანებ, აღსდეგ, და აღიღე სარეცელი შენი, და წარვედ შენს სახლში.» სნეული კაცი მაშინვე ადგა, მიეცა ღონე ფეხში და მკლავში, აიღო თავისი ქვეშსაგები, წავიდა სახლში და ადიდებდა ღმერთს. ყველას უკვირდათ და ამბობდენ ურთი-ერთ შორის: «საკვირველი ამბები ვნახეთ დღესა! არასოდეს გვიხილავს მათი მგზავსიო».

### 30. მათეს მიწვევა მოციქულად.

მარკ. 2. 13—22. მათ. 9. 9—17. ლუკ. 5. 27—39.

განრღვეული კაცის განკურნების შემდეგ იესო ქრისტე წავიდა გენისარეთის ტბაზე. ხალხი მისდევდა მას და ისიც ასწავებდა გზა-და-გზა. ამ დროს გზის პირას დაინახა მეზვერე, მჯდომარე იმ ალაგას, სადაც ბაჟსა ჰკრეფდენ. ეს კაცი იყო მათე ანუ ლევი, მეზვერე ჰქვიან მებაჟეს. ამ თანამდებობის კაცებს ამწესებენ რომაელები სამეფო ხაზინისთვის ხარჯის მოსაკრებად და ურიებს ისინი ცოდვილად მიაჩნდათ. მაგრამ იესო ქრისტეს უყვარდა სნეულებიცა და ცოდვილებიც. ამისათვის მათე რომ დაინახა, ასრე უთხრა: «შემომიდეგი მე». იმან მაშინვე დასტოვა თავისი საბაჟე და გაჰყვა უკან.

იესო ქრისტეს მოწაფედ ყოფნა მათეს დიდ ბედნიერებად მიაჩნდა. ამაზე გახარებულმა გააკეთა ჩინებული სადილი, მიიპატიჟა იესო ქრისტეცა და მისი მოწაფეებიც. სადილზე დაესწრნენ მრავალნი მეზვერენი და სხვანიც, რომელთაც ხალხი ცოდვილ კაცებად იცნობდა. მწიგნობრებმა და ფარისეველებმა რომ ნახეს ასრეთი კრება ხალხისა, დაუწყეს ქრისტეს მოწაფეებს კიცხვა და ეუბნებოდნენ: «თქვენი მოძღვარი მეზვერეთა და ცოდვილებთან რათა ზის, სჭამს და სვამს? ან თქვენ რათა სჭამთ და სვამთ იმათთან?» ესრეთი საყვედური გაიგონა იესო

ქრისტემაც და უთხრა მათ: «მკურნალი სნეულთათვის არის საჭირო, და არა კარგად მყოფთათვის. მირჩევნიათ წახვიდეთ და ისწავოთ, რას ნიშნენ სიტყვები: «წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი». ხოლო მე მოველ არა მართალთა, არამედ ცოდვილთა მოსაწოდებლად, რომ მათ შეინანონ ცოდვანი თვისნი,» და ცხონდენ. ამ დროს აქ იყვნენ ზოგიერთნი იოანე ნათლის-მცემლის მოწაფენიცა. იმათ ჰკითხეს იესო ქრისტეს: «ჩვენ და ფარისეველთა მოწაფეები რათა ვმარხულობთ, და ვლოცულობთ ხშირად, ხოლო შენი მოწაფენი-კი არაო»? ამ კითხვაზე იმან უპასუხათ: «განა შეიძლება მექორწილე კაცებმა ინაღვლონ, ვიდრე სიძე იმათთან არის? მოვლენ დღენი, როცა წაერთმევათ სიძე და მაშინ ისინიც დაიწყებენ მარხულობასა».—ამას ზედ დაურთო შემდეგი სიტყვებიცა: «ახალს საკერებელს ძველს სამოსელზე არ დააკერებენ ხოლმე; რადგან ახალი საკერებელი მალე აიხევა ძველის სამოსლისაგან: მაშინ ახალიც უსარგებლოდ გაფუჭდება, და ძველს სამოსელს ხომ არც შეჰფერის ახალი საკერებელი. არ ჩაასხამენ ხოლმე აგრეთვე მაჭარს ძველს ტიკებში, რომ ახალმა ღვინომ არ დახეთქოს ტიკები; მაშინ ხომ ისიც დაიღვრება და ტიკებიც გაფუჭდებიან. მაჭარი ახალს ტიკებში უნდა ჩაისხას; მაშინ არც ერთი მათგანი არ წახდება. და ვისაც უსვამს ძველი ღვინო, ის მაშინვე მაჭრის სმას არ ისურვებს, და იტყვის: «ძველი ჰჯობიაო.»—

# Საქმენი და Სწავლანი Იესო ქრისტესნი მეორე პასექიდამ მესამემდე.

## 31. განკურნება უძლური კაცისა ცხოვართა-საბანელთან მწოლარისა.

იოან. 5. 1—18.

Იერუსალიმში, ტაძრის მახლობლად, იყო ცხოვართა-საბანელი, რომელსაც ურიები ბითეზდას ეძახდენ. Ასეთი სახელი, ე. ი. ცხოვართა საბანელი, ერქვა ამისათვის, რომ აქ იყო მოედანი, რომელზედაც ურიები მოერეკებოდნენ ცხვრებს და მსხვერპლად სწირავდენ Ღმერთს. აქვე იყო გაკეთებული ხუთი ჭერგადახურული სტოვა (გალერეია). Ამას ერქვა სახელად: «სახლი მოწყალებისა,» ამისათვის რომ აქ იწვნენ ავადმყოფები.

Დრო გამოშვებით ბითეზდაზე მოდიოდა ზეციდგან ანგელოზი, ამღვრევდა წყალს, და რომელი სნეულიც პირველად მოასწრებდა შიგ ჩასვლას და გაბანვას, ის მეყსეულად სნეულებისაგან განიკურნებოდა ხოლმე.

Პასექის დღესასწაულზე Იესო ქრისტე მოვიდა მეორედ Იერუსალიმს, შევიდა ამ მოწყალების სახლში, ნახა აქ 38 წლის ავადმყოფი და ჰკითხა: «გნებავს განიკურნო»? ავადმყოფმა უპა-

სუხა: «მსურს, უფალო! მაგრამ კაცი არა მყავს, წყალში ჩამიშვას, როცა ის აიმღვრევა ხოლმე. ჩემის უპატრონობის გამო, ვიდრე მე მოვიდოდე წყალზე, სხვა კიდეც მომასწრებს ხოლმე საბანელში ჩასვლას.» იესო ქრისტეს შეებრალა ის და უთხრა: «აღსდეგ, აიღე ცხედარი შენი და წადი». სნეულმა მაშინვე იგრძნო კარგად ყოფნა, მოვიდა ღონეზე, ადგა, აიღო ქვეშსაგები თვისი და წავიდა.

ეს სასწაული მოახდინა იესო ქრისტემ შაბათს დღეს. ფარისევლებს ცოდვად მიაჩნდათ ამ დღეს რაიმე საქმის გაკეთება, თუნდა რომ კეთილი და ღვთის-სათნო საქმეც ყოფილ-იყოს. ამისათვის უთხრეს განკურნებულს კაცს: «დღეს შაბათი არის,— და შენ ქვეშსაგები არ უნდა მიგქონდესო.» ამაზე იმან უპასუხა ფარისევლებს: «ვინც მე გამამთელა, იმან მითხრა: აიღე შენი ცხედარი და წადიო».—«ვინაა, რომელმაც შენ გიბრძანა ეგაო?» ჰკითხეს ფარისევლებმა კვალად, მაგრამ იმან არ იცოდა, ვინ იყო მისი განმკურნავი, და ამისათვის ვერა უპასუხა რა. გავიდა რამდენიმე ხანი. იესო ქრისტემ ნახა ის იერუსალიმის ტაძარში და უთხრა: «აგერ ეხლა შენ კარგადა ხარ; აღარ შესცოდო, რომ უარესი არ დაგემართოს.» მაშინ განკურნებულმა იცნო თავისი კეთილის-მყოფელი იესო ქრისტე, მივიდა და უთხრა ურიებს, ვინც განკურნა იგი. მაშინ ურიებმა დაუწყეს იესოს დევნა და ეწადათ მისი მოკვლა: შაბათს დღეს კეთილს საქმეს რათა იქმს და ამით რათა სტეხავს უქმესაო.

### 32. სწავლა იესო ქრისტესი შაბათის უქმობაზე.

მათ. 12. 1—14. ლუკ. 6. 1—11. მარ. 2. 23—27. 3. 1—6.

ებრაელებს ისეთი სჯულის კანონი ჰქონდათ, რომ ოდეს ყანის მკას დაიწყებდენ, პირველ ძნას ღმერთს შესწირავდენ ხოლმე. ამ წესს ასრულებდენ პასექის დღეს. ამ დღეს იესო ქრის-

ტემ თავის მოწაფეებით გაიარა მინდორზე, საცა შემოსული ყანები იყო. მოწაფეები თავთავებს სწყვეტდენ, ხელის გულებში სრესდენ, აკეთებდენ ოდოშს და სჭამდენ. ფარისეველებმა დაინახეს ისინი და უთხრეს: ,,ასრე ქცევა არ შეიძლება შაბათს დღესაო“. ამის შემდეგ მიუბრუნდენ ახლა იესო ქრისტეს და უთხრეს: ,,შეხედე, შენი მოწაფეები იმას იქმენ, რაც შაბათს დღეს არ შეიძლება გაკეთდეს“! ამაზე ქრისტემაც უპასუხა: „ნუთუ არ აღმოგიკითხავთ, რა ჰქმნა დავითმა, როცა მოჰშივდა იმასა და მასთან მყოფებს? აბიათარ მღვდელ-მთავრის დროს ის შევიდა უფლის სახლში, აიღო შესაწირავნი პურნი, რომლებიც, მღვდლების გარდა, სხვას არავის უნდა ეჭამა; თვითონაც სჭამა და სხვებსაც აჭამა. გარდა ამისა, ნუთუ არ წაგიკითხავთ სჯულში, რომ მღვდლები ტაძარში შაბათს არღვევენ (როცა ისინი მაგალითად სამღვთოსა ჰკვლენ შაბათს დღეს, ტყავსა ჰხდიან და მიაქვთ), მაგრამ მაინც უბრალონი არიან? თქვენ რომ იცოდეთ რას ნიშნენ სიტყვები: «შებრალება მნებავს, და არა მსხვერპლი, მაშინ არ დაჰზრახავდით იმას, ვისაც არა დაუშავებია რა». ამას დაუმატა შემდეგი შესანიშნავი სიტყვებიცა: „შაბათი კაცისთვის არის, და არა კაცი შაბათისათვის. ამისათვის შაბათის უფროსი არის ძე კაცისა».

შაბათის უქმობაზე იესო ქრისტეს ბაასი ფარისეველებთან ამ დღეს არ გადასწყდა. მის მოწინააღმდეგე პირთ თავისი თავი მართალი ეგონათ. ამისათვის ისინი არა ტყდებოდენ თავიანთ შეცდომილებაში.

მეორე შაბათს იესო ქრისტე კიდევ შევიდა ებრაელების შესაკრებელში და დაიწყო ხალხის სწავლება. ფარისეველებმა და მწიგნობრებმა დაუწყეს მას თვალ-ყურის დევნება. მაცხოვარმა იცოდა მათი განზრახვა. ამისათვის უთხრა იქ მდგომარე მარჯვენა მკლავ-გახმარს კაცს: «ადეგ და წამოდეგ წინ!» ის გამოდგა ხალხის წინ შუაზე. ამ დროს ვილაცამ ვერ მოითმინა და იკითხა: „განა შაბათს დღეს შეიძლება განკურნება?» იესო ქრისტემ უპასუხა: «თქვენგანს ვისმეს ერთი ცხვარი რომ ჰყავნ-

დეს და შაბათს დღეს ორმოში ჩავარდნოდეს, განა არ ამოიყვანდა იმას?—და კაცი რამდენად უმჯობესია ცხვარზე? მაგრამ მე გკითხავთ თქვენ: შაბათს დღეს კეთილი საქმე უნდა გაკეთდეს, თუ ბოროტი? უნდა დაიხსნას (სიკვდილისაგან) სიცოცხლე, თუ მოიკლას იგი?“—ამ კითხვაზე ფარისევლებმა და მწიგნობრებმა იმას პასუხი ვერ მისცეს: ყველანი ჩუმათ იყვნენ. ქრისტე ღმერთი უყურებდა იმათ მრისხანებით; მაგრამ ამასთანავე სწყინდა მათი გულ-ღვარძლიანობა; ბოლოს იმან ყური აღარ უგდო მტერთა ლაპარაკს და უთხრა ხელ-გახმარ კაცს: «გაშალე შენი მკლავი“. ის დაემორჩილა და მაშინვე განიკურნა მკლავი მისი და გახდა ისეთი, როგორიც იყო მარცხენა. ფარისევლებს ეს ძალიან ეწყინათ. იმათ მოინდომეს იესო ქრისტეს მოკვლა. ამ განზრახვით შეჰკრეს პირობა გალილიას მეფის იროდის კარის-კაცებთან და გადასწყვიტეს მისი დაღუპვა.

### 33. ამორჩევა თორმეტის მოციქულისა.

მარკ. 3. 13—19 ლუკ. 6. 12—16.

გალილიაში ყოფნის დროს იესო ქრისტე ავიდა მთაზე სალოცველად და აქ გაათენა მთელი ღამე. დილით იმან დაუძახა თავის მოწაფეთა და მათგან, ვინც უნდოდა, ამოირჩია თორმეტი, რომელთაც უწოდა მოციქულად, რომ ისინი მოწამენი ყოფილიყვნენ იმის საქმეთა და სწავლისა. ესენი ამ დღიდგან დაწყებული მუდამ მასთან უნდა ყოფილიყვნენ, მოესმინათ მისი სწავლა და ენახათ სასწაულები. ეს რჩეულნი კაცნი იყვნენ სვიმონ ანუ პეტრე, და მისი ძმა ანდრია, შვილნი იონასი; იაკობ და იოანე, ზებედეს შვილები; ფილიპე; ნათანაელ ანუ ბართლომე; თომა; მათე ანუ ლევი, მეზვერეთ ყოფილი; იაკობ, შვილი ალფესი; სვიმონ ქანანელი, რომელსაც ეწოდა მოშურნე (Зилотъ); იუდა, რომელსაც ეძახდენ აგრეთვე ლევის და

თადეოზ, და იუდა ისკარიოტელი, რომელიც იყო კარიოტა ქალაქიდგან, რისა გამო დაერქვა სახელად იუდა ისკარიოტელი.

## 34. მთით კერძო ქადაგებანი იესო ქრისტე.

ლუკ. 6. 17—49. მათ. 5. 1—12.

მოციქულების ამორჩევის შემდეგ იესო ქრისტე ჩამოვიდა მთიდგან და გაჩერდა ერთს სწორე, მაღლობს, ადაგას, რომელსაც ეძახიან ნეტარებისა-მთა. აქა გარს შემოეხვივნენ მოწაფეები და აგრეთვე მრავალი ხალხიცა. იმან აუხსნა ყველას, როგორი ხასიათი და ზნე უნდა ჰქონდეთ იმის მოწაფეებს და მორწმუნეთა, და ვითარ უნდა ალასრულებდენ სჯულის კანონსა, თუ რომ სწადიანთ მიიღონ მისი სწავლა და შევიდნენ სასუფეველში. ეს ქადაგება იესო ქრისტესი იწოდება ცხრა ნეტარებად ანუ მთით-კერძო ქადაგებად. აი ეს ცხრა ნეტარება:

1) «ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

2) ნეტარ არიან მგლოვარენი გულითა, რამეთუ ისინი ნუგეშინის-ცემულ იქმნებიან.

3) ნეტარ არიან მშვიდნი, რამეთუ ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანასა.

4) ნეტარ არიან, რომელთაც ჰშიანთ და სწყურიანთ სიმართლისათვის, რამეთუ ისინი განჰსძღენ.

5) ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეწყნარებულ იქნებიან.

6) ნეტარ არიან წმინდანი გულითა, რამეთუ ისინი ღმერთს იხილვენ.

7) ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად წოდებულ იქნებიან.

8) ნეტარ არიან დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

9) ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდენ და გდევნიდენ და სთქვან სიცრუით თქვენზე ყოველი სიტყვა ბოროტი ჩემს გულისათვის.

გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდი არის ცათა შინა, რამეთუ ეგრეთვე სდევნეს წინასწარმეტყველნი უწინარეს თქვენსა."—

### 1) ვითარნი უნდა იყვნენ იესო ქრისტეს მოწაფენი.

მათ. 5. 13—17.

ცხრა ნეტარების წარმოთქმის შემდეგ იესო ქრისტემ აუხსნა მოციქულებს, რომ ისინი მაგალითნი უნდა იყნენ ქვეყანაზე გულკეთილად და უმანკოდ ცხოვრებისა. „თქვენ მარილი ხართ ქვეყნისაო, უთხრა იმან: თუ მარილმა თავისი ძალა დაჰკარგა, მისი გამარილება აღარ შეიძლება; ის უნდა გადიგდოს კაცთა ფეხ-ქვეშ. თქვენა ხართ ნათელი ქვეყნისა. ქალაქი მთის წვერზე რომ იყოს გაშენებული, იმას დამალვა არ შეუძლიან. სანთელს იმ განზრახვით კი არ ანთებენ ხოლმე, რომ ის დამალონ, ანუ ხვიმირსა ქვეშე ჩასდგან! იმას გააკეთებენ შანდალში, რომ სახლში შემავალთ იხილონ სინათლე და სახლში სინათლე იყოს. ეგრეთ უნდა ბრწყინავდეს ნათელი თქვენი კაცთა წინაშე, რომ მათ იხილონ კეთილნი საქმენი თქვენნი და ადიდონ ზეციერი მამა-თქვენი". მაშინ შეიძლება, რომ თქვენმა კეთილმა ცხოვრებამ სხვანიც ღვთის სათნო გზაზე დააყენოს.

### 2) ძოველი მცნება უნდა აღსრულდეს.

მათ. 5. 17—21.

ფარისევლები ხალხში ავრცელებდენ ხმას, რომ იესო ქრისტე ღვთის მცნებას არღვევსო. ეს ცილის-წამება შეიტყო იმან

და უთხრა ხალხს: „ნუ ჰგონებთ, ვითომც მე მოვსულ-ვიყო ქვეყნად სჯულისა ანუ წინასწარ-მეტყველთა თქმულების უარ-საყოფელად: მე მოველ მის შესავსებლად და ასახსნელად, და არა დასარღვევად. ჭეშმარიტად გეუბნებით: ვიდრე ცა და ქვეყანა დაირღვევოდენ, არ დარჩება სჯულისაგან ერთი იოტა-ცა ანუ ასოცა, რომ არ აღსრულდეს იგი. ამისათვის ვინც და-არღვევს თუნდა ერთს მცირეთა მცნებათაგან, და სხვებსაც ეტყვის მათს სიმცირეს, იგი თვითონ მცირე იქნება ცათა სა-სუფეველში; ხოლო ვინც აღასრულებს და სხვებსაც ამას ჩააგონებს, იგი იქნება დიდი ცათა შინა. მაგრამ თუ თქვენი სიმართლე მაინცა და მაინც არ აღემატება ფარისეველთა და მწიგნობართა სიმართლეს, ვერ შეხვალთ სასუფეველსა“.—ესე იგი ქრისტიანმა ისე გარეგნად კი არ უნდა აღასრულოს სჯუ-ლის კანონი, როგორათაც ფარისეველნი ასრულებენ, არამედ უნდა ამოიღოს იმან თავის გულიდგან ბოროტნი ფიქრნი და განზრახვანიცა, როცა მას ასრულებს.

### 3) როგორ უნდა გიყვარდეს მოყვასი.

მათ. 5. 43—48. მათ. 7. 12.

„გსმენიათ, რომ არის ნათქვამი: «შეიყვარე მოყვასი შენი და მოიძულე მტერი შენი». მე კი გეტყვით: შეიყვარეთ მტერნი თქვენნი, აკურთხეთ, ვინც დაგწყევლოთ, კეთილი მიაგეთ თქვენს მოძულეთა და ილოცეთ იმათთვის, რომელნიც თქვენზე მძლა-ვრობას აჩენენ და გდევნიან, რათა შეიქნეთ ზეციურის მამის შვილებად; მისის ბრძანებით მზე უნათებს ბოროტს კაცსაც და კეთილსაც; ღმერთი აწვიმებს მართალთა ზედა, და აგრეთვე კაცთა ზედა არა მართალთა. ისრეთი მოწყალენი იყავით, ვი-თარცა ზეციერი მამაა მოწყალე. როგორც თქვენა გსურთ გე-პყრობოდენ კაცნი, ეგრეთ მოექეცით იმათ თქვენცა, რამეთუ ეს არის სჯული და წინასწარმეტყველნი. (ერთის სიტყვით) იყვენით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულია“.

„ხელს როცა მარხულობ, ნუ მიიღებთ ისრეთს დაღონე-ბულს სახეს, როგორც იქცევიან პირმოთნენი, რომელნიც კაც-

-თა წინაშე მმარხველად თავის გამოსაჩენად პირს იქცევიან, თითქო დიდი მწუხარება აწევთო. ჭეშმარიტად გეუბნებით: უკვე მიუღიათ მათ სასყიდელი თვისი. მაგრამ როცა შენ მარხულობდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რომ შენ მმარხველად ეჩვენო კაცებს კი არა, არამედ ზიციერს მამას, რომელიც ჰხედავს დაფარულს, და ის მოგაგებს ჯილდოს".

## 4) როგორ უნდა აღსრულდეს მესამე მცნება.

მათ. 5. 33—37.

„ზაქვთ აგრეთვე გაგონილი სჯულიდამ: „ნუ დაარღვევ ფიცსა, არამედ აღასრულე რა ფიციც გითქვამს წინაშე უფლისა." მე კი გეუბნებით: სრულიად ნუ დაიფიცავთ ნურც ცასა, ამისთვის რომ ის არის ტახტი უფლისა;—ნურც დედა-მიწასა, ამისათვის რომ ის არის კვარცხლბეკი ფერხთა მისთა;—ნურც იერუსალიმსა, ამისათვის რომ ის არის ქალაქი დიდისა მეუფისა—ღვთისა; —ნურც თავსა შენსა დაიფიცავ, ამისათვის რომ შენ არც ერთის თმის გათეთრება და გაშავება არ შეგიძლიან. თქვენი სიტყვა მხოლოდ ეს უნდა იყოს: ჰო, ჰო, და არა, არა. ვინც ამაზე მომატებულს იტყვის, ის უკეთურებისაგან წარმოსდგება".

## 5) როგორ უნდა აღსრულებდენ იესო ქრისტეს მორწმუნენი მეექვსე მცნებას.

მათ. 5. 21—26 ლუკ. 12. 58—59.

«თქვენ იცით, რომ ძველს აღთქმაში არის ნათქვამი: „კაცი არა ჰკლა, ხოლო ვინც მოჰკლავს, ის სამართალში მისაცემია». მაგრამ მე გეტყვით, რომ ყოველი კაცი, რომელიც უბრალოდ გაუჯავრდება თავის ძმას, ისიც კი ღირსია სამართალში მიცემისა. აგრეთვე არ უნდა მოიხსენიოს კაცმა თავისი მოყვასი. ხოლო

ვინც ეტყვის თავის მოყვასს: «შენ თავცარიელი კაცი ხარო», ღირსია განიდევნოს სასამართლოს გარდაწყვეტილებით; მაგრამ ვინც დასწყევლის მოყვასს და ეტყვის: «შენ ბოროტი და ბილწი ხარო», ის ცეცხლის გეენიაში უნდა ჩაიგდოს, რადგან მახლობელთან მშვიდობიანად ცხოვრება მსხვერპლსა ჰჯობია. ამისათვის, როცა სამსხვერპლოში შესაწირავს მიიტან, თუ მოგაგონდა, რომ შენი ძმა შენთან მწყრალად არის,—დასტოვე ის შესაწირავი შენი, ჯერ მიდი შეურიგდი შენს ძმას, მერმე წადი და შესწირე მსხვერპლი შენი. იყავ გონიერი: ვიდრე შენ და შენი მოდავე მოსამართლესთან მიდიხართ, ეცადე გზაზე შეურიგდე იმას, რომ აღარ მიგიყვანოს მსაჯულთან, და მსაჯულმაც მოსამსახურეს არ გადაგცეს, და იმანაც საპყრობილეში არ ჩაგსვას. მართალს გეუბნები: შენ ვეღარ გამოხვალ იქიდგან, ვიდრე არ მისცემ უკანასკნელ კოდრატსაც'' (კაპეიკის მეოთხედსაც).

### 6) როგორ უნდა აღსრულდეს მეშვიდე მცნება.

მათ. 5. 27—32.

„ძველს აღთქმაში ნათქვამია: «ნუ იმრუშებ»; მაგრამ მე კი გეტყვითო, ამბობს იესო ქრისტე, რომ „ყოველი კაცი, რომელიც დედაკაცს შეჰხედავს გულის თქმით, იმან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში''. კაცმა უნდა მოითმინოს, მოერიდოს ცოდვას და არ უნდა აჰყვეს გულის-თქმას. „უკეთუ მარჯვენე თვალი შენი გაცდუნებს, აღმოიღე და გადააგდე იგი; მოიკვეთე და გადააგდე მარჯვენე ხელიც, უკეთუ ისიც გაცთუნებს. ზირჩევნია დაიღუპოს შენი სხეულის ერთი ასოთაგანი, ვიდრე მთელის შენის გვამის გეენიაში ჩაგდებასა''.

### 7) უნდა შეუნდოთ მავნებელთა ჩვენთა.

მათ. 5. 38—42.

»შეგიტყვიათ, რამეთუ არის თქმული: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ". მე კი გეუბნებით: ნუ ეწინაალმდე-

გებით თქვენდა ბოროტის მყოფელს. ვინც გაგარტყას მარჯვენე ლოყაში, მიუპყარ მარცხენეცა, და ვისაც უნდოდეს შენთვის წართმევა ზეითა სამოსელისა, მიეცი მას პერანგიცა; და ვინცა გთხოვოს ერთს უტევანზე (ვერსტზე) გაცილება, შენ გაჰყე მას ორს ვერსზე (ერთის სიტყვით) ვინცა გთხოვოს, მას მიეცი, და ვისაც უნდოდეს შენგან სესხის აღება, მას უარს ნუ ეტყვი“.

### 8) მოწყალება, ლოცვა და მარხვა.

მათ. 6. 1—8; 16—18.

«გაფრთხილდით, მოწყალებას ნუ იქმთ იმ განზრახვით, რომ ხალხმა დაგინახოთ. როცა მოწყალებას აძლევ, ნუ დაიქადნი ხალხის წინაშე, როგორც ქადაგებენ პირმოთნენი შესაკრებელში და უბანთა ზედა, რათა აქებდენ იმათ კაცნი. ჭეშმარიტად გეტყვით, რომ იმათ უკვე მიუღიათ თავისი საჩუქარი კაცთაგან. როცა კეთილ საქმეს ჰშვრები, ისე მოიქეცი, რომ შენმა მარცხენა ხელმა არ იცოდეს, რას აკეთებს მარჯვენა; შენი ქველის საქმე დაფარული უნდა იყოს; მაშინ ზეციერი მამა შენი, რომელიც ჰხედავს დაფარულსაც, მოგაგებს შენ ცხადად“.

აგრეთვე: «როცა ევედრები ღმერთს, ისრე ნუ მოიქცევი, როგორც იქცევიან პირმოთნენი. იმათ უყვართ შესაკრებელში და ქუჩებში დგომა და ლოცვა, რათა დაენახონ კაცებს. ჭეშმარიტად გეუბნებით: იმათ უკვე მიუღიათ სასყიდელი თვისი. ხოლო შენ როცა ლოცულობდე, შედი შენს სახლში, მოიხურე კარები და ილოცე წინაშე (ზეციერი) მამისა შენისა დაფარულად; მაშინ ზეციერი მამა შენი, რომელიც დაფარულსაც ჰხედავს, მოგაგებს შენ ცხადად. ხოლო რაჟამს ლოცულობთ, მრავალს ნუ იტყვით, როგორც წარმართთა იციან. ისინი ჰგონებენ, რომ თუ მრავალ-მეტყველებას მოჰყვებიან წარამარად, უთუოდ შესმენილი იქნება მათი ვედრება. მაგრამ თქვენ ნუ

იქნებით იმათი მიმბაძავნი, ვიდრე რისამე თხოვნას დაიწყებდეთ, მამამან თქვენმან უკვე იცის, რა გეჭირვებათ".

### 9) კაცი არ უნდა იყოს მოშურნე და მძრახველი.

ლუკ. 11. 34—36. 6. 37, 38, 41. 42.

„თვალი კაცისა სანთელია მისის გვამისა. თუ რომ შენი თვალი წმინდაა (შურით არ უყურებს მოყვასის ბედნიერებას), მაშინ მთლად შენი გვამიც წმიდა არის. თუ თვალი შენი ბოროტია, მაშინ ყოველი შენი გვამიც ბნელია. მცადე შეიტყო ეს სინათლე, რომელიც შენს გვამშია, სიბნელედ ხომ არ გადაქცეულა. ხოლო უკეთუ შენი (შინაგანი) სინათლე (სინიდისი) დაბნელებულა, მაშ რაღა უნდა ითქვას შენს გულის სიბნელეზე (გულის თქმაზე)? და ესრედ, უკეთუ ყოველი გვამი შენი ნათელ-არს, და არა აქვს ადგილი რამე სიბნელისა, მაშინ იგი ყოვლად ნათელია, და იგი ნათელი, ვითარცა სანთელი, ელვითა განგანათლებს შენა".

„ნუ განკიცხავთ სხვასა, რომ არც თქვენ იყვნეთ განკიცხულნი. და თუ ვინმემ გაწყენინოთ, აპატიეთ, რომ მერმე სხვებმა კიდე თქვენ გაპატიონ. კარგის საწყაულით და პირთამდე სავსით მიუწყეთ სხვასა, რომ თქვენს უბეშიაც ბლომად ჩაყარონ ღვთის მოწყალება. რა საწყაულითაც სიკეთეს თქვენ სხვას მიუწყავთ, იმავე საწყაულით იქნება არწყული თქვენთვისაც; რა ნაირადაც თქვენ განიკითხავთ სხვას, ისრე იქნებით განკითხულნი თქვენცა. როცა შენს თვალში დვირეს ვერა ჰგრძნობ, მაშინ ნუ ჰძრახავ შენსა ძმას, რომ მას თვალში ჩხირი აქვსო. და ან კი როგორ ჰბედავ შენს ძმისათვის თქმას: —მაცადე შენს თვალში წველი ამოვიღო, როცა თვითონ შენს თვალში დვირეს ვერა ჰხედავ. პირმოთნევ! პირველად შენს თვალში ამოიღე დვირე, და მაშინ გაიგებ, ვითარ უნდა ამოიღო წველი შენის ძმის თვალშია».

## 10) მოერიდეთ ცრუ-წინასწარმეტყველებს.

მათ. 7. 15—23. ლუკ. 6. 43—47.

„მოერიდეთ ცრუ-წინასწარმეტყველებს, რომელნიც თქვენ-თან მოდიან ცხვრის სამოსლით, მაგრამ მათი გული კი ვითარცა მტაცებელი მგელია. იმათ იცნობთ მათივე ნაყოფით. განა მაყვლის ეკალზე ყურძნის მოკრეფა შეიძლება? ყოველმა კეთილმა ხემ კეთილი ნაყოფის გამოღება იცის. კეთილს ხეს არ შეუძლიან ცუდის ნაყოფის მოცემა; აგრეთვე ცუდს ხეს არ შეუძლიან კეთილის ნაყოფის მოსხმა. და ყოველი ხე, რომელიც არ იძლევა კეთილს ნაყოფს, უნდა მოიკვეთოს და ცეცხლს დაედვას. ყოველი კეთილი კაცი თავის კეთილი გულის საუნჯიდგან კარგს ნაყოფს გამოიღებს: ამისათვის რომ სავსებისაგან გულისა თვისისა იტყვის პირი მისი».

«განკსჯის დღეს მრავალი მათგანი მეტყვის მე: უფალო! უფალო! განა შენის სახელით არ ვმოძღვრებდითო? განა შენის სახელით არ განვდევნიდით ეშმაკებსა? განა შენის სახელით არ ვიქმოდით მრავალსა სასწაულებსა?—მაგრამ მე ვეტყვი იმათ: მე ვერ გიცნობთ თქვენ; მომშორდით უსჯულოების მომქმედნო!»

## 11) ვისა ჰგავს, ვინც ასრულებს უფლის მცნებას.

მათ. 7. 24; 8. 8. 1. ლუკ. 6. 47—49.

«ახლა მე გეტყვით, ვის ემსგავსება ის კაცი, რომელიც შეისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს კიდეცა. იგი მიემსგავსება იმ გონიერ კაცსა, რომელმაც ღრმად მოსთხარა სახლის საფუძველი და კლდეზე დაამყარა საძირკველი. ამისათვის, როცა მო-

ვიდა წვიმა, აივსო მდინარეები ნიაღვრითა, ასტყდა ქარიშხალი, დაეჯახნენ იმ სახლს, მაშინ საძირკველი მისი ვერ შეანძრიეს, რადგანაც ის კლდეზე იყო დამყარებული. მაგრამ ვისაც მხოლოდ ესმის ჩემი სიტყვები და არ კი ასრულებს, ის კაცი კი მიემსგავსება იმ უგუნურს, რომელმაც თავის სახლი ქვიშაზე ააშენა. —მოვიდა წვიმა, ადიდნენ მდინარენი, ასტყდა გრიგალი, ეცნენ ამ სახლს, და ის მაშინვე დაინგრა, და იყო დაცემა იგი მისი დიდი ფრიად». —

ასრე იქადაგა იესო ქრისტემ მთაზე იმ დღეს, როცა ცხრა ნეტარების მცნებანი წარმოსთქვა. ხალხს უკვირდა მისი მოძღვრება, ამისათვის რომ ის ქადაგებდა, როგორც ერთი ვინმე დიდი უფლების მქონი, და არა ისრე, როგორც მოძღვრებდენ მწიგნობარნი. როცა, ამის შემდეგ, ის ჩამოვიდა მთიდგან, მას დიდ-ძალი ხალხი მოჰსდევდა კიდევ უკან.

## 35. კაპერნაუმელ ასისთავის მოსამსახურის განკურნება.

ლუკ. 7. 1—10. მათ. 8. 5—13.

იესო ქრისტე მოვიდა კაპერნაუმს. აქ ერთს ასისთავს, ჩამომავლობით რომაელს, მოსამსახურე ძალიან ავათ ჰყავდა. იმის მორჩენის იმედი იმას აღარა ჰქონდა, მაგრამ შეიტყო თუ არა იესო ქრისტე კაპერნაუმს მოსულაო, მაშინვე გაგზავნა მასთან ურიების მოხუცებულნი კაცნი და მათის პირით სთხოვა განეკურნა მისი მოსამსახურე. ისინი მოვიდნენ და უთხრეს: „ის ღირსია შებრალებისა, ამისათვის რომ უყვარს ურიები და შესაკრებელიც მან აგვიშენაო“. იესო ქრისტემ შეისმინა მათი თხოვნა, და როცა მიუახლოვდა სახლს, ასისთავმა მიაგება წინ მეგობრები და შეუთვალა მათის პირით: „უფალო! ნუ სწუხდები; მე ღირსი არა ვარ, ჩემს სახლის სართულს ქვეშ შემოხვიდე. მე თვითონაც იმისათვის არ მოველ შენთან, რომ თავი ჩემი

ღირსად არ მიმაჩნია შენთან მოსვლისა. სთქვი მართო სიტყვით, —და მონა ჩემი, უეჭველია, განიკურნება. მეც კაცი ვარ, სხვის მორჩილებაში მყოფი, მაგრამ ჩემს ხელ-ქვეით მყოფ კაცებს ერთს ვუბრძანებ:—წადი და ისიც მიდის; მეორეს ვეუბნები გააკეთე საქმე და ისიც აკეთებს". იესო ქრისტეს გაუკვირდა მტკიცე სარწმუნოება ასისთავისა, მიუბრუნდა ხალხს და უთხრა: „ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ, რომ ამისთანა სარწმუნოება ისრაილთ შორისაც არ მინახავს". ამის შემდეგ იესო ქრისტემაც შეუთვალა ასისთავს, მოგზავნილ კაცების პირითვე: „ვითარცა გრწამს, ეგრე იქმნეს შენდა, და განიკურნა მონა იგი მას ჟამსა შინა".

## 36. მკვდრეთით აღდგენა ნაინელ ქვრივი დედა-კაცის შვილისა.

ლუკ. 7. 11—17.

კაპერნაუმიდგან იესო ქრისტე წავიდა ქალაქს ნაინს. მას გაჰყვნენ მისნი ზოგიერთნი მოწაფენიც და ხალხიც მრავალი მისდევდა უკან. როცა მიუახლოვდა ქალაქის ალაყაფის კარებსა, მაშინ გამოასვენეს იქიდგან მიცვალებული. ეს იყო დედის ერთა-შვილი. იესო ქრისტემ დაინახა მისი ქვრივი დედა. ის უნუგეშოდ ტიროდა თავის შვილის სიკვდილზე; ამისათვის შეებრალა და უთხრა:—„ნუ სტირ". ამის შემდეგ მივიდა მიცვალებულთან, დაასვენებინა ის და უთხრა: „ჭაბუკო! შენ გეუბნები—ადსდეგ" მკვდარი მყისვე გაცოცხლდა, წამოდგა და დაიწყო ლაპარაკი. და მისცა იგი იესო ქრისტემ დედასა თვისსა. ხალხს ძალიან გაუკვირდა, და დაიწყო დიდება ღვთისა და ამბობდა: „დიდი წინასწარმეტყველი გამოჩენილ-არს ჩვენ შორის! ღმერთმა მოჰხედა ერსა თვისსა». ეს ამბავი მოეფინა მთელს ურიასტანს და მის გარემო სოფლებს.

## 37. იოანე წინამორბედი ჰკითხავს იესო ქრისტეს: «შენ ხარ-მესია, თუ სხვას უნდა მოველოდეთო?»

ლუკ. 7, 18—28 მათ. 11, 2—14.

იოანემ შეიტყო, როცა საპყრობილეში იყო, რომ იესო ქრისტე დიდს სასწაულებსა იქმს. ამისა გამო მიუგზავნა ორნი თავის მოწაფეთაგანნი და ჰკითხა: „შენა ხარ, რომელი უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა მოველოდეთ?» ისინი მოვიდნენ და ჰკითხეს მას იოანესაგან დაბარებული სიტყვა. მაგრამ ქრისტემ ჯერ პასუხი არ მისცა მათ. როცა განკურნა მრავალნი სნეულნი, მერმე უთხრა მათ: „მიდით, უთხარით იოანეს, რაც გაიგონეთ და თქვენის თვალით იხილეთ: ბრმებს თვალები აეხილვებათ, კუტნი დადიან, კეთროვანნი განიწმინდებიან, ყრუთა ესმით, მკვდარნი აღსდგებიან და გლახაკთა კეთილი ექადაგებათ. და ნეტარია, ვისაც ეჭვი არა აქვს ჩემდა მიმართ“.

იოანეს მოწაფენი წავიდნენ. მაგრამ იმათ გამოკვლევამ ბევრს მსმენელს სარწმუნოება შეურყია. იმათ იოანე ისეთ კაცად ეჩვენათ, რომლის ჭკუა-გონებაც ლერწამივით ირყევა და ერთს სიტყვაზე მტკიცედ არა სდგას. ეს არა მართალი აზრი ხალხისა შეიტყო იესო ქრისტემ და სთქვა იოანეზე, რომ ის დიდი წინასწარმეტყველი არისო. იმან უთხრა ხალხს: „რის სანახავად მოხვედით უდაბნოში? ლერწმისა, რომელსაც არყევს ქარი, თუ მდიდრულად ტანისამოსით შემოსილის კაცისა? თუ წინასწარმეტყველისა? გეტყვით, რომ თქვენ მოხვედით წინასწარმეტყველზე უდიდესის სანახავად. იოანე ის წინასწარმეტყველია, რომელზედაც დაწერილია: „აჰა ესერა, წარვავლინო მე ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელიც მოამზადებს შენს გზას წინაშე შენსა. ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ, რომ დედათაგან შობილ-

თა შორის იოანე ნათლის-მცემელზე უდიდესი წინასწარმეტყველი არავინ არის. მაგრამ უმცროსი სასუფეველსა ცათასა უფროს მისსა არს".

## 38. ცოდვების მიტევება დედა-კაცისათვის, რომელმაც იესო ქრისტეს ნელსაცხებელი სცხო ფეხზე.

ლუკ. 7. 36—50.

ფარისეველმა სვიმონმა იესო ქრისტე თავის სახლში სადილად მიიპატიჟა. მს შეიტყო ერთმა ცოდვილმა დედა-კაცმა და მივიდა იმასთან იმ დროს, როცა სადილზე ისხდნენ; თან-შეიტანა ქურქლით ნელსაცხებელიცა, დადგა იესო ქრისტეს ფეხებთან, და დაიწყო ტირილი; ცხარე ცრემლებსა ღვრიდა მის ფეხებზე, სწმენდდა იმათ თმითა თავისა თვისისა, უკოცნიდა ფეხებს და სცხებდა ნელსაცხებელსა. იესო ქრისტე არ უშლიდა მას ესრედ ქცევასა, რადგან მიიღო მისი მხურვალე სინანული.

მაგრამ ასრეთი სიბრალული არ მოეწონა სახლის პატრონს სვიმონს და გაიფიქრა გულში: „ეს (იესო) თუ წინასწარმეტყველი იყოს, ეცოდინებოდა ვინ და რა ნაირი დედა-კაცი შეეხება მას". იესო ქრისტე მიუხდა სვიმონსა რასა ჰფიქრობდა გულში და უთხრა: —„ერთს ფულის გამსესხებელს ორი მევალე ჰყავდა: ერთს უნდა მიეცა ხუთასი დრაჰკანი, მეორეს ორმოცდაათი; მაგრამ რადგან არაფერი ჰქონდათ ვალის გადასახდელად, ამისათვის ფულის პატრონმა ორივეს აპატივა ვალი. ახლა მითხარ, რომელმა უფრო შეიყვარა ის?" სვიმონმა უპასუხა: „ვგონებ იმან, რომელსაც უფრო მეტი აპატივა". —მართალს ამბობო", უპასუხა ქრისტემ. მერმე მიჰხედა დედა-კაცს და უთხრა სვიმონს: «ჰხედავ ამ დედა-კაცსა? მე მოვედი შენს სახლში და შენ წყალი არ მომართვე ფეხთ დასაბანად; მაგრამ ამან კი

თავის ცრემლებით დამბანა ფეხები და მერმე თავისა თუისისა თმით განსწმინდა. შენ არ მომეცი მე ამბორის-ყოფა: მაგრამ ეს კი, რაც მე მოველ, არა სცხრება და მკოცნის ფეხებზე. შენ ზეთი არა მცხე მე თავზე, მაგრამ ამან კი ჩემს ფეხებს ნელსაცხებელი დაასხა. ამისათვის მე გეუბნები შენ: მას ეპატიევება მრავალი ცოდვები, რადგან მრავალი შეიყვარა“.

ასრეთი დარიგება რომ მისცა სვიმონს, მერმე მიუბრუნდა დედა-კაცს და უთხრა: „მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი. სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. ახლა წადი მშვიდობით“.

## 39. ფარისევლები ცილსა სწამებენ იესო ქრისტეს, რომ ბელზებულის ძალით შენ ეშმაკებს განდევნიო, მაგრამ ის [illegible] ჭყოფს და ამტყუნებს მათ.

მათ. 12. 22—37.

ერთხელ იესო ქრისტესთან მოიყვანეს ეშმაკეული კაცი, რომელიც ამასთანავე ბრმაც იყო და მუნჯიცა. იმან ის განჰკურნა. მან დაიწყო ხედვაცა და ლაპარაკიც. ხალხს ძალიან უკვირდა და ამბობდა „განა ეს არ არის ქრისტე, ძე დავითისა?“ ასრეთი შსჯელობა ხალხისა ფარისეველებსა და მწიგნობრებს ძალიან ეწყინათ. იმათ დაიწყეს იესო ქრისტეზე ცილის წამება. იერუსალიმელი მწიგნობრები ბეჯითად არწმუნებდენ ყველას, რომ ეშმაკების მოთავე ბელზებული ჰყავს იესო ქრისტეს და მის შემწეობით ეშმაკებს განდევნისო. იესო ქრისტემ შეიტყო მათი ცილის-წამება, დაუძახა იმათ თავისთან და დაუწყო გამტყუნება: „როგორ შეიძლება ეშმაკმა განდევნოს ეშმაკი? სამეფო თავის თავს თვითონვე წინაალმდეგი რომ გაუხდეს, მაშინ ის ხომ აოხრდება? აგრეთვე ყოველი ქალაქი ანუ ოჯახი თავის თავის წინაალმდეგი რომ შეიქმნეს, მაშინ ვერც ის დაიჭერს თავს. სწორეთ ასრე დაემართება ეშმაკსაც: უკეთუ ეშმაკი გან-

დევნის ეშმაკსა, მაშ ის წინააღმდეგი ყოფილა თავის თავისა; მაშინ ხომ იმისი სამეფოც ვეღარ შეიძლებს არსებობას, ამისათვის რომ მისი აღსასრულის დღე მოსულა. ამას მე იმაზე გეუბნებით, რომ თქვენ ხალხში ხმასავრცელებთ, ვითომც მე ბელზებულის ძალით განვდევნიდე ეშმაკებს. და უკეთუ მე ბელზებულის ძალით გავდევნი ეშმაკებს, მაშ თქვენი შვილები ვიღასილა ძალით განასხმენ იმათ?“ (და რადგან თქვენ უარს არა ჰყოფთ იმათ მოქმედებას, ამისათვის) „ისინი გაგამტყუნებენ თქვენ სამჯავროში. ხოლო უკეთუ მე ძალითა ღვთისათა განვდევნი ეშმაკებს, მაშ ცხადია, რომ ღვთის სასუფეველს თქვენამდე მოუხწევია. როცა ძლიერი იცავს თავის სახლს იარაღით, მაშინ იმის ქონებას შიში არა აქვს: არავის შეუძლიან შევიდეს იმის სახლში და აიკლოს მისი ქონება, თუ რომ ჯერ არ შებორკილა ისა. მაგრამ როცა მოვა იმაზე უძლიერესი და დაამარცხებს მას, მაშინ აჰყრის იარაღს, რომელზედაც იმას იმედი ჰქონდა, და აიკლებს მის ქონებას. რომელიც ჩემთან ერთად არ შეჰკრებს, იგი განაბნევს. ამისათვის ჭეშმარიტად გეუბნებით: ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევებათ კაცთა; მაგრამ სულის წმიდის გმობა კი (ესე იგი სასწაულის უარის ყოფა) არ ეპატიება კაცს არც სააქაოს, არც საიქიოს, და იგი საუკუნო სამართალში—სასჯელში იქნება მიცემული“.—თქვენ ორში ერთი უნდა მიიღოთ: »ან ხე კეთილად უნდა იცნოთ და მისი ნაყოფიც კეთილად მიიჩნიოთ, ანუ ხეც ბოროტად უნდა აღიაროთ და მისი ნაყოფიცა: ამისათვის რომ ნაყოფისაგან იცნობების—ხე კეთილია თუ ბოროტი“.

ეს მხილება ფარისესვლებისა იესო ქრისტემ დაასრულა შემდეგის სიტყვებით: «გველის ნაშობნო! როგორ შეგიძლიანთ კეთილის თქმა, როცა თქვენ უკეთურნი ხართ. ღვარძლით სავსე თქვენი გული ათქმევინებს თქვენს ენას სიცრუეს. კეთილს კაცს თავის გულის კეთილ საუნჯიდგან კეთილი გამოაქვს; ბოროტი კაცი კი თავის გულის ბოროტის საუნჯიდგან იღებს ბოროტსა“.

### 40. იგავნი, იესო ქრისტესაგან ნათქვამნი, მთესვარზე, მდოგვზე, პურზე და ღვარძლზე.

მათ. 13. 1—43. მარკ. 4. 1—20. ლუკ. 8. 4—15.

თვალთა სინათლესა და სმენას მოკლებული სნეული რომ განკურნა იესო ქრისტემ, ამის შემდეგ გამოვიდა გალილიის ზღვის პირად. აქ შეიყარა დიდ-ძალი ხალხი. იესო ქრისტე ჩაჯდა ნავში, შესცურა ცოტაოდნად ზღვაში, მერმე გააჩერებინა ის და გადასცა ხალხს, ზღვის კიდეზე მდგომარეს, ის სწავლა, რომელიც იმან, მესიამ, მოიტანა ციდგან ქვეყანასა ზედა ხალხთა შორის გასავრცელებლად. ეს სწავლა წარმოსთქვა იმან იგავებით.

«აგერ გამოვიდა მთესვარი თესვად. როცა სთესავდა, ზოგი მარცვალი დაჰვარდა გზაზე და ფრინველებმა აკენკეს; სხვები დაჰცვინდენ კლდოვანს ალაგს, სადა ნიადაგი ცოტა იყო, და მაშინათვე აღმოცენდენ, მაგრამ ფესვები ღრმად ვერ გაიდგეს, მალე დაჭკნენ და გახმნენ; ზოგი დაჰვარდა ეკლის ბუჩქებში; იმათ მაშინათვე ყლორტი ამოუშვეს; მაგრამ ეკლებმა გასაზრდელად არ გაუშვეს და ისინი გახმნენ; ზოგი ჩამოჰვარდა ნოყიერს ნიადაგზე და ნაყოფი გამოიღეს: ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმა ოცდაათი.»

მოციქულები ვერ მიჰხვდნენ ამ იგავის აზრს და სთხოვეს იესო ქრისტეს აეხსნა. იმანაც ასრე განუმარტა მათ იგავი: „მთესვარი სიტყვასა არის ღმერთი: თესლი არის სიტყვა ღვთის. ვისაც ესმის სიტყვა ღვთისა და მტკიცედ არ ინერგავს გულში და არ შეიგნებს მისს აზრს, მასთან მოდის ეშმაკი და მის გულში დათესილს სიტყვას იტაცებს. ამ გვარ კაცებს ნიშნენ ის მარცვალნი, რომელნიც გზაზე ჩამოცვივდენ. ხოლო კლდოვანს ადგილს ჩამოვარდნილი მარცვლები აღნიშნავენ იმ კაცებს, რო-

მელთაც ესმათ სიტყვა ღვთისა და მაშინათვე სიხარულით მიიღეს; მაგრამ ღრმა რწმუნება არა ჰქონდათ: ერთ დრომდე იწამეს და როცა მის მიღებისათვის განსაცდელი შეჰხვდათ, მაშინათვე უარი ჰყვეს. ეკლებში ჩამოცვივნული მარცვლები ნიშნავენ იმ კაცებს, რომელთაც ესმით კეთილი სიტყვა, მაგრამ ამ წუთის სოფლის ცხოვრება ისრე შეჰყვარებიათ, რომ მასზე მზრუნველობა სრულიად ჰჩაგრავს კეთილს სწავლას, და ის უნაყოფოდ რჩება. პოხიერს ნიადაგზე დათესილი მარცვლები კიდე ნიშვნენ იმ ნაირს კეთილს კაცებს, რომელთაც შეიტყვეს სწავლა, შეიგნეს მისი აზრი, დაინერგეს კეთილსა და უმანკო გულში და კეთილი ნაყოფიც გამოიღეს.

რადგან ასრე ძნელად ვრცელდება კაცთა შორის კეთილი სიტყვა ღვთისა, ამისათვის «სასუფეველი ცათა მიემსგავსება იმ მდოგვის მარცვალს, რომელიც კაცმა აიღო და თავის აგარაკზე დანერგა. თუმცა ეს თესლი ყველა თესლებზე უმცირესია, მაგრამ ისეთი დიდი იზრდება და ისეთი ხე ხდება, რომ ციურნი ფრინველნი მოდიან და იბუდებენ მის შტოებზე“. სწორეთ, მდოგვის მზგავსად მცირე იქნება პირველად ქრისტეს მორწმუნე საზოგადოებაცა, ეკლესია ზეციური მეუფისა; მაგრამ შემდეგში მდოგვის მზგავსად სწავლა სახარებისა მოეფინება ხალხთა შორის და რიცხვი მორწმუნეთა გამრავლდება.“

პურსა და ღვარძლზე თქმული იგავით იესო ქრისტემ ის აზრი გამოსთქვა, რომ მის სასუფეველში ქვეყნის დასასრულამდე იქნებიან ცოდვილნიცა: „სასუფეველი ცათა მიემსგავსება იმ კაცსა, რომელმაც კარგი თესლი დასთესა აგარაკზე. როცა კაცებს ეძინათ, მოვიდა მტერი, დააყარა დათესილს პურს ზევიდამ ღვარძლი, და წავიდა. როცა ამოვიდა ჯეჯილი, გაიზარდა და თავ-თავები ამოიღო პურმა; მაშინ გამოჩნდენ მათ შორის ღვარძლნიცა. მონებმა ეს რომ ნახეს, ჰკითხეს ბატონს: განა კარგი, დარჩეული თესლი არ დასთესე შენს აგარაკშია? ღვარძლი საიდგანღა გამოერია?—იმან უპასუხათ: ის მტერმა

ჰქმნა.—ნებავს, წავიდეთ და გავმარგლოთ იგი? უთხრეს ბატონს; მაგრამ მან არ ინება: ნუ, სთქვა ბატონმა,—საშიშარია. გამარგვლის დროს ღვარძლებთან ერთად რომ პურიც არ გაჰყვეს თან; აცადეთ, დაე ერთიცა და მეორეც ერთად გაიზარდნენ მომკამდე: მკის დროს ვუბრძანებ მომკლებს: ჯერ ღვარძლი შეკრიბონ, ძნად შეჰკრან და დაწვან, შემდეგ კიდე პური შეკრიბონ ჩემს საუნჯეში».

მოციქულებმა ვერ გაიგეს ამ იგავის აზრი და სთხოვეს იესო ქრისტეს აეხსნა მისი მნიშვნელობა. იმანაც გაუგონა მათ და ასრე ახსნა ეს იგავი: «კეთილი თესლის დამთესავი არის ძე კაცისა; აგარაკი ქვეყანაა; კეთილნი თესლნი არიან ძენი სასუფეველისა, ხოლო ღვარძლნი არიან ძენი უკეთურებისა. მტერი, რომელმაც დასთესა ღვარძლი, არის ეშმაკი; მკა ნიშნავს ქვეყნის დასასრულს, და მომკალნი არიან ანგელოზნი. როგორათაც მკის დროს ღვარძლს გადაარჩევენ და ცეცხლში დასწვენ ხოლმე, ეგრე იქნება ქვეყნის აღსასრულიცა. ძე კაცისა გამოგზავნის თავის ანგელოზებს, ისინი შეჰკრებენ ყველა მაცდურებს და უსჯულოების მომქმედთ ცეცხლის სახმილში ჩაჰყრიან: იქ იქნება ტირილი და ღრჭენა კბილთა; ხოლო მართალნი, ვითარცა მზე, გაბრწყინდებიან სასუფეველსა შინა მამისასა. ახლა რომელსა ასხენ ყურნი სმენად,—ისმინენ".

## 41. გენისარეთის ზღვაზე ქარიშხლის დაწყნარება.

მარკ. 4. 35—41. მათ. 8. 18, 23, 27, ლუკ. 8. 22—25.

იესო ქრისტემ რომ გაათავა იგავით სწავლება, შემდეგ გაემგზავრა თავის მოწაფეებთან ერთად და ჰსურდა ზღვის მეორე მხარეს გადასასვლა. ის იჯდა ნავში. მას მისდევდნენ უკან სხვა ნავებიცა. ქრისტეს ეძინა ნავის თავზე. უეცრად ასტყდა საშინელი ბორბალი ქარისა. ღელვა ისრე დიდი იყო, რომ წყალს ნავში

ახხამდა. მოწაფეები შეშინდენ და გააღვიძეს იესო ქრისტე. „მოძღვარო! უთხრეს იმათ, ვიღუპებით, და ნუთუ არ გვიშველი? უფალო გვიხსენ“, შეჰძახეს მას.—„რაზე შეშინდით, მცირედ მორწმუნენო! უთხრა იესო ქრისტემ; მერმე აღსდგა, გაურისხდა ზღვასა და ქარსა, და «დასცხრა ქარი იგი და დაწყნარდა ღელვა იგი ზღვისა». ნავებზე მყოფთ ყველას ძლიერ შეეშინდათ და ერთმანერთს ეუბნებოდნენ. «ვინ არის ესა, რამეთუ ქარიცა და ზღვაცა მას ემორჩილებიან?»

## 42. განდევნა ეშმაკთა ლეგეონისა.

მარკ. 5. 1—20. ლუკ. 8. 28—39. მათ. 8. 28—34.

იესო ქრისტემ ზღვა გადაიარა და მივიდა გადარინელთა ქვეყანას. აქ იყო ქალაქი, სახელად გადარა. მის გარშემო ამართული იყო კლდოვანი მთა. ამ მთაში იყვნენ გამოკვეთილნი აკლდამები, რომლებშიაც მკვდრებს მარხავდენ. მის მახლობლად გაივლიდა ქალაქის გზა. იმ დროს, როცა ქრისტე მიუახლოვდა ქალაქს, აკლდამებში სცხოვრებდა ერთი ეშმაკისაგან შეპყრობილი კაცი. ხალხი რომ მიდიოდა გზაზე, ეს ეშმაკეული კაცი გამოდიოდა აკლდამებიდგან და ყველა გამვლელ გამომვლელს თავს შიშის ზარს სცემდა. ამისათვის ბევრჯელ დაიჭირეს ის და შეჰკრეს რკინის ჯაჭვებით, მაგრამ ცოფიანობა რომ მოუვლიდა, სწყვეტავდა ჯაჭვსა, მოდიოდა ისევ იმავე სასაფლაოზე და ახეთქებდა თავს კლდეებსა. ცუდს ცხოვრებას ის იქამდე მიეყვანა, რომ მისი სული სრულიად ეშმაკის უფლების კვეშ იმყოფებოდა. მის მახლობლად ეხლა უნდა გაეარნა იესო ქრისტესაც. გავიდა თუ არა ის ზღვის კიდეზე, მაშინვე მოიჭრა ეს ბნედიანიცა, თაყვანი-სცა მას და უთხრა: «რა გინდა ჩემგან იესო ძეო ღვთისა მაღლისაო? გაფიცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ». იესო ქრისტემ ჰკითხა მას სახელი. იმან უპასუ-

ხა, რომ ჩემი სახელი ლეგიონი არისო, ამისათვის რომ ჩვენ მრავალნი ვართო. ამას ათქმევინებდენ ეშმაკეულს ბოროტნი სულნი და ლეგიონიც ეშმაკთა სახელი იყო, და არა იმ კაცისა. დაუწყეს ეშმაკებმა იესოს ვედრება, რომ სოფელს გარეშე ნუ გაგვყრიო, და ნება მოგვეცი, მივიდეთ ღორებთან, და მათს გულსა შინა შევიდეთო. იმან ნება მისცათ. ღორები იმ დროს, მახლობლად, ზღვის პირად, მთის ფერდობზე, სძოვდენ და თანა ჰყავდათ მწყემსებიცა. უწმინდურნი სულნი გავიდნენ კაცისაგან, მივიდნენ, შეუძვრნენ გულში ღორებს, დააფთხვინეს, და ზღვაში გადაჰყარეს, და დაახრჩვეს. ბიჭი მყისვე განიკურნა, მოეგო მრთელს ჭკუას და სიამოვნებით ყურს უგდებდა ქრისტეს მოძღვრებასა.

მღორეებმა ეს საკვირველი ამბავი შეატყობინეს პატრონებს. ხალხი მოვიდა, ნახა იესო ქრისტე და აგრეთვე განკურნული ეშმაკეული კაცი. პატრონებს ძალიან ეწყინათ ღორების დალუპვა და თანაც უკვირდათ სასწაულთ-მოქმედება. ხალხს ეშინოდა, კიდევ რამე უბედურება არ შეგვამთხვიოსო. ამისათვის სთხოვეს ქრისტეს: მოგვშორდი და ნუხარ ჩვენს ქვეყანაშიო. მაშინ ჩაჯდა ის ისევ ნავში და წასვლა დააპირა. ყოფილმა გიჟმა სთხოვა: მეც თან-წამიყვანეო, მაგრამ იმან უბრძანა: «დაბრუნდი შენს სახლში, და უამბე მოყვასთა შენთა, რა წყალობა გიყო შენ უფალმა, და ვითარ შეგიბრალა შენ ღმერთმა».

იესო წარვიდა ისევ გალილიას, განკურნულმა კაცმა კი დაიწყო ხალხში ქადაგება, რა მოწყალება უყო მას უფალმა. ყველას უკვირდა ეს გასაოცარი სასწაული.

### 43. განკურნება სისხლ-დინებით სნეული დედა-კაცისა და იაიროსის ასულის მკვდრეთით აღდგინება.

მარკ. 5. 21—43. ლუკ. 8. 40—56. მათ. 9. 18—265.

იესო ქრისტე დაბრუნდა და ისევ ზღვის მეორე მხარეს გა-

დავიდა. აქ მოეხვია მას მრავალი ხალხი. აქვე მოვიდა მასთან ურიათა შესაკრებელის მთავარი იაიროს. ის დაემხო იესო ქრისტეს ფეხებს წინ და შესაბრალისად ევედრებოდა: «ერთად-ერთი ასული მყავს და მიკვდება, მოდი ხელი შენი შეახე, და ის განიკურნება და ცოცხალი იქნებაო».

იესო ქრისტე წავიდა. მას მისდევდენ მისნი მოწაფენი და მრავალი ხალხიცა. ამ ხალხში ერია თორმეტი წელიწადის სისხლ-დინებით ავადმყოფი დედა-კაცი. ექიმებზე იმან თავისი ქონება გადაალია, მაგრამ არა ეშველა რა. ახლა ესეც მოვიდა და შველას ქრისტესაგან მოელოდა. მაგრამ პირის-პირ მისვლა და თხოვა ვერ გაბედა; რადგან სნეულება მოსეს სჯულით ითვლებოდა უწმინდურებად, ამისთვის ხალხში შეძვრა და შეეხო იესო ქრისტეს ტანსაცმელს. იმას დიდი იმედი ჰქონდა, რომ მარტო შეხებაც საკმაო იქნებოდა მის გასაკურნავად. მართლაცა-და შეეხო თუ არა მისს სამოსელს, მაშინვე შესწყდა სისხლის დენა». მაშინ იესო ქრისტემ იგრძნო, რომ მისგან განვიდა ძალი სასწაულთ-მოქმედებისა, და იკითხა: «ვინ იყო, რომელიც შეეხო ჩემს შესამოსსა»? «არავინ გამოტყდა, რომ მე ვიყავიო“. მაშინ პეტრემ უთხრა: «მოძღვარო! ხომ ჰხედავ, რაოდენი ხალხი გეხვევა და გეჯახება; რასა ჰკითხულობ, ვინ შემეხო მეო?“—მაგრამ იმან უთხრა: «ვიღაცა განზრახ შემეხო, და მე ძალა განმეშორაო». დაიწყო იესომ გარშემო ყურება, რომ დაენახა, ვინ შეეხო მას.

ახლა კი დედა-კაცი შეშინდა, შემიტყობენო, მივიდა მასთან, დაემხო წინაშე მისსა და გამოუცხადა ხალხში, რა განზრახვითაც გაბედა შეხება. მაშინ იესო ქრისტემ უთხრა: „ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ; წარვედ მშვიდობით და იყავ შენის სნეულებისაგან განკურნული».

ჯერ ეს სიტყვები არ გაეთავებინა ქრისტეს, მოვიდნენ იაიროსთან კაცები და უთხრეს: «ასული შენი უკვე მოკვდა, ნუღარ აწუხებ მოძღვარსა». ეს გაიგო იესო ქრისტემ და უთ-

ხრა: იაიროსს „ნუ გეშინიან, მხოლოდ გრწამდეს და იქნება ცოცხალიო“, და უბრძანა ხალხს აღარ მისდევდეს მას, და თან წაიყვანა მხოლოდ პეტრე, იოანე და იაკობი. მიუახლოვდენ იაიროსის სახლს. იქიდგან ისმოდა ტირილის ხმა. ქრისტე შევიდა სახლში და უთხრა მტირალთა: „რას სტირით? ქალი ეგე არ მომკვდარა: იმასა სძინავს“.

ამის მერმე გაისტუმრა ყველანი სახლიდგან და თვითონ მიცვალებულის დედმამით და თავის სამის მოწაფით შევიდა გარდაცვალებულის ოთახში, მოჰკიდა მას ხელი და სთქვა: „შენ გეუბნები, ქალო, აღსდეგ“. მკვდარი მაშინვე გაცოცხლდა, ადგა და დაიწყო სიარული. იესო ქრისტემ უბრძანა, მიეცათ მისთვის საჭმელი — ამ სასწაულმა ყველა განცვიფრებაში მოიყვანა და დაიწყეს იმაზე ლაპარაკი ყოველგან.

## 44. თორმეტი მოციქულის გაგზავნა საქადაგებლად.

ლუკ. 9. 1—6. მათ. 9. 35—38, 10. 1—16. მარკ. 6. 6—13.

იესო ქრისტეს ძალიან ებრალებოდა ხალხი, ამისათვის რომ ის იყო დამაშვრალი და უზრუნველად დატოვებული. სადუკეველნი, მწიგნობარნი და ფარისეველნი ერთმანერთს ებაასებოდნენ და ხალხი კი იყო უპატრონოდ. მას ეჭირვებოდა საღმრთო მოძღვრება, მაგრამ მქადაგებელნი არა ჰყვანდა. ამისათვის იესო ქრისტემ უთხრა მოწაფეებს: „მომკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რათა მოავლინოს სამკალისა მომქმედნი“. ამის შემდეგ იმან გაგზავნა თორმეტი თავისი მოციქული ორ-ორი ერთად ურიასტანის ყოველს ქალაქს და სოფლებში სახარების საქადაგებლად, და ასეთი ბრძანება და დარიგება მისცა: „ნუ უქადაგებთ ნურც წარმართთა და ნურც სამარიტელებს; მიდით მხოლოდ ისრაილის სახლის წარწყმედულ შვილებთან. სადა კი

მიხვიდეთ, ყოველგან იქადაგეთ მოახლოვება ცათა სასუფეველისა. სნეულნი განკურნეთ, კეთროვანნი განსწმინდეთ, მკვდარნი აღადგინეთ: ეშმაკნი განდევნეთ; მაგრამ ამ შრომისათვის ხალხს ნურას გამოართმევთ: უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე მისცემდით. თან-ნუ წაიღებთ ნუცა ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა სპილენძსა, ნუცა ვაშკარანსა (ხურჯინსა), ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა პურსა, ნუცა წალებსა, გარდა ქალამნებისა და კვერთხისა: ამისათვის რომ რაც თქვენის ცხოვრებისათვის საჭიროა, მოგცემენ ისინი, ვისაც უქადაგებთ, რადგან ყოველი მშრომელი ღირსია გამოკვებისა. ქალაქში ანუ სოფელში რომ შეხვალთ, ჯერ გამოიკითხეთ, ვინ არის იქ ღირსეული კაცი, მერმე მიდით და იმასთან იცხოვრეთ, ვიდრე იმ სოფლიდგან გამოხვიდოდეთ; სახლში რომ შეხვალთ, მოიკითხეთ (სახლის პატრონი) და სთქვით: მშვიდობა სახლსა ამას. უკეთუ ის სახლი ღირსია, მოვა იმაზე მშვიდობა თქვენი, თუარადა მშვიდობა თქვენი თქვენვე დაგიბრუნდებათ. მაგრამ თუ ვინმემ არ მიგიღო თქვენ და თქვენი სიტყვა არ შეისმინა, იმის სახლიდგან ან ქალაქიდგან რომ გამოდიოდეთ, გაიბერტყეთ იმის სახლში თქვენს ფეხებზე ცხებული მტვერიცა. მართალს გეუბნები თქვენ, რომ სოდომისა და გომორის ქვეყანა სასჯელის დღეს უფრო მელხენით იქნება, ვიდრე ეს ქალაქი. აგერ ეხლა მე გგზავნით თქვენა, როგორც კრავებს, მგელთა შორის: იყავით უკვე მეცნიერ, ვითარცა გველნი, და უმანკო, ვითარცა მტრედნი“.

მოციქულნი გაემგზავრნენ სოფლებში და ქალაქებში. ისინი უქადაგებდენ ხალხს ქრისტეს სწავლას, ჩააგონებდენ ცოდვების შენანებას, განდევნენიდენ ეშმაკებს და არჩენდენ ავადმყოფებს ზეთის ცხებითა.

სიტყვა უფლისა გამართლდა: ხალხი მოციქულებს სიხარულით უხვდებოდა, გულ-მოდგინედ ისმენდა მათს მოძღვრებას, და შრომისათვის აძლევდა საცხოვრებელსა.

## 45. თავის-კვეთა იოანე ნათლის-მცემლისა.

მარკ. 6. 14—30. მათ. 14. 1—12.

Ⴃედა-კაცის Ⴈროდიადას მეცადინეობით მეფე Ⴈროდმა დაიჭირა Ⴈოანე ნათლის-მცემელი და საპყრობილეში ჩასვა. Ⴈმ კაპასმა ეს კიდევ არ აკმარა ღვთის-მოშიშს კაცსა. Ⴈმას ეწადა წინასწარ-მეტყველის მოკვლა და ამისათვის ეძებდა მარჯვე დროს და შემთხვევას. Ⴃროც მალე იპოვა. Ⴇავის დაბადების დღეს Ⴈროდმა დიდი ნადიმი გამართა და მიიწვია გალილიის დიდებულნი კაცნი და ჯარის უფროსნი. სადილზე კარგათა ჰსვეს და ილხინეს. Ⴟერ სადილადვე ისხდნენ, რომ გამართეს თამაშობაცა. Ⴀმ დროს შევიდა Ⴈროდიადას ასული სალომეც და დაიწყო ცეკვა. Ⴈროდსა და მისს სტუმრებს ძალიან ესიამოვნათ. — «Ⴈთხოვე, რაცა გსურს, მოგცემო», უთხრა Ⴈროდმა ძმის ასულსა, და თანაც უგუნურის კვეხნით შეჰფიცა, რომ სამეფოს ნახევარსაც კი მოგცემო». ქალი გაიქცა დედასთან და ჰკითხა, რა ვსთხოვოო. Ⴈროდიადამ ახლა იშოვა მარჯვე დრო. Ⴜინათ Ⴈროდი წინააღმდეგი იყო Ⴈოანეს მოკვლაზე, ახლა კი ფიცი ჰქონდა თქმული და, მთვრალიც იყო. Ⴀმისთვის დედამ ურჩია თავის ქალს: „სთხოვე თავი Ⴈოანე ნათლის-მცემელისა“. Ⴈს დაბრუნდა საჩქაროდ და უთხრა Ⴈროდს: «მსურს ეხლავე მოაკვეთინო თავი Ⴈოანე ნათლის-მცემლისა და მომცე მე ლაკნითა“. მეფე შეწუხდა. Ⴈმას სინიდისი აწუხებდა, რომ მოუფიქრებელად უგუნური პირობა მისცა ქალს ფიცით, დიდებულთა თანადასწრებით; რცხვენოდა პირობის გატეხა ფიცისა გამო. Ⴈს ჰფიქრობდა: დღეს რომ მე არ აღვასრულო ჩემი ფიცი, ყველა მატყუვარად შემრაცხავს და მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებიო. მაგრამ Ⴈროდმა ის კი აღარ მოიფიქრა, რომ შეუდარებლად უფრო უდიდესი უპატიურება სისხლით გასვრა სამეფო პორფირისა. საჩქაროდ გაგზავნა Ⴈოანეს-

თან საპყრობილეში მეხმლე და მოაკვეთინა მისი თავი. მეფემ მისცა ის მცეკვარს ქალს და იმანაც მიართვა ბოროტსა დედასა თვისსა.

ეს სამწუხარო ამბავი შეიტყეს იოანეს მოწაფეებმა, მოვიდნენ, შემოსეს და შემუსრეს გვამი დიდებულის წინასწარ-მეტყველისა და დაფლეს სამარეში. ამის შემდეგ მისი სიკვდილი შეატყობინეს იესო ქრისტესაც.

## 46. იესო ქრისტეს სასწაულები აწუხებენ იროდს.

ლუკ. 9. 7—9.

იმ დროს, როცა იროდ მეფემ მოჰკვეთა იოანეს თავი, მოციქულები ქადაგებდნენ ხალხში იესო ქრისტეს ქვეყნად მოსვლას, და სახარების წმიდასა სწავლას, და თანაც იქმოდნენ მრავალსა სასწაულებსა. ამისა გამო უფრო მომეტებულად განითქვა იესო ქრისტეს სახელი. შეიტყო იროდმაც, მაგრამ იმას ეგონა, იოანე გაცოცხლებულაო. მისი მოკვლა იმის სინიდისს მოსვენებას არ აძლევდა. ხალხში ზოგნი ამტკიცებდნენ, იოანე აღსდგა მკვდრეთითაო, ზოგნი ამბობდნენ, ილია მოსულაო, ზოგნი ფიქრობდნენ, უთუოდ ვინმე ძველთა წინასწარმეტყველთაგანი მკვდრეთით ამდგარაო. მაგრამ მეფე იროდი ეჭვში იყო და ამბობდა: „იოანეს მე თავი მოვკვეთე, და ეს ვინაა, რომელზედაც ასეთი ხმები მესმისო“. იმას უნდოდა მისი ნახვა, და შეტყობა: მართლაც, იოანე მკვდრეთით ხომ არ ამდგარაო; და რადგან სინიდისი ძალიან აწუხებდა, ამისათვის გულ-დაჯერებით თანაც ფიქრობდა: „ეს უთუოდ იოანე ნათლის-მცემელია, რომელსაც მე მოვკვეთე თავი: იგი მკვდრეთით ამდგარა; ამისათვის სასწაულებიც მისგან ჰხდებაო“, და მეცადინეობდა მის ნახვას.

## 47. ხუთის პურით იესო ქრისტემ ხუთი ათასი კაცი განაძღო.

მარკ. 6. 30—47. იოან. 6. 1—17 მათ. 14. 13—23. ლუკ. 9. 10—17.

იოანე ნათლის-მცემლის სიკვდილის შემდეგ მოციქულნი მალე დაბრუნდნენ ქადაგებიდგან, და უამბეს იესო ქრისტეს ყოველივე, რაცა ჰქმნეს და ასწავლეს ხალხს. რადგან ისინი დამაშვრალნი იყვნენ და ხალხიც ისრე ბევრი ეხვეოდა მას, რომ მოსვენებას არ აძლევდა, ამისათვის ბრძანა წასვლა მოფარებულს ადგილას და შესვენება. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა იქ. შეიტყო რომ იროდი მეფეს მისი ნახვა უნდაო, მოერიდა მას, ჩაჯდა ნავში და გავიდა გენისარეთის ზღვის მეორე მხარეს, საცა იყო ქალაქი ბედსაიდა. აქ უცდიდა მას იგივე დიდ-ძალი ხალხი, რომელიც წინა დღეს მასთან იყო. ვიდრე ის ნელა-ნელა ზღვას გასცურავდა, ხალხი უკვე მოვიდა ზღვის მეორე ნაპირზე და მას წინ დაუხვდა. დაიწყო იესო ქრისტემ ისევ ღვთის სასუფეველზე მუსაიფი. აქვე განკურნა აგრეთვე მრავალი ავადმყოფიცა. მერმე ავიდა ერთს მთაზე, დაჯდა იქ და დასხა თავის მოწაფეებიცა. დღე ღამდებოდა, მაგრამ ხალხი მაინც მოელოდა მას. როცა კარგად შემწუხრდა, მოციქულებმა უთხრეს მაცხოვარს: «უდაბნო არს ადგილი ესე და ღამდება კიდეცა, დაითხოვე ახლა ხალხი, რომ წავიდეს სოფლებში და იყიდოს თავისთვის საზრდო». — «რათ უნდა წავიდნენ: მიეცით მაგათ ჭამადიო», ბრძანა იესო ქრისტემ. ამაზე ფილიპემ უპასუხა: „ამოდენა ხალხს, ორასის დრაჰკანის პური რომ ვიყიდოთ, არ ეყოფაო, ცოტაოდენი მაინც არის რომ შეჰხვდეთ". ამ დროს ზედ-დატანებით პეტრე მოციქულმა სთქვა, რომ ერთს ყმაწვილს ხუთი პური აქვს ქერისა და ორიც თევზიო; მაგრამ ეს რას ეყოფა ამოდენა ხალხსაო. — «პურები აქ მომიტანეთ და ხალხი დასხითო", ბრძანა იესო ქრისტემ. მაშინ ყველანი დასხდნენ მწვანეზედ, რიგ-რიგად, ას-ასი და

ორმოც-და-ათ-ათი. სულ მარტო მამა-კაცები, დედა-კაცებისა და ყმაწვილების გარდა, იყვნენ ხუთასამდე. იესო ქრისტემ აიღო ხელში ხუთი პური და ორი თევზი, შეჰხედა ცას, შეევედრა ზეციერს მამას, აკურთხა პურები, დაამტვრია და მისცა თავის მოწაფეებს, და ამათაც დაურიგეს ხალხსა. აგრეთვე აკურთხა თევზებიცა, და ბრძანა იმათი ჩამორიგებაც. ყველამ სჭამეს და გაძღნენ. ღვთის მადლით ხუთს პურს ისრეთი ბარაქა დაედო, რომ იმათ ნამსხვრევებიდგან მოციქულებმა თორმეტი კალათა კიდევ აავსეს.

ამ სასწაულის შემდეგ ხალხი ამბობდა: «ჭეშმარიტად რომ ეს წინასწარმეტყველი არისო", და უნდოდა ურიათა მეფედ დაესვა, მისდა უნებურად; მაგრამ იესო ქრისტე მოერიდა ქვეყნიურს დიდებას. მისის ბრძანებით მოწაფეები ჩასხდნენ ნავებში და გასცურეს გენისარეთის ზღვის მეორე კიდეზე: თვითონ ის კი დარჩა აქვე და მარტოდ წავიდა უდაბნოს სალოცავად, და ეს იცოდა ხალხმა.

### 48. იესო ქრისტეს ფეხით სიარული ზღვაზე.

მათ. 14. 24—34. მარკ. 6. 48—53. იოან. 6. 18—21.

ნავმა უკვე გასცურა. ზედ ისხდნენ მოწაფეები. ისინი მივიდნენ ზღვის შუამდე. შუა-ღამე იყო. ნავის პირდაპირ იძროდა ძლიერი ქარი. ზღვა ღელავდა და ნავს არყევდა. შიშისაგან მოციქულნი თავზარ-დაცემულნი იყვნენ. ღამე უკვე გატეხილი იყო. ღამის ოთხ საათზე მოწაფეებმა დაინახეს ზღვაზე ვიღაცა მათკენ მიმავალი. ის მიუახლოვდა ნავს და აუქცია გზა. მენავეთ იფიქრეს, რამე მოჩვენება არისო, და მეტის-მეტად შეშინდენ.

წყალზე მოსიარულე იყო თვით იესო ქრისტე. შეშინება რომ შეატყო მოწაფეებს, მიუახლოვდა მათ და უთხრა: „დამშვიდდით, ნუ გეშინიანთ, მე ვარო!» მაშინ პეტრემ უპასუხა:

„უფალო! უკეთუ შენა ხარ, მაშ მიბრძანე, მოვიდე შენთან წყალთა ზედა". ქრისტემ უთხრა: «მოვედ». პეტრემ დაიჯერა, გავიდა ნავიდგან წყალზე და მიდიოდა. მაგრამ როცა შემოუბერა ძლიერმა ქარმა, შეშინდა და დაიწყო წყალში შთანთქვა. მაშინ შეშინებულმა შეჰყვირა და სთქვა: „უფალო, მიხსენ!" იესო ქრისტე საჩქაროდ მივიდა მასთან, მოჰკიდა ხელი, ამოიყვანა და უთხრა: „მცირედ მორწმუნეო! რისთვის ეჭვი გაიტარე გულში?" მერმე მივიდნენ ორივენი მოწაფეებთან და ჩასხდნენ ნავში. ქარი მაშინვე დასცხრა. მოწაფეებმა ყველამ თაყვანისცეს მას და უთხრეს: «არა არს ეჭვი, რომ შენ ხარ ჭეშმარიტად ძე მღვთისა". ამის შემდეგ ნავი მიადგა გენისარეთის ზღვის კიდეს და ისინი გავიდნენ ხმელეთზე.

## 49. იესო ქრისტეს მუსაიფი ცხოვრების პურზე და ზიარებაზე ხორცით და სისხლით.

იოანე 6. 22—71.

იესო ქრისტე მოვიდა ქალაქს კაპერნაუმს; მაგრამ ხალხმა არ იცოდა მისი აქ ყოფნა. ყველას ეგონა, რომ ის ზღვის მეორე მხარესვე დარჩა. მეორე დღეს კი, დილით, სხვა ნავებიც რომ მოვიდნენ და მოიყვანეს ხალხი, ის დაჰხვდათ იქ, და გაუკვირდათ ყველას—როდის მოვიდაო. ისინი ჰკითხავდნენ: „მოძღვარო? ოდეს მოხველ აქა?" ამ კითხვაზე ქრისტემ უპასუხა: «ჭეშმარიტად გეუბნები, თქვენ მეძებთ მე იმისათვის კი არა, რომ სასწაულები ნახოთ და მირწმუნოთ, არამედ მისთვის, რომ სჭამოთ და გაჰძღეთ. იმ საჭმელს კი ნუ ეძებთ, რომლის ჭამითაც კაცი სიკვდილს ვერ ასცდება: ეცადეთ მოიპოვოთ საუკუნო საზრდელი ცხონებისა, რომელსაც ძე კაცისა მოგცემთ; მისი მამა ღმერთია და მას მიუცია მისთვის უფლება დაამტკიცოს სასწაულებით, რომ იგი არის ჭეშმარიტად ძე ღვთისა." ამაზე ურიებმა

ჰკითხეს: «რა სასწაულის ქმნა შეგიძლიან, რომ ჩვენ გირწმუნოთ შენა? (რას გიკვირს, რომ გუშინ ხალხი განაძღე ხუთის პურითაო): ჩვენი მამანი უდაბნოში მანანასა სჭამდენ, როგორც სწერია: „პური ზეცით მოსცა მათ ჭამად." მაშინ იესო ქრისტემ უთხრა: «მოსემ კი არ მოგცათ პური ზეცით, არამედ მოგცათ მამამან ჩემმან, და არც რომ შეიძლება ზეციერ პურად წოდება მანანასი. პური ღვთისა ის არის, რომელიც მოვიდა ზეცით და მოსცა ცხოვრება ქვეყანასა. მე ვარ პური ცხოვრებისა. ვინცა მოვა ჩემთან, არასოდეს აღარ მოჰშივა, და ვინც მირწმუნებს, იმას აღარ მოსწყურდება.»

ჯავრობდენ ურიანი, იესო ქრისტემ რათა სთქვაო: «მე ზეცით მოვლენილი პური ვარო. განა ჩვენ არ ვიცნობთ, ის ვისიც შვილი არის? ჩვენ ვიცნობთ მაგის მამასაც და დედასაც. მაშ როგორღა ამბობს, რომ მე ზეცით მოვედიო?" — „ნუ ჯავრობთო, უთხრა იესო ქრისტემ: „მე მართალს ვამბობ; ვისაც სწამს ჩემი სიტყვა, იმასა აქვს საუკუნო ცხოვრება. მე ვარ პური ცხოვრებისა. თქვენმა მამებმა სჭამეს უდაბნოში მანანა და დაიხოცნენ; მაგრამ ზეცით მოსული პური ისრეთი არის, რომ მისი მჭამელი არასოდეს არ მოკვდება. მე ვარ პური, რომელიც ზეცით მოველ; და პური, რომელსაც მე მოგცემთ, ხორცი ჩემი არის: მე იმას შევსწირავ ქვეყნის ცხოვრებისათვის. ვინცა სჭამს ხორცსა ჩემსა და ჰსვამს სისხლსა ჩემსა, მას ექნება საუკუნო ცხოვრება: ამისათვის რომ ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელი არის და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასმელია. და ვინცა სჭამს ხორცსა ჩემსა და ჰსვამს სისხლსა ჩემსა, ის ჩემთანაა, და მე მასთან.»

ამნაირი საუბარი ქრისტესი ურიებს უფრო ეწყინათ, დაიწყეს სამდურავი და ამბობდენ: «რა გასაოცარი სიტყვებია? როგორ შეიძლებს თავის ხორცის შესაჭმელად მოცემას?" თუმცა იესო ქრისტემ აუხსნათ, რომ მისი სიტყვები სწავლასა და ცხოვრებას ნიშნენო, მაგრამ მისი საუბარი ურიებს და მრავალთა მოწაფეთა ისრე წინააღმდეგად ეჩვენათ, რომ აღარ დადგნენ და

მოჰშორდენ მას. ისინი რომ წავიდნენ, იესო ქრისტემ ჰკითხა მოციქულებსა: „თქვენც ხომ არა გნებავთ წასვლაო?“ ამ კითხვაზე პეტრე მოციქულმა უპასუხა: «უფალო! ვისთან უნდა წავიდეთ? შენა გაქვს სიტყვანი საუკუნო ცხოვრებისა; და ჩვენ ვირწმუნეთ და შევიგნეთ, რომ შენა ხარ ქრისტე ძე ღვთისა ცხოველისა.“—„თუმცა თორმეტნი აგირჩიეთ, მაგრამ ერთი თქვენგანი ეშმაკი არისო,“ სთქვა იესო ქრისტემ, და ამით დასრულდა საუბარი.

---

# იესო ქრისტეს საქმენი და სწავლანი მესამე პასექიდგან დაწყებული, ვიდრე ბზობამდე.

## 50. საუბარი იესო ქრისტესი მამა-პაპათა გადმონაცემზე.

მარკ. 7. 1—23. მათ. 15. 1—20.

თავის ქადაგების მესამე წელს იესო ქრისტე არ წავიდა. იერუსალიმს პასექის დღესასწაულზე, რადგან ფარისეველნი მოკვლას უპირებდნენ. ის დარჩა გალილიაში; მაგრამ მტრებმა არც აქ მოასვენეს. იერუსალიმით მოვიდნენ ფარისეველნი და მწიგნობარნი, და თვალ-ყურს ადევნებდენ იმის ქცევას და მოქმედებას. იმათ ნახეს, რომ ზოგიერთმა იმის მოწაფეებმა ხელი არ დაიბანეს დაპური ხელ-უბანელად ჰჭამეს. ეს იწყინეს იმათ და ჰკითხეს: „შენი მოწაფეები რად არღვევენ მამა-პაპათა დარიგებას და დაუბანელის ხელით პურსა სჭამენ?„—«მაშ თქვენ რაღათღა არღვევთ ღვთის მცნებას? ჰკითხა იმათ ქრისტემაც. ღვთისაგან არის ნაბრძანები: პატივი ეცი შენს დედ-მამასა, და ვინც მამაზე ან დე-

დაზე ბოროტს იტყვის, უნდა სიკვდილით დაისაჯოს; მაგრამ თქვენ კი ამბობთ: ვინც ეტყვის მამას ანუ დედას: რა შემწეობაც მე შენთვის უნდა მომეცა, ის უკვე ღმერთს შევსწირეო;— იმას ნებას აძლევთ, დედ-მამა უსაზრდოდ დასტოვოს; და ამ სახით, თქვენის ჩვეულებით უარსა ჰყოფთ უფლის მცნებას.—Ორგულნო! კარგად უთქვამს Ისაი წინასწარმეტყველს, რომ თქვენისთანა კაცები პირით მიუახლოვდებიან Ღმერთს და ენით პატივსა სცემენ მას; გულით კი შორსა სდგანან მისგან. Ამისათვის ამაოდ ემსახურებიან ისინი ღმერთსა, რადგანაც ხალხს ჩააგონებენ კაცურს მცნებებსა.»

Ამის შემდეგ Იესო ქრისტემ დაუძახა ხალხს და უთხრა: «ისმინეთ და შეიგნეთ! კაცს შეაგინებს პირით ამომავალი სიტყვა, და არა (საჭმელი) პირით სტომაქში შემავალი. ქაცის გულით გამოდიან: ბოროტი სიტყვები, ფიქრები კაცის მოკვლისა, პარვა, ცილის-წამება, მრუშება, ქრთამის-მოყვარეობა და ამპარტავნება. Ას ესენი ჰყოფენ კაცს ბოროტად და ცუდად; უბანელის ხელით ჭამა კი არას ავნებს კაცის სულსა.

Ფარისეველებს ძალიან ეწყინათ Იესო ქრისტეს ასრეთი ლაპარაკი. მაშინ იმან უთხრა თავის მოწაფეებს: „დაეხსენით მაგათ, ეგენი ბრმანი არიან. როცა ბრმა წინ მიუძღვის ბრმას, მაშინ უეჭველია, რომ ორივენი ორმოში ჩაცვივიან.»

## 51. განკურნება ქანანეველის დედა-კაცის ასულისა.

მარკ. 7. 24—30. მათ. 15. 22—30.

როცა Იესო ქრისტემ აუხსნა ხალხს, რომ გულის სიწმინდე მამა-პაპის ჩვეულების აღსრულებას ჰჯობიაო, ამის შემდეგ ის წავიდა სიდონისა და ტვიროსის ქალაქების მხარეს. Იმას არა ჰსურდა ვისმეს სცოდნოდა მისი იქ ყოფნა, მაგრამ ერთმა წარმართმა ქანანეველმა დედა-კაცმა მაინც გაიგო. Ამას ავათა ჰყვანდა ქალი. Ის შეპყრობილი იყო ეშმაკთაგან. Ამაზე სწუხდა დედა. Ახლა მოვიდა ის Იესო ქრისტესთან და ასრე ევედრებოდა:

«უფალო! შემიბრალე: ჩემი ქალი ეშმაკებისაგან გაგიჟებულია.» მაცხოვარმა ხმა არ გასცა. დედა-კაციც არ ეხსნებოდა, მისდევდა უკან და ეხვეწებოდა. ასეთის ქცევით იმან მოაბეზრა თავი მოწაფეებს. იმათ უთხრეს ქრისტეს: «გაისტუმრე დედა-კაცი, რომ უკან აღარ მოგვდევდეს.» „ამაზე უფალმა უპასუხა, რომ მე მარტო ურიებისათვის ვარ გამოგზავნილიო." ამ დროს დედა-კაციც მოვიდა, დაემხო იესო ქრისტეს ფეხებს წინ და სთქვა: „უფალო! შემიწყალე." ქრისტემ უპასუხა: «მაცადე პირველად შვილნი განვაძღო: კარგი არ არის შვილებს პური წაართო და ძაღლებს გადუყაროო." *) „უფალო! უპასუხა მორწმუნე ქანანელმა, ძაღლებიცა სჭამენ ბატონების სუფრიდგან გადმოცვივნულ ნამსვრევებსაო."

ეს სიტყვები ამტკიცებენ, რომ დედა-კაცი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ღმერთი მოწყალეა და არ შეიძლება, რომ იმას არ შეეწიოს. მაგრამ თანაც ჰფიქრობდა, რომ ის არ არის ღირსი მიიღოს ისრეთი მოწყალება, როგორსაც ურიანი მოელოდნენ ქრისტესაგან.

ასეთი მისი სარწმუნოება იცოდა იესო ქრისტემ; მაგრამ ეწადა, რომ მას თავისის პირით გამოეცხადებინა. ამის შემდეგ უფალმა უთხრა: „ოი დედა-კაცო! დიდია სარწმუნოება შენი: ისე იყოს, როგორცა გსურს. ეშმაკი განვიდა შენის ასულისაგან.» მართლაცა-და დედა-კაცი რომ დაბრუნდა სახლში, თავისი ასული უკვე მორჩენილი დაჰხვდა.

### 52. ყრუ და ენა-ბლუნგა კაცის განკურნება.

მარკ. 7. 31—37. მათ. 15. 29—31.

იესო ქრისტე დიდ-ხანს არ დარჩენილა ტვიროსისა და სიდონის ქალაქების საზღვრებში. იმან დასტოვა აქაურობა და მოვიდა ისევ გალილიას და დასდგა კაპერნაუმის ზღვის კიდეზე

---

*) ეს სიტყვები ქართველ ხალხს ანდაზად აქვს გადაკეთებული: „შინ რომ ცოლშვილი მშიერი გეხოცებოდეს, ტაბლას გარეთ რა უნდაო."

აქ მოიყვანეს მასთან ყრუ და ენა-ჩლუნგი კაცი და სთხოვეს მისი განკურნება. იესო ქრისტემ გაიყვანა ის ცალკე, შედო თავისი თითები იმის ყურებში, დაასველა ნერწყვით ხელი, და შეეხო ენასა მისსა, შეჰხედა ზეცას, ამოიოხრა და სთქვა: „ალეხვენით." იმავე წამს ყრუს გაეხსნა ენა და სმენა, და დაიწყო ლაპარაკი ისე, როგორც კარგად მყოფ კაცს ესმის და ლაპარაკობს.

აქვე განკურნა იესო ქრისტემ მრავალნი სხვანიცა: კოჭლნი, ბრმანი, ყრუნი და მახინჯნი, და ყველას უბრძანა. არავის უთხრათ, რომ მე მოგარჩინეთო; მაგრამ იმათ ვერ შესძლეს სიკეთის დამალვა; იმათ ჰსურდათ მადლობის გადახდა იესო ქრისტესთვის: გამოვიდნენ და ხმა-მაღლა ლაპარაკობდნენ ხალხში თავიანთ მორჩენის ამბავს.

## 53. ოთხი ათასის კაცის შვიდის პურით გაძღომა.

მარკ. 8. 1—9. მათ. 15. 32—38.

მრთხელ იესო ქრისტე იყო მდინარე იორდანის უდაბნოში. აქ იმასთან დიდ-ძალი ხალხი შეიყარა, და ყურადღებით ისმენდა მის დარიგებას. გაეიდა ორი დღე, დადგა მესამე. მაშინ ქრისტემ დაუძახა მოწაფეებს და უთხრა: «მებრალება ხალხი: სამი დღე ის ჩემთან იმყოფება, მაგრამ არა არის რა, რომ შესჭამოს; მე არა მსურს დავითხოვო ის უჭმელად, რომ გზაზე არ შეწუხდეს.» ამაზე მოწაფეებმა უთხრეს: „სად ვიშოვოთ აქ უდაბნოში იმდენი პური, რომ გავაძღოთ ეს ხალხი.» მაშინ ქრისტემ ჰკითხათ: «რამდენი პური გაქვთო?» უპასუხეს: „შვიდი პური და ცოტაოდენიც თევზიო." ქრისტე ღმერთმა მაშინ ბრძანა, დაესხათ ხალხი მიწაზე; თვითონ აიღო პური და თევზი, აკურთხა და მისცა მოწაფეებს და უბრძანა დაერიგებინათ ხალხისათვის. ყველამ სჭამეს და გაძღნენ, და კიდევ ბევრი გადარჩა. ნამტვრევები რომ მოაგროვეს, კიდევ შვიდი კალათა (სფირიდი) აივსო. ხოლო ხალხი იყო ოთხ ათასამდე, გარდა დედა-კაცებისა და ყმაწვილებისა.

ამის შემდეგ ქრისტემ დაითხოვა ხალხი; თვითონ კი ჩაჯდა ნავში და თავის მოწაფეებით მივიდა მაგდალა ქალაქის არე-მარეს.

## 54. პეტრე მოციქული იესო ქრისტეს ძედ ღჳთისად აღიარებს.

მათ. 16. 13—21. მარკ. 8. 27—34. ლუკ. 9. 18—20.

ერთხელ იესო ქრისტე მიდიოდა ქალაქს კესარია-ფილიპესაკენ და ლივანა მთის ძირს რომ მივიდა, ჰკითხა მოწაფეებს: „რას ამბობენ კაცნი ჩემზე? ვინა ვგონივართ?“ — «ზოგსა ჰგონია, რომ შენა ხარ იოანე ნათლის-მცემელი, ზოგს—ილია, ზოგს—იერემია და ზოგნი კი ჰფიქრობენ, რომ შენა ხარ ერთი ვინმე ძველ წინასწარმეტყველთაგანი», უთხრეს მოწაფეებმა. — „თქვენ ვინლა გგონივართ მე?“ ჰკითხა ქრისტემ ახლა ამათ. ამაზე პეტრე მოციქულმა უპასუხა: «შენ ხარ ქრისტე, ძე მღვთისა ცხოველისა.“ მაშინ აქო მან პეტრე და ასრე უთხრა: „ნეტარი ხარ, სვიმონ, ბარიონა-ძეო იონასო, ამისათვის რომ მაგის თქმა შენ ზეციერმა მამა ჩემმა ჩაგაგონა, და არა ხორცმა და სისხლმა (ხალხმა), და მე გეტყვი, რომ შენ ხარ კლდე (პეტრე): ამ კლდეზე მე აღვაშენებ ეკლესიასა ჩემსა და მაშინ ჯოჯოხეთის ბჭენიც, ესე იგი ძალნიც, ველარ მოერევიან მას; მე მოგცემ შენ სასუფევლის გასაღებებს: რასაც შეჰკრავ ქვეყანაზე, იგი შეკრული იქნება ცაშიაცა, და რასაც გაჰხსნი ქვეყანაზე, იგი გახსნილი იქნება ცათა შინაცა.“

ამის მერმე იესო ქრისტემ გამოუცხადა მოწაფეებს, რომ იმას ჰსურს იერუსალიმს წასვლა, და იქ დაიჭერენ მას ურიანი, დიდად აწვალებენ და მოჰკლენ, მაგრამ მესამე დღეს მკვდრეთით აღდგებიო. „შეინანე თავი შენი, უფალო, რომ ეგ არ შეგემთხვეს შენაო“, უთხრა პეტრემ. ამაზე გასწყრა იესო ქრისტე და უთხრა პეტრეს: „განმეშორე მტერო! შენ იმასა ჰფიქრობ, რაც კაცს ესიამოვნება, და არა ღმერთსა.» ამასთანავე უთხრა

მოწაფეებს, რომ ვისაც უნდა სასუფეველში შესვლა, იმან უნდა მოითმინოს ცხოვრებაში ყოველივე განსაცდელი, და პირადს სარგებლობას ამჯობინოს საზოგადო სარგებლობა. «ვისაც სწადიან დაიცვას თავისი სული (სიცოცხლე), იგი დაჰკარგავს მას; და ვინც შესწირავს თავის სულს (სიცოცხლეს) ჩემთვის, იგი აცხონებს მას.“

## 55. ფერის-ცვალება იესო ქრისტესი.

მარკ. 9, 2—13. ლუკ. 9. 28—36. მათ. 17. 1—13

იესო ქრისტეს მოწაფეებს სარწმუნოება შეერყათ, როცა შეიტყეს მისგანვე, რომ იერუსალიმში მას სტანჯვენ და მოჰკვლენ. იმათ იფიქრეს: ის რომ ღმერთი ყოფილიყოს, ურიანი მოკვლას ვერ შეჰსძლებდნენო. ამისათვის საჭირო იყო დაემტკიცებინა ქრისტეს თავისი ღვთაება. თუ მოწაფეები დარწმუნებულნი იქნებოდნენ, რომ ის ღმერთი არისო, მაშინ სასოება აღარ დაეკარგებოდათ მისდამი, როცა იხილავდენ იმას ჯვარცმულს, ტანჯულს და მოკლულს. ამისათვის მაცხოვარმა აჩვენა მათ თავისი ღვთაებრივი დიდება.

მქვსის დღის შემდეგ იმან თან-წაიყვანა პეტრე, იოანე და იაკობი და ავიდა ერთს მაღალს მთაზე, რომელსაც ეწოდებოდა თაბორი. აქ იმან დასტოვა ცოტა მოშორებით თავისი თანამყოფნი, თვითონ ავიდა მთის წვერზე და დაიწყო ლოცვა.

რადგანაც მოწაფეები სიარულით დაიღალნენ, ამისათვის ჩამოსხდნენ დასასვენებლად და მალეც ჩაეძინათ. ამ დროს იესო ქრისტემ იცვალა ფერი. მისი სახე მზესავით განათლდა და სამოსელი მისი გახდა, როგორც თოვლია. მის სახის ელვარებაზე და შუქზე გამოეღვიძათ მოწაფეებს, დააცქერდნენ, მაგრამ თვალი ვერ გაუმართეს. მარცხნივ და მარჯვნივ იმას უდგნენ მოსე და ილია წინასწარ-მეტყველნი და ლაპარაკობდენ სიკვდილზე, რომელიც მას მოელოდა იერუსალიმში.

კარგს ხანს მუსაიფის შემდეგ მოსემა და ილიამ დააპირეს წასვლა. ეს შეატყო პეტრემ და სთქვა ხმა-მაღლა: „უფალო! კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა. თუ გნებავს, ავაშენოთ აქ სამი სახლი (ტალავერი): ერთი შენთვის, ერთი მოსესთვის და ერთიც ილიასთვის». ამ დროს უეცრად გადმოეფინა მათზე ნათლით მოსილი ღრუბელი და მოისმა ზეცით ხმა: «ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მე მივიჩნიე; მაგას გაუგონეთ». მოწაფეებს შეეშინდათ და დაემხნენ პირქვე.

იესო ჩამოვიდა მთიდგან, მივიდა იმათთან, მოჰკიდა ხელი, და უთხრა: „ადექით, ნუ გეშინიანთ“. იმათ აახილეს თვალები და დაინახეს იესო ქრისტე ჩვეულებრივს სახეზე.

ამის შემდეგ ისინი წამოვიდნენ მთით. როცა ჩამოვიდნენ ძირს, იესო ქრისტემ უთხრა: ნურავის ეტყვით ჩემს ფერის ცვალებას, ვიდრე მკვდრეთით არ აღვსდგებიო.

## 56 განკურნება კვეთებულის ჭაბუკისა.

მარკ. 9. 14—29. ლუკ. 9. 37—43. მათ. 17. 14—21.

ფერისცვალებისათვის რომ მიდიოდა იესო ქრისტე, ცხრა თავისი მოწაფე მთის ძირს დასტოვა. ამ დროს მათთან მოვიდნენ მწიგნობარნი და დაუწყეს ბაასი. იყო აგრეთვე ხალხიცა. მეორე დღეს აქ მოვიდა იესო ქრისტეცა. ხალხი მიეგება წინ და მოიკითხა. მივიდა თუ არა, მაშინვე ჰკითხა მწიგნობართ: „რაზედა გაქვთ მოწაფეებთან ბაასი?“ ამ დროს ერთი კაცი გაცალკავდა ხალხისაგან, მოვიდა, დაემხო ქრისტეს ფეხებს წინ და უთხრა: „მოძღვარო! შეიბრალე ჩემი შვილი: მე იმის მეტი არა მყავს; იმას შეჰპარვია გულში ბოროტი სული და ამისათვის ყოველს ახალსა თვარეზე კვეთება მოსდის; ბევრჯელ ცეცხლშიაც შევარდნილა და წყალშიაც. როცა კი მოუვლის სიცოფე, იქცევა დედამიწაზე, დორბლებსა ჰყრის პირიდგან,

ა ღრჭიალებს კბილებს, ლურჯდება და შეშდება როგორც ჯოხი; მე ვთხოვე შენს მოწაფეებს განეკურნათ, მაგრამ ვერ შეჰძლეს“.

ქრისტემ უბრძანა მიეყვანა ყმაწვილი მასთან. წამოიყვანეს. ის მოდიოდა წყნარად და მშვიდობიანად, მაგრამ ქრისტე რომ დაინახა, დაიწყო შფოთვა, დაეცა მიწაზე, მოჰყვა გორვას და აემსო პირი ქაფით. იესო ქრისტემ ჰკითხა იმის მამას: „რამდენი ხანი იქნება, რაც ეს შეემთხვა?“ მამამან უპასუხა: «სიყრმიდგანვე ასე არის, და თუ შეგიძლიან, შეგვეწიე და გვიყავ წყალობა». ამაზე იესო ქრისტემ უპასუხა: «თუ რომ ცოტაოდენი სარწმუნოება მაინც არის გექნება, ყველაფერი შეიძლება მორწმუნისათვის». საბრალო მამამ ტირილით უთხრა: „მრწამს უფალო! შემეწიე ურწმუნოებასა შინა ჩემსა“. მაშინ იესო ქრისტე მიუბრუნდა სნეულს და უთხრა ეშმაკს: „სულო ბოროტო! განვედ მაგისგან და აღარ შეხვიდე კვლავ მაგისა გვამში». მრისხანე სიტყვა ქრისტესი ისე შეეზარა ეშმაკს, რომ ძლიერად შეჰკივლა, დაანარცხა ჭაბუკი და თითქო მკვდარიაო, ისე იდო მიწაზე. ბევრნი აქ დამსწრე კაცნი ამბობდენ, რომ «იგი მოკვდაო,» მაგრამ იესო ქრისტემ მოჰკიდა ხელი და ააყენა ფეხზე სრულიად მორჩენილი სნეულებისაგან.

ყველას გაუკვირდა ძლიერება იესო ქრისტესი. გაოცებულნი იყვნენ მისი მოწაფეებიცა. სახლში რომ შევიდნენ, იმათ ჰკითხეს ქრისტეს: „ჩვენ რატომ ვერ შევძელით ეშმაკის განდევნაო?“ იმან უპასუხა: „თქვენმა ურწმუნოებამ დაგიშალათ. ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ: უკეთუ გექნებათ სარწმუნოება მდოგვის მარცვლის ოდენი მაინცა, მაშინ ამ მთას (იმათ წინ იყო მთაბორი) რომ უთხრათ: გადადი აქედგან აქაო, — გადავა და არაფერი იქნები თქვენგან შეუძლებელი. ბოროტი სული მარტო ლოცვითა და მარხვით შეიძლება განიდევნოსო».

### 57. სასწაულით ფულის შოვნა საეკლესიო ხარჯის მისაცემად.

მათ. 17. 24—27.

იესო ქრისტემ მოიარა გალილია და მოვიდა ქალაქს კაპერნაუმს. აქ პეტრეს შემოჰხვდნენ საეკლესიო ხარჯის მომკრეფნი და ჰკითხეს: „თქვენი მოძღვარი დიდრაქმებს (ფულია) არ მოგვცემსო?“ პეტრემ უპასუხა: „რატომ არაო“. მაგრამ როცა ის შევიდა სახლში, ქრისტემ დაასწრო მას სიტყვა და ჰკითხა: «სვიმონ! როგორა ჰფიქრობ? ქვეყნის მეფენი ხარჯს ვისგან იღებენ: თავიანთ შვილებისაგან, თუ ქვეშევრდომთაგანაო“?— პეტრემ უპასუხა: „ქვეშევრდომთაგანაო“. „მაშ სჩანს შვილები თავისუფალნი ყოფილან“, სთქვა იესომ. პეტრე მიჰხვდა, რომ იესო ქრისტე, რადგან ძე ღვთისა არის, არ არის ვალდებული ხარჯი მისცეს თავის მამის ტაძარსა. მაგრამ რომ არ შეაცდინოს მეხარჯენი, უთხრა პეტრეს: „ეხლავე წადი ზღვაზე (გალილიის ტბაზე), ჩააგდე ბადე; და პირველად თევზს რომ დაიჭერ, იმის პირში ჰპოებ სატირსა: აიღე ისა და მიეცი ჩემს მაგიერათაც და შენს მაგიერათაც“.

პეტრემ ასრულა ბრძანება მაცხოვრისა. მოსეს სჯულის დებულებით ყოველი ებრაელი, 20 წლისა რომ შესრულდებოდა, ვალდებული იყო ტაძრის სასარგებლოდ ხარჯი მიეცა 43 კაპეიკამდე წელიწადში. აი ეს კანონი იყო, რომ იესო ქრისტემ ასრულა.

### 58. მოწაფეების ბაასი—ვინაა მათ შორის უფროსი.

მარკ. 9. 33—37 მათ. 18. ლუკ. 9. 46—50.

იესო ქრისტე ქალაქს კაპერნაუმს რომ მიდიოდა, მისი მოწაფეები გზაზე ჩუმათ ბაასობდენ და ეკითხებოდნენ ერთმანერთს: ვინაა ჩვენ შორის უფროსი. როცა მოვიდნენ შინ, იესო ქრის-

ტემ დაუძახა იმათ და ჰკითხა: «რაზედ ბაასობდით გზაზედ?» იმათ რცხვენოდათ თქმა, რაზე ეცილებოდნენ ერთმანერთს; მაგრამ დამალვაც აღარ შეიძლებოდა, ამისათვის რომ ქრისტემ ყოველივე იცოდა.

იესო ქრისტე დაბრძანდა, მიიწვია ახლოს მოწაფეები და ასე უთხრა: „ვისაც თქვენგანს უფროსობა ჰსურს, ის ყველასი შემწე და მოსამსახურე უნდა იყოს. მერმე დააყენა ერთი ყმაწვილი შუაში, მოეხვია მას და სთქვა: „თუ ისე არ მოიქცევით და ისეთი უმანკო არ იქნებით, როგორც ეს ყმაწვილია, ჭეშმარიტად გეუბნები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში. ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ყმაწვილი, ის არის ყველაზე უფროსი ცათა სასუფეველში. ეცადენით, რომ ერთმანერთს არ აწყენინოთ; და თუ შენმა ძმამ შეურაცხყოფა მოგაყენა, მიდი და ამხილე ის ცალკე; თუ გაგიგონა, მაშინ ხომ შეძენილი გეყოლება ისა; მაგრამ თუ არ შეისმინა, მაშინ მიიყვანე ერთი ანუ ორი კიდევ სხვა კაციცა, რომ ერთისა ანუ ორის კაცის პირით დამტკიცდეს ყოველი შენი სიტყვა. თუ ამათი რჩევაც არ შეისმინოს, მაშინ გამოუცხადე კრებულს. კრებულის რჩევა თუ მიიღოს, რა კარგი, თუ არა-და იყოს ის შენთვის, ვითარცა მეზვერე და წარმართი. ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ, რომ რასაც შეჰკრავთ ქვეყანაზე, შეკრული იქნება ცაშიაცა; და რასაც გახსნით ქვეყანაზე, ის ხსნილი იქნება ცათა შინაცა. ამისათვის, რომ, სადაც ორნი ანუ სამნი შეიყრებიან ერთად ჩემის სახელით, მაშინ თვითონ მეც მათ შორისა ვარ."

### 59. იგავი მოწყალე მეფისა და უწყალო გამსესხებლისა.

მათ. 18. 21—35. ლუკ. 17. 4.

იესო ქრისტე არიგებდა მოწაფეებს, რომ ერთმანერთის პატივის მცემელნი და უწყინარნი უნდა იყვნეთო. „შენმა მოყვასმა დღეში შვიდჯერ რომ გაწყენინოს და შვიდსავე ჯერ შეინა-

ნოს ავკაცობა, შენც შვიდსავე ჯერზე უნდა შეუნდო მას შეცოდებანი," უთხრა იმან მოწაფეთა თვისთა. — „მაშ შვიდჯერ უნდა ვაპატიო კაცს შეცოდებაო?» ჰკითხა პეტრემ. — „არამც-თუ შვიდჯერ უნდა აპატიო, არამედ სამოც-და-ათ შვიდ ჯერაო," უთხა ქრისტემ. უნდა იცოდეთ, რომ სასუფეველში ღმერთი ისე მოეპყრობა კაცს, როგორც ერთი მეფე მოეპყრა თავის მოსამსახურეებს, რომელთაც ებარათ სამეფო ხაზინა. იმას ენება შეემოწმებინა მსახურთ მოქმედება. შეუდგა ანგარიშს. იმას წარმოუდგინეს ერთი მევალე, რომელსაც ემართა ათი ათასი ტალანტი (2,580,000 მანეთი). რადგან ღარიბი იყო და არ შეეძლო ვალის გადახდა, მეფემ ბრძანა ცოლშვილიანად და ქონებით ის გაეყიდნათ. მევალე დაემხო იმის წინ პირქვე, თაყვანისცა და ასე შეეხვეწა: „ბატონო! მადროვე და ყოველივეს მოგცემ." მეფეს შეებრალა, განათავისუფლა და რაც ვალი ემართა, ისიც აპატია. მაგრამ როცა მისგან შეწყალებული კაცი გამოვიდა ქუჩაში, შემოჰხვდა თავისი მევალე ამხანაგი, რომელსაც ასი დინარი (100 დინარი უდრის 21 მ. და 50 კაპ.) ემართა მისი, დაიჭირა, წაუჭირა ყელში და ეუბნებოდა: «მომეცი, რაც ვალი გმართებს ჩემიო.» ამხანაგი შეუვარდა ფეხ ქვეშ და ეხვეწებოდა: „მადროვე და მთლად მოგცემო". მაგრამ ის გაჭირვეულდა, შეიპყრო და ჩასვა საპატიმროში, და არ ეწადა განთავისუფლება, ვიდრე ვალს არ გადაუხდიდა.

მეფის მოსამსახურეებმა ეს ამბავი რომ ნახეს, ძალიან ეწყინათ და შეატყობინეს მეფეს. მაშინ მეფემ დაუძახა ის კაცი, გაუჯავრდა და უთხრა: «მონაო ბოროტო! მე ვალი მთლად გაპატიე, რადგან მთხოვე; განა შენ კი ვალდებული არ იყავ, გეპატიებინა შენის ამხანაგისთვის, როგორათაც მე შენ გაპატიე? და განრისხდა მეფე და გადასცეს ის მტანჯველებს—არ განათავისუფლონ, ვიდრე ვალს მთლად არ გადაუხდიდეს."

„ასე მოგეპყრობათ თქვენც, უთხრა ქრისტემ მოწაფეებს, ზეციერი მამა ჩემი, თუ თვითოეული თქვენთაგანი წმინდის გულით არ აპატიებს თავის დამნაშაობასა.»

## 60. სამარიტელთ არ ისტუმრეს იესო ქრისტე.

ლუკ. 9. 51—56.

ებრაელებს ჰქონდათ ერთი შესანიშნავი დღესასწაული, რომელსაც კ ა რ ვ ო ბ ა ს ეძახდენ. ისა ჰქონდათ დაწესებული მაშინ, როცა მოვიდნენ ეგვიპტიდგან ქანაანის ქვეყანაში. ამით იგონებდენ თავიანთ მგზავრობას ორმოც წლის განმავლობაში უდაბნოსა შინა. ურიებს უხაროდათ, რომ ეგვიპტელების ხელიდგანაც იხსნეს თავი და ვაი-ვაგლახით მგზავრობასაც მორჩნენ.

დღესასწაული იწყებოდა შემოდგომაზე. ის იყო რვა დღის განმავლობაში. ებრაელები აკეთებდენ გაფოთლილ ხის შტოებით კარვებს: ეზოებში, სახლის ბანებზე, ქუჩებში, მეიდნებზე და ამკობდენ იმათ სხვა და სხვა ყვავილებითა, სახლდებოდენ შიგ და მხიარულად დროს ატარებდენ ოჯახობით.

აი ამ დღესასწაულზე დასწრება ისურვა იესო ქრისტემაც. დააპირა იერუსალიმს წასვლა. ის იყო ამ დროს გალილიაში და აქედგან იერუსალიმს ორის გზით შეიძლებოდა წასვლა. ერთი იყო უფრო შორეული, მეორე მოკლე. ეს უკანასკნელი გაივლიდა სამარიაზე.

მაგრამ ურიანი ამ გზით არ მიდიოდენ ხოლმე დღესასწაულზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ სამარიტელნი მტრები იყვნენ ურიებისა და იმათ არა სურდათ შემოჰყროდნენ ერთმანერთს გზაზე.

იესო ქრისტე არ შეუშინდა სამარიტელთ ურიგო ქცევას და განიზრახა სამარიაზე გავლა მოკლე გზით; და გაგზავნა წინ კაცი და სთხოვა იმათ სახლი მოემზადებინათ მისთვის ღამის გასათევად. მაგრამ იმათ არ მიიღეს ქრისტე სტუმრად, რადგან შეიტყეს, რომ იერუსალიმს მიდისო. შარის-ყოფა იაკობსა და იოანეს ძალიან ეწყინათ და უთხრეს ქრისტეს: «უფალო! გსურსა ვსთქვათ, რომ იმათ თავზე ცეცხლმა იწვიმოს ზეცით და გაკ-

წყვიტოს ისინი, როგორცა ჰყო Ილიამ?» მაცხოვარს არ მოე-
წონა მათი სასტიკი განზრახვა, დაუშალა და ასრე უთხრა იმათ:
„არ იცით, რომლისა სულისანი ხართ; ძე კაცისა ქვეყანაზე
ადამიანის საცხონებლად მოსულა, და არა წასაწყმენდათ.» სა-
მარიაში რომ არ ისტუმრეს, ისინი ახლა სხვა სოფელში წავიდნენ.

## 61. საქადაგებლად გაგზავნა სამოცდაათი მოწაფისა.

ლუკ. 10. 1—11. 16—24. მათ. 11. 25—30.

ამის შემდეგ თავის მორწმუნეთაგან Იესო ქრისტემ გამოირჩია კიდევ სამოცდაათი მოწაფე და გაგზავნა ორ-ორი საქადაგებლად სოფლებსა და ქალაქებში. ამათ ისრეთივე დარიგება მისცა, როგორიც—წინათ თორმეტს მოწაფეს; მხოლოდ აღარ უბრძანა, რომ სამარიტელებს ნუ უქადაგებთო. Გარდა ამისა უბრძანა, რომ მოჩქარებულიყვნენ: „გზაზე ნუ გაჩერდებით და ნურავის მოიკითხავთო. Ვისთანაც შეხვიდეთ სახლში, პირველად სთქვით: მშვიდობა სახლსა ამას! Თუ სახლის პატრონი მიგიღებთ, იქვე დარჩით, სჭამეთ და ჰსვით, ამისათვის რომ მუშაკი ღირსია სასყიდელისა. სახლითი სახლად კი ნუ დაიწყებთ სიარულს; კმაყოფილი იყავით, რასაც საჭმელს თქვენ მოგიტანენ.»

მოწაფეები წავიდნენ და აღასრულეს მისი ბრძანება. როცა დაბრუნდენ, სიხარულით ეუბნებოდნენ ქრისტეს: „უფალო! შენს სახელს რომ ვახსენებთ, ეშმაკებიც გვემორჩილებიანო.“ ამაზე Იესო ქრისტემ უთხრა მათ: „ვიხილე ეშმაკი, ვითარცა მეხი ზეცით გარდმოვარდნილი. აჰა, გაძლევ უფლებას—ფეხი დაადგათ გველსა და ღრიანკალს, და ყოველსა მტრის ძალსა, და თქვენ ვერა გავნოთ რა. მაგრამ ის არ უნდა გიხაროდეთ, რომ გველნი, ღრიანკალნი და ყოველი ძალი მტრისა გემორჩილებათ; თქვენი სიხარული მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ თქვენი სახელები დაწერილია ცათა შინა.»

ამის შემდეგ გახარებულმა სულითა იესო ქრისტემ სთქვა: „გადიდებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქვეყნისაო! შენ დაჰფარე ესე ბრძენთა და მეცნიერთაგან, და გამოუცხადე ყრმათა. ჰე მამაო! ასე გენება შენა.« მერმე მიუბრუნდა მოწაფეებს და უთხრა: „ჩემის მამისაგან ყველაფერი მე მაქვს მოცემულიო; და არავინ იცის, ვინ არის ძე: იცის მარტო მამამ; აგრეთვე არავინ იცის, ვინ არის მამა: იცის მხოლოდ ძემ, და აგრეთვე იმან— ვისთვისაც გამოცხადებას მოიწადინებს შვილი.“

„მოდით ახლა ჩემთან ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე მოგცემთ განსვენებასა. აიღეთ ჩემი უღელი და შეისწავლეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალი გულითა; რათა ჰპოვოთ სულის განსვენება თქვენცა; ამისათვის რომ ჩემი უღელი ტკბილია და ტვირთი მსუბუქი.“

## 62. ვინ არის ჩვენი მოყვასი.

ლუკ. 10. 25—37.

ერთმა სჯულის მცოდნე კაცმა ჰკითხა იესო ქრისტეს: „რა უნდა ვქმნა, რომ საუკუნო ცხოვრება მოვიპოვო?“ მაშინ იმანაც ჰკითხა: «სჯულში რა სწერია?»—მეცნიერმა უპასუხა: «შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.»—«მართალი პასუხი სთქვიო,» უთხრა იესო ქრისტემ; «აგრე მოიქეცი შენცა, და მაშინ სცხონდებიო.» სჯულის მეცნიერს თავის გამართლება სურდა და ამისათვის ჰკითხა: „ვინაა ჩემი მოყვასიო?“ ამ კითხვაზე ქრისტემ უთხრა იმას იგავი მოწყალე სამარიტელზე.

„ერთი კაცი იერუსალიმით იერიქონს მიდიოდაო, სთქვა იმან, და გზაზე ავაზაკნი თავს დაესხნენ, გაცარცვეს, დასჭრეს

და დასტოვეს უპატრონოდ. მოუხდა ამავე გზაზე გავლა მღვდელს. იმან დაინახა დაჭრილი კაცი, და გზა აუქცია. აგრეთვე გაიარა აქვე ლევიტელმა. ეს მივიდა ახლოს, ნახა საცოდავი კაცი და გაუარა გვერდით. ამათ შემდეგ ამავე გზით მიდიოდა სამარიტელი. იმან რომ დაინახა დაჭრილი კაცი, შეეცოდა, მივიდა მასთან, შეუხვია ჭრილობანი, დაასხა ზეთი და ღვინო, შესვა თავის ჯორზე და მიიყვანა ერთს სასტუმროში. მეორე დღეს, როცა აპირებდა წასვლას, ამოიღო ორი დრაჰკანი, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: მოუარე ამ კაცს, და რასაც მეტს დაჰხარჯავ მის მორჩენაზე, მოგცემ, როცა დავბრუნდები."— ახლა მე შენა გკითხავ: „ამ სამთაგან, რომელი გგონია მოყვასი იმ კაცისა, რომელიც ავაზაკებს ჩაუვარდათ ხელში?" სჯულის მეცნიერმა უპასუხა: «რომელმაც უპატრონა.»—მაშ «წადი შენც ისე მოიქეცი, როგორც ის სამარიტელი კაცი მოიქცაო,» უთხრა ქრისტემ.

## 63. უფლისაგან მარიამისა და მართას ნახვა.

ლუკ. 10. 38—42.

იერუსალიმის მახლობლად იყო ერთი სოფელი, რომელსაც ბეთანია ერქვა. აქა სცხოვრებდნენ მარიამი და მართა. ესენი იყვნენ ლაზარეს დები. ამათ სახლში შევიდა იესო ქრისტე, როცა იერუსალიმს მიდიოდა. დებს ორივეს ძალიან გაუხარდათ მისი მისვლა; მაგრამ სხვა და სხვა ნაირად გამოხატეს იმათ თავიანთი სიხარული. მარიამი დაუჯდა იესოს მუხლებთან და ყურს უგდებდა მის სწავლას; მართა კი მისთვის კარგად გამასპინძლების ზრუნვაში იყო გართული. მარტოდ საქმობისაგან რომ დაიღალა, ის მივიდა მოძღვართან და უთხრა: „უფალო! უთუოდ არ გებრალები, რომ ჩემი და არ მეხმარება? უბრძანე, რომ მიშველოს». უფალმა უპასუხა: „მართა! შენ ბევრს რასმეზე

ჰზრუნავ და შფოთავ; მაგრამ მხოლოდ ერთი რამ კია საჭირო: მარიამს კეთილი ნაწილი (სარგებლობა ღვთის სიტყვის მოსმენისა) გამოურჩევია, რომელიც იმას არასოდეს არ წაერთმევა.“

## 64. ლოცვა საუფლო. იგავი უსამართლო მსაჯულზე და მეზვერესა და ფარისეველზე.

ლუკ. 11. 1—10. 18. 1—14.

ერთხელ იესო ქრისტე ევედრებოდა ღმერთს და როცა გაათავა ლოცვა, მაშინ მოწაფეთა სთხოვეს: „უფალო! გვასწავე ჩვენც ლოცვა, როგორც იოანეს უსწავებია თავის მოწაფეთათვის», და იმანაც უთხრა—ასრე ილოცეთო: «მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღითი დღედ; და მომიტევენ ჩვენ ცოდვანი ჩვენნი, და რამეთუ ჩვენცა მიუტევებთ ყოველთა თანამდებთა ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება უკუნითი უკუნისამდე.»

ამ ლოცვის მიცემის შემდეგ იესო ქრისტემ უთხრა მოწაფეებს, რომ თუ გულს-მოდგინედ ილოცავთ, უეჭველია, მაშინ ღმერთი აგისრულებთ თხოვნას. ლოცვა ვედრება უნდა იყოს მუდმივ, ზედი-ზედ, ჩქარ-ჩქარა, რომ ღმერთმა მოჰხედოს თქვენს ხვეწნას. რომელსამე თქვენგანს მეგობარი რომ ჰყვანდეს და შუაღამისას მოვიდეს და ითხოვოს: მასესხე სამი პურიო; მეგობარი მეწვია და არა მაქვს, რა მივართვა მას, და იმანაც უპასუხოს: ნუ მაწუხებ, კარები დაკეტილი მაქვს, და შვილები ქვეშაგებში თან მიწვენან, არ შემიძლიან ავდგე და (პური) მოგცე:—გეუბნები-კე, თუ მეგობრობის ხათრით ის არ ადგება და არ მისცემს,—მომეტებულის ხვეწნით თავი რომ მოჰბეზრდება, ადგება და მისცემს (პურს). ასრეთი ძალა აქვს ხვეწნასა და

ვედრებასაც. ითხოვდით და მოგეცემათ, ეძიებდით და ჰპოვოთ: ირეკდით და განგეღოთ კარი. ვინც ითხოვს—მიიღებს, ვინც ეძებს,—იპოვის და ვინც რეკავს—გაეღება.“

რომ ხვეწნა-ვედრება არ დარჩება უფლისაგან შეუსმენელი, ამაზე იესო ქრისტემ სთქვა კიდევ შემდეგი იგავი.

«ერთს ქალაქში სცხოვრებდა მოსამართლე. იმას არც ღვთისა ეშინოდა, არც კაცისა ჰრცხვენოდა. იმავე ქალაქში სცხოვრებდა ღარიბი ქვრივი დედა-კაციცა. ხშირ-ხშირად მოდიოდა ის მოსამართლესთან და ეხვეწებოდა: დამიფარე მტრისაგანაო; მაგრამ ის ყურს არ უგდებდა მის ხვეწნას. ბოლოს მობეზრდა იმის ხვეწნისაგან და სთქვა თავის გულში: ეს ქვრივი მოსვენება არ მაძლევს; მოდი მივცემ სამართალს, რომ აღარ მოდიოდეს ჩემთან და აღარ მაწუხებდეს». —„გესმისთ, რას ამბობს უსამართლო მსაჯულიო? ჰკითხა ქრისტემ მოწაფეებს: (უკეთუ უსამართლო კაცმა შეისმინა ხვეწნა დედა-კაცისა) ნუ თუ ღმერთი მართალი არ დაიცავს რჩეულთა თვისთა, რომელნიც დღე და ღამ ევედრებიან მას; თუმცა აგვიანებს ხოლმე შველასა? გეტყვი-ყე რომ მოჰხედავს და აღმოუჩენს მფარველობას იმას, ვინც კი არ დაიზარებს მისდამი ლმობიერად ვედრებას“.

მაგრამ არ შეისმენს ადამიანის ლოცვას, თუ რომ ის არ გატყდა უფლის წინაშე ცოდვათა შინა თვისთა. ამაზე იესო ქრისტემ სთქვა ცალკე იგავი მეზვერესა და ფარისეველებზე.

„ორი კაცი შევიდა ტაძარში სალოცავად—ერთი იყო ფარისეველი, მეორე მეზვერე. ფარისეველი ასე ლოცულობდა: ღმერთო! გმადლობ შენ, რომ მე არა ვარ ისეთი კაცი, როგორიც სხვანი არიან: მტაცებელი, მატყუარა, მემრუშე, როგორც მაგალითად აი ეს მეზვერე; კვირაში ორჯელ ვმარხულობ და ყოველის ჩემის მონაგებიდამ მეათედს შევსწირავ ტაძარსა, შესანახვად სამღვდელოთა, ობოლთა და გლახაკთა ეძლევე სამოწყალოდ. ცოდვილი მეზვერე კი იდგა მოშორებით, ვერ ბედავდა სირცხვილით თვალთ მაღლა ახედვასაც, ჩაღუნა

თავი, იცემდა მუშტს მკერდში და ამბობდა: „ღმერთო! მილხინე ცოდვილსა ამას“.—გეუბნები თქვენ, რომ მეზვერე გამოვიდა ტაძრიდგან გამართლებული; ფარისეველი კი არა: ამისათვის რომ ვინც თავის თავს მაღლა დაიჭერს, იგი დამდაბლდება, და ვინც დაიმდაბლებს თავს, ის ამაღლდება.»

## 65. იესო ქრისტეს ქადაგება იერუსალიმში კარვობის დღესასწაულზე.

იოან. 7. 9—53.

კარვობის დღესასწაულზე იესო ქრისტე მოვიდა იერუსალიმს. აქ მოსული იყო დიდ-ძალი ხალხიცა. ქრისტე შევიდა ტაძარში და დაიწყო ხალხის სწავლება. ურიებს უკვირდათ, რომ იმან, უსწავლელმა, საღმრთო წერილი კარგად იცის. ამაზე იესო ქრისტემ უთხრა იმათ პასუხად: „ეს სწავლა ჩემის გამომგზავნელისაა, და არა ჩემი საკუთარიო. ვისაც გულითა ჰსურს აღასრულოს ღვთის ნება, ის კარგად შეიგნებს, რომ ეს სწავლა ღვთისაა და ჩემ-თავად მე არას ვიტყვი. რომელი კაციც თავის ცოდნას ქადაგებას, ის თავის დიდებას ეძებს; ხოლო ვინც ეძებს მომავლინებელის დიდებას, ის მართალია და მასთან სიცრუვე არ არის“.

ამ მოძღვრების გამგონნი, ზოგიერთნი, იერუსალიმის მცხოვრებნი, ეკითხებოდნენ ერთმანერთს: «ეს ის კაცი არ არის, რომელსაც მოსაკლავად დაეძებენ? და ეხლა როგორ მოჰხდა, რომ ის ცხადად ქადაგებს და არავინ ეწინააღმდეგება? ნუთუ დარწმუნდენ მთავარნი, რომ ის მართლაც-და ქრისტეა?“

ასეთი ლაპარაკი და ქება იესო ქრისტესი ფარისევლებს ესმოდათ და ძალიან სწყინდათ, მაგრამ ვერ ბედავდენ მის დაჭერას, რადგან ხალხი მისი პატივის მცემელი იყო.

ამასობაში გავიდა შვიდი დღე კარვობისა. დადგა მერვე

დღე. ამ დღეს სილოამის საბანელიდგან მღვდელები იღებდენ წყალს ოქროს ჭურჭლით, ურევდენ ღვინოში და ასხამდენ სამსხვერპლოს, როგორც წესი იყო ურიების სჯულისა. ეს რომ ნახა იესო ქრისტემ, უჩვენა ხალხს სხვა წყალი—უჩვენა თავისი სწავლა, რომელიც სულიერს წყურვილს უკლავს ცხონების მეძიებელს კაცს. იმან უთხრა ხალხს: „რომელსაც გწყურიან, მოდი ჩემთან და სვი; ვისაც ვსწამვარ, როგორც ამბობს წერილი, მისისა მუცლიდგან წარმოსდინდებიან მდინარენი წყლისა ცხოველისა».

ამ სიტყვებმა ფარისევლები ძალიან გააბრაზეს. იმათ ველარ მოითმინეს და გაგზავნეს მოსამსახურეები იესო ქრისტეს დასაჭერად. მაგრამ მათ არ აღასრულეს ბრძანება, მივიდნენ, ნახეს იესო ქრისტე, დაბრუნდენ უკანვე და, როცა ჰკითხეს ფარისევლებმა, რატომ არ დაიჭირეთო, უპასუხეს: „არ გამოჩენილა ქვეყანაზე არსად ისეთი კაცი, რომელსაც რომ ასე ტკბილად და კარგად ელაპარაკნოს, როგორც ქადაგებს“ იესო ქრისტეო.

## 66. იესო ქრისტესაგან ცოდვილი დედაკაცის შეწყნარება.

იოანე 8. 2—11.

პარვობის დღესასწაულის მეორე დღეს იესო ქრისტე დილით ადრიანად მოვიდა ისევ იერუსალიმის ტაძარში, დაჯდა იქ და დაიწყო ხალხის სწავლება. ამ დროს ფარისევლებმა მოიყვანეს მასთან ერთი დედა-კაცი, დააყენეს იმის წინ და ჰკითხეს: „მოძღვარო! ეს დედა-კაცი მრუშობაში დავიჭირეთ: მოსე სწერს სჯულის კანონში, რომ ამისთანანი უნდა ჩაქვავდენო; და შენ რაღასა იტყვიო?» ისინი ჰფიქრობდენ: იესო ქრისტე მეზვერეებისა და ცოდვილების მეგობარია და უთუოდ აპატიებს ამ დედა-კაცსაც დამნაშავეობას: მაშინ იმას კანონის დარღვევაში გავამტყუნებთ; და, თუ იტყვის «ჩააქვავეთო», მაშინ დედა-კაცს

მოვკლავთ, და მერმე შევატყობინებთ მთავრობას (რომაელებს), რომ იესო ქრისტეს წაქეზებით ის მოჰკლა ხალხმაო.

იესო ქრისტემ შეუტყო იმათ ეს ბოროტი განზრახვა, თავი დაიხარა ძირს და რაღასიც წერა დაიწყო დედა-მიწაზე თითით. ფარისეველები იქვე იდგნენ, ქრისტემ აიხედა მაღლა, შეხედა მათ და ასე უთხრა: „ვინც თქვენთაგან უცოდველია, პირველად იმან ესროლოს მაგას ქვა". სთქვა ესა და მერმე ისევ დაიხარა ქრისტემ თავი ძირს და დაიწყო კიდევ მიწაზე წერა". პერავინ ვერ იცნო თავისი თავი უცოდველად, ყველას შერცხვა, ქვის სროლა ვერავინ გაბედა და ნელ-ნელა, ჩუმათ, გაიპარნენ. ქრისტესთან დარჩა მხოლოდ ცოდვილი დედა-კაცი. მაშინ ჰკითხა იესო ქრისტემ: „დედა-კაცო რა იქნნენ შენნი მამხილებელნი? არავინ დაგსაჯა შენა?" — „არავინაო", უპასუხა დედა-კაცმა. მაშ „არც მე დაგსჯი, წადი და დღეის იქით აღარა სცოდოო», უთხრა იმან.

### 67. იესო ქრისტე აცხადებს: მე ვარ ნათელი სოფლისა და მე ღვთისაო.

იოან. 8. 12—59.

ცოდვილ დედა-კაცთან ლაპარაკის შემდეგ იესო ქრისტე გამოვიდა იერუსალიმის ტაძრის კარის-ბჭეში, დადგა იქ და უთხრა ხალხს: „მე ვარ ნათელი სოფლისა, ვინც მე გამომყვება, ის აღარ ივლის სიბნელეში, იმისათვის რომ თან-ექნება ნათელი ცხოვრებისა». ამაზე ფარისეველებმა უთხრეს: „შენ თვითონვე შენსავე თავს ემოწმები და მოწმობა შენი არა არის მართალი". იესო ქრისტემ მიუგო პასუხად: «მე მართო თვითონვე რომ ვემოწმებოდე ჩემს თავს, მაშინაც ჭეშმარიტი იქნებოდა ჩემი მოწმობა; ვიცი საიდგანაც მოვსულვარ და სით მივდივარ; თქვენ კი არ იცით. მაგრამ გეუბნები, რომ რასაც მე თვითონ ჩემს თავს ვემოწმები,

იმაზე მემოწმება თვით მამაცა, რომელმაც მომავლინა. ხოლო თქვენს სჯულში სწერია, რომ ორი კაცის მოწმობა ჭეშმარიტი არისო“.—ფარისევლებმა ჰკითხეს; «სად არის მამა შენიო?»—„თქვენ რომ მე მიცნობდეთ, გეცოდინებათ მამა ჩემიცა; მაგრამ თქვენ ქვეყნის შვილნი ხართ, ხოლო მე ზეციერი ვარ; თქვენ დაიღუპებით თქვენისავე ცოდვებით, უკეთუ არ მირწმუნებთ».—«ვინა ხარ შენაო?» ჰკითხეს კიდევ ფარისევლებმა. „ყოვლისა უწინარეს მე ვარ ისა, რასაც გეუბნებით“, უთხრა ქრისტემ. „როცა კაცის ძეს ჯვარს აცვამთ, მაშინ მიცნობთ, რამეთუ მე ვარ (ძე ღვთისა) და ჩემს თავად მე არას ვამბობ; ვიტყვი მხოლოდ იმას, რაიცა მასწავა მე მამამან ჩემმან: ვინც მე მომავლინა, ის ჩემთან არის: მე მარტოდ არ დამტოვა მამამან ჩემმან, რადგან მე მარადის მისს სურვილს ვასრულებ. მე ჩემთავად არ მოვსრულვარ ქვეყნად; მე ვარ ღვთისაგან გამოგზავნილი. მე ჭეშმარიტებას გელაპარაკებით და თქვენ არა გრწამთ ჩემი სიტყვა. აბრაამი სიხარულით მოელოდა ჩემს ნახვას, მნახა კიდეცა და განიხარა.»—„შენ ჯერ ორმოც-და-ათი წლისაც არა ხარ და შენ აბრაამი გინახავს»? ჰკითხეს ქრისტეს. „ჭეშმარიტად გეუბნებით, უპასუხა იმათ ქრისტემაც, რომ ჯერ აბრაამი არ იყო, რომ მე ვარ“. ამ სიტყვებმა ისრე გააჯავრეს ფარისეველნი, რომ ქრისტეს ჩაქვავება მოინდომეს; მაგრამ ის განეშორა მათ.

### 68. ბრმად დაბადებულის თვალთა აღხილვა.

იოან. 9. 1—36,

რადგან იესო ქრისტეს მორწმუნენი უფრო და უფრო მრავლდებოდენ, ამისათვის ურიების უმაღლესმა სასამართლომ—სინედრიონმა გამოსცა ბრძანება, რომ ყოველი ურია, რომელიც კი იესოს ქრისტედ მიიჩნევს, იქნება შეჩვენებული და კრებისაგან განკვეთილიო.

ამ დროს იესო ქრისტე იერუსალიმში იყო. ტაძრიდგან, რომ გამოვიდა, მას შემოჰხვდა ბრმად დაბადებული კაცი. ურიებს ეგონათ, რომ ყოველი უბედურება, რომელიც კაცს შეემთხვევა ამა წუთი სოფელში, მისი ცოდვის კითხვა არისო. თუ ეს უბედურება ბავშს დაბადებიდგანვე დაჰყვებოდა, მაშინ ამბობდენ, რომ დედ-მამის ცოდვა ეკითხებაო. ამისათვის მოწაფეებმა ბრმა-კაცზე კითხეს იესო ქრისტეს: „მოძღვარო! ვინ შესცოდა? ამანა თუ ამის მშობელმა, რომ ბრმა იშვა“? იმან უპასუხა: „არც ამას შეუცოდნია, არც ამის მშობლებს; ის ბრმად დაიბადა ამისათვის, რომ ძლიერება უფლისა გამოჩნდეს მაგაზე. — მე მოვალე ვარ აღვასრულო საქმენი ჩემის გამომგზავნელისა, ვიდრე არის დღე. ვიდრე ქვეყანაზე ვარ, მე ნათელი ვარ სოფლისა.“

სთქვა თუ არა ესა, დააფურთხა მიწაზე, გააკეთა ტალახი, სცხო ბრმას თვალებზე და უბრძანა: „წადი და თვალები დაიბანე სილოამის საბანელშიო.“ წავიდა კაცი იგი, დაიბანა, მოვიდა და ჰხედვიდა.

ვინც იქ დაესწრო ამ დროს, ყველას უკვირდა ბრმის მორჩენა. ეს მოჰხდა შაბათს დღეს. გამვლელ-გამომვლელნი გაკვირვებით ერთმანერთს ეკითხებოდნენ: „ეს ის ბრმა არ არის, რომელიც იჯდა და მოწყალებას ითხოვდაო?“ ზოგნი ამტკიცებდენ სწორეთ ის არისო; ზოგნი კი ამბობდენ: არა, ის არ არისო, მხოლოდ იმასა ჰგავსო. ჰკითხეს თვითონ ბრმად დაბადებულს და იმანაც მისცა პასუხი, რომ სწორეთ მე იგი ბრმა ვარ, რომელზედაც თქვენა ლაპარაკობთო. ამის მერმე გამოჰკითხეს — სად არის ახლა ის კაცი, რომელმაც თვალები აგიხილაო? იმან უპასუხა: «არ ვიციო.»

გაოცებულ ხალხმა არ იცოდა, როგორ აეხსნა ბრმის თვალების ახილვა. მიიყვანეს ის ფარისეველებთან. ესენიც ძალიან გაოცდნენ და დაიწყეს იესო ქრისტეზე მსჯელობა. ზოგნი ამბობდენ: „ის ღვთისაგან მოვლინებული კაცი არ უნდა იყოსო, თორემ შაბათს არ გასტეხავდაო; ამაზე სხვები კიდე უპასუხებ-

დენ: როგორ შეუძლიან ცოდვილს ამისთანა სასწაულების ჰქმნაო?"—ჰკითხეს ბრმას: „შენ რაღასღა იტყვი იმაზე, ვინც თვალები აგიხილაო?"—«იგი წინასწარმეტყველი არისო,» უპასუხა გადაწყვეტით ბრმამ. მაგრამ ფარისევლებმა არ დაუჯერეს, დასტოვეს იგი, მოიწვიეს ახლა ბრმის მშობლები და ჰკითხეს,— იმათი შვილია ეს—კაცი თუ არა. დედ-მამამ უპასუხა ფარისევლებს: «ვიცით, რომ ეს ჩვენი შვილია, და ბრმა იშვა, მაგრამ როგორ მოჰხდა, რომ ის ჰხედავს, და ვინ აღუხილა თვალები, ჩვენ არ ვიცით; ის სრული წლოვანია, იმასვე ჰკითხეთ და ის იტყვის, ვინ მისცა მას თვალთა სინათლე.»

ამნაირის პასუხისა გამო დაუძახეს ხელმეორედ ბრმას და ჰკითხეს: «ჩვენ ვიცით, რომ ის კაცი ცოდვილი არის» და შენ ღმერთს უნდა შესწირო მადლობა მხედველობისათვის, (და არა იესო ქრისტესაო). განკურნებულს ეწყინა ფარისეველთა ამგვარი მსჯელობა და უპასუხა წყენით: „ვიცით, რომ ღმერთი ცოდვილს არ უგონებს; ვინც ემსახურება ღმერთს და ასრულებს მისს ნებას, ის არის მისი სათნო. საკვირველია, რომ თქვენ ეს არ იცით. ქვეყნის დასაბამიდგან დაწყებული აქამდე არასოდეს არ გაგონილა, რომ ვისმეს აღეხილევებინოს თვალები ბრმად შობილისათვის. ის რომ ღვთისათვის სათნო არ იყოს, ვერც შეჰძლებდა ამ გასაოცარ საქმის ქნას."

ამ გვარმა პასუხმა ფარისეველნი ძალიან განარისხა. დიდ ცოდვილად შერაცხეს თვალთ-ახილული კაცი, აღუკრძალეს ხალხის კრებაში გარევნა, და ბოლოს უთხრეს: «ცოდვათა შინა შობილხარ შენ ყოვლად, და შენ გვასწავლი ჩვენა?"

ურიებს დიდ უბედურებად მიაჩნდათ კაცის განდევნა კრებიდგან. რომელს ურიასაც ასეთი უბედურება შეემთხვეოდა, იმედი აღარა ჰქონდა ცხონებისა. ამისათვის შეწუხებული იყო თვალთ-ახილული ბრმაცა. იმას, დაღონებულს და დანაღვლიანებულს, შემოჰხვდა იესო ქრისტე და ასრე ჰკითხა: «გრწამსაა ძე ღვთისა?» იმან მიუგო: „უფალო! ვინ არის ისა,

რომ მე მწამდეს იგი?» იესო ქრისტემ უთხრა: «ის შენ გინახავს, და ეხლა ვინც გელაპარაკება, ის არის.“ მაშინ თვალთ-ახილულმა ბრმამ სიხარულით უთხრა იესო ქრისტეს: „მრწამს უფალო! და თაყვანი-სცა მას“ სიმდაბლითა თვისითა და ღმობიერისა გულითა.

## 69. იგავი კეთილ მწყემსზე.

იოან. 10. 1—21.

ებრაელებს არ შეეძლოთ უარი ეყოთ ნაზარეთელ მოძღვრის ქადაგება, ამისათვის რომ მისი საქმენი ამტკიცებდენ, რომ ის ღვთისაგან იყო მოვლინებული. მაგრამ ხალხი მწიგნობრებსაც ღვთისაგან განწესებულ მოძღვრებად იცნობდა. ამის გამო მან არ იცოდა, რომელს უკვე დაერწმუნოს? რომელს გაუგონოს? ღვთის-მოშიშ ურიებს ესა სწყინდათ; თავიანთ მოძღვართა დარიგებაში ისინი ვერა ჰხედავდენ კაცთაღმი სიყვარულსა და შებრალებასა, და ამისათვის თითქო არა სწამდათ მათი მოძღვრება. იესო ქრისტემ ეხლა აუხსნა, განუმარტა და უჩვენა მათ სახე ჭეშმარიტის მწყემსისა. ამ გვარ მწყემსად იმან დაასახელა თავისი თავი. რომ კარგად შეიგნოს ხალხმა მისი აზრი, თუ ვითარი უნდა იყოს ჭეშმარიტი მწყემსი, სთქვა იგავი ცხოვართა კეთილს მწყემსზე.

«მართალს გეტყვი თქვენ: ვინც კარებით არ შედის ცხვრის ფარეხში, და გადადის სხვა ადგილას, ის ქურდია და ავაზაკი. ხოლო ვინც შედის კარებით, ის არის მწყემსი ცხვრისა. იმას კარებს უღებს მეკარე, ცხვრებიც შეისმენენ მის ხმას, ის ეძახის თავის ცხვრებს თავთავის სახელით, გამოჰყავს გარეთ და მიუძღვის წინ, ცხვრებიც მას უკან მისდევენ, ამისათვის რომ იცნობენ იმის ხმას. უცხოს კი არ მისდევენ, ივლტიან მისგან, ამისათვის რომ ვერ იცნობენ მის ხმას.—მე ვარ კარი ცხოვართა:

ვინც ჩემ მიერ შევა (სასუფეველში), იგი ცხონდება, შევა და გამოვა და ცხოვრებას იპოვის. ქურდი მარტო იმისათვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და დაღუპოს. მე კი მოველ იმისათვის, რომ ცხოვრება უხვიერებითა ჰქონდეთ. მე ვარ კეთილი მწყემსი; კეთილი მწყემსი დასდებს თავის სიცოცხლეს თავის ცხოვართათვის. ხოლო მოქირავენე კი არ არის ჭეშმარიტი მწყემსი; რადგან იმას არ ეკუთვნიან ცხვრები, ამისათვის დაინახავს თუარა მგელსა, მაშინვე სტოვებს იმათ და ივლტის; მაშინ მგელიც მოდის, იტაცებს ცხვრებს და განაბნევს იმათ. მე ვარ კეთილი მწყემსი, მეციცი ჩემები და ჩემებიც მე მიცნობენ. მე ჩემს სიცოცხლეს შევსწირავ ცხოვართა ჩემთათვის."

იესო ქრისტემ წინათვე იცოდა, რომ ის მოკვდება ჯვარსა ზედა კაცთათვის, რომელნიც ეკუთვნიან იმის ცხვრის ფარეხს; იცოდა აგრეთვე ისიცა, რომ იმის სიკვდილის შემდეგ ებრაელებიცა და წარმართნიც შეიტყობენ იმის ხმას და შეუდგებიან მას: მაშინ იქნება ერთი სამწყსო და ეყოლებათ ერთი მწყემსი კეთილი. ამისათვის იესო ქრისტემ იგავი კეთილის მწყემსისა ასრე დაასრულა: „მე მყამს კიდევ სხვა ცხოვარნიცა, რომელნიც ჯერ არ ეკუთვნიან ჩემს ეზოს; მე მოვალე ვარ ისინიც მოვიზიდო; და უეჭველია ისინიც შეისმენენ ჩემს ხმას; მაშინ იქნება ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი. ამისათვის ვუყვარვარ მე მამასა ჩემსა, რომ ჩემს სულს არ ვზოგავ ცხოვართა მოსაპოებლად. მე სიცოცხლეს ძალად ვერავინ წამართმევს: მე იმას ჩემის ნებით შევსწირავ, მაგრამ მაქვს უფლება ის უკანვე მივიღო. ასრე უთქვამს ჩემთვის მამა ჩემსა."

იესო ქრისტეს ამ საუბარმა ურიები გაჰყო. დაიწყეს ურთიერთ შორის ბაასი. ზოგნი ამბობდენ: „ეშმაკს შეუპყრია იმისი ჭკუა-გონება და ლაპარაკობს უგუნურებას. აბა რას უგდებთ მაგას ყურსა?" მაგრამ სხვები არ ეთანხმებოდენ და უპასუხებდენ: „ეშმაკეულს არ შეუძლიან ისრე ილაპარაკოს, როგორც ის მოძღვრებს; განა ეშმაკს შეუძლიან ბრმას თვალები აღუხილოს?"

## 70. მდიდარი კაცი ამაოდ შეჰხარის მოსავალს.

ლუკ. 12· 13—24.

ერთხელ იესო ქრისტე ხალხს უქადაგებდა, და ამ დროს მოვიდა მასთან ვიღაცა კაცი და უთხრა: «მოძღვარო! უბრძანე ჩემს ძმას გამიყოს მამის სამკვიდრებელი.» ამ კაცს იესო ქრისტე ქვეყნიური მეფე ეგონა. მაგრამ მან უთხრა: „ვინ დამაყენა მე მსაჯულად და ვინ მომცა უფლება, რომ ქონება გაგიყოთ? მე გირჩევ მხოლოდ, მოერიდო ანგარებას და თავი დაიცვა განსაცდელისაგან. სიცოცხლე ჰჯობია სიმდიდრესა. ქონება კაცს ვერ მისცემს დღე-გრძელობას". ამ შემთხვევაზე სთქვა იგავი:» „ერთს კაცს ჰქონდა მინდორში მოსავალი წლიური. ის ჰფიქრობდა თავის-თავად: რაუნდა ვქმნა? ადგილი არა მაქვს და სად უნდა შევინახო ამოდენა მოსავალი?» იფიქრა და გადასწყვიტა: „აი რას ვიზამ: დავარღვევ ძველს ბეღელებს და ავაშენებ უფრო დიდებს; იმათში მოვაგროვებ მთლად პურის მოსავალს და სხვა საუნჯეს, და ვეტყვი ჩემს სულს: სულო! გაქვს დიდი ქონება, რომელიც გეყოფა მრავალსა წელსა: განისვენე, ჰსჭამე, ჰსვი და იხარე.»

მაგრამ ამ დროს გამოეცხადა მას ღმერთი და ასრე უთხრა: «უგუნურო! ამასვე ღამეს ამოგართმევენ შენ სულსა, და ვილას დაჰრჩება მაშინ შენი საუნჯე, რომელიც მოიმზადე?—ასრე დაემართება კაცს, ვინც კი სიმდიდრეს მარტო თავისთვის შეიძენს, მარტო თავის კმაყოფილებისათვის ჰხმარობს, და არა ჰფიქრობს მოყვასთათვისაც შემწეობის მიცემას."

ამავე დროს მიუბრუნდა მოწაფეებს და ასრეთი დარიგება მისცა: „ნუ ეძიებთ, რა ჰსჭამოთ და რა ჰსვათ, და ერიდეთ განცხრომასაც. საზრდოზე ჰფიქრობენ მარტო ის კაცნი, რომელნიც სულის ცხონებას არ ეძებენ. ხოლო თქვენ ეძიებდეთ სა-

სუფეველსა ღვთისასა. მაშინ ცხოვრებისათვის საზრდოს ღმერთი თვითონ მოგცემთ, ამისათვის რომ იმან, იცის რაც გესაჭიროებათ. ნუ გინდათ ამ ქვეყანაზე ისეთი სიმდიდრე, რომელსაც მღილი და ჟანგი სცრის, და ქურდები უთხრიან ძირს და იპარვენ. სიმდიდრე შეიგროვეთ ცათა შინა, სადაც იმას ვერც მღილი და ვერც ჟანგი ვერას ავნებენ, და ქურდებიც ვერ უთხრიან ძირს და ვერ იპარვენ. სადაც თქვენი სიმდიდრე არის, იქ უნდა იყოს თქვენი გულის სიკეთეცა. გაჰყიდეთ მონაგები თქვენი, და მიეცით ქველის საქმე, და ჰყავით თავისა თქვენისა საფასე, რომელი არა დაძველდეს, და გქონდეთ საუნჯე უკლებელი ცათა შინა, და იყოს სანთელნი თქვენნი ანთებულ."—

Ⴗოველი კაცი დაუცხრომელად უნდა შრომობდეს, არ იჯდეს უქმად, იგებდეს სიმდიდრეს, მაგრამ მარტო თვითონ არ უნდა სარგებლობდეს მონაგებით: სხვასაც შემწეობას უნდა აძლევდეს. ვინც ასრე არ ჰხმარობს თავის საუნჯეს, ის კაცი ამაოდ შეიკრებს სიმდიდრეს. Ⴈგავში ხსენებულ მდიდარი კაცის ბედი ეწევა ყველას, რომელნიც მარტო თავისთვის შეიძენენ სიმდიდრეს. Ⴉაცი არ უნდა იყოს ძუნწი და არ უნდა იღმერთებდეს სიმდიდრეს. Ⴈს უნდა ჰხმარობდეს მას ღვთის სასიამოვნო საქმეებზე. სიმდიდრის შემწეობით კაცმა უნდა შეიკრიბოს საიქიოსათვის კეთილი საქმეები; ქვეყანასაც კეთილი შეჰძინოს და სული თვისიც აცხონოს.

## 71. უსამართლო გამგებელი და იგავი მდიდარ კაცზე და გლახაკ ლაზარეზე.

ლუკ. 16, 1—31.

Ⴈესო ქრისტე ამბობს, რომ კაცმა უსამართლოებით სიმდიდრე არ უნდა შეიძინოსო, და თუ მოჰხდა ამ გზით მისი მოპოვება, მაშინ სიმდიდრე კეთილ საქმეს უნდა მოახმაროსო. Ⴀსრეთი დარიგება მისცა იმან მეზვერეებს.

მეზვერეები იყვნენ ხალხში ხარჯის მომკრეფნი. ამ თანამდებობას ისინი ბოროტად ჰხმარობენ, და გაწერილ ხარჯზე მომეტებულს ილებდენ ხალხისაგან, და თვითონ სარგებლობდენ. ამ უსამართლო ქცევით ისინი გამდიდრებულიყვნენ. იესო ქრისტემ ახლა დაარიგა ისინი, რანაირად უნდა მოიხმარონ უსამართლოდ შეძენილი თავიანთი ქონება. ამაზედა სთქვა იმან იგავი.

იყო ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ჰყვანდა მოურავი (მნე). ეს მასთან დააბეზღეს, რომ შენს ქონებას აბნევსო. მაშინ მდიდარმა დაუძახა მოურავს და უთხრა: ეს რაები მესმის შენზე? გიბრძანებ ეხლავე მომცე ანგარიში გამგეობისა, და აღარ მინდიხარ შენ. მაშინ გამგებელმა სთქვა თავის გულში: რაღა მეშველება? რა უნდა ვქმნა? ჩემი ბატონი მითხოვს თანამდებობიდგან. მიწის ბარვა მე არ შემიძლიან, მოწყალების თხოვნა კიდე ჩემთვის სათაკილოა;—მაგრამ ვიცი, რასაც ვიზამ, რომ თანამდებობიდგან დათხოვნის შემდეგ ყველამ მიმიღოს თავისს სახლში. დაუძახა იმან ცალკ-ცალკე თავის ბატონის მოვალეებს, და ჰკითხა პირველს: რამდენი გმართებს—ჩემის ბატონისა?—იმან უპასუხა: ასი საწნახელი ზეთისა (ესე იგი 419 ჩაფი).—უთხრა იმას: აჰა, შენი ხელწერილი, დაჯექ ეხლავე და დასწერე: ორმოცდაათი.—მერმე მეორესა ჰკითხა: შენ რამდენიღა გმართებს? ამანაც უპასუხა:—ასი სათოველი პურისა (ესე იგი 1964 ლიტრა ხორბალი).—უთხრა ამასაც: აიღე შენი ხელწერილი და დასწერე: ოთხმოცი."

«ბატონმა რომ შეიტყო ასეთი ცბიერება თავის მოურავისა, აქო მისი წინდახედულობა და გონიერად ქცევა."

და ესრედ, შვილნი ამა წუთის სოფლისანი, სთქვა იესო ქრისტემ, უფრო გონიერნი არიან, (ვიდრე ის კაცნი, რომელთაც სული თვისი შეუწირავთ კეთილ-მოღვაწეობისათვის). «და მეც გეუბნებით, რომ ის სიმდიდრე, რომელიც თქვენ უსამართლოებით შეგიძენიათ, მოიხმარეთ მეგობრების მოსაპოებლად, რომ იმათ მიერ იყვნეთ მიღებულნი თავიანთ სამყოფში, ოდეს მოაკლდებით ამ ქვეყანას.»

ამავე დროს იესო ქრისტემ ახსნა ისიცა,—რა საშიშარია ცუდად მოხმარება სიმდიდრისა და ღარიბთათვის შემწეობის არ მიცემა. იმან მოიყვანა მაგალითი და სთქვა შემდეგი იგავი:

„იყო ვინმე კაცი მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა, და ყოველს ცისმარე დღეს ატარებდა ზეიმითა და ნადიმით. იყო მის კარებს წინ ვინმე სნეული გლახაკიცა, სახელად ლაზარე; ის უცდიდა აქ ამ მდიდარ კაცის სუფრიდგან გადმოყრილს ნამუსრევს, და ყოველ დღეს მის ნასუფრალით იკვებებოდა. აქვე ძაღლები ულოშნიდნენ მას ჩირქით სავსე წყლულებსა.»

„მოკვდა იგი გლახაკი, და ანგელოზთა მიიყვანეს აბრაამის წიაღსა შინა. მოკვდა მდიდარიცა იგი და დაეფლა. ის ვახდა ჯოჯოხეთის კერძი და იტანჯებოდა მწარედ. იმან აიხედა ჯოჯოხეთიდან მაღლა და დაინახა შორს აბრაამი და ლაზარე წიაღთა მისთა. მაშინ სთქვა ცოდვილმა მაღლისა ხმითა:—მამაო აბრაამ! შემიწყალე მე, და მოავლინე ლაზარე, რათა დააწოს თავის თითის წვერი წყალს და განმიგრილოს ენა, რამეთუ ვიტანჯები მწარედ ცეცხლისა ალითა.— ამაზე აბრაამმა უთხრა: შვილო! მოიხსენე, რომ შენა ჰნახე სოფლიურს ცხოვრებაში ყოველი კეთილი; ლაზარემ კი წუთის სოფელში მარტო სიმწარე და ბოროტი ნახა; ახლა ის ნეტარებაში არის, შენ კი ტანჯვაში ხარ. გარდა ამისა, ჩვენსა და შენს შორის ისრეთი დიდი დანახეთქი არის, რომ ვერც აქედგან შენს მხარეს ვინმე გადმოვა, ვერც შენს მხრიდგან ვინმე ჩვენთან მოვა.»

უბადრუკს მდიდარს იმედი გადუწყდა, თავის თავი დაღუპულად შერაცხა, მოაგონდა თავისი ძმები, ისურვა მათთვის შველა და სთხოვა აბრაამს: გეხვეწები, მამაო, გაგზავნე ლაზარე მამა ჩემის სახლში: მე მყავს ხუთი ძმა; წავიდეს ლაზარე, შეატყობინოს იმათ, რომ ისინი მაინც არის არ მოვიდნენ ადგილსა ამას სატანჯველსა.“—ამ თხოვნაზე აბრაამმა უთხრა:—«იმათა ჰყავთ მოსე და სხვანი წინასწარმეტყველნი: მათი დაწერილი

ისმინონ.» — იმან უპასუხა: — „არა, მამაო აბრაამ! ვინმე მკვდრეთით რომ აღსდგეს და მივიდეს, მაშინ ისინი უფრო ადვილად მოიქცევიან კეთილს გზაზე და შეინანებენ." — „უკეთუ მოსესა და წინასწარმეტყველებს არ უგონებენ, მაშ არც მკვდრეთით აღდგომილის ნათქვამს ირწმუნებენ," უპასუხა აბრაამმა.

## 72. დაკუტული დედა-კაცის მორჩენა.

ლუკ. 13: 10—17.

ერთი დედა-კაცი თვრამეტი წელიწადი დაკუტული იყო. სნეულება ისრე გამჯდარი ჰქონდა ტანში, რომ წელში მოხრილი დადიოდა და მაღლა ვერ აეხედნა. ამაზე იყო ის დაღონებული. ერთს შაბათს დღეს, როცა იესო ქრისტე ურიათა შესაკრებელში იყო, აქ მოვიდა ეს სნეული დედა-კაციცა. ქრისტე ღმერთმა იმას დაუძახა და უთხრა: „დედა-კაცო! შენ განთავისუფლებულხარ უძლურებისაგან." სთქვა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე ხელები დაადო იმას თავზე: დედა-კაცი გაიმართა წელში, განიკურნა, და მიდიოდა და ადიდებდა ღმერთსა." ამ დროს აქ იყო უფროსი მოძღვარი შესაკრებელისა. იმას ეწყინა იესო ქრისტეს მოქმედება და უთხრა ხალხს გაჯავრებით: «საქმობისათვის ექვსი დღე არის დადებული; ამ დღეებში მოდით სნეულებისაგან მოსარჩენად, და არა შაბათს დღესა.» ამაზე იესო ქრისტემაც გაჯავრებით უთხრა შესაკრებელის უფროსს: „ორგულო! განა ყოველი თქვენგანი ბაგაში დაბმულ ხარსა ანუ ვირს არ ახსნის ხოლმე შაბათს, რომ წაიყვანოს და წყალი დაალევინოს? განა ეს აბრაამის ასულიც, თვრამეტი წლის განმავლობაში ეშმაკისაგან შეპყრობილი, რიგი არ იყო რომ შაბათს დღეს განთავისუფალიყო სენისაგან?» — იესო ქრისტეს მოწინააღმდეგენი გაჩუმდენ: იმათ შერცხვათ; ხალხს კი უხაროდა, რომ ის ჩინებულს და საქებურს საქმეს იქმოდა.

## 73. განკურნება ათის კეთროვანისა.

ლუკ. 17. 11—19.

სამარიასა და გალილიას შუა, ერთს სოფლის პირს, იესო ქრისტემ ნახა ათი კეთრით სნეული კაცი. იმათგან ცხრა იყო ურია, ერთი სამარიტელი. იმათ დაინახეს იესო ქრისტე, მაგრამ ახლოს მისვლა ვერ გაბედეს და შორიდგან დაუწყეს ძახილი: «იესო, მოძღვარო! შეგვიწყალენ ჩვენ.» იესომ მიჰხედა, შეებრალა ისინი და უთხრა: „წადით, უჩვენეთ თავი თქვენი მღვდლებსა.“ ისინი დაემორჩილნენ უფლის ბრძანებას და წავიდნენ. გზაზე მიმავლობის დროს ყველანი განიკურნენ. ერთს მათგანს ისრე გაუხარდა, რომ მაშინვე უკან გამობრუნდა, მოვიდა ქრისტესთან, დაემხო მისს ფერხთა წინაშე და მადლობა უთხრა მორჩენისათვის. ეს იყო სამარიტელი. იესომ ჰკითხა იმას: «განა ათნი არ განიკურნენით? ცხრა სადღაა?“— ურიებმა სიკეთისათვის მადლობის გადახდა საჭიროდ ვერ დაინახეს, ამისა გამო უფალმა უთხრა თავის მოწაფეებს, რომ ღვთისათვის სამარიტელი ურიაზე უფრო სათნო შეიქმნაო.

ურიები იკვეხდნენ თავიანთ სიმართლით, მაგრამ ახლა საჭიროდ ვერ დაინახეს, მისულიყვნენ და მადლობა და დიდება ეთქვათ ქრისტესთვის. იმას გადუხადა მადლობა მხოლოდ სამარიტელმა, ამისათვის იესო ქრისტემაც მხოლოდ იმას უთხრა: «აღსდეგ და წარვედ; სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.»

## 74. ფარისეველთა ბაასი სუფრაზე უპირველეს ადგილის დაჭერისათვის.

ლუკ. 14. 1—24.

ერთმა ფარისეველთ უფროსმა იესო ქრისტე თავის სახლში სადილად მიიპატიჟა. აქ შეიყარნენ სჯულის მოძღვარნი და ფარისე-

ველნიცა. ყველა თვალს ადევნებდა იესო ქრისტეს, ენახოთ რას იზამსო. ეს იყო შაბათს დღეს. აქ მოვიდა იესო ქრისტესთან ერთი წყალმანკით ავადმყოფი კაცი. იესო ქრისტემ ჰკითხა ფარისევლებსა და ჰსჯულის მოძღვართ: «შეიძლება თუ არა შაბათს დღეს ავადმყოფი კაცის განკურნებაო?» იმათ ხმა არ ამოიღეს. მაშინ ის შეეხო სნეულს და განკურნა, მერმე მიუბრუნდა ფარისევლებს და უთხრა: «ვისმეს თქვენგანს ვირი ანუ ხარი რომ ჩაუვარდეს ჭაში, განა მეყვსეულად არ ამოიყვანს შაბათს დღესა?» ფარისეველთ კიდევ პასუხი არ მისცეს.

ამ ხანებში სადილად დასხდომის დროც მოვიდა. აქ აღმოჩნდა მათი ამპარტავნება და თავმოყვარება. ყველა იმათგანს უნდოდა უპირველისა ადგილი დაეჭირა სუფრაზე; იმათს ამნაირს ქცევას იესო ქრისტე თვალ-ყურს ადევნებდა; და ერთს იმათგანს უთხრა: „თუ ვინმემ ქორწილში დაგპატიჟოს, პირველს ადგილს ნუ დაიჭერ, რომ მიწვეულთ შორის შენზე ღირსეული ვინმე არ აღმოჩნდეს, და მასპინძელმა არ გითხრას: შენზე უფროსს დაუთმე ეგ ადგილიო, და შენ იქით გადადიო. მაშინ იქნები შერცხვენილი, და ადგილიც ხომ უნდა დაიჭირო უკანასკნელი. უკეთუ გსურს ასრე არ იყო გაუპატიურებული და უკანასკნელს ალაგს არ მოჰყვე, ეცადე, თუ ვინმემ მიგიპატიჟოს, სუფრაზე უკანასკნელი ადგილი დაიჭირო. თუ უფრო საპატიო ალაგის ღირსი ხარ, ეცადე, რომ მასპინძელი თვითონ მოვიდეს შენთან და გითხრას: მეგობარო! გადაჯექი ზემოთ მხარეს; მაშინ პატივი მოგემატება სტუმართა შორის. ყოველი კაცი, რომელიც თავს აღიმაღლებს, იგი დამდაბლდება, და რომელიც დაიმდაბლებს თავსა თვისსა, იგი ამაღლდებაო“, სთქვა ბოლოს ქრისტემ.

ამის შემდეგ იესო ქრისტე მიუბრუნდა ახლა სახლის პატრონს და ასრეთი დარიგება მისცა: „როცა აკეთებ სადილს ანუ ვახშამს, ნუ მიიპატიჟებ ნურც მეგობრებს, ნურც ძმებს, ნურც მდიდარს მეზობლებს; რომელთაც შეუძლიანთ სამაგიე-

რო პატივი გადაგიხადონ. როცა გააკეთებ ნადიმს, მიიპატიჟე გლახაკნი, მახინჯნი, კოჭლნი და ბრმანი; ამისთვის რომ ნეტარი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა იმათ სამაგიერო პატივის გადახდა არ შეეძლებათ და შენ მოგეცემა სამაგიერო საიქიოს“.

ასრეთი დარიგება მისცა იესო ქრისტემ ფარისეველებსა და სჯულის მოძღვართ, და ერთს მათგანს ისე მოეწონა მისი საუბარი, რომ აღტაცებაში მოვიდა და ასე სთქვა: «ნეტარია ის, ვინც პურსა სჭამს ღვთის სასუფეველშიო». ამაზე მაცხოვარმა უპასუხა იგავით:

„ერთმა კაცმა გააკეთა ჩინებული ვახშამი, სთქვა იმან, და მიიწვია მრავალნი. როცა ვახშამი მზათ იყო, იმან გაგზავნა კაცი სტუმრად მიპატიჟებულ კაცთან მისაწვევად: მოდით უკვე მზად არის ყოველივე. მაგრამ ყველამ ბოდიში მოიხადეს მასთან, თითქოდე ყველას პირობა აქვთ შეკრულიო. პირველმა შეუთვალა მასპინძელს: მე აგარაკი ვიყიდე და მსურს იმის გასასინჯად წავიდე, და გთხოვ მომიტევო; მეორემ უპასუხა: ხუთი უღელი ხარი ვიყიდე, იმათ გასასინჯავად მივდივარ, გთხოვ არ დამემდუროო; ხოლო მესამემ უთხრა: ცოლი შევირთე, და მისგამო არ შემიძლიან მოსვლაო.

მოვიდა მოსამსახურე და ყოველივე უთხრა მასპინძელს მაშინ გაჯავრდა ის და უბრძანა კიდევ თავის მოსამსახურეს: „გადი ეხლავე ქალაქის უბნებსა და ქუჩებში და მომიყვანე გლახაკნი, კუტნი, კოჭლნი, და ბრმანი. მონამ აღასრულა ბრძანება ბატონისა და მიიპატიჟა ყველა, ვინც შემოჰხვდა, და მერმე უთხრა ბატონს: ბატონო! ყოველივე აღვასრულე, როგორც მიბრძანე, და კიდევ ალაგი არის სუფრაზე. —ბატონმა კვლავ უბრძანა: გადი კიდევ გზებზე და ბაღებში, და მოიყვანე ვინმე, რომ ჩემი სახლი სავსე იყოს სტუმრებითა. გეუბნები, რომ პირველად მოპატიჟებულთაგან ვერც ერთი ვერ გახდება ღირსი გემო იხილოს ჩემის სერობისა“.—

ეს იგავი იესო ქრისტემ იმაზე სთქვა, რომ თუმცა ურიე-

ები ღვთისაგან ამორჩეულნი არიან, მაგრამ თავიანთის ცუდის ქცევით დაჰკარგეს ღვთის წყალობა, და იმათ ნაცვლად ახლა ღმერთი მიიღებს სასუფეველსა შინა მეზვერეებსა, ცოდვილებსა და წარმართებს.

## 75. იგავი დაკარგულ ცხვარზე, დრაჰკმაზე და უძღების შვილზე.

ლუკ. თავი 15.

ფარისეველნი და მწიგნობარნი მუდამ ჯავრობდენ იესო ქრისტეზე, რომ ის ცოდვილებთან ჯდებოდა, სჭამდა და ჰსვამდა. ეს სამდურავი მათი იცოდა იმანაც და ამისათვის სთქვა, რომ ღმერთი ყოველთვის მზად არის მიიღოს ცოდვილი, და არ მოაკლოს მას თავისი წყალობა, თუ რომ ისიც მოინანიებს ცოდვებს. ამაზედა სთქვა შემდეგი იგავი: «ვინ იქნება თქვენთაგანი, რომ ასი ცხვარი ჰყვანდეს და ერთი მათგანი დაჰკარგოს, და არ დასტოვოს ოთხმოცდა-ცხრამეტი უდაბნოში და არ წავიდეს დაკარგულის მოსაძებნელად?—და როცა იპოვის დაკარგულს ცხვარს, სიხარულით წამოიკიდებს მხრებზე, მოიყვანს სახლში, მოიწვევს მეგობრებსა და მეზობლებს და ეტყვის: გიხაროდეთ ჩემთან ერთად, რომ ვიპოვე ჩემი დაკარგული ცხვარიო".

«ასრეთი სიხარული არის ხოლმე ცაშიაც ერთის ცოდვილის შენანებისათვის, ვიდრე ოთხმოცდაათ ცხრამეტ მართალთათვის, რომელნიც სინა ულს არ საჭიროებენ".

გარდა ამისა, «რომელი დედა-კაცი იქნება, რომ ათი დრაქმი ჰქონდეს და ერთი დაჰკარგოს—არ აინთოს სანთელი, არ დაგავოს სახლი და არ დაუწყოს იმას გულ-მოდგინებით ძებნა, ვიდრე იპოვიდეს? და როცა იპოვის, დაუძახებს მეგობარს მეზობლის ქალებს და ეტყვის: გიხაროდეთ, ვიპოვე დაკარგული დრაქმა – გეტყვი თქვენ, სთქვა იესო ქრისტემ: ასრე უხარიანთ ხოლმე ღვთის ანგელოზებსაც, როცა ერთი რომელიმე კაცი მოინანებს ცოდვებსა."

ამის შემდეგ იესო ქრისტემ სთქვა მესამე იგავი:

„ერთს კაცსა ჰყვანდა ორი შვილი. უმცროსმა უთხრა მამას: მამეცი ქონებისაგან ჩემი წილიო. მამამ აღუსრულა მას თხოვნა. იმან შეაგროვა თავისი ქონება, წავიდა შორს ქვეყანას, იცხოვრა იქ ურიგოდ და განაბნია თავისი სიმდიდრე. მისდა საუბედუროდ ამ დროს მოჰხდა იმ ქვეყანაში დიდი შიმშილობაცა. უძღების შვილი გაღარიბდა. სიღარიბემ იმას ძალა დაატანა წასულიყო ერთს იქაურს მდიდარ კაცთან და ღორების მწყემსად დასდგომოდა. უხაროდა უბედურს, ღორები რასაც ჰსჭამენ, იმას მაინც არის ვსჭამ და კუჭს გავიძღობო; მაგრამ იმას ღორების საჭმელსაც არ აძლევდენ. ბოლოს შეწუხდა ასეთი უგემურის ცხოვრებითაც, მოვიდა გონს და სთქვა: რამდენი მოჯამაგირე გულ-უხვად იკვებება მამი ჩემის სახლში, მე კი აქ შიმშილითა ვკდები: ავდგები, წავალ მეც მამა ჩემთან და ვეტყვი: მამაო! ღმერთსაც შევსცოდე და შენც გაწყენინე, და ღირსი არა ვარ შენს შვილადღა ვიწოდებოდე; მიმიღე მეც, როგორც ერთი შენს მოჯამაგირეთაგანი.—ადგა და მოვიდა თავის მამასთან. მამამ შორიდგანვე დაინახა მიმავალი შვილი, შეებრალა და მიეგება წინ, მოეხვია ყელზე და დაუწყო კოცნა. მაშინ შვილმა უთხრა მამას: მამაო! დავაშავე წინაშე ღვთისა და შენც გაწყენინე; ღირსი აღარა ვარ შენ შვილადღა ვიწოდებოდეო. მაგრამ მამამ გააწყვეტინა შვილს სიტყვა და უბრძანა მოსამსახურებს: მოიტანეთ საუკეთესო სამოსელი და ჩააცვით მაგას; გაუკეთეთ თითზე ბეჭედიცა და მიეცით ფეხთ-საცმელიცა; მოიყვანეთ და დაჰკალით ეგრეთვე მსუქანი ზვარაკიცა, რომ ვსჭამოთ და ვიხარებდეთ. ამისათვის რომ ეს ჩემი შვილი მკვდარი იყო და ახლა გაცოცხლდა; აქამომდე დაკარგული იყო და ახლა ვიპოვეთ. მოსამსახურეებმა აღასრულეს მისი ბრძანება. გაიმართა ნადიმი“.

„ამ დროს მისი უფროსი შვილი სამუშაოდ მინდორში იყო. შინ რომ დაბრუნდა, იმას მოესმა სახლიდგან ხმა მხია-

რულებისა და ლხინისა. ის სახლში არ შევიდა, დაუძახა მო-
სამსახურეს და ჰკითხა: ეს რა ამბავია?—იმას უპასუხეს: შენი
ძმა შინ დაბრუნდა და მამა შენმა ზვარაკი დაუკლა, რადგან ის
ცოცხალი ნახა.—არ მოეწონა უფროსს შვილს მამის ასეთი
ქცევა, გაჯავრდა და არ ეწადა სახლში შესვლა. მაშინ მამა
გამოვიდა და დაუწყო შვილს მიწვევა: შვილი გაჭირვეულდა
და უთხრა მამას: აგერ რამდენი წელიწადია მე შენ გემსახურე-
ბი, და არასოდეს არ გადავსულვარ შენს ბრძანებას; მაგრამ შენ
არასოდეს არ მოგიცია ჩემთვის თუნდ ერთი თიკანი, რომ მე
დრო გამეტარებინა მეგობრებთან. ხოლო როცა შენ მოგივიდა
ურჩი შვილი, რომელმაც დაანთქა შენი ქონება, შენ იმას უსხი
დაუკალი.—ამაზე მამამ უთხრა შვილს: შვილო! შენ მუდამ
ჩემთანა ხარ და რაც ჩემია, ყოველივე შენია; შენი ძმა კი აქა-
მდე მკვდარი იყო,—და ახლა გაცოცხლდა, დაკარგული იყო და
ახლა ვიპოვეთ»; და აი ამისათვის გვმართებდა სიხარული და
ნადიმი".

## 76. ლაზარეს აღდგომა მკვდრეთით და სიკვდილი.

იოან. 11. 1—16

მართასი და მარიამის ძმა ლაზარე ავად გახდა. დები ამაზე
ძალიან შესწუხდნენ. იმათ მაშინვე შეატყობინეს იესო ქრისტეს
სნეულება ლაზარესი, რადგან დიდი იმედი ჰქონდათ იმისი; მა-
გრამ ქრისტემ შეუთვალათ: სნეულება სასიკვდინე არ არისო:
ლაზარე ავად გახდა ამისათვის, რომ იდიდოს ძე ღვთისა მის-
მიერ."

მაცხოვარს უყვარდა ლაზარე, მაგრამ მაინც მოიცადა კი-
დევ ორი დღე პერეაში. ამასობაში ლაზარე უკვე მოკვდა.
მხოლოდ მესამე დღეს უთხრა იესო ქრისტემ მოწაფეებს: «წავი-
დეთ ისევ ურიასტანს».—«მოძღვარო! უთხრეს მოწაფეებმა, განა

დიდი ხანია, რაც ურიებს შენი ჩაქვავება უნდოდათ? და შენ კიდევ იქ მიხვალ?“ მაგრამ იესო ქრისტემ უთხრა: დღეს თორმეტი საათი აქვს, და ვინც დღისით დადის, ის ფეხს არ წამოჰკრავს ხოლმეო; ამისათვის რომ დღის სინათლეზე ჰხედავს. მაგრამ ვინც ღამით დადის, ის კი ბორძიკებს, ამისათვის რომ მასთან სინათლე არ არის“. სთქვა ესა და ზედაც დაუმატა: «მეგობარმან ჩემმან ლაზარემ დაიძინა; მაგრამ მე ეხლა იმასთან მივალ და გავაღვიძებ“.—მოწაფეთა ვერ გაიგეს მისი აზრი და ფიქრობდენ, რომ ლაზარეს თუ სძინავს, მაშ საკეთილო ბოლო ექნება მის სნეულებასაო. ამისათვის მოახსენეს მოწაფეთა, რომ ძილი მორჩენის ნიშანი არისო. მაშინ იესო ქრისტემ გამოუცხადათ: „ლაზარე მოკვდაო; და მე მიხარიან, რომ იქ არ ვიყავი: ამისათვის რომ მსურს თქვენა გრწამდეთ: ახლა წავიდეთ მასთან“. ამაზე თომა მოციქულმა უთხრა მოწაფეებს: თუ ასეა, მაშ „ჩვენც წავიდეთ და მოვსწყდეთ მისთანა.“

### 77. შეიძლება თუ არა ცოლქმართ გაყრა.

მათ. 19. 1—12. მარკ. 10. 1—12.

ზოგიერთნი ურიების ნასწავლნი კაცნი ამტკიცებდენ, რომ ცოლ-ქმართ გაყრა შეიძლებაო, ზოგნი კი ამბობდენ, რომ ცოლ-ქმრობა ღვთისაგან ნაკურთხი კავშირი არისო და ამისათვის არ შეიძლება დარღვევაო.

ამ კითხვის ახსნა ფარისეველებმა სთხოვეს იესო ქრისტეს და ჰკითხეს: «შეუძლიან ქმარს რომელიმე მიზეზით გაეყაროს თავის ცოლს» (თუ არაო)? ამაზე იმან უპასუხათ: «განა არ წაგიკითხავთ, რომ პირველადვე ღმერთმა ქმარი და ცოლი შექმნა? ამისათვის კაცმა უნდა დაუტევოს თავისი დედ-მამა, და თავის ცოლს ისრე შეუერთდეს, რომ ერთ-ხორცნი გახდნენ, რადგან ისინი ორნი აღარ არიან, არამედ არიან ერთ-ხორც (ერთი კაცი). ამ

მიზეზის გამო კაცს არა აქვს უფლება განაშოროს ის, რაც ღმერთმა შეაუღლა".—ამაზე უთხრეს მაცხოვარს: „მაშ მოსემ რათა ბრძანა გაყრის წერილის მიცემა და განშორებაო?» —მოსემ თქვენის გულფიცხელობისათვის მოგცათ ნება ცოლის განტევებისა, უპასუხა იესო ქრისტემ; წინაპირველად კი ასრე არ იყო; მაგრამ «მე გეტყვი თქვენ: ვინც გაეყრება თავის ცოლს თვინიერ სიძვისა, და სხვას შეირთავს, იგი იმრუშებს; და ვინც განტევებულს შეირთავს, იგიცა იმრუშებს." მაშინ მოწაფეებმა უთხრეს: «თუ ასრეთი მძიმენი არიან ცოლ-ქმართ შუა ქორწინების პირობანი, მაშ ჰსჯობს კაცმა ცოლი არ შეირთოს?" «ყველას არ შეუძლიან მოითმინოს უცოლ-ქმრობა. ამას დატევენ მხოლოდ ისინი, ვისაც შეუძლიან ამის მოთმენა, უპასუხა იმათ ქრისტემაც. არიან ისეთნი კაცნი, რომელთაც დაბადებიდგანვე არა აქვთ ცოლ-ქმრობის ნიჭი; ამისათვის არ ჩაეთვლებათ მათ უქორწინო ცხოვრება მოღვაწეობად; არიან აგრეთვე ისეთნიცა, რომელნიც ძალად კაცთაგან არიან გამოსაჭურისებულნი; ესეც უნებური მოღვაწეობა არის და არ ჩაითვლება სამსახურად წინაშე ღვთისა; კიდევ არიან იმისთანანი, რომელთაც თავის ნებით უარი უყვიათ ქორწინება და საჭურისად გამხდარან, რომ დაუბრკოლებლად მოიპოვონ ცხოვნება სულისა". „რომელსაც შეუძლიან მოთმენა—მოითმინოს".

## 78. ყრმათა კურთხევა.

მათ. 19. 13—15. მარკ. 10. 13—16. ლუკ. 18. 15—17.

ერთხელ იესო ქრისტესთან ყმაწვილები მოიყვანეს დასალოცად. მაგრამ მოწაფეებს ეგონათ, რომ ყრმანი არ არიან ღირსნი, რომ მათთვის მოძღვარი გაჩერდესო, და ამისათვის არ

უშვებდენ იმათ იესო ქრისტესთან მისასვლელად. ეს რომ და-
ინახა მაცხოვარმა, გაჯავრებით უთხრა მოწაფეთა: „აცადეთ და
ნუ უშლით ყმაწვილებს მოვიდნენ ჩემთან, ამისათვის რომ სა-
სუფეველი მაგისთანაებს ეკუთვნით. ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ:
«ვინც ისრე გულ-უმანკოდ არ მიიღებს ჩემს სწავლას, როგორც
ყრმა იგი, ვერ შევა სასუფეველში“. სთქვა ესა და მოეხვია
იესო ქრისტე ბავშვებს, დაადო მათ თავზე ხელი და აკურთხა
ისინი.

## 79. მდიდარი ჭაბუკისათვის მიცემული დარიგება.

მათ. 19. 16—26. მარკ. 10. 17—27; ლუკ. 18. 18—27.

ერთი ახალგაზდა მოხელე ურია მოვიდა იესო ქრისტეს-
თან და ჰკითხა: „მოძღვარო სახიერო! რა უნდა ვქნა, რომ სა-
უკუნო ცხოვრება დავიმკვიდრო?“ იესო ქრისტემ ამაზე უპასუ-
ხა: „რად მეძახი მე სახიერს? სახიერი მხოლოდ ერთი ღმერთია.
უკეთუ გსურს შეხვიდე სასუფეველში, აღასრულე მცნებანი». —
«რომელი მცნებანი?» კვლავ ჰკითხა ჭაბუკმა. „კაცს ნუ მოჰ-
კლავ, ნუ მოიპარავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ აწყენინებ, პატივ-
ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, და გიყვარდეს მოყვასი შენი,
ვითარცა თავი თვისი“, უბრძანა იესო ქრისტემ. ჭაბუკი ამ
მცნებებს გარეგნად ასრულებდა ხოლმე და ამისათვის უპასუხა
ქრისტეს: „ყველა ამაებს მე სიყრმიდგანვე ვასრულებ, და ეხლა
რაღა მაკლია?“ ამ სიტყვისათვის უფალს ჭაბუკი შეუყვარდა
და უთხრა: „უკეთუ გნებავს სრული იყო სიწმიდითა, ერთიღა
გაკლია შენ: წადი, რაცა ქონება გაქვს, გაჰყიდე და დაურიგე
გლახაკებს, რომ საუნჯე ცათა შინა გქონდეს; მერმე აიღე ჯვა-
რი, მოდი და შემომიდეგ მე». ეს სიტყვები ჭაბუკსა მდიდარს
არ მოეწონა, ეწყინა, ხმა აღარ ამოიღო და მოჰშორდა ქრის-
ტე ღმერთსა. იმას დიდი შეძლება ჰქონდა. ეძნელებოდა მისი
დაკარგვა. კეთილ საქმისათვის თავის შეწირვა იმან ვერ გაბედა.

ის რომ წავიდა, მაშინ Иესო ქრისტემ უთხრა ხალხს, რომელიც ამ დროს მას გარს ეხვევოდა: — «მართლაც-და და რა ძნელია მდიდარი კაცის სასუფეველში შესვლა! აქლემის გაძრომა ნემსის ხვრელში უფრო ადვილია, ვიდრე მდიდარი კაცის სასუფეველში შესვლა". ყველას გაუკვირდა, ვინც გაიგონა ეს სიტყვები, და ეკითხებოდენ ერთმანერთს: «მაშ ვიღას შეუძლიან ცხონდეს?» — „რაც კაცს არ შეუძლიან, შესაძლო არის ღვთისათვისაო", ბრძანა ქრისტემ.

## 80. იგავი მებაღეებისათვის შეპირებულ ფასზე.

მათ. 19. 27—30; 20. 1—16. მარკ. 10. 28—31. ლუკ. 18. 28—30.

ჩაბუკთან ლაპარაკის გამო პეტრე მოციქულმა ჰკითხა Иესო ქრისტეს: „ჩვენ ყოველივე დავუტევეთ და შენ შემოგიდეგით და ამისათვის რა ჯილდო მოგვეცემაო?" Иმან უპასუხა: «ჭეშმარიტს გეუბნები თქვენ: რაჟამს დაჯდეს ძე კაცისა საყდართა დიდებისა თვისისა, დასხდეთ თქვენცა ათ-ორმეტთა ტახტთა ზედა განჰსჯად ათ-ორმეტთა ტომთა ისრაილისათა".

ამის შემდეგ მაცხოვარმა უთხრა მოწაფეთ, რომ ყველა კაცს, მხოლოდ მაშინ ექნება მონაწილეობა ცათა სასუფეველში, როდესაც სარწმუნოების შესაფერს კეთილს საქმეს მოიღვაწებს. „სასუფეველი ცათა მიემსგავსება, სთქვა იმან, იმ ვენახის პატრონს, რომელიც დილით ადრიანა გამოვიდა სავენახოდ მუშების დასაჭერად, მოურიგდა იმათ დღეში თითო დრაჰკანად და გაგზავნა სამუშაოდ. გამოვიდა კიდევ დილის ცხრა საათზე, ნახა სხვა მუშები, ქუჩაში უსაქმოდ მდგომნი, და იმათაც უთხრა: წადით თქვენც ჩემს ვენახში იმუშავეთ, და რაც გერგებათ მოგცემთ. Иსინი წავიდნენ. მეთერთმეტე საათზე კიდევ გამოვიდა და დაიჭირა სხვა მუშებიცა. აგრე მოიქცა აგრეთვე შუადღის შემდეგაც. მეორე საათზე ის გამოვიდა და დაიჭირა კვლავ სხვა მუშები

და უთხრა: მთელს დღეს თქვენ აქ უქმად რათა სდგეხართ?“—«რა ვქნათ, არავინ დაგვიჭირა სამუშაოთაო“, უთხრეს იმათ. ვენახის პატრონმა ისინიც გაგზავნა თავის ვენახში და აღუთქვა ყველას რაც გერგებათ, უკლებად მოგეცემათო“.

როცა შეღამდა, ვენახის პატრონმა უთხრა თავის მოურავს: „დაუძახე მუშებს და მიეცი ყველას გაურჩევლად ერთნაირი ფასი. თერთმეტ საათზე დაჭერილმა მუშებმა მიიღეს თითო დრაჰკანი. მაშინ დილით მოსრულთ იფიქრეს, რომ ჩვენ მეტი გვერგებაო; მაგრამ იმათაც თითო დრაჰკანი მიიღეს. ეს იმათ იცოტავეს და დაიწყეს გაკიცხვა ვენახის პატრონისა, და უთხრეს: რომელნიც საღამოზე მოვიდნენ, ერთს საათზე მეტი არ უმუშავნიათ და ფასში კი ისინი ჩვენთან თანასწორი გაჰხადე; ჩვენ კი მთელი დღე სიცხე-პაპანაქებაში ვიმუშავეთ და ცოტა მოგვეცი. მაშინ ვენახის პატრონმა უთხრა პასუხად ერთს იმათგანს: „მეგობარო! მე შენ არას გაკლებ: მე შენ ერთს დრაჰკანზე მოგირიგდი? და აჰა შენი მიიღე და წადი. მნებავს ამ უკანასკნელსაც იმდენი მივსცე, რამდენიც შენ მოგეცი. განა მე უფლება არა მაქვს ჩემს ქონებაზე? ანუ იქნება შენი თვალი შურიანი იყოს და ენანებოდეს, რომ კეთილი ვარ?—ასრე იქნებიან წინანი უკანა და უკანი წინა“.

## 81. მკვდრეთით აღდგენა ლაზარესი.

### იოან. 11. 17—46.

იესო ქრისტე ბეთანიაში რომ მოვიდა, ლაზარე ოთხი დღის მკვდარი სამარეში იდვა. მართამ პირველად შეიტყო იმისი მობრძანება და მიეგება წინ; მარიამი კი დიდის მწუხარებით შეპყრობილი იჯდა სახლში. მართამ დაუჩოქა იესო ქრისტეს ფეხებს წინ და უთხრა: „უფალო! შენ რომ აქ ყოფილიყავ, ჩვენი ძმა არ მოკვდებოდა. მაგრამ ეხლაც ვიცი, რომ რასაცა სთხოვ ღმერთს, მოგცემს.“—„აღდგება ძმა შენიო“, უთხრა ქრისტემ.

«ვიცი რომ აღსდგება უკანასკნელს დღეს მკვდართა აღდგომისას,» მიუგო მართამ.—«მე ვარ აღდგომა და ცხოვრებაო, სთქვა იესო ქრისტემ; მორწმუნე ჩემი, კიდევაც რომ მოკვდეს, მაინც გაცოცხლდება, და აგრეთვე უკუნისამდე არ მოკვდება ის კაცია, რომელსაც მე ვსწამვარ.—გრწამს ესა (თუ არაო)? ჰკითხა მართას იესო ქრისტემ.—„დიაღ, უფალო! მრწამს, რომ შენ ხარ ქრისტე ძე ღვთისა, მოვლინებული ქვეყნად," უპასუხა იმან, და საჩქაროდ გაბრუნდა სახლში, მივიდა და ჩაჰჩურჩულა დას: „მოძღვარი აქა ბრძანდება და გეძახის."

მარიამი საჩქაროდ ადგა და წავიდა იესო ქრისტესთან. ამ დროს ლაზარეს სახლში ბევრი ხალხი იყო სამძიმარზე მოსული. ამათ იფიქრეს, რომ მარიამი ლაზარეს სამარეზე წავიდა სატირლადაო: ადგნენ და თვითონაც უკან გაჰყვნენ.

იესო ქრისტე სოფელს გარეთ იყო. ის იდგა იქვე, სადა მართა მიეგება. მარიამი მივიდა, დაუჩოქა წინ და უთხრა: „უფალო! შენ რომ აქ ყოფილიყავ, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა." ამ დროს მარიამიც ტიროდა და მასთან მყოფი ხალხიც. იესო ქრისტემ რომ იხილა ასეთი სამგლოვიარო ტირილი, თვითონაც შეწუხდა და აემღვრა სული—გული. სად დაასაფლავეთ ლაზარე?" იკითხა. «უფალო! წამოდი და იხილეო," უპასუხეს. მაშინ იმანაც ცრემლები ჩამოჰყარა.—«უყურეთ, როგორა ჰყვარებია მაგას ისა," სთქვეს ურიებმა, და ზოგმაც ზედ დაუმატეს: «განა არ შეეძლო მაგას, რომელმაც ბრმას თვალები აღუხილა, რომ ლაზარეც არ მომკვდარიყო?»—დაღონებული იესო ქრისტე მივიდა ლაზარეს სამარეზე. ის იყო აკლდამა და ზედ ედვა ლოდი. «აღიღეთ ეს ლოდიო,» ბრძანა მაცხოვარმა; მაგრამ მართამ უპასუხა: „უფალო! ეს ახლა უკვე ამყრალებული იქნება: ოთხი დღეა, რაც იგი სამარეშია." იესო ქრისტემ უპასუხა: „განა არ გითხარი, რომ თუ რწმენა გექნება, იხილავ ღვთის ძლიერებასაო."—გადააბრუნეს ლოდი. მაშინ იესო ქრისტემ აღახილა თვალნი თვისნი ზეცად და სთქვა:

«მამაო! გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი (სიტყვა); და მე ვიცი, რომ მარადის სათნო ვარ შენი; მაგრამ ამას ვიტყვი მე ერისა ამისათვის, რომელიც აქა სდგას, რათა ირწმუნოს, რომ შენ მიერ ვარ გამოგზავნილი.» სთქვა ესა და დიდის ხმით შეჰძახა: „ლაზარე, გამოვედ გარე!“ მკვდარი მყისვე გაცოცხლდა და გამოვიდა შესუდრული და ხელ-ფეხ შეკრული. ამის მნახველთ თავს შიშის ზარი დაეცათ, და ვერავინ ვერ ბედავდა მასთან მისვლას და სუდარის შეხსნას, ვიდრე ქრისტემ არ უბრძანა: „გახსენით, დაე წავიდესო.“

ბევრმა ურიათაგანმა, რომელთაც ნახეს ეს სასწაული, ირწმუნეს იესო ქრისტე მესიად; მაგრამ ზოგიერთნი კი წავიდნენ იერუსალიმს და ფარისევლებს უამბეს ყოველივე, რაც მოჰხდა.

## 82. სინედრიონმა გადასწყვიტა იესო ქრისტეს მოკვლა.

იოან. 11. 47—57.

ლაზარეს მკვდრეთით აღდგენის ამბავმა ძალიან შეაწუხა იესო ქრისტეს მტრები. შესდგა კრება სინედრიონისა. „რა უნდა ვქმნათო?“ ეკითხებოდნენ ერთმანერთს სასამართლოს წევრნი: „ეს კაცი სასწაულებს იქმს; ის რომ თავის ნებაზე დავტოვოთ, ყველანი მას ირწმუნებენ; მაშინ რომაელნიც მოვლენ და ყოველივეს წაგვართმევენ, და ჩვენს ხალხსაც დაღუპავენ, (ესე იგი: ურიანი ყველანი რომ დარწმუნდენ, იესო ქრისტე მესია არისო, რომელიც უნდა იყოს მეფე, მაშინ რომაელთ წინააღმდეგ მოახდენენ შფოთსა; ისინიც მოვლენ და იმ თავისუფლებასაც წაგვართმევენ, რაც ეხლა გვაქვს, და ჩვენს ხალხსაც დაღუპვენ). მაშინ სინედრიონის თავმჯდომარემ ასრეთი რჩევა მისცა კრებას: „უმჯობესია ჩვენთვის, რომ ერთი კაცი მოკვდეს ერისათვის, ვიდრე მთელი ხალხი დაიღუპოს.“ ეს რჩევა ყველას მოეწონა და გადასწყვიტეს იესო ქრისტეს მოკვლა. სინედ-

რიონის განაჩენი რომ შეიტყო იესო ქრისტემ, წავიდა ბეთანიიდამ ქალაქს ეფრაიმს, რომელიც იერუსალიმდგან 56 ვერსის სიშორეზე იყო ჩრდილოეთისაკენ.

ამ დროს პასექის დღესასწაულიც მოახლოებული იყო. ამისათვის ხალხი იკრიბებოდა იერუსალიმს. ყველანი ლაპარაკობდენ გალილიის ჩინებულს წინასწარმეტყველზე. თვით ტაძარში ისმოდა ხალხისაგან კითხვები: „როგორ ჰფიქრობთ, განა ის არ მოვა დღესასწაულზე?“ ასრეთი ლაპარაკი აწუხებდა იესოს მტრებს; იმათ ხელ-ახლად მოახდინეს სინედრიონის კრება და გასცეს ბრძანება: „ვინც შეიტყობს სად იმყოფება ქრისტე, მაშინვე შეგვატყობინოს, რომ შევიპყრათ იგი.“

## 83. იესო ქრისტე წინასწარმეტყველებს, რომ იერუსალიმში მომკლენო.

მარკ. 10. 32—34. მათ. 20. 17—19. ლუკ. 18. 31—33.

ეფრაიმ ქალაქიდგან იესო ქრისტე იერუსალიმს წავიდა. იმან თან წაიყვანა თავისი თორმეტი მოწაფეცა. ისინი მისდევდენ უკან, მაგრამ ძალიან სიფრთხილით იყვნენ. იმათ ეშინოდათ ურიებისაგან. მიუახლოვდენ იერუსალიმსაც. იესო ქრისტე წინ მიდიოდა, და თვალ-ყურს ადევნებდა მოწაფეებს. გზაზე იმან კიდევ გაუმეორათ, რომ იერუსალიმში იმას სიკვდილი მოელის. „აი ეხლა მივალთ იერუსალიმს, უთხრა მოწაფეებს, და აღსრულდება ყოველივე, რაც დასწერეს ჩემზე წინასწარმეტყველებმა. ძე კაცისა მიეცემა მღვდელ-მთავრებს და მწიგნობართ, რომელნიც გადაუწყვეტენ მას სიკვდილს; მისცემენ ხელში წარმართთა, ცილს შესწამებენ, დასტანჯავენ, შეაფურთხებენ პირში, სცემენ და ბოლოს მოჰკლავენ, მაგრამ მესამე დღეს იგი აღსდგება მკვდრეთით.“

## 84. თხოვნა სალომესი.

მათ. 20. 20—28. მარკ. 10. 35—40.

სალომე, დედა იაკობისა და იოანესი, მოვიდა იესო ქრისტესთან, უჩვენა თავისი შვილები და სთხოვა: „ბრძანე რომ ჩემი შვილები შენს სამეფოში ერთი შენს მარჯვენით დაჯდეს, მეორე მარცხენით." იმათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ იესო ქრისტე ქვეყანაზე მეფედ არ იქნებოდა. ამისათვის სალომეს მაცხოვარმა უთხრა, რომ მისნი მორწმუნენი ქვეყანაზე დიდებას არ უნდა მოელოდენ, ვაისა და ტანჯვის გარდა. «თქვენ არ იცით, რას ითხოვთ, უთხრა იაკობსა და იოანეს; შეგიძლიანთ დალიოთ ის სასმელი, რომელსაც მე გემოდ ვიხილავ? ანუ შეგიძლიანთ მიღება იმ ნათლის-ღებისა, რომლითაც მე მეგულვება მონათვლა?" იაკობმა და იოანემ უპასუხეს: „შეგვიძლიანო." მაშინ იესო ქრისტემ უთხრა მათ: «სასმელსა ჩემსა, მართალია, იხმევთ, და ნათლის-ღებითა, რომლითაც მე მოვინათლები, თქვენც იქნებით ნათელ-ღებულნი; მაგრამ მარჯვენითა და მარცხენით ჩემსა დაჯდომა თქვენი მაინც ჩემის ნებით არ იქნება; არამედ მიეცემა იმას, ვისთვისაც მამისა ჩემისა მიერ გამზადებულია.»

ზებედეს შვილების თხოვნამ ყველა მოწაფეები ძალიან გააჯავრა და მათ შორის შური აღძრა. იესო ქრისტე მაშინვე ეცადა ამ შურის განქარვებას. იმან უთხრა მოწაფეებს: «თქვენ იცით, რომ თავადნი ბატონობენ ხალხთა ზედა და მთავარნი უფლობენ მათზე; მაგრამ თქვენ შორის ასრე არ უნდა იყოს; თქვენთაგან ვისაც ჰნებავს პირველობა, ის უნდა გახდეს მონა, და არც ძე კაცისა მოსულა ქვეყნად იმისათვის, რომ მას ემსახურნენ, არამედ მოსულა ქვეყნისათვის მსახურებად და მისაცემად სულისა თვისისა მრავალთა დასახსნელად.»

## 85. მოქცევა ზაქესი.

ლუკ. 19. 1—10.

ქადაგებად გამოსვლის შემდეგ მეოთხე წელიწადს იესო ქრისტე იერუსალიმს მიდიოდა პასექის დღესასწაულზე დასასწრებად. იმან გაიარა იერიქოზე. ამ ქალაქში იმას შემოჰხვდა მდიდარი კაცი, სახელად ზაქე, რომელიც იყო მეზვერეთა უფროსი. იმას ძალიან ჰსუროდა იესოს ნახვა, მაგრამ ისრეთი დაბალი ტანისა იყო, რომ ვერა ჰხედავდა იმას ხალხში. ამისათვის დაწინაურდა, ავიდა ლეღვზე, რომლის მახლობლათაც იესოს უნდა გაევლო. როცა იესო მოვიდა იმ ალაგას და დაინახა ზაქე ლეღვზე, — უთხრა: «ზაქე! ჩამოდი მალე; მე მსურს დღეს შენს სახლში ყოფნა.» ისიც საჩქაროდ ჩამოვიდა და სიხარულით მიიწვია.

ფარისევლებს ზაქე დიდ ცოდვილად მიაჩნდათ. ამისათვის განკიცხეს იესო ქრისტე, რომ ის ცოდვილს კაცს სახლში სტუმრად ეწვია. ასრეთი სამდურავი ფარისევლებისა შეიტყო ზაქემაც. ის დაუდგა მაცხოვარს თავის სახლის კარებს წინ და ასრე უთხრა: «უფალო! ნახევარს ჩემის ქონებისას მივსცემ გლახაკთა და ერთს ოთხად გადავიხდი, თუ ვისთვისმე უსამართლოდ რამე წამირთმევიათ.» ეს მოეწონა იესო ქრისტეს და უთხრა ზაქეს: «დღეს დაიწყო ცხოვრება სახლისა ამის, რამეთუ ესეც (ზაქეც) შვილია აბრაამისა, და ძე კაცისა მოვიდა ძიებად წარწყმენდულისა.“

## 86. იგავი ათს მნაზე და ათ გირვანქა ვეცხლზე.

ლუკ. 19. 11—28.

იესო ქრისტე იერუსალიმს მიდიოდა, და გზაზე სთქვა შემდეგი იგავი: «ერთი კეთილშობილი კაცი შორს ქვეყანას მიდიო-

და მეფობის მისაღებად. იმან დაუძახა თავის ათს მონას, მისცა ყველას თითო გირვანქა ვეცხლი და უბრძანა: ვიდრე მე მოვიდოდე ივაჭრეთო. მაგრამ მოქალაქეთ ის კაცი ჰსძულდათ. უკან დაადევნეს კაცები და შეუთვალეს: არ გვინდიხარ, რომ შენ მეფედ იყო ჩვენიო“ (წასვლა იყოს შენი და მობრუნება არაო).

„რამდენიმე ხნის შემდეგ იმან მიიღო მეფობა და დაბრუნდა. მაშინ დაუძახა თავის მონებს, რომელთაც ვეცხლი მისცათ, და ჰსურდა შეეტყო: ვინ რა ივაჭრა მათგანმა. მოვიდა პირველი და უთხრა: ბატონო! შენმა ერთ გირვანქა ვეცხლმა ათი სხვა მოიგო. ბატონმა უთხრა: კეთილო მონავ! მცირესა ზედა სანდო იყავ, მიიღე ახლა ათის ქალაქის ბატონობა. მოვიდა მეორე და უთხრა: ბატონო! შენმა ვეცხლმა კიდევ სხვა ხუთი მოიგო. უთხრა ბატონმა ამასაც: ახლა შენც გამგებელი იყავ ხუთის ქალაქისა. მოვიდა მესამე და სთქვა: ბატონო! აი შენი ვეცხლი, რომელიც მე ხელსახოცში მქონდა გახვეული და ვინახავდი. მეშინოდა შენი, ამისათვის შენ სასტიკი კაცი ხარ: იღებ, რაც არ შეგინახავს, და ჰმკი, რაც არ დაგითესია. ბატონმა უპასუხა: შენივე პირით გაგასამართლებ. ბოროტო მონაო! თუ იცოდი, რომ მე ვარ სასტიკი, ვიღებ, საცა არა დამიდევია, და მოვიმკი, საცა არა დამითესია, მაშ რატომ არ ასარგებლე ჩემი ვეცხლი, რომ მიმეღო სარგებლით, როცა მოვიდოდი? (განა შენ კი არ გეშინოდა ჩემი?) სთქვა ესა და გასცა ბრძანება: გამოართვით მაგას ვეცხლი და მიეცით იმას, ვისაც აქვს ათი გირვანქა ვეცხლი. ამაზე უპასუხეს: ბატონო! იმას ათი გირვანქა ვეცხლი აქვს. ბატონმა უპასუხა: გეუბნებით თქვენ, რომ ყოველსა, რომელსაც აქვს, მიეცეს და მიემატოს, ხოლო რომელსაც არა აქვს, ისიც გამოერთვას (რაცა აქვს). ის ჩემი მტრები კი, რომელთაც არა ჰსურდათ, რომ მათი მეფე ვყოფილვიყავ, მომგვარეთ აქა და დახოცეთ ჩემს წინაშე.“

## 87. იესო ქრისტეს ფეხთა-ცხება.

იოან. 12. 1—11.

ექვსის დღის წინათ პასექის დღესასწაულის დაწყებამდე, იესო ქრისტე მივიდა სოფელს ბეთანიას თავის მოწაფეებით. აქ ლაზარეს სახლში მისთვის ვახშამი იყო მომზადებული. სუფრაზე მართა ემსახურებოდათ სუფრაზე სტუმართ, ლაზარე კი მეინახეთა შორის იჯდა. ამ დროს ლაზარეს მეორე დამ, მარიამმა, სცხო იესო ქრისტეს ფეხებზე ნელსაცხებელი და მერმე წარხოც-და თმითა თვისითა. იუდა ისკარიოტელს არ მოეწონა ნელსაცხებელის ასრენაირად მოხმარება. ის იყო კაცი ფულის მოყვარე, და მოწაფეთა ფულის გვადრუცის შემნახველიც ის იყო. ეს იყო მიზეზი, რომ იმან სთქვა: «რისათვის ნელსაცხებელი ესე არ გაისყიდა სამას დრაჰკანად და არ მიეცა გლახაკთა?» იმის სიტყვას აჰყვნენ სხვებიცა. მაშინ იესო ქრისტემ ბრძანა: „აცადეთ მაგას! რად არცხვენთ დედა-კაცსა ამას? გლახაკნი მუდამ თქვენთან არიან, მე კი მარადის თქვენთან არ ვიქნები.“

# იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელნი დღენი.

---

## 88. მეფურის დიდებით შესვლა იესო ქრისტესი იერუსალიმს.

მათ. 21. 1—17. მარკ. 11. 1—11. ლუკ. 19. 29—44. იოან. 12. 12—36.

ლაზარეს სახლში ვახშმად ყოფნის მეორე დღეს იესო ქრისტე წავიდა იერუსალიმს. სოფლის ბოლოს მას დიდ ძალი ხალხი შემოეგებება. მაცხოვარი წინ მიდიოდა და ხალხიც უკან მისდევდა. მგზავრნი უახლოვდებოდენ სოფელს ბეთბაგეს. ის იყო გზის პირად. იესო ქრისტემ დაუძახა თავის ორ მოწაფეს და უთხრა: „წადით მაგ სოფელს, რომელიც პირ-და-პირ თქვენს წინ მდებარეობს; იქ დაგვხდებათ ვირი დაბმული და მასთან კიცვი; ახსენით და მომგვარეთ იგი თუ ვინმემ გკითხოთ: რათა ხსნითო? უთხარით, რომ უფალს უნდა თქო. მაშინ ის ნებას მოგცემთ“. მოწაფეები წავიდნენ ბეთბაგეს, და მოჰგვარეს ვირი იგი და კიცვი მასთანა, —გადააფინეს მას წელზე სამოსელი თვისი და შესვეს ზედ თვისი მოძღვარი. დაიწყო მაცხოვარმა მეფურის დიდებით მგზავრობა: ნელ-ნელა, წყნარად, დიდებულად და მშვიდად მიემგზავრებოდა მაცხოვარი და უახლოვდებოდა იერუსალიმს. ხალხს ეგონა

რომ ის იყო ჩინებული მეფე ისრაილისა; ამისათვის დიდს პატივს აძლევდა მას. ზოგიერთნი ჰკაფდენ ხის ტოტებს და უფენდენ ფეხთ ქვეშ, ზოგნი კიდევ ტანისამოსს იხდიდნენ და უშლიდენ წინ. ცხადად ასრულდა ახლა წინასწარმეტყველის სიტყვა: „უთხარით ასულსა სიონისას: აჰა ესე რა მეფე შენი მოვალს შენდა მშვიდი, და ჰზის იგი კიცვსა ზედა, ნაშობსა კარაულისა.»

მგზავრნი ავიდნენ ზეთის-ხილის მთაზე. აქედგან მოჩანდნენ იერუსალიმის დიდ მშვენიერნი შენობანი. ხალხი აღტაცებაში მოვიდა მისის დანახვით; ის მისდევდა ქრისტეს, და მოწაფეთა თანა გალობდა: «ოსანნა ძესა დავითისსა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანნა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

აქ ფარისევლებმა სთხოვეს იესო ქრისტეს დაუშალე შენს მოწაფეებს, ნუ ჰგალობენო, მაგრამ იმან უპასუხა: „ისინი რომ გაჩუმდნენ, მათ ნაცვლად ახლა ქვები დაიწყებენ გალობასაო».

ამის შემდეგ, მთის ფერდობიდგან ქალაქისაკენ ძირს რომ დაეშვა იესო ქრისტე, გაიარა კიდევ რამდენიმე მანძილი და უეცრად გაჩერდა. დიდი მწუხარება ეტყობოდა მას პირის სახეზე. იმან იცოდა, რომ „ოსანნას“ ნაცვლად ხალხი მალე იტყოდა: „ჯვარს აცვი ეგა,—ჯვარსაო“!

მაგრამ იესო ქრისტე თავის თავზე არა სწუხდა. იმას ებრალებოდა ხალხი. იმან იცოდა, რომ ურიები არ ირწმუნებენ თავის მაცხოვარს და ამისათვის იერუსალიმიც დანგრეული იქნება. მან ტირილით დაიწყო: «ახ, ნეტავი დღეს მაინც არის შეგეტყო, რა არის შენის მშვიდობიანობისათვის საჭირო! მაგრამ დღეს ეს დაფარულია თვალთა შენთაგან. მოვლენ დღენი, როცა მტერნი ყოველს მხრიდგან გარს შემოგადგებიან, შეგავიწროებენ, დაგაქცევენ, გასწყვეტენ ყრმათა შენთა, და ქვას ქვაზე აღარ დასტოვებენ, ამისათვის რომ შენ ვერ იცანი დრო, როცა მოგხედა უფალმა».

შეიძრა ქალაქის იერუსალილიმის ხალხი, როცა იქ შევიდა იესო ქრისტე. ფარისეველთ, მწიგნობართ და სადუკეველთ უკვირდათ, რომ ხალხი ასრეთს დიდს პატივსა სცემდა იმას. «ვინ არის იესო? ჰკითხულობდენ ისინი». ეს არის იესო წინასწარმეტყველი ნაზარეთიდგანაო, ეუბნებოდა ხალხი.

ასრეთის ყოფით და დიდებით იესო ქრისტე შევიდა იერუსალიმის ტაძარში. ბრმანი და მკელობელნი გარს შემოეხვივნენ მას. იმანაც განკურნა ისინი. ამ დროს ყრმანი იქნევდნენ ბზის ტოტებს და ღაღადებდენ: «ოსანნა ძესა დავითისასა!“

ამგვარი პატივი მღვდელმთავართა და მწიგნობართ ველარ მოითმინეს და ჰკითხეს იესო ქრისტეს: «გესმის, რას ამბობენ ისინი“? „განა არ წაგიკითხავთ წინასწარმეტყველება?.. ყრმათა და ძუძუ-მწოვართა ჩჩვილთა პირითა დაამტკიცე, ქება შენი,“ უთხრა იმათ იესო ქრისტემ.

ამ დროს იერუსალიმში იყვნენ ურიად მიქცეულნი ბერძენნიც. ისინი მივიდნენ ფილიპესთან და უთხრეს: «იესო ქრისტეს ნახვა გვსურსო». ფილიპემ მათი სურვილი შეატყობინა ანდრიას და ორივემ ერთად უთხრეს მოძღვარს. რადგან უცხო ხალხისაგან იესო ქრისტეს ნახვის სურვილი იყო დასაწყისი მისი პატივისა და დიდებისა, ამისათვის სთქვა: „მოიწია ჟამი, რათა იდიდოს ძე კაცისა.» მაგრამ იმან იცოდა, რომ მისი დიდება დაიწყება ჯვარცმის შემდეგ, და ამისათვის დაუმატა შემდეგი სიტყვებიცა: «ჭეშმარიტად ვამბობ, რომ თუ მარცვალი პურისა არ დავარდა მიწაზედ და არ მოკვდა, დარჩება მარტოდ, ხოლო თუ მოკვდა, გამოიღებს მრავალს ნაყოფს. ახლა სული ჩემი შეძრწუნებულია, და რა უნდა ვსთქვა?... მამაო, მიხსენ მე ჟამისა ამისგან. მაგრამ მე ხომ ამ დღისათვის მოვსულვარ მამაო! ადიდე ძე შენი“.

ზეციერმა მამამ შეისმინა მისი ვედრება და მოსცა მაღლით ხმა: «მიდიდებიხარ და კვლავაც გადიდებ». ეს ხმა იქ მყოფ ხალხმა გაიგო, და ამბობდა: „ქუხილი იყოო.“ მაგრამ ზოგნი ამ-

ტკიცებდენ, რომ «იმას ანგელოზი ელაპარაკებოდაო». ამ ბასზე იესო ქრისტემ უთხრა: „ეს ხმა თქვენთვის იყო, და არა ჩემთვის. აწ არის საჰსჯელი სოფლისა ამის; აწ მთავარი სოფლისა ამის (ეშმაკი) განიდევნება გარეთ. და როცა მე ამაღლდები ქვეყანით (ზეცაერად), მაშინ ყველას მივიზიდავ ჩემკენ“.

ყოველივე ეს ამბავი მოჰხდა იმ დღეს, როცა ურიები, მოსეს სჯულის ბრძანებით, ირჩევდენ პასექისათვის თითო ბატკანს დასაკლავად.

ამავე დღეს იესო ქრისტე ისევ ბეთანიას დაბრუნდა, მოწაფეებითურთ.

## დიდი ორშაბათი.

### 89. დაწყევლა ლეღვისა და გაჭრების განდევნა.

მათ. 21. 18—22, მარკ. 11. 12—24, ლუკ. 19. 45—48.

მეორე დღეს, დილით, ორშაბათს, იესო ქრისტე ისევ იერუსალიმს წავიდა. თანა ჰყვანდა მოწაფეებიცა. გზის პირას იმან ნახა ლეღვი, დაბურული ფოთლებითა. მივიდა მასთან; მაგრამ ზედ ნაყოფი ვერ იპოვა და უთხრა: ,,ნულარ იქნება შენზე ნაყოფი უკუნისამდე‘‘. ლეღვი მაშინვე ჩამოჭკნა და გახმა. მოწაფეებს გაუკვირდათ და ერთმანერთს ეკითხებოდენ: ,,ეგრე მალე ლეღვი როგორ გახმაო?‘‘ ამაზე იესო ქრისტემ უთხრა იმათ: ,,უკეთუ გექნებათ მტკიცე სარწმუნოება, არამცთუ შეგეძლებათ იმის ქმნა, რაც დაემართა ლეღვსა, არამედ ამ მთასაც რომ უთხრათ: აღიფხვერი აქედგან და ჩავარდი ზღვაშიო, ეგრე იქნება; და რასაც ითხოვთ ლოცვათა შინა, ყოველივე აგისრულდებათ‘‘.

ლეღვის დაწყევლა ღვთისაგან ფარისეველების განკვეთას ნიშნავდა. იმათ კეთილი ნაყოფი არ გამოიღეს; ქრისტემ სცადა მათი მოქცევას; მაგრამ იმათ არ შეისმინეს მისი მოძღვრება. მაშინ ღმერთმა უარ-ჰყო ისინი.

მოვიდა თუ არა იესო ქრისტე იერუსალიმს, მაშინვე შევიდა ტაძარში და განდევნა იქიდგან ვაჭრები, და სთქვა: „განა დაწერილი არ არის, რომ ჩემს სახლს ყოველთა წარმართთა სალოცველ სახლი ეწოდოსო? თქვენ კი ის ავაზაკების სადგურად გაგიხდიათ“?. ქრისტეს ასრედ ქცევაზე ფარისევლები ჯავრობდენ, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა იმათს უკმაყოფილებას, და ასწავლიდა ხალხს.

ამავე ორშაბათს დღეს საღამოზე, ისევ სოფელს ბეთანიას დაბრუნდა.

## დიდი სამშაბათი.

### 90. იგავი ბოროტ მებაღეებზე და მეფის შვილის ქორწილზე თქმული.

მათ. 21. 33—46; 22 1.—14. მარკ. 12. 1—12 ლუკ. 20. 9—19.

რადგან ფარისევლებმა არ ირწმუნეს იესო ქრისტე და მის მოკვლაც განიზრახეს, ამისათვის უთხრა იმათ, რომ ისინი ვერ ეღირსებიან ღვთის სასუფეველს. ამაზე სთქვა იმან იგავი: „ერთმა მამულის პატრონმა გააშენა ვენახი, შემოავლო გარშემო ზღუდე გააკეთა საწნახელი, აღაშენა საყარაულო კოშკი, მისცა იგი მებაღეებს და თვითონ დიდხნობით სხვაგან წავიდა. როცა მოახლოვდა სთველის დრო, დაბრუნდა უკან სახლში და მებაღეებს გაუგზავნა მოსამსახურე და სთხოვა ნაყოფი: მაგრამ მებაღეებმა ის დაიჭირეს, სცემეს და ხელ-ცარიელი გააბრუნეს შერცხვენილი. ბაღის პატრონმა გაგზავნა ახლა მეორე მოსამსახურე: მებაღეებმა იმასაც თავი გაუტეხეს, გალანძღეს და გაუგზავნეს ისევ ხელ-ცარიელი. ვენახის პატრონმა ახლა მესამე კაცი გაგზავნა: მებაღეებმა ისიც დაიჭირეს, სცემეს და გააგდეს. გაგზავნა ბევრნი სხვანიცა, მაგრამ იმათგანსაც ზოგსა სცემეს და

ზოგნი დახოცეს. ბოლოს გაგზავნა მხოლოდ-შობილი თავისი საყვარელი შვილი, იქნება ეს რომ ნახონ, ამისი მაინც არის შერცხვესთო; მებაღეებმა ისიც რომ დაინახეს, სთქვეს: ეს არის მისი მემკვიდრე შვილი, მოდით მოვკლათ იგი და ქონება მისი ჩვენ დავინარჩუნოთ. მართლაც-და შეიპყრეს იგი, გამოიყვანეს ვენახის გარეთ და მოჰკლეს."

ეს იგავი რომ დაასრულა იესო ქრისტემ, მერმე ჰკითხა ფარისევლებს: „როცა მოვა ვენახის პატრონი, რას უზამს მებაღეებსა?" ისინი მიჰხვდნენ, რომ იგავი იმათზედა სთქვა, მაგრამ ისრე მოიქცნენ, ვითომც ვერ შეიტყვეს მისი აზრი და უთხრეს დამშვიდებით: «ბოროტს მებაღეებს დაჰხოცავს და ვენახს სხვებს მიაბარებს, რომელნიც თავ თავის დროზე მისცემენ მოსავალსა". „დიაღ! აგრეაო", სთქვა იესო ქრისტემ: „იგი მოვა, მწარე სიკვდილით დაჰხოცავს მებაღეებს და ვენახსაც მიაბარებს სხვებს". «ღმერთმა ნუ ქნასო», უნებლიედ წამოიძახა ვიღაცამ ხალხში. მაშინ იესო ქრისტემ მოაგონა იმათ წინასწარმეტყველება, რომელიც ხალხის გონების დაბრმავებაზე არის ნათქვამი. «ნუთუ არასოდეს არ წაგიკითხავთ საღმრთო წერილში: ლოდი, რომელიც არ მიიღეს მაშენებელთა, იგი თავკიდედ შეიქმნა შენობის კუთხისა. ამისათვის გეუბნები თქვენ: წაგერთმევათ თქვენ სასუფეველი ღვთისა და მიეცემა ნაყოფის გამომღებს ხალხს".

ფარისევლებს ძალიან ეწყინათ იესო ქრისტეს ასრეთი ლაპარაკი. მაგრამ იესო ქრისტე არ დაეხსნა ფარისეველთა ავობას და სთქვა მეორე იგავიცა. იმან წარმოსთქვა აზრი, რომ ურიების ნაცვლად სასუფეველში მიღებულნი იქნებიან წარმართნი და იერუსალიმის ქალაქიც დარღვეული იქნება ძირიანად. «ცათა სასუფეველი, სთქვა იმან, მიემსგავსება იმ მეფესა, რომელმაც თავის შვილისათვის საქორწინე ნადიმი გამართა, და გაგზავნა მოსამსახურენი, მაგრამ იმათ არ ისურვეს მისვლა. გაუგზავნა სხვა კაცებიცა და დააბარათ: უთხარით მოპატიჟებულთ, რომ ზვარაკები და უსხები დავკალით და ყოველივე

მზათ არის, მობრძანდით ქორწილში; მაგრამ ისინი არ ეწვივნენ, და თავის საქმეზე წავიდნენ—ზოგნი მინდორში და ზოგნი სავაჭროდ. მათ შორის გამოჩნდენ იმისთანა კადნიერნიც, რომელთაც დაიჭირეს მეფის მონები, შეურაცხება მიაყენეს და დახოცეს. ეს რომ შეიტყო მეფემ, ძალიან განრისხდა: გაგზავნა ჯარი, დახოცა მკვლელებიც, და მათი ქალაქიც დააწვევინა".

ეს ასე რომ მოახდინა, უბრძანა კიდევ მონებს: „საქორწილო ნადიმი მზად არის, მაგრამ მასზე მოწვეულნი სტუმარნი ღირსნი არ იყვნენ. წადით ახლა, გზების გასაყარში დადექით და ვინც შემოგხვდეთ, ყველანი მოიწვიეთ. მონანი გამოვიდნენ გზებზე, შეკრიბეს, ვინც კი შემოხვდათ, ბოროტნიცა და კეთილნიც, და ქორწილი გაივსო სტუმრებითა. მეფე შევიდა სტუმართ სანახავად: აქ ნახა ერთი კაცი, რომელსაც საქორწილო ტანისამოსი არ ეცვა, და უთხრა: მეგობარო! საქორწილო ტანისამოსი რატომ არ გაცვია? როგორ გაბედე აქ უიმისოდ შემოსვლა? ის კაცი ხმას არ იღებდა. მაშინ უბრძანა მეფემ მოსამსახურეებს: შეუკარით მაგას ხელ-ფეხი, წაიყვანეთ და ჩააგდეთ ბნელსა მას გარესკნელსა; იქ იქნება ტირილი და ღრჭენა კბილებისა. და ესრედ, მრავალ არიან ჩინებულ და მცირედ რჩეულნი." ასრე დაასრულა იესო ქრისტემ საუბარი თვისი ფარისევლებზე.

## 91. დარიგება ქრისტესი ხარჯის მიცემაზე.

მათ. 22. 15—22. მარკ. 12. 13—17. ლუკ. 20. 20—26.

ფარისეველნი მუდამ მოკვლას ემუქრებოდენ იესო ქრისტეს. მაგრამ იმას არ ეშინოდა მათგან და ასწავლიდა ხალხს იერუსალიმის ტაძარშიაც და გარეთაც. მისნი მტერნიც არ წყნარდებოდენ და ეძებდენ მიზეზს მთავრობასთან დაბეზღებისას. იმათ

მოიგონეს ერთი ამისთანა კითხვა, რომელზედაც, მათის აზრით ისეთის პასუხის მიცემა არ შეიძლებოდა, რომ ან ურიები არ გაეჯავრებინა, ან რომაელებისთვისა არ ეწყენინებინა - რადგან ურიები თავიანთ თავს ღვთის ხალხად რაცხდენ, და ღმერთსა ხადოდენ თავის მეუფედ, ამისათვის ჰფიქრობდენ, რომ უცხო ქვეყნის მეფეს ისინი ხარჯს არ უნდა აძლევდენ. ამასა ჰკითხა-ვდენ იესო ქრისტეს ფარისეველნი და ჰსურდათ ლაპარაკში მისი შეცდენა. „მოძღვარო! ჩვენ ვიცით, რომ სიმართლე გიყვარს, და არავის არ ეფერები პირში და ყველას ჭეშმარიტს ღვთის გზას ასწავლი; ახლა გვითხარ ჩვენც, ჰკითხეს ქრისტეს: როგორ ჰფიქრობ? (რომის) კეისარს ხარჯი უნდა მივსცეთ თუ არა?“ იესო ქრისტე მიჰხვდა იმათს ბოროტს განზრახვას და უთხრა: „რასა გამომცდით მე, ორგულნო? მიჩვენეთ ფული, რომელსაც ხარკში აძლევთ კეისარს.“ ფარისევლებმა მოიტანეს და მისცეს მას დრაჰკანი: „ვისია ეს სურათი და ზედ-წარწერა?“ ჰკითხა იე-სო ქრისტემ.—«კეისრისა არისო,» უპასუხეს. მაშ მიეცით კეი-სარისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა,“ უთხრა იმათ იესო ქრის-ტემ. ყველას გაუკვირდა მარტივად თქმული პასუხი მაცხოვ-რისა და შერცხვენილნი წავიდნენ.

## 92. სადუკეველების ცბიერ კითხვაზე თქმული პასუხი.

მათ. 22. 23—40. მარ. 12 18—34. ლუკ. 20. 27—40.

ფარისეველნი ხომ დაუძინებელნი მტერნი იყვნენ იესო ქრისტესი, — და არც სადუკეველნი იყვნენ მისნი-მოყვარენი. იმათ არა ჰსწამდათ მკვდართა აღდგომა. ახლა ამათაც მოიწადინეს იესო ქრისტეს გამოცდა, და ჰკითხეს: „მოძღვარო! მოსეს დაუ-წესებია: უკეთუ ვინმე უშვილოდ მოკვდება და შვილი არ დარ-ჩება, მისი ცოლი ძმამ შეირთოს და თესლი აღუდგინოს თავის ძმასაო. იყვნენ ჩვენ შორის შვიდნი ძმანი: პირველმა ცოლი

შეირთო და მოკვდა, და შვილი არ დარჩა, და თჳსი ცოლი ძმას დაუტევა. ასრეთი უბედურება შეემთხვათ მეორესაც, მესამესაც, ვიდრე მეშვიდე ძმამდე. მოკვდა მეშვიდე ძმაც და მერმე გარდაიცვალა, შვიდ ძმათა ცოლად მყოფი, დედა-კაციცა. ახლა გკითხებით შენ: მკვდართა აღდგომა რომ იქნება, მაშინ, ამ შვიდთა ძმათაგანის, რომლის ცოლად იქნება ის დედა-კაცი?" «სცდებით, რადგან არ იცით არც საღმრთო წერილი, არცა ძალა უფლისა,» უპასუხა იესო ქრისტემ. ამ წუთის სოფელში კაცნი ცოლს ირთვენ, მაგრამ ვინც დახოცილან და ღირსნი გახმდარან აღდგომასა მკვდრეთით, ისინი აღარც ცოლს შეირთავენ, აღარც გათხოვდებიან, არამედ ანგელოსთა სწორნი არიან, და ძენი ღვთისანი." მაგრამ თქვენ მკვდართა აღდგომაც არა გრწამთ. არც ამაში ხართ მართალნი. „მოსეს წიგნი არ წაგიკითხავთ, რას ამბობს ღმერთი? მე ვარ ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა; და ჭეშმარიტია, რომ ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა, ამისათვის რომ იმის წინაშე ყველანი ცოცხალნი არიან." ზოგიერთ მწიგნობართ ასრე მოეწონათ ეს პასუხი იესო ქრისტესი, რომ უთხრეს: «მოძღვარო! კარგად ამბობო."—

ამავე დროს მოვიდა იესო ქრისტესთან ერთი სჯულის მეცნიერი კაცი და ჰკითხა მას: «სჯულში, რომელი მცნება ყველაზე უფრო დიდიაო? ქრისტემ უპასუხა: «ყველაზე უპირველესი მცნება ეს არის; შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შენითა; ესე არს პირველი მცნება. მეორე ამისი მსგავსია: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თჳსი. ამათზე უფროსი მცნება აღარ არის. ამ ორს მცნებაზე დამყარებულნი არიან ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი". „კარგია, მოძღვარო, მართალს ამბობ, რომ ღმერთი ერთია, და მის გარდა სხვა არ არის, და მისი შეყვარება გულითა და გონებით და სულითა და ყოვლისა ძალ-ღონით, და მოყვასის შეყვარება, ვითარცა თავისა თვისისა—სჯო-

ბია ყოველსა მსხვერპლსა და შესაწირავსა," უთხრა იმან იესო ქრისტეს. ამაზე უფალმა უპასუხა: «შორს არა ხარ შენ ღვთისა სასუფეველზე.»

## 93. იესო ქრისტესგან ფარისევლებისა და ურიათა სჯულის მოძღვართა მხილება.

მათ. 23. მარკ. 12. 38—44. ლუკ. 20. 45—47. 21. 1—4.

ამის შემდეგ ფარისეველნი და სადუკეველნი ველარ ბედავდენ იესო ქრისტესთან ბაასს. იესო ქრისტემაც მათზე ხელი აიღო და სასტიკად ამხილა ისინი იერუსალიმის ტაძარშივე. აი ეს საზარელი და საშინელი მისი სიტყვა:

„მოსე წინასწარმეტყველის ტახტი დაიჭირეს, ასრე დაიწყო იესო ქრისტემ თავისი მხილება, მწიგნობართა და ფარისეველთ. რა დარიგებაც მოგცენ იმათ, აღასრულეთ და მოიქეცით სიტყვისამებრ მათისა; მაგრამ ისრე ნუ მოიქცევით, როგორც ისინი იქცევიან. ისინი სიტყვით ამბობენ, საქმით კი არას აკეთებენ. ისინი ხალხს აღებენ კისერზე მძიმესა და ძნელად ასასრულებს ტვირთს, ხოლო თვითონ კი თითითაც არა ჰსურთ შეჰძრან ისა; და თუ საქმეს აკეთებენ, იმასაც იმ განზრახვით იქმენ, რომ სხვას დაანახონ თავისი ქველმოქმედება. იმათ უყვართ მხოლოდ სიმდიდრის მოხვეჭა, სამოსლის გაფართოვაშებული გრძელი კალთები და ფართო სახლები. უყვართ აგრეთვე სუფრაზე პირველის ადგილის დაჭერა და თავმჯდომარედ ყოფნა ხალხის კრებებში. დიდად ესიამოვნებათ ისიც, რომ გზაზე შეხვედრის დროს ხალხი იმათ პატივის ცემით მოიკითხვიდეს და ეძახდეს:" „მოძღვარო მოძღვარო."

„ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რომ დაუხშავთ კაცთ ღვთისა სასუფევლისა კარებს: არც თქვენ შეხვალთ იქ, არც სხვას აძლევთ ამის ნებას. ვაი თქვენ-

და, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რომ ჰსჭამთ ქვრივ-ობოლსა, ხალხის წინ კი დიდხანს პირმოთნედ ევედრებით ღმერთს: ამისათვის თქვენ მიიღებთ სასტიკსა საჰსჯელსა. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რომ მოივლით ზღვასა და ხმელეთსა, იქნება ერთი კაცი მაინც არის მოვაქციოთ ჰსჯულზეო, და როცა ამას აღასრულებთ მერმე ამ საბრალოს ჯოჯოხეთის მსხვერპლად ჰყოფთ.»

«ვაი თქვენდა, ბრმანო წინამძღვარნო, რომელნიც ამბობთ: ის კი არაფერიო, ვინც ტაძარსა ჰფიცავს, მაგრამ ვინც ტაძრის ოქროზე დაიფიცავს, ის კი დამნაშავე არისო. ცოფნო და ბრმანო! რომელი უფრო პატივსადებია: ოქრო თუ ტაძარი, რომელიც კურთხეულს ჰყოფს ოქროსა?

ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რომ აძლევთ მეათედს პიტნაკისას და ცერეცოსას და ძირაკისას, მაგრამ რაც უმთავრესია ჰსჯულში, ის კი დაგიტოვებიათ. თქვენ ვალდებულნი ხართ ჰქმნათ სიმართლე, მოწყალება და იქონიოთ, სარწმუნოება, და არც ის დასტოვოთ შეუსრულებლად, რასაც წესი და კანონი მოითხოვს. წინამძღვარნო ბრმანო! თქვენ ბურნაკს გადასწურავთ სასმელიდგან, ხოლო აქლემს კი ჰყლაპავთ. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რომ განსწმენდთ ჭურჭლისა ზედა-პირს, მაგრამ ის კი არ იცით, რომ შინაგანი მათი სავსეა ნატაცებითა და უწმინდურებით.“

„ფარისეველო ბრმაო! განსწმინდე პირველად შინაგანი იგი სასმელისა, რომ გარეშეცა იგი მისი წმინდა იყოს. ვაი თქვენდა, რომ ემსგავსებით გათეთრებულს (განგოზილს) სამარეებსა, რომელნიც გარედგან მშვენივრად მოჩანან, შიგნით კი სავსე არიან მკვდრების ძვლებითა, მძორითა, ყოველითა უწმინდურებითა და სიმყრალითა; თქვენც ეჩვენებით ხალხს გარედგან მართლმორწმუნედ, ღვთისა და კაცთა მოყვარედ, მაგრამ თქვენი გული კი სავსეა ორგულობითა და უსამართლოებით.»

„ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულ-

ნო, რომ წინასწარმეტყველებს ვითომც პატივსა-სცემთ—საფლავებს უმშვენიერებთ და უსუფთავებთ, უკეთებთ ზედ სახსოვარსა და ძეგლებს, და თანაც გულ დაჯერებით მეტყველებთ: ჩვენ რომ ვყოფილვიყავით ჩვენს მამაპაპის დროს, არასოდეს არ გავერეოდით წინასწარმეტყველების სისხლის დანთხევაშიო. ასრე და ამ სახით თქვენ თვითონვე მოწმობთ თქვენსავე წინააღმდეგ, რომ თქვენა ხართ შვილნი იმ მამათა, რომელთაც გასწყვიტეს წინასწარმეტყველნი. აღავსეთ თქვენცა სასწაული მამათა თქვენთა. გველნო, იქედნეს ნაშობნო! როგორ გაექცევით თქვენ საჰსჯელსა მას გეენისასა! თქვენ მოგეკითხებათ სისხლი მართალი, დათხეული ქვეყანაზე მართლისა აბელის სისხლიდგან დაწყებული, ვიდრე ზაქარიას სისხლამდე, რომელიც მოჰკალით ტაძრისა და საკურთხევლის შუა.“—

მაცხოვარმა ეს თავისი მხილება დაასრულა იერუსალიმისათვის საყვედურის თქმით: „ოი იერუსალიმო, იერუსალიმო! სთქვა იმან მწუხარებით; შენ გასწყვიტე წინასწარმეტყველნი და ჩააქავე მოვლინებულნი შენდა კეთილის-ყოფად! ღმერთმა ინება შენის შვილების ერთად შეკრება, ვითარცა ფრინველი შეიკრებს ბღარტებს ფრთათა ქვეშე თვისთა, მაგრამ თქვენ არ ინებეთ: აჰა ეხლა ოხრად დატოვებული იქნება სახლი თქვენი, ესე იგი ტაძარი და ქალაქი იერუსალიმი და წმინდა ქვეყანაც. რამეთუ გეტყვი თქვენ: ველარ მიხილოთ მე ამიერიდგან, ვიდრე არ იტყვით: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!“

ესა სთქვა იესო ქრისტემ, გამოვიდა ტაძრიდგან და გაჩერდა გარეთ ტაძრის კარების წინ. აქ ის ჩამოჯდა განზანაკის პირდა-პირ. მდიდარნი კაცნი გამოდიოდენ ტაძრიდგან და ჰყრიდენ განზანაკში შესაწირავსა. ამ დროს გამოვიდა ერთი ღარიბი ქვრივი დედა-კაციცა, და იმანაც ჩააგდო იქ ერთ გროშზე ცოტა მეტი. ეს შესაწირავი ყველას ცოტად ეჩვენებოდა; მაგრამ უფალმა დაუძახა თავის მოწაფეებს და უთხრა: „ჭეშმარიტად

გეუბნები თქვენ, რომ ამ ღარიბმა ქვრივმა ყველაზე მეტი შეჰსწირა. სხვებს ყველას მომეტებული ჰქონდათ და შეჰსწირეს ღმერთსა, ამან კი მისცა ყოველივე, რაცა ჰქონდა.“

## 94. იესო ქრისტეს მუსაიფი მოწაფეებთან ტაძრისა და იერუსალიმის დაქცევაზე.

მათ. 24. 1—3; მარკ. 13. 1—4. 30, 32. ლუკ. 21. 5, 6, 7, 24.

იერუსალიმიდგან იესო ქრისტე წავიდა ბეთანიას. გზაზე მოწაფეები ამბობდენ: „რა მშვენიერი და პატიოსანი ქვით არის აშენებული ტაძარიო.“ ამ დროს ერთმა მათგანმა ქრისტესაც უთხრა: „მოძღვარო! ერთი შეჰხედე, რანაირი ქვებია და რანაირი შენობები!“ მაშინ სხვა მოწაფეებმა ტაძრის ძვირფასს შემკობილებაზეცა ჩამოაგდეს ლაპარაკი. ამაზე ქრისტემ უთხრა იმათ: „ჭეშმარიტად გეტყვით, რომ მოვა დრო, როცა ამ დიდ-დიდ შენობათაგან, რომელთაც თქვენ აქა ჰხედავთ, ქვა ქვასა ზედა აღარ დარჩება, და ყოველივე დაირღვევა.“

მოწაფეებს ძალიან გაუკვირდათ ასეთი წინასწარმეტყველება იერუსალიმის დაქცევაზე. იმათ ეგონათ, ტაძარი რომ დაირღვევა, ამას უკან მოჰყვება ქვეყნის დასასრულიცაო. ამისათვის პეტრემ, იაკობმა, იოანემ და ანდრიამ ჰკითხეს იესო ქრისტეს: „მოძღვარო! გვითხარ, როდის იქნება ესა და ან რა ნიშნებია შენის მეორედ მოსვლისა, და ქვეყნისა ამის აღსასრულისა?“ ამ კითხვაზე ქრისტე ღმერთმა უთხრა: „როცა ნახავთ იერუსალიმს გარშემორტყმულს ლაშქრებითა, მაშინ გულისხმაჰყავით, რომ მოახლოვებულა მისი გაოხრება. მაშინ მრავალნი გასწყდებიან მახვილის პირით და ტყვედ იქნებიან წაყვანილნი ყველა წარმართ ხალხთა შორის და იერუსალიმიც დათრგუნვილი იქნება წარმართთაგან, ვიდრე შესრულდებოდეს მათი დრო. ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ: არა წარჰხდეს ნათესავი ესე, ვიდ-

რემდე ყოველივე ესე შესრულდებოდეს, მაგრამ როდის იქნება უკანასკნელი დღე ქვეყნის დასასრულისა, არავინ იცის,—არც ანგელოზთა ცათა შინა, არც ძემან; იცის მხოლოდ მამან ჩემმან.“

## 95. ნიშნები ქვეყნის დასასრულისა და იგავი ათ ქალწულსაზედა.

მათ. 24, 25, 26, 1—2.

სამშაბათს დღეს საღამოზე იესო ქრისტე იერუსალიმიდგან ბეთანიას რომ მიდიოდა, მოწაფეებმა ჰკითხეს: „რა ნიშნები იქნებიან შენის მეორედ მოსვლისა და ამ წუთის სოფლის დასასრულისა? იესო ქრისტემ უპასუხა: „აღსდგება ხალხი ხალხთა ზედა და სამეფო სამეფოზე; იქნება შიმშილობა, ჭირიანობა, და მიწის-ძვრა ადგილ-ადგილად. ეს არის დასაწყისი მწუხარებისა. მაშინ დაგიწყებენ თქვენ ტანჯვასა და კვლას: და ჩემის სახელისათვის იქნებით მოძულებულნი ყველა ხალხებისაგან. მრავალნი ცრუ-წინასწარმეტყველნი გამოჩნდებიან და ბევრს შეაცდენენ; და რადგან უსჯულოება გამრავლებული იქნება, ამისათვის სიყვარული ჩემდამო ბევრს კაცს განქარვებული ექნება, მაგრამ ვინც ბოლომდე მოითმენს, ის ცხონდება.“ მაშინ მთელს ქვეყანაზე ქადაგებული იქნება სახარებაცა, და იგი იქნება მოწამე ყველა ხალხისა. აი მაშინ იქნება დასასრული სოფლისა... „მაგრამ ვაი ორსულთა და მაწოვებელთა დედათა მათ დღეთა შინა, ამისათვის რომ მაშინ იქნება ჭირი დიდი, რომლისა მსგავსი არ ყოფილა ქვეყნის გაჩენიდგან აქამომდე, და არც იქნება. თუ რომ ეს დღეები არ იქნებოდნენ შემოკლებულნი, მაშინ ვერავითარი ხორციელი ვერ ცხონდებოდა; მაგრამ რჩეულთათვის შემოკლდებიან იგი დღენი..»

„ვითარცა ელვა გამობრწყინდება აღმოსავლეთით და მოჩანს ვიდრე დასავლეთამდე, ეგრე იქნება მოსვლა ძისა კაცისაცა.“

«ამ ვაითა და ჭირითა შემდგომ უეცრად მზე დაბნელდება და მთვარეც აღარ მოსცემს ნათელსა თვისსა; ვარსკვლავნი ჩამოცვივიან ზეცით, და ძალნი ცათანი შეირყევიან. მაშინ გამოჩნდება ნიშანი ძისა კაცისა ცათა შინა, (ესე იგი ჯვარი ქრისტესი, მაშინ) და ატირდებიან ყველა ტომნი ქვეყნისანი და იხილვენ ძესა კაცისასა, მომავალსა ღრუბელთა ზედა ცისათა „ძალითა და დიდებითა მრავლითა.“

„მაგრამ ვიდრე თვით მოვიდოდეს, ის ჯერ გამოგზავნის ანგელოზებს დიდის ხმიანის საყვირითა, ოთხთავე ქვეყნის მხრიდგან, კიდით-კიდემდე, რჩეულთა შესაკრებად.“

„ისწავეთ სახე ამ დღისა ლეღვისაგან: როცა იმას რტოები აუჩვილდებიან და ფოთლებს გამოიღებენ, მაშინ თქვენ იცით, რომ ზაფხული ახლოს არის. დიაღ, როცა ნახოთ ყოველი ესე, მაშინ იცოდეთ, რომ მეორედ მოსვლა კარებზე მომდგარია.»

„როგორც ნოეს დროს იყო, ეგრე იქნება ძისა კაცისა მეორედ მოსვლის დროსაც. წარღვნის წინ კაცნი ჰჭამდენ და ჰსმიდენ, ცოლს ირთავდენ და დედა-კაცნი თხოვდებოდენ, და არას ჰფიქრობდენ, ვიდრე წარღვნამ ყველა არ გასწყვიტა: ეგრე იქნება მოსვლა ძისა კაცისაცა. იგი მოვა ისეთს დროს, როცა თქვენ სრულიად მოლოდინი არ გექნებათ; ამისათვის იმღვიძარეთ და მზა იყავით, რომ მეყვსეულად არ მოიწიოს თქვენზე დღე იგი.»

„სასუფეველი ცათა მიემსგავსება ათს ქალწულს, რომელნიც ლამპრებით გამოვიდნენ სიძისათვის მისაგებებლად. ხუთი მათგანი იყო ბრძენი, ხუთი სულელი. სულელებმა ლამპრები აიღეს და ზეთიც მოიმზადეს, და რადგანაც სიძემ დაიგვიანა, ყველა მათგანს მიერულა და დაეძინა. შუაღამისას დაიძახეს, რომ სიძე მოდის, გამოდით მისდა წინ მისაგებებლად. ბრძენნი ქალწულნი ადგნენ და გამართეს თავთავიანთი ლამპრები; ხოლო სულელებმა უთხრეს ბრძენთა: მოგვეცით ზეთი ჩვენცაო, ამისათვის რომ ჩვენი ლამპრები ჰქრებიანო. ბრძენთა უპასუხეს: რომ

ჩვენცა და თქვენც არ დაგვაკლდეს, ასევ ისა ჰჯობია, წახვიდეთ გამსყიდველებთან და იყიდოთ; და როცა ისინი წავიდნენ სასყიდლად, სიძე მოვიდა კიდეცა; ვინც მზათ იყვნენ, ისინი იმასთან ერთად შევიდნენ ქორწილში და კარები დაჰხურეს. მერმე მოვიდნენ სულელნი ქალწულნიცა და უთხრეს: უფალო! უფალო! გაგვიღეთ კარები ჩვენცა. მაგრამ სიძემ უპასუხათ: ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ, რომ ვერ გიცნობ თქვენ.—და ეგრეთ, მღვიძარეთ იყავით, ამისათვის რომ არ იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელისა შინა ძე კაცისა მოვა", რომ თქვენც ქალებსავით არ დაგემართოთ და არ დაჰკარგოთ სასუფეველი.

## 96. იგავი ქანქარზე. და სწავლა საშინელს განსჯაზე.

მათ. 25. 14—46.

ქანქარზე თქმულს იგავში იესო ქრისტემ ის აზრი წარმოსთქვა, რომ მის მეორედ მოსვლისას ჯილდოს მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც კეთილად მოიხმარებენ ღვთისაგან მინიჭებულ ძალ-ღონის და გამოიღებენ ნაყოფს.

„ძე კაცისა მოიქცევა იმ კაცსავით, რომელმაც, როცა უცხო ქვეყანაში მიემგზავრებოდა, დაუძახა მონებს და მიაბარა თავისი ქონება: ერთს მისცა ხუთი ქანქარი, მეორეს ორი, მესამეს ერთი. ხუთი ქანქარის მიმღებმა ფული საქმეში მოიხმარა და კიდევ სხვა ხუთი ქანქარი მოიგო. აგრეთვე ორის მიმღებმა მოაგებინა კიდევ ორი სხვა ქანქარი. ერთის ქანქარის მიმღებიკი წავიდა, მოსთხარა მიწა და დაფლა ქანქარა. დიდის ხნის გასვლის შემდეგ დაბრუნდა ბატონი და მოსთხოვა მონებს ანგარიში. ხუთის ქანქარის მიმღებმა მოიტანა სხვა ხუთიც და უთხრა: ბატონო! შენ მომეცი მე ხუთი ქანქარი და აი მე მოვიგე კიდევ სხვა ხუთიცა.—კარგია, კეთილო და ერთგულო მონავო! უთხრა მას ბატონმა. მე ცოტა განდე შენ, ახლა მრავალსა ზე-

და გაუფლებ; იყავ სიხარული და იმედი შენის ბატონისა. მოვიდა აგრეთვე მიმღები ორის ქანქარისა და უთხრა: ბატონო! ორი ქანქარი მომეცი მე; აი ახლა მათ შევძინე კიდევ ორი სხვა ქანქარიცა. ბატონმა უპასუხა ამასაც: კეთილო და ერთგულო მონაო! მცირეზე იყავ ჩემგან სარწმუნო, ახლა მრავალს განდობ, იყავ სიხარული ბატონისა შენისა. მოვიდა ბოლოს ერთის ქანქარის მიმღები და უთხრა: ბატონო! ვიცოდი, რომ ფიცხელი კაცი ხარ: მოიმკი, სადაც არ დაგითესია, და შეიკრებ, სადაცა არ დაგიბნევია რა. ამისათვის შემეშინდა, წავიღე და შენი მოცემული ქანქარი მიწაში დავმარხე: აჰა ახლა შენი შენვე მიიღე. ბატონი ამაზე კი გაჰწყრა და უთხრა: ბოროტო მონაო და ზარმაცო! შენ იცოდი, რამეთუ მოვიმკი, სადაც არ დამითესია, და შევიკრებ, სადაცა არა გამიბნევიარა; ამისათვის მოვალე იყავ, რომ ჩემი ფული მიგეცა ვაჭართათვის, რომ მე სარგებლით მიმეღო.—ჩამოართვით ახლა მაგას ქანქარი, უბრძანა მოსამსახურეებს, და მიეცით, ვისაც ათი ქანქარი აქვს. ასე—ყოველსა, რომელსა აქვს, მიეცეს და მიემატოს, და ვისაც არა აქვს, რაცა აქვს, ისიც წაერთოს. უსარგებლო ეგე მონა კი ჩააგდეთ ბნელსა მას გარესკნელსა. იქ იქნება მაგისი ტირილი და ღრჭენა კბილთა."

ამის შემდეგ Იესო ქრისტემ სთქვა ისიცა, რა საქმისათვის ის დასჯის ანუ დააჯილდოვებს კაცთ, როცა მეორედ მოვა ქვეყნისათვის სამართლის მისაცემად. «როცა მოვა ძე კაცისა დიდებითა თვისითა და თან ეყოლება გუნდი წმინდა ანგელოზებისა, მაშინ დაჯდება დიდების ტახტზე, და მის წინაშე შეიკრიბებიან ყველა ხალხები; ის გაარჩევს იმათ ერთმანერთისაგან, როგორც მწყემსი ცხვრებსა და თხებს. მართალთა დააყენებს თავის მარჯვენით, ცოდვილებს მარცხნივ." მარჯვენით მდგომარეთ ეტყვის მეუფე: «მოდით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო! დაიმკვიდრეთ სასუფეველი, მომზადებული თქვენთვის ქვეყნის დასაბამიდგანვე. მშიოდა და თქვენ მაჭამეთ მე, მწყუროდა და

თქვენ მასვით; ვიყავ მგზავრი, და თქვენ მისტუმრეთ; ვიყავ შიშველი და თქვენ შემმოსეთ მე; ვიყავ სნეული და თქვენ მნახეთ მე; ვიყავ საპყრობილეში და თქვენ მოხვედით ჩემთან.“ მაშინ მართალნი უპასუხებენ მას: „უფალო! როდის გნახეთ მშიერი და გაგაძღეთ შენ? ანუ მწყურვალი და გასვით შენ? როდის გნახეთ შენ ავადმყოფი ანუ საპყრობილეში და მოვედით შენთან?“ მეუფე უპასუხებს მათ: „ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ: სიკეთე, რომელიც მიაგეთ ერთს ჩემს მცირესა ძმათაგანსა,—იგი მე მომაგეთ.»

«ხოლო მდგომარეთა მარცხნით ეტყვის: წარვედით ჩემგან წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელიც გამზადებულია ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის. მშიოდა მე, და თქვენ არ მომეცით საჭმელი; მწყუროდა მე, და არ დამალევინეთ; შიშველი ვიყავ, და არ შემმოსეთ; სნეული ვიყავ და არ მომიარეთ, საპყრობილეში ვიჯექ და არა მნახეთ. მაშინ ცოდვილნიც უპასუხებენ: უფალო! როდის გნახეთ შენ მშიერი, ანუ მწყურვალი, ანუ მგზავრი, ანუ შიშველი, ანუ უძლური, ანუ საპყრობილეში და არ გემსახურეთ შენა?.»

ამ კითხვაზე იესო ქრისტე ეტყვის იმათ: „ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ: რადგან თქვენ არ უყავით ეს სიკეთე არც ერთსა მცირეთაგანსა,—მაშინ არც მე გამიკითხეთ. მაშინ ესენი წავლენ საუკუნო სატანჯველში; მართალნი კი მიიღებენ საუკუნო ცხოვრებას.“—

ეს მუსაიფი რომ გაათავა ქრისტემ, მოწაფეებს უთხრა: „თქვენ უკვე იცით, რომ ორის დღის შემდეგ პასექი იქნება და ძე კაცისა მიეცემა ჯვარცმად“. სთქვა ესა და წავიდა ისევ ბეთანიას.

## დიდი ოთხშაბათი.

### 97. სვიმონის სახლში, სინედრიონ გარდაწყვეტილება იუდას გამცემლობა.

მათ. 26. 2—16. მარკ. 14. 1—11. ლუკ. 22. 1—6.

ოთხშაბათს დღეს იესო ქრისტე აღარ წავიდა იერუსალიმს. იმან გაატარა ეს დღე სოფელს ბეთანიაში სვიმონ კეთროვანის სახლში. როცა აქ ვახშმად იჯდა, მოვიდა მასთან ერთი დედაკაცი, მოიტანა ალაბასტრით ძვირფასი ნელსაცხებელი და დაასხა იესო ქრისტეს თავზე. ზოგიერთ მოწაფეთ ეწყინათ ამდენი ნელსაცხებელის დაქცევა და გაჯავრებით სთქვეს: «რაისათვის მოჰხდა ამისთანა ზარალი? სამასს დრაჰკანზე მომეტებულად შეიძლებოდა გაყიდვა ნელსაცხებელისა და ფულის გლახაკთათვის მიცემა».—„მან კეთილი საქმე ჩემთვისა ჰქმნაო, სთქვა იესო ქრისტემ; გლახაკნი მუდამ თქვენთან არიან, და თქვენ შეგიძლიანთ მათთვის კეთილის ყოფა ყოველს ჟამს, როცა ისურვებთ; მე კი ყოველთვის თქვენთან არ ვიქნები. მან მომამზადა მე დასამარხავად. ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ: სადაც იქადაგებენ სახარებას, ყოველგან იტყვიან ქვეყანაზე იმის მოსახსენებლად იმასაც, რაცა ჰქმნა».

ამ დროს იერუსალიმს, კაიაფას სახლში, შეკრებილნი იყვნენ იესო ქრისტეს მტერნი: მწიგნობარნი და მოხუცებულნი და რჩევა ჰქონდათ. იმათ გადასწყვიტეს იმის დაჭერა, პასექის დღესასწაულის შემდეგ, და მოკვლა. მაგრამ ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ შეუცვალათ აზრი. ბოროტმა სულმა შეიპყრო იუდა ისკარიოტელის გული და ეს უბედური მოვიდა ბეთანიით, შევიდა სინედრიონში და უთხრა კრებას: „რას მომცემთ, რომ მე მოგყიდოთ იგი? იუდას წინადადება გაუხარდათ

ქრისტეს მტრებს; მაგრამ ისრეთი სახე აჩვენეს, ვითომც არავითარს მნიშვნელობას არ აძლევენ იესო ქრისტეს სიცოცხლეს. ამ განზრახვით იუდას დაჰპირდნენ 30 ვერცხლის (25 მან. და 80 კ.) ეს იყო სისხლი უეცრად მოკლულ მონისა. მაგრამ იუდა ამ მცირე ფასზეაც თანახმა გახდა, და მისცა სასამართლოს სიტყვა, რომ იესო ქრისტეს დააჭერინებს იმისთანა დროს, როცა მასთან ხალხი არ იქნება.

## დიდი ხუთშაბათი.

### 98. ფეხთ-ბანა და საიდუმლო სერობა.

იოან. 13. 1—30. მათ. 26. 17—29. მარკ. 14. 12—25. ლუკ. 22. 7—30.

მარტის ცამეტს ებრაელები პასექის სალმთოებს ჰკლავდენ. რადგან სალმთოს დაკვლა შეიძლებოდა დღესასწაულის წინადღესაც, ამისათვის ხუთშაბათს დღეს იესო ქრისტემ პეტრესა და იოანეს დაუძახა და უბრძანა: «წადით ქალაქს იერუსალიმს და პასექი მოგვიმზადეთო». მაგრამ მოწაფეებმა არ იცოდნენ ვის სახლში უნდა მოემზადებინათ პასექი, და როცა ჰკითხეს: „სადაო?“ მაშინ ქრისტემ უთხრა იმათ: «ქალაქში შესვლის დროს შემოგვხდებათ კაცი, რომელსაც წყლის კოკა მხრებზე ედგმება; იმას გაჰყევით, და საცა ის შევა, უთხარით იქ სახლის პატრონს: მოძღვარი გკითხავს: სად არის სავანე, რომელშიაც ჩემს მოწაფეებთან ერთად პასექი უნდა ვჭამო? ის გიჩვენებთ დიდს დაფენილს ოთახს, და იქ დაგვიმზადეთ პასექი». პეტრე და იოანე წავიდნენ იერუსალიმს, და ჰპოვეს ყოველივე ისრე, როგორც სთქვა იესომ, და მოამზადეს პასექი. საღამოზე იქ მოვიდა იესო ქრისტეც, და პასექი მზად დაჰხვდა.

ჩვეულება მოითხოვდა, ყველას ხელ-ფეხი დაებანათ და

ისრე დამსხდარიყვნენ სუფრაზე პასექის საჭმელად. წყალი მზად იყო, მაგრამ არ იყო კაცი, რომ მათთვის ხელ-ფეხი დაებანა. ოთახში მოწაფეების გარდა სხვა არავინ იყო; ახლა მარჯვე შემთხვევა ჰქონდათ ერთმანერთისათვის სამსახური გაეწიათ; მაგრამ ისინი ამას არ კადრულობდენ და ერთმანერთს ებაასებოდენ,—ვინაა მათ შორის უფროსი და უმცროსი. უმცროსობა არავისა ჰსუროდა. მაშინ ადგა თვითონ იესო ქრისტე, დასდვა სამოსელი, აიღო არდაგი, შემოირტყა წელზე, მოიტანა წყალი, ჩაასხა საბანელში და დაუწყო მოწაფეებს ფერხთ ბანა, და სწმენდდა იმ არდაგითა, რომელიც წელზე ერტყა; მარტო პეტრემ არ დააბანინა ფეხები და უთხრა: „უფალო! განა შენ უნდა დამბანო ფეხები?“ „მე ვერ დამბან ფეხებს უკუნისამდეო“, უპასუხა იმან. „თუ ვერ დაგბან, მაშ აღარც წილი გექნება ჩემთანაო,“ უპასუხა ქრისტემაც. პეტრემ შეშინდა, და უთხრა: «უფალო! (თუ ასეა, მაშ) დამბანე არამცთუ ფეხები, არამედ ხელებიცა და თავიც». —«განბანილს მარტო ფეხები უნდა დაებანოს; ამისათვის რომ იგი არის ყოვლად წმიდა“, უპასუხა იესო ქრისტემ. —თქვენც წმიდა ხართ, უთხრა სხვა მოწაფეებსაც მაგრამ ყველანი კი არა“.

ფერხთ-ბანის შემდეგ იესო ქრისტემ ისევ ჩაიცვა თავისი სამოსელი და დაჯდა სერობაზე, და მერმე ჰკითხა მოწაფეებს: „იცით, რათ მოვიქეცი ასრე? მე თქვენ მოგეცით მაგალითი, რომ კვლავ თქვენც ისრე ემსახურებოდეთ ერთმანერთს, ვითარცა მე გემსახურეთ. თქვენ მოძღვარს მეძახით მე; ამას მართალს ამბობთ: უკეთუ მე უფალმა და მოძღვარმა თქვენ ყველას ფეხები დაგბანეთ: აგრეთვე უნდა ჰბანდეთ ერთმანერთს ფეხებს თქვენცა ესე იგი: (თქვენ შორის უფროს-უმცროსობა არ უნდა იყოს და ერთმა ერთს უნდა ემსახურეოდეთ სიყვარულით, სიმშვიდით და თავგანწირულებით).

ამის შემდეგ დასხდნენ სერობაზე. იესო ქრისტემ უთხრა ჯერ მოწაფეებს: „მე ძალიან მსუროდა პასექის თქვენთან ჭამაო, მერმე აიღო ხელში ბარძიმი, ადიდა ღმერთი და სთქვა: მიიღეთ

და გაიყავით ურთიერთ შორის. ამიერიდგან არღარა ვსვა ნაყოფისაგან ვენახისა, ვიდრე არ მოვა სასუფეველი ღვთისა».

იესო ქრისტემ სთქვა თუ არა ეს სიტყვები აემღვრა სული და მოწაფეებს უთხრა: „ერთი თქვენთაგანი გამცემს მე; მაგრამ ვაი იმ კაცსა, რომლისაგანაც ძე კაცისა იქნება გაცემული; უმჯობესი იყო, რომ არ შობილ იყო კაცი იგი!» ამაზე მოწაფეები ძალიან შეწუხდნენ, შეჰხედეს ერთმანეთს და ყველამ ზედი-ზედ ჰკითხეს: „მე ხომ არა ვარ, უფალო?—«მოძღვარო! ნუთუ მე ვარო?» კადნიერად ჰკითხა იუდამაც. «შენა ხარო» უთხრა იესო ქრისტემ ისრე ჩუმათ, რომ სხვა მოწაფეები ელაპარაკებოდენ ერთმანერთს და ვერ გაიგეს. ამისათვის პეტრემ ანიშნა იოანეს, რომელიც იესო ქრისტეს გვერდით იჯდა, ეკითხა—რომელია მათგანი მისი გამცემი. იოანემ მიჰყუდა იესო ქრისტეს გულზე თავი და ჩუმათ ჰკითხა: „უფალო! ვინ არის? იმან უთხრა: ის არის, ვისაც ამოვუწებ პინაკში (სამარილე) ლუკმას და მივცემ; და დააწო მაშინ პური და მისცა იუდა ისკარიოტელსა».

იესო ქრისტე შეგობრულად მოექცა იუდას: ეწადა გაეღვიძებინა იმის გულში სინანული; მაგრამ ავკაცობას ისრე მაგრა გაება იმის გულში ფესვი, რომ მისმა გულ-კეთილობამ ვერა აგრძნობინა რა იმას. ლუკმასთან ერთად შევიდა მის გულში ეშმაკი. ის აღარ დადგა წმინდათა მოციქულთა თანა, გავიდა და წავიდა სინედრიონისაგან დაპირებულ ფულების მისაღებლად. დარჩნენ მაცხოვართან მხოლოდ თერთმეტი მოწაფე, რომელნიც სრულიად ვერ მიჰხვდნენ, თუ რისთვის წავიდა იუდა იმათ ეგონათ იესო ქრისტემ უთუოდ რისამე სასყიდლად გაგზავნაო. ასრე იფიქრეს ამისათვის, რომ იმას ებარა საზოგადო ფული.

იუდას წასვლის შემდეგ იესო ქრისტემ აიღო პური, აკურთხა, დაამტვრია, მისცა მოწაფეებს, და სთქვა: «მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი; ამას ჰყოფდეთ ჩემდა მოსახსენებლად». მოწაფენი ეზიარნენ პატიო-

სანსა ქრისტეს ხორცსა. ამის მერმე აიღო იესო ქრისტემ ახლა ღვინით სავსე ბარძიმი, მადლობა შესწირა ღმერთსა და მიაწოდა მოწაფეებს და სთქვა: ჰსვით ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა. ამასა ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა». მოწაფენი ეზიარნენ პატიოსანსა ქრისტეს სისხლსა. ასრე, და ამ სახით დაწესდა დიდი საიდუმლო ზიარებისა.

## 99. იესო ქრისტეს გამომშვიდება მოწაფეებთან.

მათ. 26. 30—35. მარკ. 14. 26—31. ლუკ. 22. 31—39
იოან. 13. 31—38. 14. 15.

საიდუმლო ზიარების დადგინების შემდეგ იესო ქრისტემ დაიწყო მოწაფეებთან? გამომშვიდება. ისინი ჯერ კიდევ სუფრაზე ისხდნენ. შვილნო, მე ცოტა ხანსღა ვიქნები თქვენთან; უთხრა იმან მოწაფეთა თვისთა; დამიწყებთ ძებნას და როგორც უკვე ვუთხარ ურიებს, აგრეთვე გეუბნები თქვენცა: სადაც მე მივდივარ, თქვენ არ შეგიძლიანთ ეხლა იქ მოსვლა»

პეტრემ უპასუხა: „უფალო! რატომ არ შემიძლიან მოგდიო შენ? მე სიცოცხლესაც კი ჩემსას დავსდებ შენთვის!" მაშინ უფალმა უთხრა: სვიმონ! სვიმონ? ეშმაკი ითხოვდა ნებას მისცემოდა მას და იქადოდა, რომ ისრე გაგაბნევ თქვენ, ვითარცა ხორბალსაო. მაგრამ მე ვევედრე შენთვის მამასა ჩემსა, რომ შენი სარწმუნოება არ შემცირდეს, და როცა შენ მოიქცევი, მაშინ დაამკვიდრე ძმანი შენნი. თქვენ ყველანი ამაღამ შესცდებით ჩემ შესახებ, რამეთუ ნათქვამია: დავსცე მწყემსი და განიბნივნენ ცხოვარნი სამწყსოისა ჩემისანი. პეტრე გაჭირვეულდა და კიდევ სთქვა: „სხვანი კიდევაც რომ შეჰსცდენ, მე არასოდეს არ გიღალატებ. უფალო! მე მზათა ვარ შენთან ერთად შევიდე საპყრობილეში და მივიღო სიკვდილიცა". ამასვე ამბობდენ სხვა

მოწაფეებიცა. მაშინ იესო ქრისტემ ჰკითხა პეტრეს: „შენ დასდებ ჩემთვის სიცოცხლესა? ჭეშმარიტად გეუბნები, რომ ამაღამ, ვიდრე მამალი ორჯელ იყივლებდეს, შენ სამ გზის უარსა მყოფ მე?“

მოწაფეები შეწუხდენ, როცა შეიტყეს იესო ქრისტეს მომავალი განსაცდელი. მაგრამ იმან დაამშვიდა ისინი. „ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი, უთხრა მოწაფეთა; გრწამდეთ ღმერთი და გქონდეთ რწმენა ჩემდა მომართ. მამისა ჩემისა სახლსა შინა სავანენი მრავალ არიან. მე მივალ თქვენთვის ადგილის მოსამზადებლად; და როცა გავამზადებ, კვალად მოვალ და წაგიყვანთ ჩემთან, რომ სადაც მე ვიყო, თქვენც იქ იყვნეთ, მე არ დაგტოვებთ ობლად, მოვალ თქვენთან. ხოლო ნუგეშინისმცემელი იგი სული წმიდა, რომელსაც მამა ჩემი მოავლინებს ჩემის სახელითა, გასწავლით და მოგაგონებთ ყოველივეს, რაც მე მითქვამს. ახლა კი მშვიდობასა დაგიტევებ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მოგცემ თქვენ, არა ისრე, როგორც წუთის სოფელი იძლევა.—ნუ შეშფოთდებიან გულნი თქვენნი და ნუ შეშინდებით. აღექით ახლა წავიდეთ.“

იესო ქრისტე და მისი მოწაფეები ადგნენ და პასექის ფსალმუნების გალობით გამოვიდნენ იერუსალიმიდგან, ავიდნენ ზეთის-ხილის მთაზე, რომლის ფერდობზე იყვნენ გაშენებულნი ვენახები იესო ქრისტემ განაგრძო ისევ თავისი მუსაიფი. „მე ვარ ჭეშმარიტი ვაზი ვენახისა და მამა ჩემი მოქმედი არის. ყოველს რქასა, რომელსაც ნაყოფი არ მოაქვს, იგი მოჰკვეთს, ხოლო რომელსაც ნაყოფი გამოაქვს, იმასა სხლის, რომ უფრო მომეტებული ნაყოფი გამოიღოს. თქვენ უკვე განწმენდილნი ხართ იმ სწავლითა, რომელიც მე გიქადაგეთ. ამის შემდეგ მე თქვენთან უნდა ვიყვე და თქვენ ჩემთანა. როგორათაც მოჭრილს რქას-ნასხლევს არ შეუძლიან გამოიღოს ნაყოფი, სწორედ ესრედ არც თქვენ შეგეძლებათ ნაყოფის გამოღება, უკეთუ ჩემთან არ იქნებით. მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენა ხართ რქა. ვინც ჩემთან იმყოფება და მე იმასთან, იგი ბევრს ნაყოფს გამოიღებს:

უჩემოთ კი ვერასა ჰყოფთ. ვინც ჩემთან არ არის, ის ისრე გახმება, როგორც მოჭრილი რქა. მაგრამ თუ ჩემთან გექნებათ კავშირი და ჩემს სიტყვებს გულში დაიმარხავთ, მაშინ რასაც ისურვებთ და ითხოვთ, ყოველივე მოგეცემათ. მამა ჩემი მაშინ იქნება თქვენ მიერ ქებული, როცა კეთილს ნაყოფს გამოიღებთ. მაშინ ცხადი იქნება ისიც, რომ თქვენ ჩემნი მოწაფენი ხართ. როგორათაც მე შემიყვარა მამამ, ეგრე მეც თქვენ შეგიყვარეთ, და თქვენც მტკიცენი უნდა იყვნეთ ჩემს სიყვარულზე. მაგრამ მტკიცენი იქნებით ჩემს სიყვარულზე მხოლოდ მაშინ, თუ რომ აღასრულებთ მცნებათა ჩემთა,—როგორც მე აღვასრულე მცნებანი მამისა ჩემისა."

„ამას გეუბნები თქვენ იმისათვის, რომ მარადის მახარებდეთ მე, და თქვენც ჩემ მიერ ჰპოებდეთ სიხარულსა. ჩემი მცნება ეს არის, რომ თქვენ გიყვარდეთ ერთმანერთი ისრე, როგორც მე შეგიყვარე თქვენ. იმაზე მომეტებული სიყვარული აღარ შეიძლება, ვინც დასდებს თავის სულს მეგობართათვის. თქვენ ჩემნი მეგობარნი იქნებით, უკეთუ აღასრულებთ მცნებას, რომელსაც მე გაძლევთ. ამას გამცნებთ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს."

ამ ტკბილს საუბრის შემდეგ იესო ქრისტე დაეშვა ძირს მთის ფერდობზე და ჩავიდა ღელეში. აქ მდინარის კედრონის კიდეზე იმან აიხედა მაღლა ცაში და ღმობიერად წარმოსთქვა შემდეგი ლოცვა: „მამაო! მოიწია ჟამი, ადიდე ძე შენი. შენ მიგიცია მისთვის უფლება ყოვლისა ხორციელსა ზედა, რათა მისცეს იმანაც ყოველივეს ცხოვრება საუკუნო. ხოლო საუკუნო ცხოვრება ეს არის, რათა გიცნობდენ შენ მხოლოსა ჭეშმარიტსა ღმერთსა, და შენ-მიერ მოვლინებულსა იესო ქრისტეს. მე გადიდე შენ ქვეყანაზე, შევასრულე ის საქმე, რომელიც მომანდე მე აღსასრულებლად; და აწ, მამაო, შენთან მადიდე მეც იმ დიდებითა, რომელიც მე მაქვნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა, შენი სახელი მე გამოუცხადე კაცთა, რო-

მელნიც მომაბარე. შენი სიტყვები მე გადავეცი იმათ და იმათაც მიიღეს ჭეშმარიტად და ირწმუნეს, რომ შენ მომავლინე. მე მათთვის გევედრები: დაიცვე ისინი სახელისა შენისათვის, რათა ისინიც იყვნენ ერთ, როგორათაც რომ ჩვენა ვართ. როცა სოფელში ვიყავ იმათთან, ვიცავდი იმათ სახელითა შენითა, და არავინ წარწყმდა, გარდა ძისა მის წარწყმედულისა (Იუდასი), რათა აღსრულდეს წერილი.—მე გარდავეც მათ სიტყვანი შენნი, მაგრამ სოფელმა მოიძულა იგინი, ამისათვის რომ ისინი არ არიან წუთის სოფლისანი, ვითარცა მე არავარ ამა სოფლიდგან. მე იმას არ გევედრები, რომ ისინი აღიხვნა, არამედ გთხოვ, რათა დაიფარო ისინი ბოროტისაგან, განანათლე ისინი ჭეშმარიტებითა, ვინაიდგან სიტყვა შენი ჭეშმარით არს. მეც მათთვის შევსწირავ თავსა ჩემსა, რომ ისინიც იყვნენ ყველანი ერთ, ვითარცა შენა ხარ ჩემდამო, მამაო, და მე შენდამო, ეგრეთ იყვნენ იგინიცა ჩვენ შორის ერთ, რათა შეიტყოს ქვეყანამ, რომ შენ მომავლინე, და ისინიც შეიყვარე ისე, როგორც შემიყვარე მე. მამაო! მსურს, რომელნიც მე მომეცი, ისინიც ჩემთან იყვნენ იქ, სადაც მე ვიყო, რათა ჰხედვიდენ დიდებასა ჩემსა. „Არა მხოლოდ მათთვის გევედრები, არამედ ყოველთათვის, რომელნიც მირწმუნებენ სიტყვითა ამითა.“

## 100. ლოცვა იესო ქრისტესი გეთსამანის ბაღში და მისი დაჭერა.

მათ. 26. 36—56. მარკ. 14. 32—52. ლუკ. 22. 39—53. იოან. 18. 1—11.

Ზეთის-ხილის მთაზე წარმოთქმულ ლოცვის შემდეგ Იესო ქრისტე გადავიდა კედრონის მდინარის მარჯვენა მხარეს, სადაც იყო ვენახი, რომელსაც სახარებაში გეთსამანს ბაღი ჰქვიან. Უკანასკნელს დროს მაცხოვარი აქ მალ-მალ მოდიოდა თავის მოწაფეებით ლოცვა—ვედრებისათვის. Იუდა გამცემელმა იცოდა ეს ადგილი. Იესო ქრისტემ ამ ბაღში შესვლა ინება. ეხლაცა.

რვა მოწაფე ბაღის გარეთ დასტოვა, სამნი კი: პეტრე, იოანე და იაკობი თან წაიყვანა. ბაღში რომ შევიდნენ, იმან უთხრა თანამყოფ მოწაფეთ: „განწირულია სული ჩემი სასიკვდილოდ; თქვენ აქ დადექით და იფხიზლეთ.“ მერმე განჰშორდა მათ ქვის სატყორცნელ მანძილზე, მოიდრიკა მუხლი, დაემხო დედა-მიწაზე და ასრე ილოცვიდა:

„მამაო ჩემო! უკეთუ შეიძლებოდეს მაშორე მე ეს (მწარე) სასმელი; მაგრამ იყოს ნება შენი, და არა ჩემი.“ ამ დროს ზეცით მოევლინა ანგელოზი და ამხნევებდა, და განაძლიერებდა მას. სული ქრისტესი შეძრწუნებულ იყო, მაგრამ ლოცვამ დაამშვიდა: ადგა, მოვიდა მოწაფეებთან, ნახა ისინი მძინარენი და უთხრა: „რასა გძინავთ? ადექით, იყავით ფხიზელნი; და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა ხოლო ხორცი უძლური.“ სთქვა თუარა ესა, კვალად განშორდა მათ და მეორედ ილოცვიდა:

„მამაო ჩემო! უკეთუ არ შეიძლება რომ ამცდეს ეს სასმელი (სატანჯველი), მაშ იყოს ნება შენი.“ ამის მერმე აღსდგა და მობრუნდა კიდევ მოწაფეებთან. ისინი კვალად მძინარენი დაჰხვდა; მაგრამ აღარ დადგა იმათთან, და მესამედ განშორდა მათ, და ამ ჟამად ისრე მხურვალედ ილოცვიდა, რომ გარდმოსდიოდა ოფლი მიწაზე, ვითარცა სისხლის წვეთები.

ლოცვამ სრულიად დაამშვიდა მისი აღშფოთებული სული. ახლა ის მზად იყო მხნედ მიჰგებებოდა სიკვდილს.—დაბრუნდა მოწაფეებთან და უთხრა: „თქვენ კიდევ გძინავთ და განისვენებთ? ყოველივე შესრულდა. აჰა მოვიდა დრო, ძე კაცისა მიეცემა ცოდვილთა ხელში. აღსდექით, წარვიდეთ აქედგან; აგერ უკვე მოაწია ჩემმა გამსყიდველმაც.“

ამ დროს მართლაცა-და ხეებსა და ხეებს შუა ბაღში მოჩანდენ კაცები, რომელთაც ხელში ეჭირათ—ზოგს ჯოხები, ზოგს ფარნები და ზოგს ლამპრები. მათ მოუძღოდა წინ იუდა ქრისტეს დასაჭერად. იმათ მისდევდენ ურიების მღვდელ-მთავრე-

ში, მათი მოსამსახურეები და რომაელთა ჯარის კაცები. იმათ ყველას წელზე ერტყათ მახვილები. შორი-ახლოს მოსდევდენ ურიების მწიგნობარნიცა. რადგან ღამე იყო, და სიბნელეში ძნელი იყო გარჩევა, ამისათვის იუდა მოელაპარაკა მხედართ დაეჭირათ ის კაცი, ვისაც ის აკოცებდა. იესო ქრისტე არ შეშინდა. ის მიეგება წინ მტრებს და ჰკითხა: «ვის ეძებთ?» —მას უპასუხეს: „იესო ნაზარეველსაო." მაშინ იმან უპასუხა: «იგი მე ვარო.» ამ სიტყვაზე მტრები შეშინდენ, დაიწიეს უკან და დაემხვნენ პირქვე. მაშინ იუდამ აკოცა იესო ქრისტეს, რომელმაც მეგობრულად შეჰხედა იმას და უთხრა: «მეგობარო! შენ კოცნითა ჰყიდი ძესა კაცისასა?» —მერმე მიუბრუნდა ახლა ხალხს და ჰკითხა: „ვის ეძებთ?" იმას უპასუხეს: «იესო ნაზარეველსაო." — „მე უკვე ვსთქვი, რომ იგი მე ვარო," უთხრა ქრისტემ: „თუ მე მეძებთ, მაგათ დაეხსენით წავიდნენ. მაშინ მტრები მიჰცვივდნენ იესო ქრისტეს; მოწაფეები მიჰხვდნენ, რა ეწადათ ურიებს და ჰკითხეს მოძღვარს: «უფალო! ნუთუ მახვილები არ უნდა დავკრათ ამათ?» პეტრემ აღარც კი უცადა პასუხსა, წაიძრო მახვილი და მოჰკვეთა მარჯვენა ყური ერთს მონას, რომელსაც სახელად მალქოზ ერქვა.

პეტრე მოციქული უკანონოდ გაცხარდა, მოსამსახურეებს რა დანაშაულობა ჰქონდათ? ისინი თავიანთ უფროსების ბრძანებას ასრულებდენ. ამისათვის ეწყინა იესო ქრისტეს მოქმედება პეტრესი და უთხრა:

„ჩააგე მახვილი შენი ქარქაშსავე, ამისათვის რომ მახვილის მხმარებელნი მახვილითვე მოკვდებიან. სასმელი, რომელიც მომცა მამა ჩემმა, ნუთუ მე არ უნდა შევსვა? ანუ იქნება ჰფიქრობთ, მე არ შემეძლოს ვსთხოვო მამასა ჩემსა, რომ ეხლავე მომაშველოს თორმეტზე მომეტებული გუნდი ანგელოზებისა?"

ამის შემდეგ იესო ქრისტემ შეახო ხელი მალქოზს ყურსა და მყისვე გაამთელა იგი. მხედართ შეჰკრეს იესო ქრისტე; შეშინებულ მოწაფეებმაც დასტოვეს ის და წავიდნენ თავ-თავისად.

ამ დროს ქრისტემ დაინახა ხალხში სინედრიონის წევრნი და უთხრა იმათ: „თითქოდე ავაზაკზე იყვნეთ გამოსულნი, ისე ხართ შეიარაღებულნი მახვილითა და შუბებით. ყოველს დღეს მე თქვენთან ვიყავ ტაძარში, ვიჯექი იქ და ვასწავებდი, და თქვენ არ მიჭერდით მე?... მაგრამ ახლა თქვენი დროა. დაე აღსრულდეს წერილი.“

იესო ქრისტე წაიყვანეს შეკრული იერუსალიმს.

ცოტა მოშორებით ხალხს უკან მისდევდენ აგრეთვე პეტრე და იოანე მოციქულნი, მაგრამ მტერნი ვერა ჰხედავდენ იმათ.

## 101. იესო ქრისტეს გასამართლება წინაშე ანნასი და კაიაფა მღვდელ-მთავრებისა.

მათ. 26. 57—68. მარკ. 14. 53—65. ლუკ. 22. 63—71. იოან. 18. 12—15.

ებრაელებს ისეთი კანონი ჰქონდათ, რომ დამნაშავეს მალვით კერძო სახლში არაფერს გამოჰკითხვიდენ ხოლმე; მაგრამ იესო ქრისტეს მტრებმა ეს კანონი დაარღვიეს, და მოიყვანეს ის სახლში ანნა მღვდელ-მთავართან, რომელიც ამ დროს არც სამსახურში იყო და იყო მხოლოდ უბრალო წევრი სინედრიონისა. მღვდელ-მთავრად იყო კაიაფა. ანნამ გამოჰკითხა იესო ქრისტეს მოწაფეებზე და მის სწავლაზე. იესომ უპასუხა, რომ მე ყოველთვის ცხადად ვასწავლიდი ხალხს შესაკრებლებზე და ტაძარში. მალვით არა მითქვამს რა: მე რასა მკითხავთ? ჰკითხეთ იმათ, რომელთაც მოუსმენიათ ჩემი სწავლა.»

ამგვარის პასუხისათვის ერთმა მოსამსახურეთაგანმა ქრისტეს ლოყაში სილა გაარტყა და უთხრა: «განა მაგისთანა პასუხს მისცემენ მღვდელ-მთავარსა?» მაცხოვარმა უთხრა იმას წყნარად და მშვიდად: «უკეთუ ბოროტს ვამბობ, დაამტკიცე, რომ ბოროტია; თუ რომ კეთილს ვამბობ, მაშ რიღასათვის მცემ?»

ანნა მღვდელ-მთავარმა ვერ იცნო იესო ქრისტე დამნაშავედ და კაიაფასთან გაგზავნა.

კანონის ძალით სინედრიონს იერუსალიმის ტაძრის სახლში, დღისით, უნდა მოეხდინა კრება; მაგრამ იესო ქრისტეს მტრები ისრე გაბრაზებულნი იყვნენ, რომ კრება კაიფა მღვდელ-მთავრის სახლში მოახდინეს და ისიც ღამით. ასრეთი კრება უკანონო იყო, და არ შეეფერებოდა არც დროს არც ადგილსა.

იესო ქრისტე კაიაფას სახლში რომ მიიყვანეს, მაშინვე გამოჩნდნენ ცრუ მოწმებიცა. იმათ ბევრი ცილი შესწამეს მაცხოვარს, მაგრამ ისრეთი ვერა სთქვეს რა, რომ შესაძლო ყოფილ-იყო მისი სიკვდილით დასჯა. ბოლოს მოვიდნენ ორნი ცრუ-მოწამენი და სთქვეს: „ჩვენ გავიგონეთ—მაგან სთქვა: შემიძლიან დავარღვიო ხელით აშენებული ესე ტაძარი ღვთისა, და მესამე დღეს ისევ ავაშენო.» არც ეს ცილის წამება იყო საკმაო იესო ქრისტეს სიკვდილით დასასჯელად. მაშინ კაიაფა წამოდგა ფეხზე და ჰკითხა მას: «რატომ პასუხს არას იძლევი? გაფიცებ ცხოველს-მყოფელს ღმერთსა, გვითხარ, მართლაც შენა ხარ ქრისტე ძე ღვთისა?» ამაზე იესო ქრისტემ უპასუხა: «მე რა უნდა გითხრა, როცა თვითონ შენვე ამბობ; მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ამიერიდგან იხილავთ ძესა კაცისასა მჯდომარეს მარჯვენით ძლიერისა ღმერთისა და მომავალსა ღრუბელთა ზედა ცისათა.“ ამ სიტყვების თქმაზე ურწმუნო კაიაფამ დაიხია ტანზე სამოსელი თვისი და უთხრა კრებას: «რაღათღა გვინდა მოწამენი: თქვენ უკვე გაიგონეთ ამისაგან ღვთისა გმობა. ახლა რა გნებავთ?“ სინედრიონის წევრთ ყველამ ერთხმად მიუგეს პასუხად: „ღირსია სიკვდილისა.“ ასრე გადუწყვიტეს იესო ქრისტეს სიკვდილი.

უსამართლო სინედრიონის წევრნი ამის შემდეგ წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებში, და იესო ქრისტე მოსამსახურებს ჩააბარეს. ის გამოიყვანეს ეზოში. გათენებამდე კიდევ სამი-ოთხი

საათი იყო დარჩენილი. იესო ქრისტემ დიდი ტანჯვით გაატარაეს დრო. შეუბრალებელმა მოსამსახურეებმა დაუწყეს მას დაცინვა და ცემა: ზოგნი სილასა სცემდენ, ზოგნი პირში აფურთხებდენ, ზოგნი თვალებზე ხელს აფარებდენ და თავში სცემდენ; შერმე ჰკითხავდენ: «ქრისტევ! გამოიცან, ვინ გაგარტყა?» მაცხოვარი ჩუმად იყო და ყოველსავე შეურაცხებას სულ-გრძელებით ითმენდა.

ამის შემდეგ სრულის გარდაწყვეტილების შესადგენად, ურიების კანონით, სინედრიონი მესამე დღეს უნდა შეკრებილიყო, მაგრამ იესო ქრისტეს მტრებმა მოიცადეს მხოლოდ სამი საათი. გათენდა თუარა, მაშინვე შეიყარნენ ისევ კაიაფას სახლში. იქ მიიყვანეს მაცხოვარიცა. „შენა ხარ ქრისტეო?“ ეკითხებოდენ მას, და ისიც ეუბნებოდა: «რომ გითხრა, მაინც არ ირწმუნებთ ჩემსას; და თუ გკითხავთ, არც პასუხს მომცემთ და არც განმათავისუფლებთ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ამიერითგან ძე კაცისა დაჯდება მარჯვენით ღვთისა“?—„მაშ შენ ძე ღვთისა ხარო?“ ჰკითხეს მას. „თქვენვე ამბობთ, რომ იგი მე ვარ“. მაშინ ყველა მოსამართლეებმა სთქვეს: „რაღა საჭირო არის ჩვენთვის მოწმები! ჩვენ თვითონ გავიგონეთ მაგის პირიდგან გმობა ღვთისა“. სთქვეს ესა და იესო ქრისტე სიკვდილით დასჯის ღირსად სცნეს.

## 102. პეტრე მოციქულის მიერ უარ-ყოფა და მისი სინანული.

მათ. 26. 66—75. მარ. 14. 69—72. ლუკ. 22. 54—62. იოან. 18. 15—18.

ხელებ შეკრულს იესო ქრისტეს უკან მისდევდენ იოანე და პეტრე. იოანე შეჰყვა მას ანნა მღვდელ-მთავრის ეზოში, პეტრე კი ეზოს გარეთ დარჩა. მაგრამ იოანეს თხოვნით მეკარემ ისიც შეუშვა ეზოში, და ერთმა კარის მცველმა ჰკითხა: „შენც იმ კაცის მოწაფეთაგანი ხომ არა ხარო?“ პეტრეს ძალიან ჰსურდა

ენახა, რა დაემართებოდა იესო ქრისტეს, და თანაც ეშინოდა არ გამაგდონ ეზოდგანაო: ამისათვის განიზრახა ტყუილის თქმა. იმან უპასუხა გოგოს: «არაო.» პეტრე დარჩა ეზოში. ცივი ღამე იყო. მოსამსახურეთ გარეთ ცეცხლი აენთოთ და გარს შემოსხდომოდნენ. აქ მოვიდა პეტრეც და დაჯდა მათ შორის. ამ დროს ცეცხლთან მოვიდა ერთი მოსამსახურე ქალიცა; შეჰხედა პეტრეს და უთხრა: „შენც იესო გალილეველთან იყავიო». პეტრე შეშინდა და სთქვა, რომ მე ვერ ვიცნობ იესო ქრისტეს და არც მესმის რას ამბობო; მაგრამ შიშით მაინც ვეღარ დადგა ეზოში და გამოვიდა გარეთ. ამ დროს პირველად იყივლა მამალმა.

სინედრიონმა გაასამართლა იესო ქრისტე. კრების სხდომა გათავდა. ქრისტე გამოიყვანეს გარეთ. აქ მიაყენეს იმას ბიჭებმა მრავალნაირი შეურაცხება. ამას ყოველსავე პეტრე ჰხედავდა. ამ დროს რამდენიმე კაცი მოვიდა მასთან და ერთმა უთხრა: «ესეც ნამდვილად იმასთან იყო“. ამ კაცს სხვებიც დაემოწმნენ და უთხრეს პეტრეს: „ჭეშმარიტად შენც მათგანი ხარ; ამაში გამხილებს შენივე სიტყვა-პასუხი“. პეტრე ისრე შეშინდა, რომ აღარ იცოდა, რა ეთქვა. «არ ვიცი, რას მეუბნებიო», უპასუხა იმან. ამ დროს მოვიდა მასთან მალქოზის ნათესავი და უთხრა: «მე შენ არა გნახე იმასთან ბაღშიო?“ პეტრეს შიშით თავზარი დაეცა. იმან დაიწყო ფიცი და გადათქმა: „ვერ ვიცნობ იმ კაცს, რომელზედაც მელაპარაკებითო.“ ვიდრე პეტრე ამ სიტყვების თქმას გაათავებდა მამალმა მეორედ იყივლა.» ამ დროს შეჰხედა იმას პირში იესო ქრისტემ. პეტრეს მოაგონდა წინასწარმეტყველება: „ვიდრე მამალი ორჯელ იყივლებს, შენ სამჯერ უარსა მყოფო». ახლა კი იმას შერცხვა მაცხოვრისაგან, და ვეღარ დადგა სირცხვილით ეზოში: გამოვიდა ეზოდგან და დაიწყო სინანული და მწარედ ტირილი.

## 103. იუდა ისკარიოტელის სიკვდილი.

მათ. 27. 3—10. საქმე მოციქულთა 1. 18—19.

იუდას ეგონა, რომ იესო ქრისტეს ურიები ვერა-ვითარს ბოროტს ვერ შეამთხვევენო, ამისათვის რომ იმას სასწაულთმომქმედი ძალა აქვს და იხსნის თავს ყოველის განსაცდელისაგანაო; მაგრამ იესო ქრისტემ, რადგან ქვეყნად მოვიდა თავის სიკვდილით კაცობრიობის დასახსნელად ადამის ცოდვისაგან, არ იხმარა ღვთიური ძალა თავის დასაცველად.

იუდამ როცა ნახა, რომ ურიებს იესო ქრისტე მიჰყავდათ, როგორც ერთი ვინმე უბრალო პატიმარი, ერთის მოსამართლიდგან მეორესთან, ძალიან ეწყინა და, შეწუხებული გულით და სულით, მივიდა ტაძარში, გამოეცხადა მღვდელმთავრებს და მოხუცებულ კაცთ, დაუბრუნა მათ ოცდაათი ვეცხლი და თანაც ასრე სთქვა: „ვცოდე, რამეთუ გავყიდე სისხლი მართალი“. ამაზე უპასუხეს იმას: „ეგ შენ იცი“; (ჩვენ არა გვენაღვლება რა შენის ცოდვისა. შენ შეგიცოდნია და შენვე მიეც პასუხი). „ჩვენ რა?“—ამ პასუხმა ცივი ოფლი დაასხა იუდას სულსა და გულსა. უზომო მწუხარებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მისი გული. იმან საჩქაროდ გადაყარა ფულები ტაძარში, გავარდა გარეთ, წავიდა და თოკით ხეზე თავი ჩამოიხრჩო. დამხრჩვალი მისი გვამი გასივდა ხეზედვე, დამძიმდა, გაწყდა თოკი, ჩამოვარდა ძირს, გასქდა და გადმოიღვარა მისი გულ-ღვიძლი. «განიბნივნენ ყოველნი ნაწლევნი მისნიო“, სწერს ლუკა მახარებელი.

იუდასაგან ტაძარში გაბნეული ფულები მღვდელ-მთავრებმა აკრიფეს და სთქვეს: „ამ ფულების საეკკლესიო ხაზინაში შეტანა არ შეიძლება, ამისათვის რომ სასყიდელი სისხლისა არის.» მოილაპარაკეს ერთმანერთში და იყიდეს ამ ფულით მეჭურჭლი-

საგან მიწა უცხო კაცთა დასამარხავად. ამისათვის ამ სასაფლაოს დაერქვა სახელად აგარაკი სისხლისა ანუ აკელდამა. ასრე აღსრულდა წინასწარმეტყველება იერემიასი: «აიღეს ოცდაათი იგი ვეცხლი, ფასი განსყიდულისა მის, რომელიც დააფასეს ძეთა ისრაილისათა; ხოლო მათ იყიდეს აგარაკი მეკეცისა".

## დიდი პარასკევი.

### 104. იესო ქრისტე პილატეს სამსჯავროში.

მათ. 27. 11—30. მარკ. 15. 1—19. ლუკ. 23. 1—26.
იოან. 18. 18—40.

სინედრიონმა გადაუწყვიტა იესო ქრისტეს სიკვდილი; მაგრამ თავისი განაჩენის აღსრულებაში მოყვანა არ შეეძლო. რადგან ურიასტანი რომის იმპერატორის მორჩილებაში იყო და არა ჰქონდათ ურიებს უფლება ვინმე დაესაჯათ რომის მთავრობის დაუკითხავად, ამისათვის შეჰკრეს იესო ქრისტე და მიიყვანეს პილატესთან, რომელიც ამ დროს ურიების მთავარმართებლად იყო.

ეს ამბავი მოჰხდა პარასკევს დღეს. ამ დღეს საღამოს ურიებს პასექის საღმთო-კრავი უნდა დაეკლათ. ამ გარემოებამ დაუშალათ სინედრიონის წევრებს პილატეს სასახლეში შესვლა. იმათ ეშინოდათ, წარმართის სახლში რომ შევიდეთ, წაბილწულნი ვიქნებითო. დარჩნენ ეზოში. პილატე გამოვიდა მათთან და ჰკითხა; „რაში ჰბრალებთ თქვენ ამ კაცს დამნაშავედ?" მტერთ უპასუხეს: «ჩვენ დავრწმუნდით, რომ ის ჰრყვნის ხალხს, უშლის კეისრისათვის ხარჯის მიცემას და თავის თავსაც ქრისტე მეფედ აღიარებს." პილატეს გაუკვირდა ეს ამბავი. იმან ჰკითხა ქრისტეს: „შენ ურიების მეფე ხარო?" ქრისტე სასულიერო მეფე იყო ურიებისა, ამისათვის უპასუხა პილატეს: „მე ვარ მეფეო". ამ პა-

სუხმა გააკვირვა პილატე; იმას არა სჯეროდა: როგორ შეიძლება, რომ ეს უბრალო კაცი რომს ურიათა ზედა მეფობას ეცილებოდესო. გაოცებულმა შეიყვანა ის თავის სახლში და ცალკე ჰკითხა: „შენა ხარ მართლაც მეფე ურიათა“? ამ კითხვაზე იესო ქრისტეს არ შეეძლო ეთქვა არც ჰო, არც არა, რადგან ეს აზრი პილატეს ურიებმა ჩააგონეს. იმან ჰკითხა პილატეს: როგორც შენ გესმის სიტყვა მეფე, იმ აზრით მკითხავ, თუ ეს აზრი სხვებმა ჩაგაგონეს. „მაგას შენით ამბობ, თუ სხვებმა გითხრეს ეგ ჩემზეო?“ ჰკითხა ქრისტემ. — «განა მე ურია ვარო?“ უპასუხა პილატემ. შენმა ხალხმა და მღვდელ-მთავარმა მომცეს შენი თავი მე. აბა თქვი, რა გიქმნია?“ მაშინ ქრისტემ უთხრა პილატეს: «ჩემი სამეფო რომ ისეთი იყოს, როგორიც ქვეყნიური სამეფოებია, მაშინ ჩემნი მოსამსახურენიც გაირჯებოდნენ ჩემთვის, და მე არ ვიქნებოდი ებრაელთა ხელში ჩავარდნილი“. — „მაშ შენ მეფე ხარო?“ ჰკითხა კვალად პილატემ. ქრისტემ უპასუხა: „დიაღ! მეფე ვარო“, და თანაც მაშინათვე აუხსნა, რომელი აზრით ეძახის ის თავის თავს მეფედ. „მე ამისთვის ვშობილვარ ქვეყნად, რომ დავემოწმო ჭეშმარიტებას; და ვისაც ესიამოვნება ჭეშმარიტება, იმას უყვარს ის, და ისმენს ჩემს ნათქვამს“. ამ სიტყვებმა პილატე დაარწმუნეს, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტების მქადაგებელია, და არა რომის მთავრობის წინააღმდეგი და ხალხის აღმაშფოთებელი. ამისათვის თითქოდე დაცინვით ჰკითხა: „რა არის ჭეშმარიტებაო?“ — მერმე აღარ აცადა პასუხს, გამოვიდა სახლიდგან და გამოუცხადა ხალხს: „მე ვერ ვპოვებ ამ კაცში ვერავითარს დანაშაულსა“.

მღვდელ-მთავრებმა და ხალხის უფროსებმა დაიწყეს ისევ ცილის წამება. იესო ქრისტე ხმას არ იღებდა. პილატეს ძალიან უკვირდა, რატომ ასე ჩუმათ არის და არ ამტყუნებს თავის მტრებსაო. ახლა იმან აღარ იცოდა, რა ექნა. ქრისტე რომ განვათავისუფლო, მაშინ სინედრიონს ეწყინებაო, და თუ დავსაჯე, მაშინ კიდე უსამართლოება იქნებაო. — ასე ფიქრობდა პილატე.

მაგრამ ურიები ძალიან მაგრა იდგნენ თავიანთ ბოროტს განსრახვაზე. იმათ უეჭველად ჰსურდათ ქრისტეს მოკვლა. ამისათვის თამამად უთხრეს პილატეს; რომ ის ურიასტანისა და გალილიის ხალხს აშფოთებს თავის სწავლითაო. მაშინ პილატემ ჰკითხა იმათ: „განა იესო ქრისტე გალილეველია?“ — «გალილეველიაო», უთხრეს.

### 105. იესო ქრისტე იროდი მეფის სამჯავროშია.

ლუკ. 23. 7—13

მაცხოვარი ქვეყნისაიესო ქრისტე ბეთლემში დაიბადა, მაგრამ სიყმაწვილიდგანვე ის სცხოვრებდა ქალაქს ნაზარეთს, ამისათვის ებრაელები ჰფიქრობდენ, რომ ის გალილეველი არისო. ხოლო მაზრა გალილია ამ დროს შეადგენდა ცალკე სამეფოს და ქალაქი ნაზარეთიც მას ეკუთვნოდა. აქ მეფედ იყო იროდი. პილატემ არ იცოდა, რომ იესო ქრისტე იროდის სამეფოს კაცი იყო. მისი სადაურობა უთხრეს იმას მღვდელ-მთავრებმა. ეს ამბავი პილატეს გაუხარდა. იმას სურდა უსიამოვნო, არეული და გამოურკვეველი საქმე თავიდგან აეცილებინა. შეიტყო თუ არა სადაური იყო ქრისტე, მაშინვე გაუგზავნა ის გალილიის მეფეს იროდს. ამ დროს იროდიც იერუსალიმში იმყოფებოდა. ისმოსულ იყო პასექის დღესასწაულზე.—იესო ქრისტე მოიყვანეს იროდის სასახლეში ხელებ შეკრული. იროდს ძალიან ესიამოვნა, როცა ნახა გამოჩენილი და სახელოვანი პატიმარი. დიდი ხანი იყო, რაც ის ეძებდა მის ნახვას. ახლა ის მიიყვანეს მასთან, როგორც დამნაშავე იმას ეგონა მაცხოვარი რამე სასწაულს მოახდენს და მასიამოვნებს თავის მოქმედებითაო. იმას სრულიად არა ჰქონდა განზრახვა შეეტყო სიმართლე და ჭეშმარიტება; იმას მხოლოდ ეხალისებოდა ქრისტეს ლაპარაკი, რადგან ის იყო დიდი სასწაულ-მომქმედი წინასწარმეტყველი.

ამისათვის იესო ქრისტემ არ მისცა ჰეროდის პასუხი არცერთს კითხვაზე, და არც რამე კეთილი გამოვიდოდა, კიდევაც რომ დაეწყო იმას თავის გამართოება, ამისათვის რომ ურიათა უფროსებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი მოკვლა.

რადგან ჰეროდს იმედი არ აუსრულდა, ამისათვის ეწყინა და დაუწყო იესო ქრისტეს, დაცინვა: ჩააცვა ტანზე სასაცილოდ თეთრი ტანისამოსი და გაუგზავნა ისევ პილატეს, რადგან დამნაშავედ ვერა ჰპოვა.

## 106. იესო ქრისტე კიდევ წინაშე პილატეს სამსჯავროისა.

მათ. 27- 15—26.

ჰეროდისაგან დააბრუნეს იესო ქრისტე. პილატე სახლის წინ ახლა უფრო ბევრი ხალხი შეიყარა. პილატეს ეძებდა მიზეზს იესო ქრისტეს გასათავისუფლებლად. პასექის დღესასწაულის პატივის-ცემით, იმას ერთ-ერთის ტუსაღის განთავისუფლება ჰსურდა. ამას მოითხოვდა ურიების სჯული. ამისათვის უთხრა სანედრიონის წევრებს: „თქვენ მოგიყვანიათ ეს კაცი ჩემთან და სჩივით, რომ ის ხალხსა ჰრყვნისო; მე თქვენის თანადასწრებით გამოვიძიე, და, რაშიაც თქვენ ამტყუნებთ მას, მე დამნაშავედ ვერა ვპოვებ; ჰეროდთანაც გავგზავნე, და ვერც იმან ჰპოვა მას ისეთი დამნაშაობა, რომ სიკვდილის დასჯის ღირსი ყოფილიყოს. ამისათვის ჯერ დავჰსჯი მას, მერმე განვათავისუფლებ." მაგრამ სინედრიონი თანახმა არ გახდა. ის მაინც თავისას ამბობდა და ითხოვდა იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯას. მაშინ პილატემ ჰკითხა ხალხს: „თქვენა გაქვთ ჩვეულებათ, პასექის დღესასწაულზე ერთს რომელსამე პატიმარს გაანთავისუფლებთ ხოლმე, და ახლა რომელი გნებავთ, რომ განვათავისუფლო ბარაბა, თუ იესო წოდებული ქრისტედ? გნებავთ განვათავისუფლო მეფე ურიათა?"

პილატე დარწმუნებული იყო, რომ ხალხი უთუოდ იესო ქრისტეს განთავისუფლებას ითხოვდა. შრიებმა დაიწყეს ურთიერთ შორის მოლაპარაკება; პილატე სამსჯავროში უცდიდა მათს პასუხს. ამ დროს ცოლმა გამოუგზავნა იმას კაცი და ასრე შემოუთვალა: „არა შეამთხვიო რა კაცსა მაგას მართალსა, რამეთუ მრავალი მევნო მე მაგისთვის სიზმარში".

ცოლის თხოვნისა გამო პილატემ უფრო მომეტებულად ისურვა იესოს განთავისუფლება. ის გამოვიდა გარეთ სასამართლოდამ. ხალხი გაეგება წინ და პილატემ ჰკითხა: „რომელი გნებავთ, ორთა ამათგან განვათავისუფლო?" ფარისევლების ჩაგონებით ხალხმა შეჰყვირა: «ბარაბა, და არა იესო".—„რაღა ვუყო იესოს, რომელსაც თქვენ ურიათა მეფეს ეძახით"? ჰკითხა მან.—ჯვარს აცვიო", შეჰყვირა ხალხმა. „რა ბოროტება უქმნია იმას? მე იმაში ვერა ვპოვე რა ბრალი სიკვდილის ღირსი, ამისათვის ჯერ ვგვემავ შოლტითა და მერმე განვათავისუფლებო», სთქვა პილატემ.

## 107. პილატეს უნდა იესო ქრისტეს შოლტით სცემოს და განათავისუფლოს.

მათ. 27. 27—31. მარკ. 15. 15—20. იოან. 19. 1—16.

წაიყვანეს იესო ქრისტე შოლტით საცემად. შეგროვდა მრავალი ხალხი. მოვიდნენ რომის მხედარნიცა. ამათ უყვარდათ კაცის წვალება და იმის ტანჯვის ნახვა. იმათ ჯერ შეუბრალებლად ჰგვემეს იესო ქრისტეს ლახტით, მერმე დაუწყეს დაცინვა. ასისხლიანებულს, დალურჯებულს და დაბეჟილს, სასაცილოდ ასაგდებათ, ახლა მეფური პორფირა წამოასხეს ტანზე, თავზე ეკლის გვირგვინი დაჰხურეს, ხელში მისცეს, მეფური კვერთხის

მაგიერ ლერწამი, და მერმე აატარეს და ჩამოატარეს ხალხში. რადგან აღმოსავლეთში ხალხი თავის პატივის-ცემას მუხლ-მოყრით უცხადებდა მეფეებს, ამისათვის რომის მხედარნიც მას მუხლს უყრიდენ და დაცინვით ეუბნებოდენ: «გიხაროდეს ჰურიების მეფეო?“ აგრეთვე უსირცხვილოდ პირში აფურთხებდენ, ართმევდენ ხელში კვერთხს და თავში უკაკუნებდენ. Ის ხმას არ იღებდა.

როცა გვემული Იესო ქრისტე მოიყვანეს სასამართლოში, პილატემ უთხრა ხალხს: „აჰა კაცი! მე გამომყავს ის თქვენ წინ, რათა იცოდეთ, რომ მე ვერას ბრალსა ვხედავ მასში.“ — „ჯვარს აცვი ეგე, ჯვარსა!» შეჰყვირა ხალხმა. მაშინ პილატემ უთხრა იმათ: „წაიყვანეთ იგი და თქვენვე ჯვარს აცვით; მე კი იმას დამნაშავედ ვერ ვხედავ.“ — „ჩვენა გვაქვს კანონი და ჩვენის კანონით ის უნდა მოკვდეს, ამისათვის რომ ის თავის თავს ძედ ღვთისად რაცხს,“ უპასუხეს პილატეს სინედრიონის წევრებმა.

ეს დამნაშაობა პილატეს აქამდე ჯერ არ გაეგონა, და ძალიან შეშინდა, როცა შეიტყო, რომ Იესო ქრისტე „ძე ღვთისაა.» Იმან შეუძახა ის თავის სახლში და კიდევ ჰკითხა: „ვინა ხარ შენა? და მოსულხარ საიდგანა?“ ქრისტემ არ მისცა იმას არავითარი პასუხი. Იმისმა სიჩუმემ უფრო გააკვირა პილატე. „მე არას მეტყვი?“ ჰკითხა იმან; „განა არ იცი, რომ მე შემიძლიან ჯვარს გაცვა, და მაქვს უფლება განგათავისუფლო კიდეცა?“

ამ სიტყვაზე Იესო ქრისტემ მიუგო მას პასუხად: „შენ არ გექმნებოდა ჩემზე არავითარი უფლება, თუ რომ არ ყოფილიყოს მოცემული შენდა ზენაარისაგან; მაგრამ იმას უფრო დიდი ცოდვა აქვს, ვინც ჩემი თავი შენ გადმოგცა.»

ამ პასუხის შემდეგ პილატემ უფრო მოიწადინა Იესოს განთავისუფლება; მაგრამ ურიანი მაინც თავისას არ იშლიდნენ და ყვიროდენ: „თუ რომ შენ მაგას განათავისუფლებ, მაშ არ ყოფილ-ხარ ერთგული კეისრისა; ვინც თავის თავს მეფედ აღიარებს,

-ის წინააღმდეგია კეისრისა.» მაშინ პილატემ უთხრა ურიებს: «აჰა მეფე თქვენი!» — „სიკვდილი მაგას! ჯვარს აცვი ეგე!“ ყვიროდენ ურიანი ყოველს მხრითგან. — „თქვენი მეფე ჯვარს ვაცვაა?“ ჰკითხა პილატემ. მღვდელთმთავრებმა უპასუხეს: «ჩვენ მეფე არა გვყავს, გარდა კეისრისა.»

ასეთი ჭირვეულება ურიებისა პილატეს ძალიან ეწყინა, მოითხოვა წყალი, დაიბანა ხელები და სთქვა: „მე უბრალო ვარ მაგ მართალ კაცის სისხლის დაღვრაში — და ახლა თქვენ იცით.» ურიებს ეშინოდათ, პილატემ არ გადასთქვას თავისი სიტყვაო, და ამისათვის აჩქარებით უთხრეს: „მაგისი სისხლი გვეკიდოს კისერზე ჩვენა და ჩვენს შვილებს.“ ამის შემდეგ პილატემ უნებლიედ გადასწყვიტა იესო ქრისტეს სიკვდილით დაჰჯა.

## 108. ჯვარცმა იესო ქრისტესი და მისი სიკვდილი.

მათ. 27. 31—38. მარკ. 15. 20—28. ლუკ. 23. 26—34. იოან. 19. 16—30.

იყო დღე პარასკევი. შუა დღის შემდეგ ერთი სამთა ავაზაკთაგანი განათავისუფლეს. იესო ქრისტეს კი გაჰხადეს ქლამინდი, ჩააცვეს თავისივე ტანისამოსი, აჰკიდეს ზურგზე ჯვარი და წაიყვანეს გოლგოთას მთაზე. მასთან ერთად მიჰყავდათ ორი ავაზაკიცა. იმათაც ზურგზე თავთავისი ჯვრები ეკიდათ. აუარებელი ხალხი მისდევდა უკან. გზა მიდიოდა მთის აღმართზე. ნაცემ-ნაგვემი იესო ქრისტე რამდენჯერმე წაიქცა გზაზე, ზურგზე ჯვარ აკიდებული. როგორც იყო, წვალებით მან ჯვარი მიიტანა ქალაქის ალაყაფის კარებამდე. აქედგან გოლგოთამდე კიდევ 200 ნაბიჯი იყო. იესო ქრისტე ძალიან დაიღალა, და აღარ შეეძლო ჯვრის წაღება.

ამ დროს ალაყაფის კარებთან ერთი მუშა კაცი იდგა. ეს იყო სვიმონ კვირინელი. ის მოდიოდა მინდვრიდამ თავის სახლში, მაგრამ რომ ნახა ქრისტე მიჰყავდათ, გაჩერდა და დაიწყო ცქერა.

იმას ებრალებოდა მაცხოვარი. ეს სიბრალული შეატყეს მხე-დართ, დაიჭირეს და აჰკიდეს ზურგზე იმისი ჯვარი.

აქვე იყვნენ რამდენიმე დედა-კაციცა და მწარე ცრემლით ტიროდენ იესო ქრისტეზე. მაცხოვარმა მიჰხედა იმათ და უთხ-რა: „ასულნო იერუსალიმისანო! ნუ სტირით ჩემთვის; იტირეთ თქვენს თავზე და თქვენს შვილებზე. თუ რომ ხეს ყვავილოვანს, (ესე იგი სათნოებით სავსე კაცს), ასრე ეპყრობიან, ხმელს ხეს (ესე იგი კეთილის ნაყოფის არა მქონეთ), რაღა დაგემართებათ?"

ავიდნენ მთაზე. ამართეს გოლგოთაზე სამი ჯვარი. დაა-ლევინეს იესო ქრისტეს ნაღვლით შეზავებული ძმარი. ასრე-თი იყო რომაელთა ჩვეულება: ვისაც ჯვარს აცვამდენ, იმას პირველად ამ სასმელს ალევინებდენ, რომ გონება წაჰხლოდა და ვერ ეგრძნო ტკივილები, როცა ჯვარს აც-ვამდენ. მაგრამ იესო ქრისტემ გემო იხილა მისი და არ დალია.

როცა მხედართ ყოველივე მოამზადეს, მერე ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. იყო მეთორმეტე საათი დღისა. მის მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარზე გააკრეს ორი ავაზაკიცა. მაცხოვარი იყო მათ შუა. ასრე „შეირაცხა იგი ავაზაკთა თანა." იესო ქრისტე იტან-ჯებოდა და წვალობდა, მაგრამ არამცთუ არა სწყევლიდა თავის მტრებს, არამედ კიდევაც ევედრებოდა ღმერთს მათთვის: „მა-მაო! აპატიე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან."

ჯვარცმულების თავზედ მიაკრეს ფიცრები ზედ წარწერით მათის სახელების და დამნაშავეობისა; ხოლო იესო ქრისტეს ჯვა-რის თავზე ეწერა ებრაულად, ბერძნულად და რომაულად: „იე-სო ნაზარეველი, მეუფე ურიათა!" ასრეთი წარწერა არ მოეწო-ნათ ურიების უფროსებს და სთხოვეს პილატეს: „ნუ სწერ, რომ იგი არის მეფე ურიათა, არამედ დააწერე, რომ იგი ამბობდა: მე ვარ მეფე ურიათა." პილატემ იმათ აღარ გაუგონა და სთქვა: „მე რაც დავსწერე-დავსწერე."

იესო ქრისტეს ჯვარცმას რომ მორჩნენ, მხედართ გაიყვეს მისი ტანისამოსი ოთხ ნაწილად. მაგრამ მისი კვართის (პერან-

გის) გაჭრა დაენანათ; რადგან მთლად *ერთიანად მოქსოვილი იყო. ამაზე იმათ წილი იყარეს.—ასრე აღსრულდა ფსალმუნთა შინა თქმული სიტყვა: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი.»

## 109. იესო ქრისტე ჯვარსა ზედა.

ლუკ. 23. 35. 39—43. მათ. 27. 39—44. მარკ. 15. 29—32.
იოან. 19. 25. 27.

გოლგოთაზე შეიყარა დიდ-ძალი ხალხი. ურიანი მწარედ დასცინოდნენ ქრისტესა. ქრისტე ღმერთი ჯვარზე ეკიდა. მისნი მტერნი გარს უვლიდნენ ჯვარს, თავს იქნევდნენ და ამბობდნენ: „ეჰა! ტაძრის დამარღვეველო და სამს დღეს აღმაშენებელო! იხსენ ახლა თავი თვისი, და, თუ ძე ღვთისა ხარ, გადმოდი (რაღა) ჯვარიდგან!“ დაბალ ხალხზე ჭკუიანად არ იქცეოდნენ აგრეთვე ნასწავლნი მღვდელ-მთავარნი, მწიგნობარნი და ფარისეველნიც. ისინი ამბობდნენ: «სხვასა ჰშველოდა, და თავის თავს კი არ შეუძლიან უშველოს. უკეთუ ის არის ქრისტე, მეფე ისრაილისა; გადმოვიდეს ეხლა ჩვენს წინ ჯვარიდგან: მაშინ ვერწმუნებით მას. იმას იმედი ჰქონდა ღმერთზე—დაე ეხლა დაიხსნას მან იგი, თუ რომ ის არის რჩეული და სათნო მისი. ის ხომ ამბობდა:—მე ძე ღვთისა ვარო.“

ამავე დროს ერთმა ავაზაკთაგანმაც, რომელიც იესო ქრისტეს გვერდით, მარცხნივ, იტანჯებოდა, ჯვარზე გაკრული, გაამწარა ის თავის ბოროტის და გესლიანის ენით. ამანაც გაბედა და უთხრა მას: „უკეთუ შენ ხარ ქრისტე, იხსენ შენი თავიცა და გვიხსენ ჩვენცა.“—ეს ეწყინა მეორე ავაზაკს, რომელიც იყო მარჯვნივ, და უთხრა: „არ გეშინიან ღვთისა, რომ შენც იმავე

---

*) კვართი ერგო ერთს მცხეთელს ურიას და იმან მოიტანა საქართველოს).

საჰსჯელსა შინა ხარ? ჩვენ ვისჯებით სამართლიანად, ამისათვის რომ, რაცა მოვიმოქმედეთ, მის შაგიერი გადაგვხდება, ხოლო ამას არა უქმნია რა ბოროტი." ამის შემდეგ ის შეევედრა იესო ქრისტეს: „მომიხსენე მე, უფალო! ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა." — „ჭეშმარიტად გეუბნები," უთხრა მაცხოვარმა ამ კეთილ-გონიერს ავაზაკს, „რომ დღეს ჩემთან იქნები სამოთხეში."

ამ დროს ჯვართან იდგნენ: დედა უფლისა, მარიამ კლეოპასი, მარიამ მაგდალინელი და მოციქული იოანე. იესო ქრისტემ დაინახა თავისი დედა და საყვარელი მოწაფე იოანე და უთხრა დედას: „დედა-კაცო! აჰა ძე შენი." შემდეგ მიუბრუნდა იოანეს და უთხრა ახლა იმას: „აჰა დედა შენი." ამ დღიდგან იოანემ წაიყვანა ღვთის-მშობელი თავის სახლში და უვლიდა, როგორც რომ საკუთარს თავის მშობელს დედას.

## 110. იესო ქრისტეს სიკვდილი ჯვარზე და სასწაულები.

მათ. 27. 46—56. მარკ. 15. 34—41. ლუკ. 23. 36—49.
იოან. 19. 28—37.

დაიწყო შუა დღის შემდეგ მესამე საათი. იესო ქრისტე ისევ ჯვარზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ჯერ ცოცხალი იყო. ამ დროს სთქვა იმან დიდის ხმითა: „ილი, ილი! ლამა საბაქთანი! ესე იგი: ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რაისათვის დამიტევე მე." სიტყვა «ილი» რომ გაიგონეს აქ მდგომარე ურიებმა, უთხრეს ერთმანერთს: „ესმით, ილიას (წინასწარმეტყველს) ეძახის."

ამ ხანებში იესო ქრისტეს გულის წუხილი და ტანჯვანი უფრო გაძლიერდნენ. მას მოსწყუროდა და დაიძახა: «მწყურიან!» ერთმა მხედართაგანმა ამოასველა ღრუბელი ძმარში, აალო ლერწმის წვერზე და მიაწოდა დასალევად. მაგრამ ზოგიერთებმა დაუშალეს და სთქვეს: «აცადეთ, ვნახოთ, მოვა თუ არა ილია მაგის გადამოსახსნელად." იესო ქრისტემ გემო

იხილა ძმრისა და სთქვა: „ესეცა წერილი შესრულებულ-არს!“ ამის შემდეგ კიდევ სთქვა მაღლისა ხმითა: „მამაო! ხელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა“. ესა სთქვა, მიიდრიკა თავი და განუტევა სული.»

ამ დროს მზე დაბნელდა; ორად გაიხა იერუსალიმის ტაძრის კრეტსაბმელი, თავიდამ დაწყებული ვიდრე ბოლომდე (ეს იმას ნიშნავდა, რომ იესოს მიერ გზა გაეხსნა ადამიანს ცისადმი); შეიძრა ქვეყანა; გასქდნენ კლდენი; გაიხსნენ საფლავნი და მრავალთა გარდაცვალებულთა წმინდათა გვამნი მკვდრეთით აღსდგნენ, გამოვიდნენ საფლავებით, შევიდნენ ქალაქს იერუსალიმს და გამოეცხადნენ მრავალთა (კაცთა).

ასის თავი და მხედარნი ამ დროს იქ იყვნენ და ჰცავდენ იესო ქრისტეს. მათ რომ ნახეს ეს სასწაულები, ფრიად შეშინდენ და ამბობდენ: „ჭეშმარიტად ეს კაცი ძე ღვთისა იყო.“ ეს საკვირველება ნახეს იმ კაცთაც, რომელნიც მოსულიყვნენ გოლგოთაზედ ქრისტე ღმერთის ტანჯვის სანახავად. ისინი დიდის მწუხარებითა და სინანულით დაბრუნდენ აქედგან და იცემდენ მკერდში მუშტს, საცოდავი სანახავისაგან გამწარებულნი.

## 111. იესო ქრისტეს გვერდის განგმირა. — ჯვარით გარდამოხსნა და დასაფლავება.

იოან. 19. 31—42. მარკ. 15. 42—47. ლუკ. 23. 50—55. მათ. 27. 57—61.

ჯვარცმის მეორე დღეს, შაბათს პასექის დღესასწაული უნდა დაწყებულიყო. სინედრიონის წევრებს ჰსურდათ ჯვარცმულნი მალე დახოცილიყვნენ და იმავე დღეს დაესაფლავებინათ. ამისათვის სთხოვეს პილატეს, დაემტვრიათ ქრისტესთვისა და ავაზაკთათვის წვივები. გაგზავნეს ჯარის კაცები. იმათ ორსავე ავაზაკებს შემოუმტვრიეს კანჭები, რადგან ჯერ ცოცხალნი იყვნენ, მაგრამ ქრისტეს უკვე განეტევა სული თვისი, და რომ ეჭვი აღარ

რა ჰქონებოდათ იმის სიკვდილისა, ერთმა მხედართაგანმა უგმირა მას გვერდში მხოლოდ ლახვარი. ჭრილობიდგან გადმოედინა სისხლი და წყალი. ასრე აღსრულდა თქმულება საღმთო წერილისა, რომ «ძვალი მისი არ შეიმუსრება.“ აღსრულდა აგრეთვე ზაქარია წინასწარმეტყველის ნათქვამიცა: „იხილონ, რომელსა იგი უგმირეს.“

ეს ამბავი მოჰხდა საღამოს, პარასკევს დღეს, და ამ დროს პილატესთან მოვიდა იოსებ არიმათელი. ეს კაცი იყო მწევრი სინედრიონისა. ამას სწამდა იესო ქრისტე; მაგრამ ურიებმა არ იცოდნენ. იმან სთხოვა პილატეს, ნება მიეცა, გარდამოეხსნა იესო ქრისტეს გვამი ჯვარიდგან და დაესაფლავებინა. პილატემ ჰკითხა ჯვართან ყარაულად მყოფთ, ცოცხალია თუ მოკვდა,—და რომ შეიტყო მოკვდაო, გაუკვირდა მისი სწრაფი სიკვდილი და უბრძანა, მიეცათ იოსებისთვის გვამი იესოსი. იოსები წავიდა და იყიდა სუდარი. ამ დროს მოვიდა გოლგოთას მთაზე ნიკოდიმეცა, რომელიც აგრეთვე საიდუმლო მოწაფე იყო ქრისტესი.

გოლგოთას შეიყარნენ ახლა მარტო მეგობრები იესო ქრისტესნი. იოსებ არიმათელმა მოიტანა სუდარი, ნიკოდიმემ კიდე მური და ალოი, ერთმანერთში არეულნი. იმათ ორივემ გარდამოხსნეს გვამი მაცხოვრისა, დაასვენეს ქვაზე, შემურეს, შესუდრეს და დაასაფლავეს გამოქვაბულში, რომელიც იოსებს თავის საკუთარს ბაღში თვითონვე გამოეკვეთა თავისთვის. სამარეს დაადეს პირზე დიდი ლოდი. ამ დროს აქ მახლობლად იყვნენ აგრეთვე მარიამ მაგდალინელი და მარიამი, დედა იაკობისა, ისინი თვალყურს ადევნებდენ იესო ქრისტეს დასაფლავებას.—ასრე გავიდა დღე პარასკევი და დადგა დღე შაბათი.

## დიდი შაბათი.

### 112. ყარაულების დაყენება იესო ქრისტეს საფლავზე.

მათ. 27, 62—66. ლუკ. 23, 56. მარკ. 16, 1.

მღვდელ-მთავრებმა და ფარისეველებმა შაბათი გატეხეს: დილით ადრიანა მოვიდნენ პილატესთან და უთხრეს: „ბატონო! მოგვაგონდა, რომ ის მატყუვარა, ვიდრე ცოცხალი იყო, ამბობდა, რომ სიკვდილის მესამე დღეს მკვდრეთით აღვსდგებიო. ახლა გთხოვთ უბრძანოთ, უყარაულონ მის საფლავს სამს დღეს. თორემ არა-და მისი მოწაფენი მოვლენ, ღამე, მალვით, მოიპარვენ მის გვამს, და მერმე ხმას გაავრცელებენ ხალხში, რომ ის მკვდრეთით აღსდგაო: მაშინ ეს ახალი ტყუილი პირველზე უარესი იქნება." ამ თხოვნაზე პილატემ უპასუხა: „თქვენ თვითონვე გყავთ ყარაულები; წადით, უყარაულეთ, როგორც იცოდეთ." ისინი მართლაც წავიდნენ, დაბეჭდეს საფლავის ქვა და დაუყენეს ყარაულები.

მოკვდა თუ არა იესო ქრისტე, მაშინვე დაიწყო მისი დიდებაცა. კაცობრივი სული იესო ქრისტესი, რა ჟამს გაეყარა ხორცს, მივიდა იქ, სადა იყვნენ სულნი გარდაცვალებულთა. სულნი ცოდვილთა და მართალთა ყოველნი ერთად იყვნენ. არავის ჯერ არა ჰქონდა ნეტარი ცხოვრება, ამისათვის რომ ადამის ცოდვისაგან ჯერ არ იყვნენ მაცხოვრისაგან გამოსყიდულნი. მართალთა კაცთა სულთა მდგომარეობა იყო გამოურკვეველი; მაგრამ იმათ იმედი ჰქონდათ, რომ მაცხოვარი მოვა ქვეყნად და გამოგვიხსნის ჯოჯოხეთიდგანაო.

სიკვდილის შემდეგ მართლაცა-და, მოვიდა ჯოჯოხეთში წმინდესი სული ქრისტე მაცხოვრისა. იმან უქადაგა მიცვალებულებს, რომ მან შესწირა თავი თვისი ღმერთს, გა-

მოიხსნა კაცობრიობა ადამის ცოდვისაგან და შეარიგა ღმერთი და კაცი. იმ სულთ, რომელნიც მოელოდნენ სასოებით მაცხოვარს,—იმათ მაშინვე იცნეს, რომ იგი მართლაცა-და არის ქრისტე მაცხოვარი. წინეთ იმათ მარტო იმედი ჰქონდათ ცხოვრებისა, ახლა კი სრულიად დარწმუნდნენ, რომ ისინი ცხონებულნი არიან. ჯოჯოხეთი დაირღვა მართალთათვის და კარი სამოთხესი განიღო. სამოთხეში შევიდა სული ავაზაკისაცა, რომელსაც ქრისტემ უთხრა: „დღეს უკვე ჩემთან იქნები სამოთხეშიო.“

ამ ამბავს ეკლესია ასრე გალობს:

„მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი ხორცნი შენნი და არმენაკითა წმიდითა წარგრაგნა და სუნნელებითა შემურვილი ახალსა საფლავსა დაგდვა. საფლავსა შინა ხორცითა, ჯოჯოხეთსა შინა სულითა, ვითარცა ღმერთი, ხოლო სამოთხეს ავაზაკისათანა, და საყდართა მამისა და სულისა თანა იყავ ქრისტე, ყოვლისა აღმავსებელო, გარე შემოუწერელო.»

## 113. აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

მათ. 28. 1—8. იოან. 20. 1—10. მარკ. 16. 2—8. ლუკ. 24. 1—12.

გაიარა შაბათმა დღემ. დადგა კვირა ღამე; შუა ღამე რომ გახდა, ასტყდა მიწის ძვრა ქრისტეს საფლავთან. ციით მოვიდა წმინდა ანგელოზი, გადააბრუნა ლოდი, რომელიც სამარეზე იყო დადებული და დაჯდა ზედ. სახე მისი ანათებდა, ვითარცა ელვა, და სამოსელი მისი თეთრი იყო, ვითარცა თოვლი. ყარაულნი, რომელნიც ურიათაგან იყვნენ საფლავის დასაცველად დაყენებულნი, ისრე შეშინდენ ამ საკვირველ მოვლენათაგან, რომ დაემხვნენ პირქვე და მკვდრების ფერი დაედვათ. ამ ამბავთა შინა იესო ქრისტე აღსდგა მკვდრეთით.

მაგრამ მისმა მოწაფეებმა ჯერ არ იცოდნენ მისი აღდგომა. ეს ამბავი პირველად შეიტყეს დედა-კაცებმა. გათენებისას, ცისკარი რომ ამოვიდა, მარიამ მაგდალინელა, კლეოპას ცოლი

მარიამი და კიდევ სალომე, დედა იაკობისა და იოანესი, წამოვიდნენ ქრისტეს საფლავზე და თან მოიტანეს, წინა დღეს დამზადებული სურნელოვანი, ნელსაცხებელი. გზაზე ისინი ჰკითხავდნენ ერთმანერთს: «ვინ გადაგვიგორებს საფლავიდგან ქვასა?»

ამ დროს მარიამ მაგდალინელმა გაცალკევდა სხვა დედათაგან და წინ გაიქცა, მოვიდა საფლავზე და ნახა რომ ქვა უკვე აღებული იყო. მაშინვე ის გამოიქცა უკანვე, მოვიდა პეტრესთან და იოანესთან, და სთქვა: „სამარიდგან უფალი ამოუღიათ, და არ ვიცი სად დასდვეს იგი.“

ამის შემდეგ ქრისტეს საფლავზე მოვიდნენ სხვა დედა-კაცებიცა. იმათაც გასინჯეს სამარე; ჩავიდნენ აგრეთვე აკლდამაში, სადაც ქრისტე მაცხოვარი ესაფლავა; მაგრამ მისი გვამი მაინც ვერა ნახეს. აქ დაჰხვდათ იმათ ანგელოზი, რომლის სახეც ელვარებდა და ტანზე თოვლსავით თეთრი ტანისამოსი ეცვა. იმან უთხრა დედა-კაცებს: „ნუ გეშინიანთ, მე ვიცი, რომ თქვენ ჯვარცმულს იესო ნაზარეველს ეძებთ. ის აქ აღარ არის. იგი აღსდგა მკვდრეთით, როგორც ამბობდა. მოდით, ნახეთ, აგერ ის ადგილი, სადაც იდვა უფალი. მხოლოდ საჩქაროდ წადით, ახარეთ იმის მოწაფეებსა და პეტრეს, რომ ის უკვე აღსდგა მკვდრეთით, და იმათ ყველას ნახავს გალილეაში.

წმინდანი დედანი ძალიან შეშინდნენ. თავზარდაცემულნი საჩქაროდ მობრუნდნენ საფლავიდგან, მოვიდნენ იერუსალიმს და უთხრეს მოწაფეებს, რაც ნახეს საფლავის პირზე; იმათ არ დაიჯერეს ნათქვამი. რადგან იესო ქრისტეს აღდგომაზე ხმები უფრო და უფრო ძლიერდებოდენ, ამისათვის პეტრე და იოანე წავიდნენ მისს საფლავზე. პირველად იოანე მოვიდა, მერმე პეტრე. იოანემ ჩაიხედა სამარეში და დაინახა იქ მხოლოდ ტილოები; საფლავში კი არ ჩავიდა; მის შემდეგ პეტრე მოვიდა, ჩავიდა გამოქვაბულში, ნახა მარტო ტილოები, ხოლო სუდარი კი, რომელიც იესო ქრისტეს თავზე ეხვია, შეკეცილი იყო და ცალკე იდვა. პეტრეს უკან ჩაჰყვა გამოქვაბულში იოანეც, და ნახა ყოვე

ლივე და დაიჯერა, რომ ქრისტე აღსდგა მკვდრეთით; პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი. ამის შემდეგ ორივენი დაბრუნდენ თავთავიანთ სახლებში.

### 114. მარიამ მაგდალინელის მეორედ მოსვლა ქრისტეს საფლავზედ.

იოან. 20. 11—18. მარ. 16. 9—11. მათ. 28. 8—16.

მარიამ მაგდალინელმა რომ შეატყობინა პეტრესა და იოანეს იესო ქრისტეს გვამი საფლავში აღარ არისო, ამის შემდეგ ის მეორედ დაბრუნდა საფლავზე, დასდგა იმის პირზე და ტიროდა. იმან, მტირალმა, ჩაიხედა საფლავში, და დაინახა ორი ანგელოზი, მსხდომარენი თეთრის სამოსლითა: ერთი იჯდა თავით, მეორე ფერხით, სადა იგი იდვა გვამი უფლისა იესოსი. იმათ ჰკითხეს მაგდალინელას: „დედა-კაცო! რასა სტირი?“ მარიამმა უპასუხა: «აუღიათ უფალი ჩემი, და არ ვიცი, სად დაუდვიათ ისა». ამას რომ ამბობდა (იმან შეატყო ანგელოზებს, რომ რაღასაც შეჰსცქეროდნენ საღმთო მოწიწებით საფლავის გარეთ); მაშინ იმანაც მოიხედა უკან და დაინახა კაცი მდგომარე: ეს იყო თვით უფალი იესო ქრისტე, მაგრამ მისი გულისრე სავსე იყო მწუხარებითა, რომ თვალები ეხუჭებოდა: ამისათვის ვერ იცნა უფალი. მაშინ იმან უთხრა: „დედა-კაცო! რასა სტირი? ვის ეძებ?» მარიამმა იფიქრა, რომ ამ დროს ბაღში სხვა არავინ იქნება მებაღის მეტიო, არ შეჰხედა პირში, და უპასუხა: «ბატონო! უკეთუ შენ წაგიღია ის, მითხარ მე, სად დასდევ იგი, რომ წავიღო“. ამ დროს შემოესმა უკანით ნაცნობი ხმა: „მარიამ!“ იმან მიიხედა უკან, იცნო ხმაზე იესო ქრისტე და შეჰსძახა: «მოძღვარო»! და მერმე დაემხვა პირქვე ფეხებში საკოცნელად; მაგრამ ქრისტემ არ მიიხლოვა და უთხრა: „ნუ შემომეხები მე, ამისათვის რომ ჯერ არ აღვსულვარ

ჩემს მამასთან; და წადი ჩემს ძმებთან; და უთხარ მათ, რომ მე აღვალ მამა ჩემთან, რომელიც აგრეთვე თქვენიც მამაა,—და ჩემს ღმერთთან, რომმლიც არის აგრეთვე თქვენი ღმერთიცა». გახარებული მარიამ მაგდალინელი მაშინვე უკან წამოვიდა და ყოველივე, რაც ნახა, უამბო მოწაფეებს; მაგრამ იმათ არ დაიჯერეს.

დედა-კაცები მაინც თავისას არ იშლიდნენ. ისინი ხან ერთ მოწაფესთან მიდიოდენ, ხან მეორესთან და ყველას უამბობდენ, რაიცა ნახეს ქრისტეს საფლავზე და გზაზე. ამ მისვლა-მოსვლის დროს იესო ქრისტე კიდევ გამოეცხადა მენელსაცხებლეთა დედათა და უთხრა: «გიხაროდეთ!» ახლა კი ისინი მიუახლოვდენ მას, დაემხვნენ მის ფეხთა წინაშე და თაყვანისცეს დიდის კრძალულებითა. მაშინ იესო ქრისტემაც დაამშვიდა ისინი და უთხრა; „ნუ გეშინიანთ, წადით, უამბეთ ძმათა (მოწაფეებს) ჩემთა, რომ ისინი შეიყარნენ გალილიაში: იქა მნახვენ მე.“

როცა ასეთი ხმა დავარდა მოწაფეთა შორის იესო ქრისტეს აღდგომაზე, ამ დროს ქალაქს იერუსალიმს მოვიდნენ ზოგიერთნი ქრისტეს საფლავზე ყარაულად მყოფნიცა და შეატყობინეს მღვდელ-მთავრებს ყოველივე მომხდარი. ამ ამბავზე შეიკრიბნენ სინედრიონის წევრნი, მოილაპარაკეს ერთმანეთში, მისცეს ყარაულებს ქრთამად ვეცხლი და უბრძანეს: გაავრცელებინათ ყოველგან ხმა, რომ იესოს მოწაფეები მოვიდნენ ღამით, როცა მათ ეძინათ და მოიპარეს ქრისტეს გვამი. მხედარნი დათანხმდნენ, და ურიათა შორის გაავრცელეს ხმა, რომ გვამი იესოსი მოიპარეს მოწაფეებმა. ეს ჭორი ბევრმა დაიჯერა. მაგრამ ყველას ადვილად შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ მხედარნი ტყუოდნენ. მძინარე კაცს არ შეუძლიან დანახვა. მხედართ თუ ეძინათ, არც შეეძლოთ დაენახათ, რა იქნა სხეული ქრისტესი. და თუ დაინახეს რათ მისცეს ნება წაღებისა? ამასთანავე იესოს გვამის მომპარავნი აღარ დაუწყებდენ სუდრის შეხსნას, ლამაზათ და-

კეცას და თავთან და ფეხებთან დაწყობას. ქურდებს ამისთვის არ ეცალებოდათ.

### 115. იესო ქრისტე გამოეცხადა გზაზედ ორს მოწაფეს.

ლუკ. 24, 13—35. მარკ. 16. 12—13.

აღდგომის დღეს, ორი მოწაფე იესო ქრისტესი იერუსალიმიდამ სოფელს ემმაუსს მიდიოდნენ. ერთი იყო კლეოპა, მეორე ლუკა მახარობელი. მგზავრობის დროს ისინი ლაპარაკობდნენ დედათაგან ქრისტეს საფლავზე ნახულის ამბებზედ. ამ დროს მოვიდა მათთან იესო, შეუერთდა მგზავრად (მაგრამ ვერ იცნეს იგი) და კითხა: „რაზედა ხართ ეგრე დაფიქრებულნი? რა მომხდარა ისეთი, რომ გზა-გზა მიდიხართ და მსჯელობით ცილობთ?" კლეოპამ უპასუხა: „ნუთუ იერუსალიმში მცხოვრებთაგან მარტო შენ არ იცი, რაც მოხდა ამ დღეებში?" იესომ კიდევ ჰკითხა: „რაო?"—„რაიღა ისა, რომ იესო ნაზარეველი, რომელიც იყო წინასწარმეტყველი ძლიერი წინაშე ღვთისა და ერისა, ჩვენმა მღვდელ-მთავრებმა დაიჭირეს და ჯვარს აცვეს. ჩვენ კი გვეგონა, რომ ის გამოიხსნიდა ისრაილებს. დღეს მესამე დღეა, რაც ეს ამბავი მოხდა. მაგრამ დღეს ზოგიერთნი დედა-კაცნი ყოფილიყვნენ იმის საფლავზე და მოიტანეს ამბავი, რომ იქ ვნახეთ ანგელოზებიო, და იმათ გვითხრეს, რომ ქრისტე ცოცხალიაო. ამ ამბის შესატყობათ ზოგიერთნი ჩვენთაგანნიც წავიდნენ საფლავზე, და იმათაც ისე ნახეს ყოველივე, როგორც დედა-კაცებმა სთქვეს; მაგრამ იგი თვითონ ვერ ნახეს თავის თვალით". მაშინ იესომ უთხრა იმათ: „განა ქრისტე მაგრე არ უნდა დატანჯულიყო და მიეღო დიდება თვისიო?—ამის შემდეგ იმან აუხსნა იმათ ის წინასწარმეტყველობანი, რომელნიც მასზე იყვნენ თქმულნი მოსესაგან და სხვებისაგან.

ამ ლაპარაკით იყვნენ გართულნი, როცა ისინი მიუახლოვ-

ვდენ სოფელს ემმაუსს. აქ იესო ქრისტემ ისე აჩვენა იმათ თავი, ვითომც არ უნდოდეს მათთან დარჩენა და აპირებდეს წასვლას. ეს შეატყეს კლეოპამ და ლუკამ და დაუწყეს თხოვნა: „ჩვენთან დარჩიო; ახლა გვიანღა არის, ნუ წახვალ, და აგერ დღეც ღამდებაო". მგზავრმა მიიღო მათი თხოვნა და შევიდა იმათთან ერთად სახლში. იქ მოართვეს სამთაქეს ვახშამი. იესო ქრისტემ, თითქოდე სახლის პატრონიაო,—ისრე აიღო ხელში პური, აკურთხა, დაამტვრია და მისცა მათ. მაშინ მოწაფეებმა იცნეს იესო ქრისტე, შეჰხედეს მას პირში, მაგრამ ის უეცრად უჩინარი შეიქმნა. მოწაფეები შეკრთნენ, და უთხრეს ერთმანეთს: «განა გული არ გვითქმიდა (რომ ის იესო არისო), როცა გველაპარაკებოდა გზაზე და გვიხსნიდა საღმრთო წერილს»?

ამის შემდეგ ისინი მაშინვე ადგნენ და მოვიდნენ იერუსალიმს. აქ ყველა მოწაფეები იმათ ერთად ნახეს შეკრებილნი, და შეიტყეს მათგან, რომ იესო ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და პეტრეს გამოეცხადაო. იმათაც თავიანთ მხრით უამბეს, როგორ დაჰხვდათ იმათ იესო ქრისტე გზაზე, როგორ გატეხა პური, და მერმე უჩინარი შეიქმნა.

### 116. იესო ქრისტე გამოეცხადა ყველა მოწაფეებს ერთად, თომას მოციქულის გარდა.

ლუკ. 24. 36—48. იოან. 20. 10—25. მარკ. 16. 14.

აღდგომის დღეს, საღამოზე, ყველა მოციქულები, თომას გარდა, ერთად იყვნენ. ურიების შიშით სახლის კარები იმათ ჩაკეტილი ჰქონდათ. აქ ისინი ისხდნენ ვახშამზე, და ლაპარაკობდნენ იესო ქრისტეს აღდგომის ამბავს. ამ დროს უხილავად შევიდა მაცხოვარი სახლის კარებში, დაჰსდგა მოწაფეების წინ და სთქვა: „მშვიდობა თქვენდა!—მოწაფეები შეშინდნენ. იმათ ეგონათ, რამე მოჩვენება არისო. მაგრამ ქრისტემ უთხრა მათ:

„რას შეკრთით, და რაისათვის ეგევითარი ფიქრები მოვლენ თქვენს გულში? აჰა იხილეთ ჩემნი ხელნი და ფერხნი: რამეთუ იგი მე ვარ; შემეხეთ და გამშინჯეთ: სულს ხორცი და ძვალი არ ასხია, როგორც მე ეხლა მხედავთ, რამეთუ მასხია». ამის თქმის შემდეგ იმან უჩვენა მათ ხელ-ფეხნი თვისნი და გვერდი; მაგრამ მოწაფეებს სიხარულით მაინც არა ჰსჯეროდათ. რომ ეჭვი აღარ ჰქონოდათ, იესო ქრისტემ ჰკითხა იმათ: «არა გაქვთ რა საჭმელიო"? იმათ მიართვეს ცოტაოდენი შემწვარი თევზი და თაფლის (შოთები). იმან აიღო და შეჭამა. ახლა კი მოწაფეები დარწმუნდენ, რომ მოჩვენება არ არის, არამედ არის თვით მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე ღმერთი. მაშინ უფალმა უთხრა მათ: „აი სწორეთ ამაზე გელაპარაკებოდით, როცა მე თქვენთანა ვცხოვრობდი, რომ ყოველივე უნდა აღსრულდეს, რაც ჩემზე დაწერილია სჯულსა მოსესსა წინასწარმეტყველთაგან და ფსალმუნთა შინა". ამ დროს თომა მოციქული იქ არ იყო; იყვნენ მხოლოდ ათნი მოწაფენი. როცა შემდეგ შინ თომას უთხრეს, რომ უფალი ვნახეთო, იმან უპასუხათ: „ვიდრე მე არა ვნახავ ლურსმებისაგან დამსჭვალულს მისს ხელებსა, და არ შევახებ ხელთა ჩემთა მის გვერდსა, ვერ ვირწმუნებო".

### 117. გამოცხადება იესო ქრისტესი თომას დასარწმუნებლად.

იოან. 20, 26—29.

გავიდა შვიდი დღე აღდგომის შემდეგ. მერვე დღეს, კვირას, ყველა მოციქულები, აგრეთვე თომა მოციქულიცა, ერთად იყვნენ კიდევ შეკრებილნი. სახლის კარები ამ ჟამადაც დახშული ჰქონდათ. ამ დროს უეცრად წარსდგა მათ წინაშე იესო ქრისტე, და უთხრა: „მშვიდობა თქვენდა!»—მერმე მიუბრუნდა თომას და უბრძანა: „მოიტა თითნი შენნი, და იხილე ხელნი ჩემნი: მოიტა ხელი შენი, და დასდევ გვერდსა ჩემსა და

ნუღარ იქნები ურწმუნო, არამედ გრწამდეს." თომამ აღასრუ-
ლა მისი ბრძანება, დარწმუნდა და ყვიროდა ხმა-მაღლა: (მართლაცა
და) „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემია!" (ყვიროდა). ამაზე იესო
ქრისტემ მისცა პასუხი: „შენ მიხილე და გრწამს; ნეტარ არიან
ისინი, რომელთაც არ ვუნახივარ, მაგრამ ვსწამვარ კი!"

### 118. იესო ქრისტეს გამოცხადება ტიბერიის ზღვაზე მოწაფეთა და სხვათა მორწმუნეთათვის.

იოან. 21. 1—23. მათ. 28. 16—20. მარკ. 16. 15.—18. I კორ.
ეპისტ. 15. 5, 8.

იესო ქრისტეს ნათქვამი ჰქონდა მოწაფეთათვის—წასულ-
იყვნენ ისინი გალილიაში და იქ დახვდებოდენ მას. ეხლა
შეეყარნენ პეტრე, თომა ნათანაელი, ზებედეს შვილები და კი-
დევ ორნი სხვა მოწაფენი, და წავიდნენ ტიბერიის ზღვაზე თევ-
ზის დასაჭერად, მაგრამ იმ ღამეს ვერაფერი დაიჭირეს რა. გათენ-
და დილა. მაშინ მოვიდა იესო ზღვის პირზე და ნაპირიდგან
ჰკითხა იმათ: „ყრმანო! არა გაქვთ რა საჭმელი?" მოწაფეებმა
უპასუხეს „არაო". მაშინ იესომ უბრძანა იმათ: „ესროლეთ
ბადე ნავის მარჯვენივ მხარეს და მაშინ დაიჭერთ". მეთევზეებმა
აღასრულეს მისი სიტყვა, გადისროლეს ბადე და მართლაც
იმდენი თევზი გაება, რომ ბადე ველარ გამოჰქონდათ წყლიდგან.
ეს ყველას გაუკვირდათ. იოანემ შეხედა იმ უცნობ კაცს და
უთხრა პეტრეს: ის უფალია". პეტრე დარწმუნდა, მაშინვე შე-
მოიხვია სამოსელი, რადგან შიშველი იყო, შევიდა წყალში,
და გასცურა ნაპირს; სხვა მოწაფეები კი ნავით მიჰცუ-
რავდენ და მიათრევდენ ბადეს, თევზით სავსეს. ნაპირზე,
რომ გამოვიდნენ, იმათ ნახეს ანთებული ცეცხლი, რომელსა
ზედა იწვოდა თევზი და იქვე იყო პურიცა. უცნობი კაცი
იესო ქრისტე იყო. იმან უთხრა მოწაფეებს: მოიტანეთ თევზი,

რომელიც ეხლა დაიჭირეთო". პეტრემ გაათრია ნაპირზე ბადე და შიგ ჰპოვა 153 დიდ-დიდი თევზი, და დასხდნენ სადილის ჭამად.

მოწაფეებს ყველას უხაროდათ. მარტო პეტრე იყო დაღონებული. იმას ეგონა, მე ღირსი აღარა ვარ ქრისტეს მოწაფედ ვიწოდებოდეო. და აი ახლა სადილზე რომ ისხდნენ, იესო ქრისტემ უთხრა იმას, რომ აპატიებს მის მიერ ქრისტეს უარის-ყოფას და აძლევს ისევ მოციქულობას. იმან სამჯერ ჰკითხა: „სვიმონ იონასო! გიყვარვარ ამათზე (სხვა მოწაფეებზე) მომეტებულად?—ეჰ უფალო! შენ უწყი, რომ მიყვარხარ", უპასუხა პეტრემ. (თუ ასეა, მაშ) „აძოვე კრავნი ჩემნიო", უბრძანა ქრისტე ღმერთმაც. —ჰკითხა ქრისტემ მეორედ: „სვიმონ იონასო! გიყვარვარ მე?—დიახ, უფალო! შენ იცი, რომ მიყვარხარ". იესო ქრისტემ კიდევ უთხრა: „მაშ დამწყსე ცხოვარნი ჩემნიო".—ქრისტე ღმერთმა ჰკითხა პეტრეს მესამეთაც: სვიმონ იონასო! გიყვარვარ თუ-არა?" ამ კითხვაზე კი პეტრე შესწუხდა: „უფალო! უთხრა იმან, შენ ყოველივე უწყი,—და იცი, რომ მე მიყვარხარ შენ?—მაშინ უბრძანა ქრისტემ: „დამწყსე ცხოვარნი ჩემნი".

ასრე და ამ სახით იესო ქრისტემ სამჯერ ათქმევინა პეტრეს „მიყვარხარო," ამისათვის რომ იმან სამჯერ უარი-ჰყო ისა, და მერმე მიიღო ისევ მოციქულად.

ამის შემდეგ გალილიის ერთს მთაზე იესო ქრისტე გამოეცხადა კიდევ ხუთასზე მომეტებულს თავის მორწმუნეთ, და აგრეთვე თორმეტს მოციქულს. ამ დროს მოწაფეთ უთხრა: «მოცემულ არს ჩემდა ყოველი უფლება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, და, როცა ნათლავდეთ, სთქვით: სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა; ჩააგონეთ აგრეთვე ყველას აღასრულონ, რაც მე მისწავებია თქვენთვის. ვინც ირწმუნებს და ნათელს-იღებს, იგი ცხონდება, ხოლო ვინც არ ირწმუნებს, იგი დაისჯება. მეც თქვენთან ვიქნები მუდამ დღე მშველელად, ვიდრე ქვეყანა ესე დასრულდებოდეს!»

## 119. ამაღლება იესო ქრისტესი.

მარკ. 16. 19. ლუკ. 24. 49—53. საქმე მოციქ. 1. 4—12.

აღდგომის შემდეგ მეორმოცე დღეს იესო ქრისტე გამოეცხადა თავის მოწაფეებს იერუსალიმში, განუმეორა ზემო მოთხრობაში თქმული დარიგება და უთხრა: „იერუსალიმით ნურსად წახვალთ, ვიდრე არ შეიმოსებით ზეციურის ძალითა. მე მოგივლინებ თქვენ აღთქმულსა (სულსა წმიდასა) მამისა ჩემისასა, რომელიც გესმათ ჩემგან. იოანე ნათელს-სცემდა წყლითა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ თქვენ ნათელს იღებთ სულითა წმიდითა.“ მაშინ მოწაფეებმა ჰკითხეს: „უფალო! ამ დროს ხომ არ აღადგენ ისრაილების სამეფოს?“ ამაზე უპასუხა იმან: „თქვენი საქმე არ არის ცოდნა ჟამისა და წლისა, რომელიც მამამ მიითვალა თავის უფლებად, მაგრამ თქვენ მიიღებთ ძალას, როცა სული წმინდა გადმოვა თქვენზედა. მაშინ იქნებით ჩემდა მოწამე იერუსალიმში, ურიასტანს და სამარიაში, ვიდრე კიდით-კიდემდე ქვეყნისა.“

ამ ლაპარაკის შემდეგ იესო ქრისტემ გაიყოლა თან მოწაფეები და ავიდა ზეთის-ხილის მთაზე. ის გაჩერდა აქ, გაშალა ხელები, აკურთხა მოწაფეები და დაიწყო ამაღლება ზეცად. მოწაფეები უყურებდნენ, რომ ის მიდიოდა და ეფარებოდა ღრუბლებსა. ის აღარა სჩანდა, მაგრამ მოწაფეები მაინც იცქირებოდნენ ზეცად. ამ დროს გადმოდგა ღრუბლებზე ორი კაცი სპეტაკის სამოსლითა და ასრე უთხრა იმათ: „კაცნო გალილეველნო! რასა სდგეხართ და იყურებით ზეცად? იესო, რომელიც ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვა, ვითარცა იხილეთ ამაღლებული.“ მაშინ მოციქულთაც თაყვანისცეს იესოს, ვითარცა ღმერთსა და დიდის სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმს და ელოდნენ სულისა წმინდისა მოსვლას.

## ქრისტიანობის გავრცელება.

### 120. სულის წმინდის მოფენა ქრისტეს მოწაფეთა ზედა.

(საქმე მოციქულთა 1. 12—14. 2. 1—41).

იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ იმისი მოწაფეები იერუსალიმში დარჩნენ. აქ ხშირად იკრიბებოდნენ ისინი ერთად და იყვნენ განკრძალულნი ლოცვასა და ვედრებაში. მათ შორის იყო აგრეთვე მარიამ, დედა იესოსი. ისინი მოელოდნენ სულის წმიდის მოსვლას, რომელიც მაცხოვარმა აღუთქვათ. მეერგასე დღეს ყველა მორწმუნენი ქრისტესნი ერთად იყვნენ. ამ დროს უეცრად ზეციდგან მოისმა ხმა, თითქოს დიდი ქარიშხალი ჰბერავსო, და შეიპყრო ის სახლი, რომელშიაც იმყოფებოდნენ მოწაფენი. ამ ხმაურობაში გადმოვიდა მათზე ნუგეშინის-მცემელი სული წმიდა და დაადგა ყველას თავზე ცალკ-ცალკე ცეცხლის ენების მსგავსად. ისინი აღივსნენ სულისა წმიდის ძალითა და მადლით. ყოველმა ქრისტეს მორწმუნეთაგანმა იგრძნო, თითქოს ის მეორედ იშვა—გადახალისდაო: სულისა წმიდის ძალმა შეასწავლა იმათ სხვა და სხვა ენები, რომელთა ზედა უბრძანა ღმერთმა ქადაგება სახარებისა.

ამისა მგრგვინვამ დიდი ხალხი შეჰყარა იმ სახლთან, სადაც მოციქულნი იყვნენ. აქ იყვნენ პართნი, მიდნი და უცხონი; ელამიტელნი და მცხოვრებნი შუა მდინარისანი, ჰურიასტანისანისა, კაპადუკიისანი, პონტოისანი და ასიისანი, და მოსრულნი რომიდან ურიანი და მოქცეულნი წარმართთაგან. ამ ხალხებს ყველას ძალიან გაუკვირდათ, როცა შეიტყეს, რომ მოციქულნი იმათს სამშობლო ენებზე ლაპარაკობდენ. შემკრთალნი ერთმანერთს ეკითხებოდნენ: „განა ესენი ყველანი, რომელნიც აქ ლაპარაკობენ, გალილეველნი არ არიან? და როგორ მოჰხდა, რომ ისინი

ყველას გვიქადაგებენ ჩვენის საკუთარის ენითა? რასა ჰნიშნავს ესა და რა სწადიანთ იმათა?“ ამ ღუთის მიერ კაცთ უკვირდათ მოციქულთაგან უცხო ენების ცოდნა და ადიდებდენ ღმერთს; მაგრამ ხალხში იყვნენ იმისთანიც, რომელნიც დაცინვით ამბობდენ: „ეგენი ტკბილის ღვინით არიან თვრალებიო.“

ურიგო ლაპარაკი მათი პეტრე მოციქულმან შეიტყო, წარუძღვა წინ თორმეტს მოციქულს, წარდგა წინაშე ხალხისა და ხმა მაღლა უთხრა ყველასა: „კაცნო ურიანნო და იერუსალიმის მცხოვრებნო! ისმინეთ სიტყვანი ჩემნი და დაიხსომეთ, იცოდეთ, რომ ჩვენ არა ვართ მთვრალნი, როგორც თქვენა გგონიათ. დღეს აღსრულდა წინასწარმეტყველება იოილისა, რომელმაც სთქვა: „მივფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ხორციელსა და წინასწარმეტყველებდენ ძენი თქვენნი და ასულნი თქვენნი და ჭაბუკნი თქვენნი.“ — „კაცნო ისრაიტელნო! თქვენ მიიყვანეთ იესო ნაზარეველი, კაცი განჩინებული ძალით, ნიშებითა და სასწაულებითა და შემჰქვალეთ და მოჰკალით; მაგრამ ღმერთმა დაარღვია სალმობანი სიკვდილისა და იგი აღსდგა მკვდრეთით, ამაღლდა ზეცად და ზის მარჯვენით მამისა. იმან მიიღო მამისაგან აღთქმული სული წმიდა და მოჰფინა მოწაფეთა თვისთა, რომელსა აწ თქვენცა ჰხედავთ და გესმით.“

პეტრეს ქადაგებამ ხალხი ღმობიერებაში მოიყვანა. სამმა ათასმა კაცმა ამავე დღეს მოინანიეს ცოდვანი თვისნი და ირწმუნეს იესო ღმერთად და ნათელ-იღეს.

ასრე აღსრულდა მოლოდინი ქრისტეს მოწაფეთა. ეგვიპტიდგან ებრაელთა გამოსვლის შემდეგ მეერგასე დღეს იყო დამტკიცებული მოსეს სჯული სინაის მთაზე. ქრისტეს აღდგომის შემდეგ მეორმოცდა-მეათე დღესვე მოეფინა აგრეთვე მოციქულთა ზედა სული წმინდა, და დაამტკიცა ახალი აღთქმაცა, რომელიც მოგვცა ქრისტე ღმერთმა.—ამ დღიდგან იწყება სასუფეველი ქრისტესი ქვეყანასა ზედა.

## 121. ქრისტე ღმერთის მორწმუნეთა გამრავლება.

სული წმიდის მოფენის შემდეგ მოციქულებმა დაიწყეს ქადაგება, რომ ფარისეველთა და სადუკეველთაგან მტერობით ჯვარცმული იესო იყო ქრისტე მაცხოვარიო. ურიების წინამძღვრებს ასეთი ქადაგება მათი არ მოსწონდათ, სწყინდათ, და ამისათვის იმათი წინააღმდეგნი გახდნენ და დაუწყეს სასტიკი დევნა. ქრისტეს მოწაფეთა ქადაგება არ მოსწონდათ აგრეთვე კერპთ თაყვანის-მცემელთაც, ამისათვის ესენიც შეუერთდენ ურიებს და დაიწყეს ერთად ქრისტიანების მტერობა. ახლა ასრულდა ქრისტეს სიტყვები, რომ ქვეყანაზე მე მახვილი მომიტანე და მისი მორწმუნენნი დიდს ტანჯვასა და წვალებას უნდა მოელოდნენო. ქრისტეს მორწმუნეებს უწყალოდ სდევნიდენ, სტანჯავდენ, ატუსაღებდენ და სასიკვდილოდ ჰგვემავდენ. მაგრამ ქრისტეს სწავლა უფრო და უფრო ვრცელდებოდა ქვეყანაზე, ვითარცა მდოგვის მარცვალი; ასე იზრდებოდა სასუფეველი ცათა. ერთს ადგილიდამ რომ განდევნიდენ მოციქულებს, ისინი ახლა სხვაგან ავრცელებდენ ხალხში ქრისტეს სწავლას. არ გასულა დიდი ხანი, რომ გალილეველთ მცირედი, რიცხვი ძალიან გადიდდა. ურწმუნონი იმათ სახელად გალილეველებს ეძახდენ; მაგრამ ისინი კი თავიანთ თავს უწოდებდენ ქრისტიანედ.

რაოდენათაც უფრო ძლიერად სდევნიდენ ქრისტიანებს, იმოდენად ისინი ერთმანერთს უფრო მტკიცედ უმეგობრდებოდენ. იმათ კარგათ ახსოვდათ მცნება ქრისტესი და ყოვლითა სულითა თვისითა უყვარდათ ურთიერთი: უყვარდათ ისრე ძლიერად, რომ კაცს ეგონებოდა, ყველას ერთი გული და სული აქვსო. ერთნაირი სარწმუნოება უფრო და უფრო ამხნევებდა მათ შორის ძლიერს ერთობასა და სიყვარულს. ამგვარს ერთობასა და თანხმობას იცავდენ მათ შორის აგრეთვე მოციქულე-

ბიცა თავიანთ ქადაგებითა და წერილებით: იმათ ბევრი წიგნები არ დაუწერიათ, მაგრამ, რაც დასწერეს, იმათში არის ნათქვამი ყოველივე, რაც ჩვენის სულის საცხოვნებლად საჭიროა. იესო ქრისტეს ოთხმა მოწაფემ: მათემ, მარკოზმა, ლუკამ და იოანემ აღწერეს ცხოვრება ქრისტე მაცხოვრისა მისის შობიდგან ამაღლებამდის და გვაუწყეს, თუ ვითარ გამოგვიხსნა ჩვენ წყევისაგან. ამისაგამო მათი წიგნები იწოდებიან სახარებად, და თვითონ ისინი მახარებლებად. მოციქულთა: იაკობმა, პეტრემ, იოანემ, იუდამ (არა ისკარიოტელმა) და პავლემ დაგვიწერეს ოცდა-ერთი წიგნი, რომელნიც იწოდებიან ეპისტოლე. ამ წერილებში ახსნილნი არიან ისეთი საგნები, რომლებზედაც ქრისტიანებს რამე ეჭვი ჰქონიათ. იმათში არის აგრეთვე დარიგება ცხოვრებაში გამოსადეგი.—

ღმერთმა გამოუცხადა იოანეს, რომ წარმართ ხალხებმა, რამდენიც უნდა სდევნონ ქრისტიანები, ვერას დააკლებენ სახარების სწავლას: მტრები ყველანი გასწყდებიან და ეკლესია ქრისტესი ქვეყანაზე მაინც გავრცელდება და გაძლიერდება.

ეს გამოცხადება ქრისტეს ეკლესიის მომავალს ბედზე იოანემ დასწერა პატმოსის კუნძულზე და გაუგზავნა ქრისტიანებს. ამ წიგნსა ჰქვიან გამოცხადება.

ამ წიგნების გარდა მახარებელმა ლუკამ დასწერა კიდევ ერთი წიგნი მოციქულების შრომაზე, რომელიც იწოდება „მოციქულთა საქმე“.

რადგანაც ქრისტიანები ყოველს დღეს მრავლდებოდენ და მათთვის მოვლა და თვალყურის გდება ძნელდებოდა, ამისათვის მოციქულებმა ამოირჩიეს თანაშემწენი და იმათ უწოდეს სახელად მოსამსახურე ანუ დიაკვნები.

ერთს რომელსამე ადგილას ქრისტიანობას რომ დაამყარებდენ ხოლმე მოციქულები, მერმე მიდიოდენ ახლა სხვა ქვეყანას და თავის მაგიერად მოძღვრად ირჩევდენ სარწმუნოებით მტკიცე კაცებს. ამათ ერქვათ მღვდლები. ესენი ასწავლიდენ

ხალხს ქრისტიანობას და არიგებდენ ყველას, რომ სჯულზე მტკიცედ ყოფილიყვნენ. ასრე მოიქცა ანდრია მოციქულიცა, იმან იქადაგა სახარება საქართველოში. მის დროს გავრცელდა ქრისტიანობა სამცხე-საათაბაგოს ქართველობაში, იმერეთში, სვანეთში, სამეგრელოში და აფხაზეთში.

ამის მერმე გავიდა კიდევ კარგი ხანი. ქრისტიანები უფრო გამრავლდენ და მოციქულებიც მოხუცდენ. მაშინ იმათ ამოირჩიეს კიდევ ნასწავლნი და ქრისტიანობის კარგად მცოდნე პირთაგან თავიანთ მოადგილედ მცოდნე კაცები, გადასცეს იმათ თავიანთი უფლება და უწოდეს სახელად *ეპისკოპოსები*. ამ სამი ხარისხის სამღვდელოთა აკურთხევდენ მოციქულნი ლოცვითა და ხელ-დასხმითა.

ყველა ეს პირნი: მთავარ-დიაკვნები, მღვდლები და ეპისკოპოსები ვალდებულნი იყვნენ გაევრცელებინათ ქრისტიანობა, ჰქონოდათ მზრუნველობა ქრისტიანობაზე და თვალ-ყური ჰსჭეროდათ ქრისტიანულ წესების აღსრულებაზე. ამ მიზეზთა გამო ისანი იწოდებოდენ ეკლესიის *მწყესებად*. ისინი ყველანი ერთად შეადგენდენ ეკლესიის სასულიერო მთავრობას— *იერარქიას*.

მაგრამ მოციქულებისა და სასულიერო პირთ მზრუნველობასა და დარიგებას არ შეეძლო სრულიად შეეცვალა ხალხის მიმართულება, აზრები და ზნე, თუ რომ ღვთის მადლსაც შემწეობა არ მიეცა მათთვის. რადგან სულის წმიდის მადლი მოქმედებს კაცის სულზე საიდუმლოდ, ამისათვის ის მღდელ-მოქმედებანი, რომლების საშუალებითაც მადლი ღვთისა გადაეცემა კაცს, იწოდებიან *საიდუმლოებად*. საიდუმლონი არიან შვიდნი: ნათლისღება, მირონ-ცხება, ზიარება, სინანული, მღვდელობა, ქორწინება და ზეთის-კურთხევა. ამ საიდუმლოების აღსრულების დროს მადლი უფლისა გადმოდის კაცზე და ამყარებს მტკიცედ სარწმუნოებაზე. ეს მადლი იცავს და აერთებს ქრისტიანებს ერთობითა და სიყვარულით.

ღვთის მადლის შემწეობითა, მოციქულებისა, მღვდლებისა და ეპისკოპოსებისა დარიგებით, ჩაგონებით, სწავლებით და ლოცვა-ვედრებით შესდგა ე რ თ ი ეკლესია. ამისათვის სიმბოლო სარწმუნოებაში ასრეა ნათქვამი: «მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია». სარწმუნოება ე რ თ ი ა, ამისათვის რომ ქრისტიანენი შეერთებულნი ვართ ერთგვარის სიყვარულითა და ერთნაირის საიდუმლოებითა; წ მ ი დ ა ა, ამისათვის რომ ყველა ქრისტიანენი განათლებულნი არიან სულისა წმიდისაგან; კათოლიკეა (კრებითი), ამისათვის რომ იმას შეადგენენ ყველა გვარტომის ხალხები; „სამოციქულოა“, ამისათვის რომ ყველა ქრისტიანებს მიუღიათ სარწმუნოება მოციქულთაგან.

## 122. ქრისტიანობის გამარჯვება.

სამასს წელიწადს სდევნეს და აწვალეს ურიებმა და კერპთთაყვანის-მცემელთა ქრისტიანენი. იმათი მტერნი იყვნენ დაბალი ხალხიცა, მთავრობაცა და უფროსებიც. ქრისტეს მორწმუნეთ აშკარად, ქრისტიანულად, ღვთის ვედრების ნებას არ აძლევდენ. ხელმწიფეები, მთავარნი, დიდებულნი, თავადნი და უფლების მქონნი კაცნი ჯერ კიდევ კერპობის სარწმუნოებას ალიარებდენ. ამისათვის ქრისტიანებს არა ჰყვანდათ მფარველი, მოსარჩლე და გულშემატკივარნი ქვეყნისა ამის დიდებულთაგან. მაგრამ მათი პატრონი იყო თვით იესო ქრისტე და სული წმიდა. სარწმუნოება, სასოება და სიყვარული იმათ ამხნევებდა და იცავდა სასოწარკვეთილებისაგან. ღმერთი იყო მათი მფარველი და იმანვე აღმოუჩინა მათ ქვეყნიერნი მფარველნიცა. ეს მფარველი იყო რომის იმპერატორი კოსტანტინე დიდი. 325 წელს ამანა და ამისმა დედამ, ნეტარმა ელენემ, მიიღეს ქრისტიანობა და გამოაცხადეს თავიანთ სახელმწიფოში, რომ ვისაც სურს შეუძლიან ქრისტეს სარწმუნოება მიიღოს; და ჩვენა ვართ ქრისტიანობის მფარველნიო.

გამოაცხადა თუ არა კოსტანტინემ ქრისტიანობრივი სარ-

წმუნოების თავისუფლად აღიარება, მაშინვე გამოსცა ბრძანებაცა აეშენებინათ ყოველგან ეკლესიები, საცა კი ქრისტიანები იყვნენ. აგრეთვე ბევრი საკერპოები დააქცევინა და მათს ალაგასააშენებინა საქრისტიანო ტაძრები. ასრე გამეფდა ქრისტიანობა და ავიდა ჯვარი ქრისტესი მეფურის გვირგვინით სახელმწიფო ტახტზე,

ამ დროიდგან რიცხვი ქრისტიანებისა დაუბრკოლებლად მრავლდებოდა. ქრისტიანობამ მიიღო პირველობა და სახელმწიფო სარწმუნოებად გახდა. ამდენხანს სასაცილოდ აგდებული ჯვარი ახლა ყველასათვის შეიქმნა ნიშად ზეციურის დიდებისა. კოსტანტინეს დედამ ელენემ გოლგოთას მთაზე იპოვა მიწაში ის ჯვარი, რომელზედაც იტანჯა ქრისტე-მაცხოვარი. დიდის დიდებით ის ამოიღეს მიწიდგან და აღმართეს, რომ ქრისტიანენი მოვიდნენ და თაყვანისცენ მას. ეს არის დღე ჯვარ-ამაღლებისა. ქრისტიანობისათვის ეს დღე გახდა დღედ კერპთ-მსახურთა დამარცხებისა.

ქრისტიანებს ძალიან უხაროდათ, რომ ქრისტეს სარწმუნოებამ დაამარცხა კერპთ-თაყვანიმცემლობა, მაგრამ სწყინდათ ამასთანავე ისიცა, რომ იესო ქრისტე იტანჯა ჯვარზე კაცთა ცოდვების გამო. ამ გარემოებამ შეაზავა მათი სიხარული სიმწარით. დღე ქრისტიანობის გამარჯვებისა შეიქმნა აგრეთვე დღედ მწუხარებისა და გოდებისა. ამისათვის ჯვარ-ამაღლების დღეს ქრისტიანები მარხულობდენ კიდეცა.

ეკლესია მართლ-მადიდებელი დღესასწაულობს ამაღლებასა ცხოველს-მყოფელის ჯვარისას 14-ს სეკტემბერს. შესანიშნავია ეს დღე ქართველთათვისაც. ქრისტიანობის გამარჯვების და კერპობის დამარცხების დღიდგან საქართველოშიაც ძლიერდება ქრისტიანობა. ამ ხანებში მოვიდა აქ მოციქულთა სწორი წმინდა ნინო, იქადაგა სახარება, დაამარცხა კერპობა, განათლა ქართველი ხალხი, მოჰხადა მეფეს მირიანს კერპული გვირგვინი მეფობისა და დაჰხურა ქრისტიანული, და ამ სახით

ალსვა ქრისტიანობა მეფის ტახტზე და აღმართა საქართველოში ოთხი ძლევა მოსილი ჯვარი.

კონსტანტინე იმპერატორის შემდეგ აღარ შეეძლოთ წარმართებს ეწვალებინათ ქრისტიანები: ისინი შეშინდენ და დაწყნარდენ; მაგრამ მტერნი ქრისტესნი აღმოჩნდენ ახლა ქრისტიანებშივე. იმათ უნდოდათ ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება, დაიწყეს ქადაგება სახარების სწავლისა, მაგრამ შეცდომით ქადაგებდენ არა ჭეშმარიტს სარწმუნოებას. ისინი სხვანაირად განმარტავდენ ქრისტიანულს დოღმატებს თავიანთ გამოუცდელობით და უცოდინარობით. ამისათვის ეკლესიამ დაარქვა იმათ მწვალებლები.

ასრეთი შემცდარი სწავლა ძალიან სწყინდათ წმიდა მამათ და ეკლესიის მწყემსთა. ამისათვის ისინი იკრიბებოდნენ დრო გამოშვებით და ერთად იკვლევდენ ჭეშმარიტებას, განმარტავდენ, როგორც რიგი იყო, და ამტკიცებდენ. ამ კრებებს ეკლესია უწოდებს **მსოფლიო კრებად**, რადგან მათზე დაესძრებოდენ ხოლმე ყოველს ქვეყნიდგან ეკლესიის მწყემსნი. ამ კრებებზე მოკლედ დასწერეს, რანაირად უნდა სწამდეს ქრისტიანს ღმერთი, რომ მისი სარწმუნოება იყოს ჭეშმარიტი და მართალი,— იყოს მართლმადიდებლობითი. სარწმუნოების ამ სიგელსა ჰქვიან **სიმვოლო** სარწმუნოებისა, რომელიც ასრე დაიწყება: «მრწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა...

რადგანაც ეს სიმვოლო სარწმუნოებისა წმიდათა მამათა შეადგინე ორს საეკლესიო მსოფლიო კრებებზე, რომელნიც იყვნენ ქალაქს ნიკიაში და კოსტანტინეპოლს, ამისათვის იწოდებოდა **ნიკია-სამეუფო ქალაქის სიმვოლოდ.**

## დასკვნა.

ძე ღვთისა, უფალი ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე, მოვიდა ქვეყნად განკაცებული, გვიხსნა ცოდვათაგან თავის ცხოვრები-

თა, თავის სწავლითა, თავის სიკვდილითა და მკვდრეთით აღდგომითა თვისითა. ვინც ირწმუნებს ამას და აღასრულებს მისს მცნებებს, იგი მოიპოვებს განსვენებას ზეციურსა მამისა სავანესა შინა.

# პალესტინა

პალესტინა იმ ქვეყანას ჰქვიან, სადაც აბრაამი, ისააკი, იაკობი და ამათი შთამომავლობანი სცხოვრობდენ, და სადაც იესო ქრისტე დაიბადა. ამ სახელს ეძახდენ იმას ისტორიკოსებში. საღმრთო წერილში კი მას ჰქვიან აღთქმის ქვეყანა, ამისათვის რომ ღმერთმა აღუთქვა აბრაამსა და იმის ჩამომავლობას, რომ იმას შენ მოგცემო; ხოლო ამ დრომდე მისი სახელი იყო ქანაანი. მაგრამ როცა ურიანი დაბრუნდენ ეგვიპტიდგან, დაიპყრეს ქანაანი, დახოცეს აქ მცხოვრები წარმართი ხალხები, გაიყვეს თორმეტ ნაწილად და დაარქვეს სახელად ურიასტანი. ქრისტიანებმა ყველა ეს სახელები უარ-ჰყვეს და დაარქვეს სახელად წმინდა ადგილი, ამისათსის რომ იქ იშვა იესო ქრისტე, იქ აღიზარდა, იქადაგა წმიდა სახარება, მოკვდა, აღსდგა და ამაღლდა ზეცად.

პალესტინა ანუ აღთქმის-ქვეყანა მდებარეობს მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. იმის მიჯნებს შეადგენენ: დასავლეთის მხრით საშუალ-ქვეყნის ზღვა, ჩრდილოეთით ასურასტანის მიწა-წყლები, სამხრეთით მარილოვანი ზღვა, აღმოსავლეთით მეწამული ზღვა.

პალესტინის სიგრძე დაიწყება ჩრდილოეთიდგან და გაგრძელდება სამხრეთისაკენ. მისი სიგრძე არის 320 უტევანი (ვერსი), სიგანე 140-ცი.

იესო ქრისტეს დროს პალესტინა იყო დაყოფილი სამთავროებად. აქ იყვნენ მრავალი ქალაქები, რომელთაც რიგიანი ცხოვრება და კარგი ვაჭრობა ჰქონდათ. ეს ქალაქები და სოფლები ზოგნი არიან მოხსენებულნი სახარებაში, ზოგნი არა. სა-

ღმრთო ისტორიის კარგად შესწავლისათვის ჩვენ ვუჩვენებთ ადგილ-მდებიარებას იმ ქალაქებისას, წყლებისას, სოფლებისას, მთებისა და სხვათა ადგილთა, რომელნიც არიან შესანიშნავნი იესო ქრისტეს მოქმედებითა.

## 1) სამთავრო იუდასტანისა.

**იერუსალიმი.** საღმრთო წერილში პირველ ქალაქად მოხსენებულია იერუსალიმი. ის მდებარებს იუდასტანისა და სამარიის შიჯნაზე და იყო სატახტო ქალაქი პალესტინისა; მაგრამ სახარებაში იმას სხვა სახელი ჰქვიან., მათე მახარებელი ეძახის **წმინდა-ქალაქად.** საღმრთო წერილში ჰქვიან აგრეთვე დავითის ქალაქი, ამისათვის რომ ის დავითმა წაართვა ებუსელებს, დაისაკუთრა და შიგა სცხოვრებდა.

სოლომონ ბრძენმა იერუსალიმი ისე გაადიდა და გაამშვენიერა, რომ წარჩინებული ქალაქი შეიქმნა მთელს აღმოსავლეთის ქვეყნებში. მტერთაგან იმას დიდი წვალება და ბოროტება შეემთხვია. ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა ის დაიჭირა და სრულიად დაანგრია და დასწვა; ამავე დროს დაიწვა სოლომონის ტაძარიცა.

მაგრამ 70 წლის გასვლის შემდეგ ურიებმა აღადგინეს ქალაქი იერუსალიმი, და ხელმეორედ ააგეს ტაძარიცა (მეორე). ქრისტეს შობის შემდეგ რომ გავიდა 70 წელიწადი, რომის იმპერატორმა ტიტმა ეს მეორე ტაძარიც დასწვა და ქალაქიც სრულიად დაანგრივა. 134 წელს იმპერატორმა ადრიანმა ის კიდევ აღადგინა და სახელად უწოდა ელია კაპიტოლინა. ძველებური სახელი იმას დაუბრუნეს მეოთხე საუკუნეში კონსტანტინემა და ელენემ

იერუსალიმი იყო გაშენებული ოთხს მთაზე. ერთი იყო მთა **სიონი** იმაზე იყო აშენებული დავითისაგან

ციხე-სიმაგრე და თავისი სასახლე. ქალაქის ამ ნაწილს ერქვა **მაღალი ქალაქი**; ერქვა აგრეთვე ქალაქი **დავითისა**.

მეორე მთა არის **აკრა**. ის მდებარეებს ქალაქის დასავლეთ მხარეს. ამ ნაწილს ერქვა **ქვემო ქალაქი**.

მესამე მთა იყო **მორია**. ის მდებარეებდა კალაქის აღმოსავლეთს მხარეს. ამ მთაზე იყო აშენებული სახელოვანი იერუსალიმის ტაძარი. მას გარშემო ჰქონდა ბურჯები, კოშკები და ისეთი მკვიდრი გალავანი, რომ იერუსალიმისთვის დიდს სიმაგრეს შეადგენდა.

შემდეგში იერუსალიმი უფრო გადიდდა და დაიჭირა მეოთხე კვერნაკი სამხრეთის მხარეს. ამ ნაწილს ერქვა **ბეზითა**. ამას ერქვა **ახალი** ქალაქი. ამ მხრით ქალაქს არა ჰქონდა მთები.

იერუსალიმის ამ ოთხსავე ნაწილს ჯერ თავთავისი ზღუდე ჰქონდათ, მერმე ყველას ერთად ერტყა გარშემოვლებული საზოგადოდ ორკეცი ზღუდე. გარდა ამისა ქალაქს ჰქონდა სამს მხრით დიდი და ღრმა ხევები. აღმოსავლეთის მხარეს იყო მდინარე **კედრონის** ხევი, სამხრეთის კერძო იყო ღელე **ენნომისა**, დასავლეთ მხარეს ღელე **გიგონი**.

იერუსალიმს შვიდი შესასალი ალაყაფის კარი ჰქონდა, მაგრამ აღმოსავლეთის მხარეს მყოფი ყველაზე შესანიშნავი იყო. იმას ერქვა **კარი ოქროსი**. იმისი გზა იყო ელეონის მთის მხრიდამ. იესო ქრისტე ყოვილთვის ამ გზაზე დადიოდა, როცა იერუსალიმს მოვიდოდა ხოლმე.

ეს ოქროს კარი ეხლა თურქთაგან ამოშენებულია. მრთმაიმათ ცრუ წინასწარმეტყველმა სთქვა, რომ ის დაკეტილი უნდა იყოს, და რომელი ხელმწიფეც პირველად გააღებს და შევა იერუსალიმს, ის ყოვლისა ქვეყნისა ხელმწიფედ გახდებაო.

ასეთი იყო იერუსალიმი იესო ქრისტეს დროსა. ახლანდელი არა ჰგავს იმასა: ის სივრცით პატარაც არის და ულაზათოცა. იმის ქუჩები უსწორმასწორია და ვიწროცა. არც ზღუდეა ისეთი, როგორიც უწინდელი იყო. ის მიხვეულ-მოხვეულია

და თვით სიონის მთაც ქალაქის გარეთ არის დარჩენილი. ამ მთაზე ახლა არის დაბა, წოდებული აკლდამად, ანუ აგარაკად მეკეცისა. ეს ადგილი ნაყიდია იმ ფულით, რომელიც იუდას მისცეს მღვდელ-მთავრებმა, როცა მან იესო ქრისტე გაჰყიდა. აქ ასაფლავებენ უცხო ქვეყნელებს.

**მორიას მთაზე**, საცა უწინ სოლომონის ტაძარი იყო აშენებული, ახლა მეჩითია გაკეთებული თათართაგან. მისი კამარა დამყარებულია ოცდა ოთხმ მარმარილოს სვეტზე. უბრალო შუშის მაგიერ ფანჯრებში აქვს ჩასხმული ბროლის შუშები; სავარძელი აქვს გაკეთებული სოფიის კენჭით და ზედ გამოხატულია ცხოველები და ყვავილები.

**გოლგოთა.** ეს ის მთაა, რომელზედაც იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. ის მდებარებს იერუსალიმის დასავლეთ მხარეს. ქართულად გოლგოთას ჰქვიან თხემის ადგილი. ის არის მოსწორებული და მოკირწყლული მარმარილოთი, იასპითა და პორფირითა, გარდა იმ ადგილისა, საცა ჯვარი ქრისტესი იყო აღმართული, და ეს ადგილი საკურთხეველსავით ამაღლებულია. ამ ადგილას არის აშენებული ფრიად ვრცლად და დიდ-მშვენიერებით იესო ქრისტეს აღდგომის ტაძარი, რომელსაც თხემის ადგილი მთლად უჭირავს. საფლავი ქრისტესი არის გუმბათის ქვეშ, რომელიც მარმარილოს სვეტებზეა დამყარებული.

ძველს დროში იერუსალიმში 366 ეკლესია იყო. ახლა კი ბევრით ამაზე ცოტაა. ქალაქის მცხოვრებნი არიან: თურქნი, ურიანი და ქრისტიანენი სხვა და სხვა ტომისა და აღსარებისანი.

**ელეონის მთა.** ქართულს ენაზედ ჰქვიან ზეთის-ხილის მთა. ის არის იერუსალიმის აღმოსავლეთ მხარეს. ის დაჰყურებდა სოლომონის ტაძარს. ამ მთაზე გადმოივლიდა იესო ქრისტე, როდესაც ის მოდიოდა ხოლმე იერუსალიმს პასექის დღესასწაულზე და სხვა დროსაც. მთასა ამასვე ავიდა იესო ქრისტე, როცა ის ამაღლდებოდა ზეცად.

**ბეთანია.** ეს სოფელი მდებარებს ელეონის მთის ძირს.

ის არის მოშორებული იერუსალიმზე ხუთის სტადიონით. აქა სცხოვრებდენ მართა, მარიამ და ლაზარე, რომელიც იესო ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა.

ბეთსბაგე. ეს სოფელი არის დაფენილი ელეონის მთის ფერდობზე და მდებარებს იერუსალიმისა და ბეთანია სოფლის შუა, აღმოსავლეთის მხარეს. ამ სოფლიდამ მოაყვანინა იესო ქრისტემ კიცვი და კარაული ორს თავის მოწაფეს, შეჯდა ზედ და მეფურის დიდებით შევიდა იერუსალიმს, და აქ უგალობდა მას ხალხი: „ოსანნა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომომავალი სახელითა უფლისათა.“

გეთსამანია. იესო ქრისტეს დროს დაბა იყო, და მდებარებდა იერუსალიმის აღმოსავლეთ მხარეს, ელეონის მთაზე. ეხლა ის აღარ არის — გაოხრებულია. აქ იყო ის ბაღი, რომელშიაც იესო ქრისტე ევედრებოდა მამას, როცა იუდამ ის დააჭერინა მტრებს. ამ ბაღში ესაფლავა ყოვლად-წმინდა ღვთის-მშობელი მარიამი. ქრისტიანობა რომ დამტკიცდა მეოთხე საუკუნეში ქვეყნიერობაზე, მაშინ კონსტანტინე იმპერატორის დედამ ყოვლად წმიდა მარიამის საფლავზე ეკლესია ააშენა. აქვე შენდება ეხლა ტაძარი რუსეთის იმპერატორის სასყიდლით მოსახსენებლად გარდაცვალებულის მისის დედისა იმპერატრიცა მარიამ. ალექსანდრეს ასულისა.

ემმაუსი. ეს ის სოფელია, რომლიდგანაც იყვნენ ის ორნი მოწაფენი, რომელთაც აღდგომის დღეს ქრისტე გამოეცხადათ გზაზე; მაგრამ იმათ ვერ იცნეს და ლაპარაკით ერთად მივიდნენ ემმაუსს. აქ იყო სნეულთა მკურნალი წყარო. იესო ქრისტეს ემმაუსში ყოფნის გამო ხალხს ეგონა, რომ წყარო სასწაულთ-მოქმედი არისო, და ამისათვის სნეულნი კაცნი ამ წყალში ბანაობდენ. ღვთის მგმობელს იულიანე იმპერატორს არ მოსწონდა ასრეთი პატივის ცემა წყაროსი და მიწით ამოავსებინა.

ბეთლემი. ეს ის ქალაქია, რომელშიაც იშვა იესო ქრი-

სტე. იმასა ჰქვიან ბეთლემი ურიასტანისა, ამისათვის რომ იყო კიდევ სხვა ბეთლემი. იმისა და იერუსალიმს შუა რვა ვერსი არის. საღმრთო წერილში იმას ჰქვიან კიდევ ქალაქი დავითისა, ამისათვის რომ აქ იყო დაბადებული მეფე დავითი

რომის იმპერატორმა ადრიანემ მოიწადინა დამცირება იმ გამოქვაბულისა, სადაც ქრისტე ღმერთი იშვა. ამისათვის ქრისტიანეთა გასაჯავრებლად იმან ააშენებინა გამოქვაბულზე ვენერა კერპის ტაძარი; წმიდა ელენემ ის დააქცევინა და ზედ ააშენა ეკლესია. ამ ჟამად ბეთლემი სოფელია. იქა სცხოვრებენ რამდენიმე ღარიბი მეკომური ქრისტიანეებისა. ისინი აკეთებენ პატარა ჯვრებსა და კრიალოსნებს, ჰყიდიან იმათ და ასრე შოულობენ ლუკმა პურს.

**იერიქო.** ძველს დროში, ქრისტეს შობის უწინარეს იერიქო იყო მშვენიერი ქალაქი პალესტინისა და მდებარებდა იორდანე მდინარის დასავლეთ კიდეზე. ის იყო მრგვლად შემოფარგლული და გარეშემო ჰქონდა შემოვლებული ძალიან მაგარი ზღუდე. მისი მიდამონი შემკობილნი იყვნენ ტყეებითა და მშვენიერის ბაღებითა. ხეობა, სადაც იყო აშენებული ეს ქალაქი, განთქმული იყო ალვის ხეებითა და ბზითა. ეგვიპტედგან რომ დაბრუნდენ ურიები, პირველად ეს ქალაქი აიღეს იმათ და ისუ ნავესმა სრულიად დააქცია, და დასწყევლა ის კაცი, ვინც იმას კვლავ აღადგენდა; მაგრამ აქაბის მეფობის დროს მაინც აშენდა ხელმეორედ; და შემდეგ ურიების დატყვევებისა ბაბილოვნელებისაგან ისეთი ჩინებული ქალაქი შეიქმნა, რომ პალესტინაში იერუსალიმის მერმე მეორე ქალაქი იყო. დიდი იროდი მეფის დროს ის უფრო გამშვენიერდა ჩინებულის სახლებითა, და შეიქმნა პალესტანის სატახტო ქალქად. მაგრამ ამ ჟამად უბრალო სოფელია. აქა სცხოვრებენ არაბები. აქაური მცხოვრები იყო აგრეთვე მეზვერე ზაქე.

**ქებრონი** არის ერთი უძველესთა ქალაქთაგანი მთელს დედა-მიწაზე. ის იყო აშენებული მთაზე. ამ ქალაქში სცხოვ-

რებდა აბრაამი, ისააკი და იაკობი. ის ეკუთვნოდათ ლევიტელთ, სასულიერო წოდებას და იყო თავშესაფარი ადგილი უნებლიედ კაცთა მკვლელებისათვის. ამ ქალაქში იცხოვრა დავით მეფემ, ვიდრე იერუსალიმს დაიჭერდა და იქ გადასახლდებოდა.

**არიმათია.** ეს იყო პატარა ქალაქი. აქ სცხოვრებდა იოსებ არიმათელი, რომელმაც იესო ქრისტე თავის სამარეში დაასაფლავა. ის მდებარებდა იერუსალიმის ჩრდილოეთ მხარეს, გოლგოთა მთის მახლობლად.

**კედრონ** არის მდინარე. იგი მიმდინარებს იერუსალიმისა და ელეონის მთის შუა ველზე. იესო ქრისტე რომ მოდიოდა გეთსამანის ბაღში სალოცველად, ეს ველი და მდინარე გადაიარა. მეფე დავითიც ამ მდინარეზე გადავიდა, როცა თავის შვილს აბესალომს გაექცა.

**იორდანე** მდინარე. პალესტინაში ეს ერთად-ერთი მდინარეა, რომელშიაც განუწყვეტლივ წყალი მდინარებს და არასოდეს არა შრება. იგი მომდინარებს ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ. პალესტინას ის განჰყოფს ორ ნაწილად. სახელი იორდანე წარმოსდგება ორთა წყაროთაგან: ერთსა ჰქვიან იორ, მეორეს—დან. პირველად ის ერთვის ტბას მერომს, მერმე აქედგან გამოდის, წმინდად მომდინარებს, გაივლის 15 ვერსს და შეერთვის გენისარეთის ტბას. აქედგან დაწყებული კიდევ გაივლის 100 ვერსამდე და შეერევა მარილოვანს ზღვასა შინა.—იორდანე ძალიან ღრმაც არის და ჩქარა მომდინარეც. წყალი მისი არის წმინდა და გემრიელი.

საღმრთო წერილში იორდანე მდინარე რამდენიმე შემთხვევით იცნობების, ისუ ნავესი, ეგვიპტიდგან მოსული, იმას რომ მიადგა, ის სიგანეზე განიპო და ებრაელთ მის ფსკერში გაიარეს. იგივე მოჰხდა, როცა ილიამა და ელისე წინასწარმეტყველებმა მას შინა განვლეს; სირიელი მთავარი ნეემანი განიკურნა კეთრისაგან, როცა განიბანა მას შინა. იმას კიდეებზე ქადაგებდა იოანე ნათლის-მცემელი და მასვე იორდანეში ნათელ-იღო მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ.

## 2) სამთავრო სამარია.

**სამარია** იესო ქრისტეს დროს ერქვა სამთავროს, რომელიც მდებარებდა იუდასტანისა და გალილიას შუა. ძველს აღთქმაში კი ის იყო სატახტო ქალაქი ისრაილების სამეფოსი ის იყო აშენებული მთაზე. მტერმა რამდენჯერმე მოიწადინა მისი დაჭერა, აკლება და აოხრება, მაგრამ ვერ მოახერხა. ბოლოს ასურეთის მეფემ სალმანასარმა ის დაიპყრო და სრულიად დაანგრია და ამოფხვრა ძირიანად, და ხალხიც ტყვედ წაასხა. ესენი აღარ დაბრუნდენ უკან, და ამის გამო მისს ნანგრევებზე მხოლოდ რამდენიმე სახლილა აშენდა, მაგრამ ისინიც იოანე ღირკანმა დააქცია. ის გაამშვენიერა და შექმნა ხელმეორედ ქალაქად იროდი დიდმა და სახელად დაარქვა სებასტი. ახალს აღთქმაში სამარია ჰქვიან ქალაქსაც და მთელს სამთავროსაც. სამარიტელები და ურიანი ერთმანერთს ძალიან ემტერებოდნენ. ურიებს ცოდვად მიაჩნდათ იმათთან ლაპარაკი და მათი ჭურჭლის ხმარება. ასრეთი უკადრისობა და მტრობა მოაგონა იესო ქრისტეს სამარიტელმა დედა-კაცმა, როცა იმას წყალი სთხოვა დამალევინეო.

**სუქარი** იყო მშვენიერი ქალაქი. ის მდებარებდა ეფრემის მთებზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ისუ ნავესმა ამ ქალაქში შეჰყარა ებრაელები, და მოაგონა იმათ ის სიკეთე, რომელიც ღმერთმა მიჰფინა მათ. აქ ესაფლავნენ აბრაამი, ისააკი და იაკობი? აქვე დაასაფლავეს ურიებმა იოსების ძვლებიცა, როცა ისინი მოასვენეს ეგვიპტიდგან. სამარია ქალაქის დარღვევის შემდეგ ერთ დროს სიქემი ისრაილების სამეფოს სატახტო ქალაქადაც გახდა. შესანიშნავია კიდევ იმით, რომ მის მახლობლად იყო მამათ-მთავრის იაკობის ჭა ანუ ჯურღმული. ზოგიერთნი ნასწავლნი კაცნი ამტკიცებენ, რომ ვითომც სუქარს ერქვა აგრეთვე სიქარ.

**სილომი.** მდებარებს ბეთილის ჩრდილოეთით. ისუ ნავესმა აქ გამართა მოსეს სჯულის კარავი. აქვე შეჰყარა იმან ებრაელები და თორმეტს ძმათა შთამამავლობას გაუყო აღთქმის ქვეყანა.

**ეფრაიმა.** ეს ქალაქი მდებარეობდა ჩრდილოეთ კერძო უდაბნოში. აქ მოვიდა იესო ქრისტე, როცა ლაზარეს მკვდრეთით აღდგენის შემდეგ, სინედრიონმა გარდაჰწყვიტა მისი სიკვდილი.

**გარიზინი** არის მთა სუქარ ქალაქის მახლობლად. ამაზე იყო აშენებული სამარიტელთა ტაძარი, რომელსაც ამისათვის ერქვა გარიზინის ტაძარი. ებრაელებმა ის დააქციეს და ეუბნებოდენ სამარიტელთ, რომ ღვთის ვედრება მარტო იერუსალიმში უნდა იყოსო. ამ ტაძარზე მუსაიფობდენ იესო ქრისტე და სამარიტელი დედა-კაცი, რომელიც იაკობის ჭიდგან კოკით წყალს იღებდა.

**გებალი.** ეს მთა იმით არის შესანიშნავი, რომ ისუ ნავესმა ებრაელები ორად გაჰყო: ნახევარი დააყენა გარიზინის მთაზე, ნახევარი გებალზე; მერმე აქვე გააკეთა ყოვლად მრთელთა ქვათაგან სამსხვერპლო, წაიკითხა სჯულის კანონი, და ხალხის ნახევარმა ლოცვა-კურთხევა წარმოსთქვა ერთგულად სჯულის კანონის აღმასრულებელთა ზედა, მეორემ კი წყევლა რისხვა იმათ თავზე, ვინც დაარღვევს იმ კანონებს, რომელნიც ისუ ნავესმა წაიკითხა.

## 3) სამთავრო გალილიასი.

გალილიას ჩრდილოეთის მხრით მიჯნად ჰქონდა ტვიროსისა და ანტილიბანის სამძღვრები, აღმოსავლეთით იყო მდინარე იორდანე, დასავლეთით ფინიკიის მიწა-წყლები და სამხრეთით კარმილის მთები. ჩრდილოეთის მთიანი ნაწილი იწოდება ზემო გალილიად, სამხრეთისა ქვემო გალილიად.

**ნაზარეთი.** ეს იყო პატარა ქალაქი, მდებარე, თაბორის მახლობლად, მთებს შუა ველზე. აქა სცხოვრებდნენ იოსები და ყოვლად-წმინდა ქალწული მარიამი. ამ ქალაქში მიიღო ყოვლად-წმიდა ქალწულმა მარიამმა ხარება ანგელოზისაგან მუცლად ღებისათვის მაცხოვრისა. ამისათვის იესო ქრისტემაც სიყმაწვილე და სიჭაბუკე აქ გაატარა, და დაერქვა ნაზარეველი. მაგრამ ნაზარეთელებს იესო ქრისტე არ უყვარდათ. ერთხელ იმის მოკვლაც კი დააპირეს. ამაზედა სთქვა იესო ქრისტემ: „არავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თვისსა მამულსა.“ აქედგან შეუდგენია ქართველ ხალხს ანდაზა: «შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო.»

**კანა** იყო იესო ქრისტეს დროს პატარა ქალაქი. აქაური მცხოვრები იყო მოციქული ნათანაილი. პირველი სასწაული იესო ქრისტემ აქ შეასრულა: წყალი ღვინოდ შეჰცვალა. ახლა პატარა სოფელია და არის ეკლესია იმ ადგილას, საცა წყალი ღვინოდ იქმნა ქცეული.

**კაპერნაუმი.** იესო ქრისტე აღარ დადგა ნაზარეთში, როცა იქ განიზრახეს იმისი მოკვლა. ის გადასახლდა გენისარეთის ტბის ნაპირას მდებარე ქალაქს კაპერნაუმს. სახარება იმას ქრისტეს ქალაქს ეძახის. იქ მრავალი სასწაულები ჰქმნა იმან, მაგრამ კაპერნაუმელებმა მაინც არ ირწმუნეს იესო ქრისტე და მან სთქვა შემდეგი სიტყვები: „და შენ კაპერნაუმ ცადმდე ამაღლებულო, ჯოჯოხეთამდე შთაჰხდები.“ მართლაცა-და ეხლა იმისი არსებობის ნიშანიც კი არსადა სჩანს. რომაელებმა ის ძირიანად აღმოფხვრეს.

**ბეთსაიდა.** ეს ქალაქი მდებარეობდა კაპერნაუმის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. ამ ქალაქის მცხოვრებნი იყვნენ მოციქულნი პეტრე, ანდრია და ფილიპე. იესო ქრისტემ აქაც ბევრი იქადაგა; მაგრამ არცა ამის მცხოვრებთ მიიღეს სახარების სწავლა; ამისათვის მაცხოვარმა სთქვა: „ვაი შენს თავსა, ბეთსაიდავ!“

**ნაინი**—ეს ის ქალაქია, რომლის ალაყაფის კარების წინ

მაცხოვარმა ნაინელი ქვრივი დედა-კაცის შვილი აღადგინა მკვდრეთით. ეს ქალაქი თაბორის მახლობლად იყო.

**ტაბერია.** ეს ქალაქი ააშენა იროდი ანტიპამ, იოანე ნათლის მცემლის მკვლელმა. ის მდებარეობდა გენისარეთის ტბის დასავლეთ მხარეს და ჩინებული ქალაქი იყო. რადგან მკურნალი თბილი წყლები იყვნენ იქ, ამისათვის ბევრი მგზავრი მოდიოდა იქ; თვითონ ტბაც მეთევზეების ნავებით სავსე იყო ხოლმე. იერუსალიმის დაქცევის შემდეგ იქ გადმოსახლდენ ებრაელთა მღვდლები და დააფუძნეს სახელ-განთქმული აკადემია, სადაც შეადგინეს ორი შესანიშნავი წიგნი **მასორა** და **მიშნა.** ის დაა-ქცია ეგვიპტის მეფემ სალადინმა, საშუალ საუკუნოებში.

**კესარია-ფილიპესი** — ააშენა იროდის შვილმა ფილიპემ და ტიბერი იმპერატორის საპატიოდ დაარქვა **კესარია**, რადგანაც რომაელთა ხელმწიფენი იწოდებოდენ კეისარად. ამ ქალაქის მახლობლად იესო ქრისტემ ჰკითხა მოციქულებს: „მე ძე კაცისა ვინა ვგონივართ კაცთა?...

**ქორაზინი.** ეს ქალაქი იყო მახლობლად კაპერნაუმისა და ბეთსაიდასი. მისი მცხოვრებნი სოდომელებზე, ტვიროსისა და სიდონის ხალხზე უფრო ცოდვილნი იყვნენ. იესო ქრისტე ამბობს: «ვაი შენდა, ქორაზინ! ვაი შენდა, ბერთსაიდა! ტვიროსსა და სიდონს რომ მომხდარიყვნენ სასწაულნი, რომელნი იყვნენ თქვენ შორის, მალე ძაძას ჩაიცმიდენ და ნაცარს თავზე დაიყრიდენ, და შეინანებდენ ცოდვათა თვისთა.“

### ტბა გენისარეთისა, გალილიისა და ტიბერიასი.

ამ ტბას გენისარეთის ტბა ჰქვიან იმ ქალაქისა გამო, რომელსაც ქინნერეთი ერქვა; გალილიისა ეწოდებოდა ამისათვის, რომ სადაც ეს ტბა იყო, იმ მაზრას გალილია ერქვა; ტიბერიისტბა სახელ-ედებოდა ამისათვის, რომ აქ იყო ქალაქი ტიბერია. იმასა აქვს სიგრძე 24 ვერსი, სიგანე 7 ვერსი. ამის გარეშემო

უხვიერად იყო ინდის ხურმის ხეები და ფორთოხალისა და აგრეთვე შაქრის ლერწამი. ამ ტბაზე იესო ქრისტემ ერთის სიტყვით დააწყნარა ზღვის ქარი და ღელვა; აქ დაიჭირეს მოციქულებმა სასწაულით თევზები; აქვე გამოეცხადა იესო ქრისტე მოწაფეებს, როცა აღსდგა მკვდრეთით; აქვე ჰქმნა მრავალი სხვა სასწაულიცა. ამის ნაპირზედ წარმოსთქვა იგავნი: თესლზე და ღვარძლზედ, მდოგვის მარცვალზედ და სხვანი.

**თაბორი**,—მთა, რომელზედაც ფერი იცვალა ქრისტე ღმერთმა. ის ამართულია აქ ვრცელს და დიდს ველზე, და ნაზარეთს ჰშორავს შვიდის ვერსითა. თაბორი არის ისეთი აღმართი, რომ მისი მსგავსი მთა მთელს პალესტინაში მეორე აღარ მოიპოვება. ისა ჰგავს დიდმშვენიერს გუმბათსა, უფრო ხელოვნებით გაკეთებულსა, ვიდრე ბუნებითსა. იმასა აქვს ნაცრის ფერი და მაგარის კლდით არის შემოზღუდული. მასზე არიან მშვენიერი მცირედ-მცირედი კორდები, მდელოთი და ბუჩქებით შემოსილები. სიმაღლე აქვს ერთი ვერსი და მიემგზავსება კვერნაკს, შაქრის თავსავით ამაღლებულს. იმის წვერიდგან მოჩანან საშუალ ქვეყნის ღზვა, გენისარეთის ტბა და ყოველი ადგილები, იორდანეს კიდეებზე მდებარენი. როცა აქ ფერი იცვალა იესო ქრისტემ, პეტრე მოციქულმა უთხრა მაცხოვარს: «უფალო! კეთილ არს ჩვენდა აქა ყოფა; უკეთუ გნებავს, ვქმნეთ სამ ტალავარ: ერთი შენ, ერთი მოსესა და ერთი ილიასა." აქ არის ეხლა მხოლოდ ერთი ძველი ეკლესია, წმიდისა ელენეს მიერ აღშენებული გარს ავლია სამკეცის ზღუდე.

**ნეტარებათა მთა** არის თაბორის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს. ის ასრეა წოდებული ამისათვის, რომ იესო ქრისტემ ამ მთაზე წარმოსთქვა ცხრა ნეტარება: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა...

**ორმოცეული** მთა. ასრე უძახიან ამ მთას იმ მიზეზით, რომ იქ იცხოვრა იესო ქრისტემ ლოცვითა და მარხულობით ორმოცს დღესა და ღამეს, ოდეს სულისა წმიდისაგან უდაბნოს იყო წაყვანილი.

## 4) სამთავრო პერეია.

პერეიას ერქვა კიდევ სახელად წიაღიორდანე. იმას ეჭირა მთელი აღმოსავლეთის მხარე იორდანე მდინარისა. იესო ქრისტეს დროს ის ჯერ განიყოფებოდა ორ დიდ მაზრად: მაზრა **ფილიპე ტეტრარქისა** და თვით **პერეია**. პირველი კიდევ განიყოფოდა ხუთ მაზრად,—რომელნიც არიან შემდეგნი: ტრაქონითი, ავრანითი, იტურია, გოლანითი და ბათანია.

**მაგდალა.** ეს ქალაქი მდებარეობდა გენისარეთის ტბის აღმოსავლეთის კიდეზე. ზოგნი ამბობენ, რომ ის კაპერნაუმისა და ტიბერია ქალაქის შუა იყოვო. ამ ქალაქის მახლობლად იყვნენ ფარისეველნი, როცა იესო ქრისტეს სთხოვეს, რომ ზეცაში სასწაული გვაჩვენეო. ამ ქალაქის მცხოვრები იყო მარიამ მაგდალინელა, მოწაფე ქრისტესი.

**გადარა** ძველებური ქალაქია. ის იყო შესანიშნავი თბილის წყლებითა. აქ განკურნა იესო ქრისტემ გადარინელი ეშმაკეული კაცი, რომელსაც სახელად ლეგიონი ერქვა, და რომლის ეშმაკებიც ღორებს შეუძვრნენ გულში და გენისარეთის ტბაში გადაყარეს.

**ბეთსაიდა-იულია.** ეს ქალაქი ააშენა ფილიპემ და დაარქვა ავგუსტოს იმპერატორის ასულის სახელი **იულია**. იესო ქრისტემ უდაბნოში ხუთის პურით ხუთასი კაცი რომ განაძღო, ეს უდაბნო იულია-ბეთსაიდის მახლობლად იყო. აქვე იყო კიდევ მეორე ქალაქი ბეთსაიდა, რომელსაც ბეთსაიდა გალილიისა ერქვა.

**მაქერონის**—ციხე ის მდებარეობს მარილოვანის ზღვის მახლობლად, და გარშემო ღრმა ღელეები არტყია. ამ ციხეში იყო დამწყვდეული იოანე ნათლის-მცემელი, და აქვე მოაკვეთინა მისი თავი იროდი ანტიპამ.

**მარილოვანი** ზღვა მდებარებს პალესტინის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. იმასა ჰქვიან კიდევ სახელად მომაკვდინებელი ზღვა, ამისათვის რომ იმაში არ შეუძლიან თევზს იცხოვროს: შევლენ თუ არა შიგ, ისინი მაშინვე იხოცებიან. უძახიან აგრეთვე **ლუთის** ზღვას, ამისათვის რომ აქა სცხოვრებდა აბრაამის ძმის წული ლოთი; ეწოდება კიდევ **კუპრიანი** ზღვა, ამისათვის რომ მისი ფსკერი ნავთით არის მოლესილი. იმასა აქვს სიგრძე 40 ვერსი, სიგანე 10 ვერსი. ის არის იმ ადგილას, სადაც იყვნენ ქალაქები სოდომ-გომორი. მისი წყალი ისეთი მლაშეა, რომ ამ მიზეზით უწოდებენ სახელად აგრეთვე **მარილოვან** ზღვას.

**ნაბაო** მთა. ამ მთაზე მოკვდა წინასწარმეტყველი მოსე და აქვე ასაფლავია. ის ამითია კიდევ შესანიშნავი, რომ ნაბუქოდონოსორისაგან იერუსალიმის დაქცევის დროს იერემია წინასწარმეტყველმა გაიტაცა **კარავი** და **კიდობანი**, მოვიდა ამ მთაზე, «ჰპოვა ქვაბი და საყოფელი, და მიიღო მუნ კარავი და კიდობანი, და საკურთხეველი საკმეველთა, და დახშა კარნი.»

**ლიბანის** მთები ეკუთვნიან სირიას. იმის წვერვალთა ზედა თოვლი არასოდეს არ აკლდება. უწინდელ დროს შესანიშნავი იყო კვიპაროზის ხეებით. იერუსალიმის ტაძრის ასაშენებლად სოლომონ ბრძენმა აქედგან აზიდვინა ხე-ტყე.

**ეგვიპტე.** ეს ქვეყანა იმყოფება აფრიკაში. ებრაელები იმას ეძახიან **მიცრაიმი**, თათრები—**მისირ.** ურიათა სამეფოები რომ მოიშალნენ, ამის შემდეგ მომეტებული ნაწილი ებრაელებისა იქ გადასახლდენ და სცხოვრებდენ ორს ქალაქში: ალექსანდრიაში და ონიონში. ონიონი თითქმის მთლად ურიებს ეკუთვნოდათ. აქ ჰქონდათ იმათ აშენებული დიდი ტაძარი, იერუსალიმის ტაძრის მსგავსი. ის ააშენა ურიამ, რომელსაც სახელად ონი ერქვა. ეს კაცი იყო ურიათა მღვდელ-მთავარი. იმან დააწესა ისრეთივე წესი ღვთის მსახურებისა, როგორიც იერუსალიმის ტაძარსა ჰქონდა. ღვთის მსახურებას ასრულებდენ მღვდლები და ლევიტელნი.

მაგრამ აქაურს ებრაელთა მომეტებულს ნაწილს დაჰვიწყებოდა თავიანთი სამშობლო ენა და აღარ ესმოდათ არც ღვთის მსახურება და აღარც საღმრთო წერილის წიგნები. ამისათვის ეგვიპტის მეფემ ფტოლომე ფილადელფიმ ძველი აღთქმის წიგნები ბერძნულს ენაზე გადაათარგმნინა.

**პონტო** იყო მცირე აზიაში. ის იყო სამეფო და განიყოფებოდა სამ სამთავროდ: ერთი იყო **პონტო კაპადოკიისა**, მეორე **პონტო პალემონისა**, მესამე **პონტო გალატიისა**. აქედგან იყო პილატე, რომლის ურიასტანში მთავარ-მართველობის დროს ურიებმა ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. ამისათვის იმას ეძახიან **პონტოელ** პილატესა.

მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი.

1885 წელს.
8 ოქტომბერს.

## სარჩევი

### ისტორია იესო ქრისტეს შობისა, ყმაწვილობისა და ჭაბუკობისა

გვერდი.


1. შობა ყოვლად წმიდა ქალწულისა მარიამისა და მისი აღზრდა . . . . . . . . . . . . . . . 1
2. წინა-მორბედის მშობლები და გაბრიელ მთავარ-ანგელოზი . . . . . . . . . . . . . . . . . . 2
3. მთავარ-ანგელოზის გაბრიელის მიერ ხარება ყოვლად-წმინდა ქალწულის მარიამისა . . . . 4
4. ქალწულისა მარიამისაგან ელისაბედის ნახვა . 5
5. შობა და წინა დაცვეთა იოანე წინა-მორბედისა 6
6. შობა იესო ქრისტესი . . . . . . . . . . . 7
7. მეცხვარეთაგან თაყვანის-ცემა იესო ქრისტესთვის 8
8. წინა-დაცვეთა იესო ქრისტესი. . . . . . . . —
9. მირქმა იესო ქრისტესი. . . . . . . . . . . 9
10. მოგვების თაყვანის-ცემა იესო ქრისტესი. . . . 11
11. იოსებისა და მარიამისა ეგვიპტეს გაქცევა . . . 12
12. თორმეტის წლის იესო ქრისტე იერუსალიმს ტაძარშია . . . . . . . . . . . . . . . . . 13


### განცხადებული სამსახური იესო ქრისტესი კაცობრიობისათვის.


13. ქადაგება იოანე წინამორბედისა უდაბნოში . . 15
14. ნათლისღება იესო ქრისტესი . . . . . . . . 17
15. იესო ქრისტეს გამოცდა ეშმაკისაგან . . . . . 18
16. იოანე ნათლის-მცემლის მოწმობა, რომ ქრისტე (მესია) არის . . . . . . . . . . . . . . 19
17. იესო ქრისტეს პირველნი მოწაფენი . . . . . . 21

## საქმენი და სწავლა იესო ქრისტესნი პირველ პასექიდამ მეორემდე.


18. ქორწილი კანას გალილიას . . . . . . . . . 23.
19. განდევნა ვაჭრებისა იერუსალიმის ტაძრიდგან . . . 24
20. იესო ქრისტეს საუბარი ნიკოდიმოსთან კაცის მეორედ აღმოშობაზე . . . . . . . . . . . . . . 25
21. იოანე ნათლის-მცემელის მეორედ მოწმობა, რომ იესო ქრისტე მესია არის . . . . . . . . . . 27
22. იროდმა იოანე ნათლის-მცემელი საპყრობილეში ჩასვა . . . . . . . . . . . . . . . . . . 28
23. საუბარი ქრისტესი სამარიტელ დედა-კაცთან . . —
24. მეფის კარის-კაცის შვილის განკურნება . . . . 31
25. იესო ქრისტეს ქადაგება ნაზარეთის შესაკრებელში . 32
26. თევზის დაჭერა გენისარეთის ზღვაზე . . . . 33
27. ეშმაკეულის განკურნება კაპერნაუმისა შესაკრებელში . . . . . . . . . . . . . . . . 34
28. სვიმონის სიდედრისა და კეთროვანის განკურნება . 35
29. განკურნება განრღვეულისა კაპერნაუმში . . . . 36
30. მათეს მიწვევა მოციქულად . . . . . . . . 37


## საქმენი და სწავლანი იესო ქრისტესნი მეორე პასექიდამ მესამემდე.


31. განკურნება უძლური კაცისა ცხოვართა საბანელთან მწოლარისა . . . . . . . . . . . . . . 39
32. სწავლა იესო ქრისშესი შაბათის უქმობაზე . . . 40
33. ამორჩევა თორმეტის მოციქულისა . . . . . . 42
34. მთით-კერძო ქადაგება იესო ქრისტესი. . . . . 43
 1. ვითარნი უნდა იყვნენ იესო ქრისტეს მოწაფენი . 44
 2. ძველი მცნება უნდა აღსრულდეს. . . . . . 44
 3. როგორ უნდა გვიყვარდეს მოყვასი. . . . . . 45

4 როგორ უნდა აღსრულდეს მესიმე მცნება . . 46

5. როგორ უნდა აღსრულებდენ იესო ქრისტეს მორწმუნენი მეექვსე მცნებას . . . . . . —

6. როგორ უნდა აღსრულდეს მეშვიდე მცნება . 47

7. უნდა შეუნდოთ მავნებელთა ჩვენთა . —

8. მოწყალება, ლოცვა და მარხვა. . . . . . 48

9. კაცი არ უნდა იყოს მოშურნე და მზრახველნი 49

10. მოერიდე ცრუ წინასწარმეტყველებს . . . 50

11. ვისა ჰგავს, ვინც ასრულებს უფლის მცნებას. —

35. კაპერნაუმელ ასისთავის მოსამსახურის განკურნება 51

36. მკვდრეთით აღდგენა ნაინელ ქვრივი დედა-კაცის შვილისა . . . . . . . . . . . . . 52

37. იოანე წინა-მორბედი ჰკითხავს იესო ქრისტეს: „შენა ხარ ქრისტე თუ სხვას უნდა მოველოდეთ 53

38. ცოდვების პატივება დედა-კაცისათვის, რომელმაც ნელსაცხებელი სცხო იესო ქრისტეს ფეხებზე . 54

39. ფარისეველები ცილსა სწამებენ იესო ქრისტეს, რომ ბელზებულის ძალით შენ ეშმაკებს განდევნიო. მაგრამ ის უარს ჰყოფს და ამტყუნებს მათ . . 55

40. იგავნი იესო ქრისტესაგან ნათქვამნი: მთესვარზე, მდოგვზე და პურსა და ღვარძლზე. . . . . . . . 57

41. გენისარეთის ზღვაზე ქარიშხალის დაწყნარება . . 59

42. განდევნა ეშმაკთა ლეგიონისა. . . . . 60

43. განკურნება სისხლ-დინებით სნეულის დედა-კაცისა და იაიროსის ასულის მკვდრეთით აღდგენა . . 61

44. თორმეტი მოციქულის გაგზავნა საქადაგებლად . 63

45. თავის-კვეთა იოანე ნათლის-მცემლისა . . . 65

46. იესო ქრისტეს სასწაულები აწუხებენ იროდს . 66

47. ხუთი პურით იესო ქრისტემ ხუთი ათასი კაცი გაძღო . . . . . . . . . 67

48. იესო ქრისტეს ფეხით სიარული ზღვაზე. . . . 68

49. იესო კრისტეს მუსაიფი ცხოვრების პურზე. . . . 69

## იესო ქრისტეს საქმენი და სწავლანი მესამე პასექიდგან და-წყებული, ვიდრე ბზობამდე.


50. საუბარი იესო ქრისტესი მამა-პაპათა გადმონაცემზე . . . 71
51. განკურნება ქანანეველის დედაკაცის ასულისა . . . 72
52. ყრუ და ენა ჩლუნგი კაცის განკურნება . . . . 73
53. ოთხი ათასის კაცის შვიდის პურით გაძღომა . . . 74
54. პეტრე მოციქული იესო ქრისტეს ძედ ღვთისად აღიარებს . . . . . . . . . . . . . . . 75
55. ფერის ცვალება იესო ქრისტესი . . . . . . . 76
56. განკურნება კვეთებული ჭაბუკისა . . . . . . 77
57. სასწაულით ფულის შოვნა საეკლესიო ხარჯის მისაცემად . . . . . . . . . . . . . . . 79
58. მოწაფეების ბაასი—ვინაა მათ შორის უფროსი . . —
59. იგავი მოწყალე მეფისა და უწყალო გამსესხებელისა 80
60. სამარიტელთ არ ისტუმრეს იესო ქრისტე . . . 82
61. საქადაგებლად გაგზავნა სამოცდაათ მოწაფისა . . 83
62. ვინ არის ჩვენი მოყვასი . . . . . . . . . . 84
63. უფლისაგან მარიამისა და მართას ნახვა . . . . 85
64. ლოცვა საუფლო, იგავი უსამართლო მსაჯულზე და მეზვერესა და ფარისეველზე . . . . . . . . 86
65. იესო ქრისტეს ქადაგება იერუსალიმში კარვობის დღესასწაულზე . . . . . . . . . . . . . . 88
66. იესო ქრისტესაგან ცოდვილი დედა-კაცის შეწყნარება 89
67. იესო ქრისტე აცხადებს: მე ვარ ნათელი სოფლისა და ძე ღვთისა . . . . . . . . . . . . 90
68. ბრმად დაბადებულის თვალთა აღხილვა . . . . . 91
69. იგავი კეთილს მწყემსზე . . . . . . . . . . . 94
70. მდიდარი კაცი ამაოდ შეჰხარის მოსავალს . . . 96
71. უსამართლო გამგებელი . . . . . . . . . . . 97
72. დაკუზულ დედა-კაცის მორჩენა . . . . . . . 100

73 განკურნება ათის კეთროვანის . . . . . . . . . . 101
74 ფარისეველთა გაასი სუფრაზე უპირველესი ადგი-
ლის დაჭერაზე. . . . . . . . . . . . . . . . . —
75. იგავი დაკარგულ ცხვარზე, დრაჰმაზე და უძღების
შვილზე . . . . . . . . . . . . . . . . . . 104
76. ლაზარეს ავადმყოფობა და სიკვდილი . . . . . 116
77. შეიძლება თუ არა ცოლ-ქმართ გაყრა . . . . . 107
78. ყრმათა კურთხევა. . . . . . . . . . . . . . . 108
79. მდიდარი ჭაბუკისათვის მიცემული დარიგება. . . 109
80. იგავი მებაღეებისათვის შეპირებულ ფასზე. . . . 110
81. მკვდრეთით აღდგენა ლაზარესი. . . . . . . . . 111
82. სინედრიონმა გადასწყვიტა იესო ქრისტეს სიკვდილი 113
83. იესო ქრისტეს წინასწარმეტყველება, რომ იერუ-
სალიმში მომკვლენო. . . . . . . . . . . . . 114
84. თხოვნა სალომესი. . . . . . . . . . . . . . 115
85. მოქცევა ზაქესი . . . . . . . . . . . . . . 116
86. იგავი ათს მონაზე და ათ გირვანქა ვეცხლზე. . . . —
87. იესო ქრისტეს ფეხთა ცხება . . . . . . . . . 119

## იესო ქრისტეს ქვეყნიერი ცხოვრების უკანასკნელნი დღენი

88. მეფური დიდებით (გზობის დღე) იესო ქრისტესი
იერუსალიმს წასვლა . . . . . . . . . . . . . 119

## დიდი ორშაბათი

89. დაწყევლა ლეღვისა და ვაჭრეშის ტაძრიდგან განდევნა 192

## დიდი სამშაბათი.

90. იგავი ბოროტ მებაღეებზე და და მეფის შვილზე
თქმული. . . . . . . . . . . . . . . . . . . 123
91. დარიგება ქრისტესი ხარჯის მიცემაზე მეფისათვისა 125

92. სადუკეველების ცბიერ კითხვაზე თქმული პასუხი . 126
93. იესო ქრისტესაგან ფარისევლებისა და ურიათა სჯულის მოძღვართა მხილება.. . . . . . . . . 131
94. იესო ქრისტეს მუსაიფი მოწაფეებთან ტაძრისა და იერუსალიმის დაქცევაზე . . . . . . . , . . . . . 131
95. ნიშნები ქვეყნის დასასრულისა და იგავი ათ ქალწულზე 132
96. იესო ქრისტეს იგავი ქანქარზე და გამოხატვა საშინელი განსჯისა . . . . . . . . . . . . . . 134

### დიდი ოთხშაბათი

97. ვახშამი სვიმონის სახლში. სინედრიონის გარდაწყვეტილება და იუდას გამცემლობა . . . . . 137

### დიდი ხუთშაბათი.

98. ფეხთ-ბანა და საიდუმლო სერობა . . . . . . . 138
99. იესო ქრისტეს გამომშვიდობება მოწაფეებთან . . . 141
100. ლოცვა იესო წრისტესი გეთსამანის ბაღში და მისი დაჭერა . . . . . . . . . . . . . . . . . 144
101. იესო ქრისტეს გასამართლება წინაშე ანნასი და კაიაფა მღვდელ-მთავრებისა . . . . . . . . . 147
102. პეტრე მოციქულის მიერ უარყოფა და მისი სინანული 149
103. იუდა ისკარიოტელის სიკვდილი . . . . . . . 151

### დიდი პარასკევი.

104. იესო ქრისტე პილატესი და იროდის სამსჯავროში 152
105. იესო ქრისტეს შოლტით ცემა . . . . . . . . 154
106. ჯვარცმა იესო ქრისტესი და მისი სიკვდილი . . 155
107, იესო ქრისტე ჯვარსა ზედა . . . . . . . . . 156
108. იესო ქრისტეს სიკვდილი ჯვარზე და სასწაულები 158
109. იესო ქრისტეს გვერდის განგმირა, ჯვარით გარდამოხსნა და დასაფლავება . . . . . . . . . . . 160

## დიდი შაბათი.


110. ყარაულების დაყენება იესო ქრისტეს საფლავზე. 161
111. აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი . . . 162
112. მარიამ მაგდალინელას მეორედ მისვლა ქრისტეს საფლავზე . . . . . . . . . . . . . . . . . . 164
113. იესო ქრისტე გამოეცხადა გზაზე ორს მოწაფეს . 165
114. იესო ქრისტე გამოეცხადა ყველა მოწაფეებს ერთად, თომა მოციქულის გარდა . . . . . . . . . . 167
115. გამოცხადება იესო ქრისტესი თომას დასარწმუნებლ. 169
116. იესო ქრისტეს გამოცხადება ტიბერიის ზღვაზე მოწაფეთა და სხვათა მორწმუნეთათვის . . . . . . 171
117. ამაღლება იესო ქრისტესი . . . . . . . . . . . . 172
118. სული წმიდის მოფენა მოციქულთა ზედა . . . 172
119. ქრისტე ღმერთის მორწმუნეთა გამრავლება . . . 175
120. ქრისტიანობის გამარჯვება . . . . . . . . . . . . 177
121. დასკვნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 178

2
5 202

ფასი ათი შაური.